გარეკანზე:

ასპინძის ციხე

ერეკლეს ნახიდარი

ხვილიშა

ფოტოები ავტორისა

მერაბ ბერიძე

ასპინძა და ასპინძელობა

2019

წიგნში სხვა მასალასთან ერთად იბეჭდება საქართველოსა და თურქეთში კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები და თურქულად გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც ეხება ისტორიულ და თანამედროვე მესხეთს. ამდენად, პუბლიკაციები დააინტერესებს ქართველ და უცხოელ მეცნიერებს.

რედაქტორი: პროფესორი **როინ ყავრელიშვილი**

რეცენზენტი: პროფესორი **ნესტან სულავა**

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მ. ბერიძე, 2019

ISBN 978-9941-9552-7-3

საყუნეთის ეტიმოლოგიისათვის

საყუნეთი ახალციხის რაიონში მდებარე სოფელია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. დღეს აქ იმერეთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობს. კულტურის ძეგლთაგან შემორჩენილია ეკლესია და ჯამე. სოფელში 1944 წლამდე ცხოვრობდა მაჰმადიანი მოსახლეობა.

მე-16 საუკუნეში სარწმუნოების შეცვლა თავიდანვე შეხებია ამ სოფელს, რაც კარგად ჩანს ვენახის გასხვისების მაგალითზე: „ვენახი გიორგი ბერისა და მისი ძმისა მახარებლისა 1 ნაკვეთი, აწ მეჰმედ ყაბდუ-ლ-ლაჰისძის მფლობელობაში მყოფი“... (ჯიქია, 1941: 99) სოფელს ჰქონდა 2 თვალი წისქვილი და გადასახადს იხდიდა ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, მუხუდოზე, ოსპზე, ცერცვზე, სელის თესლზე, ხილზე, იონჯაზე, თივაზე, ცხვარზე, ღორზე, ფუტკარზე, ბოსტანზე, იალაღზე, იათღზე, და ქორწილზე (ჯიქია, 1941: 94).

მე-16 საუკუნეში კიდევ ერთი საყუნეთია დასახლებული ფოცხოვის ლივაში, ოღონდ ის არის სამეურნეო დანიშნულების მიწა-სათესველი, რომელიც მდებარეობს სოფელ კოინდარის გვერდით (ჯიქია, 1958: 437).

საყუნეთში მე-16 საუკუნეში ქართული მოსახლეობა იყო. ცხოვრობდენ: ლაშქარა, ვარძელ სიმონ, მახარებელ და სხვა ქართული სახელების მქონე ადამიანები (ჯიქია, 1941: 94).

საყუნეთი სხვადასხვა დოკუმენტის და წყაროს მიხედვით მოხსენებულია, როგორც **სალუნეთი, საკუნეთ, сахунет-и, саунет-и**. ყველა ეს სახელწოდება საყუნეთის სხვაენოვანი ვარიანტია (ს. ჯიქია, 1958: 126).

საყუნეთის ეტიმოლოგია, რომელიც დამოწმებული აქვს ს. ჯიქიას, მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში ეკუთვნით უცხოელ ავტორებს. იგი გაიმეორეს მე-20 საუკუნის დასაწყისშიც. ეს ეტიმოლოგია უკავშირდება **კუნელს**. თითქოს იგი ამ მცენარის სახელიდან მოდიოდეს. ეს ეტიმოლოგია უარყო ს. ჯიქიამ. მართლაც შეუძლებელია კუნელს დაუკავშირდეს სიტყვის ეტიმოლოგია ლ-ს გარეშე.

სახელში აშკარად გამოიყოფა სა-ეთ აფიქსები. გეოგრაფიული სახელები იწარმოება -ეთ სუფიქსით, მაგრამ ზოგჯერ ეს წარმოება „შეიძლება გაძლიერებულ იქნეს დანიშნულების პრეფიქსით“ (შინიძე, 1972: 138).

დანიშნულების პრეფიქსით გაძლიერებულ შემდეგ სახელებს ჩმოთვლის აკ. შანიძე: სა-სირ-ეთ-ი (სირი - ჩიტი), სა-ქაშ-ეთ-ი „(სასირეთი და საქაშეთი სოფლებია ქართლში)“ (ა. შანიძე: 139), სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-თათრ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი, სა-სარკინ -ეთ-ი (ასურეთი) „პეტრიწონის ქართელთა მონასტრის ტოპიკონში“ (შანიძე, 1972: 139).

„ამგვარადვეა გაკეთებული სა-რკინ-ეთ-ი (იმერელმა რკინა **მოჭელა** და ღმერთო, **სარკინეთი** ამოაგდეო“ (შანიძე,1972: 139), სა-მგლ-ეთ-ი (შანიძე,1972: 139).

ა. შაინიძეს მოყვანილი ჰყავს ვაჟა-ფშაველადან მაგალითი სა-ფშავ-ეთი და ალ. ყაზბეგიდან სა-ოს-ეთ-ი (შანიძე, 1972: 139).

არნ. ჩიქობავას მიხედვით „სა-ეთ წარმოება არც იშვიათი ყოფილა და არც ახალი“ (ჩიქობავა, 1974: 72).

აკ. შანიძის მიერ მოყვანილ მაგალითებს არნ. ჩიქობავა უმატებს შემდეგს: სა-თაგვ-ეთ-ი, სა-ძაღლ-ეთ-ი, სა-კულ-ეთ-ი, სა-გიჟ-ეთ-ი. სა-ბარკლ-ეთ-ი, სა-ზელ-ეთ-ი სა-კვირ-ეთ-ი, სა-ქორ-ეთ-ი, სა-ცხენ-ეთ-ი, სა-ყუნ-ეთ-ი (ჩიქობავა, 1974: 72-73). „ეს ზელ - ყუნ - ისევე არაა ცხადი, როგორც ქაშ სა-ქაშ-ეთ-ში, მაგრამ სა-ეთ წარმოება რომ გვაქვს, სადაო არ უნდა იყოს“ (ჩიქობავა, 1974: 73).

არნ. ჩიქობავას მოჰყავს კიდევ ორი მაგალითი ვახუშტის შრომიდან: **„სა-ფერშ-ეთ-ი** შდრ. ფერს-ათ-ი?!) არაგვის ხეობაში და **სა-მღერ-ეთ-ი** მესხეთში (ჩიქობავა, 1974:73).

სამღერეთის ეტიმოლოგია შემდეგში მოგვცა გ. ბედოშვილმა. მან გაიზიარა სა-ეთ აფიქსების გამოყოფა და მღერ-ი დაუკავშირა მუნს, ხორას (ბედოშვილი, 2002: 356).

ასევე მოჰყავს არნ. ჩიქობავას მაგალითები ი. სიხარულიძის შრომიდან „აჭარის ტოპონომიკა“ და დასძენს: „სოფლის სახელების გარდა საყანე ადგილების, ტყის ნაკვეთებისა და სხვა მიკროტოპონიმიკა რომ იყოს აღრიცხული, ალბათ, ასეთი წარმოების ნიმუშები გაცილებით მეტი გვექნებოდა“ (ჩიქობავა, 1974:

73): სა-ვან-ეთ-ი, სა-ყავრ-ეთ-ი, სა-თოვლ-ეთ-ი, სა-გველ-ეთ-ი, სა-კვირიკ-ეთ-ი, სა-ჯეელ-ეთ-ი," (ჩიქობავა, 1974: 73-74).

(სა-ეთ წარმოება დასტურდება მესხეთის ტოპონიმიასა და დიალექტში: სა-ქალ-ეთი - ქალთა სამყარო (ზედგინიძე, 2014: 252) და იქვეა: შდრ. **სა-კაცე-თი. სა-ძაღლე-თი.** 1. ძაღლთა სამყარო 2. გადატანით ძაღლისავით ცუდი ხალხის სამყოფელი. ახალგორის რაიონში არის სოფლის სახელი **საქორეთი** (ბერიძე, 2012: 122). **საბილეთი** ნასოფლერის სახელია ასპინძის რაიონის სოფ. ჭობარეთში (ბერიძე, 2011: 215).

აკ. შანიძის საწინააღმდეგოდ არნ. ჩიქობავა ავითრებს აზრს, რომ სა- პრეფიქსი კი არ ჩნდება და აძლიერებს -ეთ წარმოებას, არამედ: „სა-ეთ წარმოება უნდა იყოს ძველი წარმოება. მისი გამარტივებით მიღებული ჩანს -ეთ წარმოება. სა- თავსართმა დაკარგა ფუნქცია და ჩამოშორდა ამ ტიპის სახელებს" (ჩიქობავა,1974: 74).

საყუნეთს ორივე ავტორი იმოწმებს როგორც სა-ეთ-ით ნაწარმოებ სახელს, მაგრამ ყუნ-ის შესახებ არაფერს ამბობენ და სახელის ეტიმოლოგიას არ გვაძლევენ.

ძველ ქართულში ყუნ-ი **ზავს** ნიშნავდა: „აღთქმაჲ აღუთქვეს, ყუნი და ისუეს, მონად დაემორჩილნეს ძეთა ისრაჱლისათა (აბულაძე,. 1973: 469).

მოხეურში ყუნ-ი არის „მიჯნა, სამიჯნე ქვა ყანებს შორის (ღლონტი, 1984: 616).

ერთი შეხედვით, საყუნეთის ეტიმოლოგია შეიძლება დავუკავშიროთ ზავს. მართალია, „საზავო" - ამ ტიპის სახელი არ გვხვდება ტოპონიმიაში, მაგრამ გვაქვს „სადაოები" რამდენიმე ადგილის სახელად მესხეთში. ზემოთ მოხმობილი სა-ეთ-ით გაფორმებული ფუძეები ძირითდად სახელებია. **სასროლეთი** გვაძლევს უფლებას, ვივარაუდოთ სახელზმნის გამოყენების შესაძლებლობაც, მაგრამ უფრო მართებული იქნებოდა **ყუნ-ის** მოხეური მნიშვნელობა გვევარაუდა საყუნეთის ეტიმოლოგიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე, 1973 - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1972 წ.

ბედოშვილი, 2002 გ. ბედოშვილი ქართულ ტოპონიომთა განმარტებით - ეტოპონომიური ლექსიკონი, I, 2002 წ.

ბერიძე, 2011 მ. ბერიძე, სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ, 2011 წ.

ბერიძე, 2012 - მ. ბერიძე, ზველი და მისი შემოგარენი, 2012 წ.

ზედგინიძე, 2014 - გ. ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი, 2014 წ.

ღლონტი 1984 ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984 წ.

შანიძე 1972 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები 1972 წ.

ჩიქობავა, 1974 - არნ. ჩიქობავა, ადგილის სახელითა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში, იკე, XIX, 1974 წ.

ჯიქია, 1941 - ს. ჯიქია, გურჯისტანი ვილაითის დიდი დავთარი, წიგნი II 1941 წ.

ჯიქია, 1958 - ს. ჯიქია, გურჯისტანი ვილაითის დიდი დავთარი, წიგნი III 1958 წ.

სოფელ უდის მოსახლეობა XVI საუკუნეში და ისტორიული წარწერა*

მოკლე შინაარსი

სოფელი უდე უძველესი სოფელია სამხრეთ საქართველოში. მისი სახელის ეტიმოლოგია უკავშირდება **ყუდ-** ფუძეს სახლის, თავშესაფრის, საცხოვრებლის მნიშვნელობით. ოსმალური დოკუმენტის მიხედვით მე-16 საუკუნის ბოლოს სოფელში 135 კომლი ცხოვრობდა. მას ჰქონდა ციხე და რაბათი. მისი მოსახლეობა ქრისტიანი ქართველებისგან შედგებოდა.

XX საუკუნის დასაწყისში უდეში აშენდა დიდი ქრისტიანული ტაძარი, რომელსაც აქვს ორი წარწერა:

1. 1901წ. აღშენდა 1909წ. სამცხე-საათაბაგოს მესხ ქართველებმა უდის 272 მოსახლე. კათოლიკებმა.

2. უდეს არის კათოლიკები 2120 სული, მაშენებელნი ამა საყდრის. მაჰმადიანები 520 სული, ორივ ტომით ქართველნი. ღვთისმშობელო, შენ გწირამთ ჩვენ შრომას.

წარწერა-დოკუმენტი გვამცნობს, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანია, ხოლო ნაწილი არის მაჰმადიანი, მაგრამ როგორც კათოლიკენი ისე მაჰმადიანნი არიან ქართველები. თვითონ ფაქტი არის უპრეცედენტო, როდესაც ქრისტიანებთან ერთად ქრისტიანულ ტაძარს აშენებენ მაჰმადიანები, ეს არის თანაცხოვრების, ტოლერანტობის შესანიშნავი მაგალითი.

მოხდა სამწუხარო ფაქტი. საბჭოთა პერიოდში, 1944 წელს, სოფლიდან გაასახლეს მუსლიმი მოსახლეობა როგორც თურქები.

საკვანძო სიტყვები: სოფელი უდე, სამხრეთი საქართველო, ისტორიული წარწერა. მაჰმადიანები, ქრისტიანები.

---

* საკითხთან დაკავშირებით იხილეთ წიგნი „ტაძრები და სახელები“, თბ., 2010, გვ. 216-227 და ჟურნალი „არავი“, №9, ახალციხე, 2016, გვ. 125-130; მოხსენება წაკითხულია საერთაშორისო სემინარზე თურქულ-ქართული ურთიერთობები (ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე 21-24 აპრილი 2016 წელი, დაიბეჭდა სემინარის შრომების კრებულში: **Uluslararası Bilimsel Çalıstay Türk-Gürcü İlişkileri: Tarih ve Çağdaşlık**, გამომცემლობა **„Gündüz Ofset“**, ტრაპიზონი, 2017, გვ.17-42.

XVI. ASIRDA UDE KÖYÜ AHALİSİ VE TARİHİ YAZITLARI

ÖZ

Ude köyü Güney Gürcistan'da bulunan eski köylerden biridir. Köyün isminin etimolojisi "ḳud" kökünden türemiş ve bina, konut, dam anlamına gelmektedir. Osmanlı tahrir defterine göre 16. y.y. sonunda bu köyde 135 hanenin oturduğu belli olmaktadır. Köyde kale ve kale ⴘnⴖ (rabat kısmı) vardı.

20. y.y. başlarında Ude köyünde inşa edilen büyük bir kilise üzerinde aşağıda belirtilen iki yazıt bulunmaktadır:

1. 1909 yılında Samtshe-Saatabago'nun Katolik Meskh Gürcüleri olan Ude'nin 27 sakini tarafından inşa edilmiştir.

2. Ude'de bu kiliseyi inşa eden 2120 kişi Katolik ve 520 kişi müslüman oturuyor. Her ikisi de Gürcü kökenlidir. Meryem Ana, emeğimizi sana bağışlıyoruz.

Yukarıdaki yazıtlardan anlaşıldığına göre, köyün ahalisinin çoğu Hıristiyan, bir kısmı da Müslümandır. Ancak gerek Hıristiyanlar, gerekse Müslümanlar Gürcü kökenlilerdir. Her iki tebaa tarafından, yani Hıristiyanlarla müslümanlar tarafından, bir kilisenin yapılması ortak yaşamın ve hoşgörünün eşi görülmemiş fevkalade bir örneğidir.

Maalesef, SSCB döneminde, 1944'te köyün müslüman ahalisinin Türk olarak algılanıp çok farklı coğrafyalara sürülmesi gibi acı olaylara şahit olunmuştur .

Anahtar Kelimeler: Ude Köyü, Güney Gürcistan, Tarihi Yazıtlar, Mⴖslⴖmanlar, Hiristiyanlar.

UDE VILLAGE HISTORICAL SCRIPTS

ABSTRACT

Ude village is one of the oldest villages in North Georgia. The etymology of the village derives from the word "kud", which means construction, building or roof. According to the Tahrir Defteri (Book Records) of the Ottomans, 135 families were settled in the village at the time. There was also a castle and the castle entrance in the village.

On the church built in Ude village at the beginning of the 20th century, there are two scrips as below:

1. This church was built in 1909 by 27 settlers of Ude village, all of whom were Samtshe-Saatabago's Catholic Meskh Georgians.

2. In Ude, there were 2120 Catholic people, who built this church, and 529 Moslem settlers. All the residents were Georgians. Mother Mary, we offer all our efforts to you.

The inscription-document informs us that the majority of the rural population is Christian and part of them are the Muslim, but Catholics and Muslims are Georgians. The fact is itself unprecedented, When they built The church. This is a great example of coexistence and tolerance.

A sad fact occurred. During Soviet times in 1944 The Muslim population was evicted from the village as the Turks.

Key-Words: Ude Village, South Georgia, Historical Scripts, Muslims, Christians.

უდე ერთ-ერთი ძველი სახლთაგანია სამხრეთ საქართველოში. სახელი უკავშირდება **ყუდ** ფუძეს სახლის, თავშესაფარის, საცხოვრებლის მნიშვნელობას (ბერიძე, 2008: 138-139). ამ სოფელში მოსახლეობა უძველესი დროიდან არსებობდა, მაგრამ მცხოვრებთა ყველაზე ძველი ჩამონათვალი, აღწერა, ეკუთვნის მე-16 საუკუნეს, როდესაც ოსმალეთმა შექმნა საგადასახადო დოკუმენტი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი". 1595 წელს უდეში 135 კომლი ცხოვრობს. იმდროისათვის საკმაოდ დიდ სოფლად ითვლება ამ ტიპის დასახლება. უდეს ჰქონდა ციხე და მისი რაბათი (ბერიძე, 2010: 216). დიდ სოფელს დიდი ტრადიციები აქვს. როდესაც ოსმალებმა იგი აირჩიეს „ნაჰიეს" ცენტრად და მას დაუქვემდებარეს გარშემო ბევრი სოფელი, ამით გააგრძელეს ქართული ადმინისტრაციული ტრადიცია.

XVI საუკუნეში შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით უდე არის ნაჰიეს ცენტრი. უდეში ცხოვრება ნიშნავდა უდის ციხის რაბათში ცხოვრებას. ჩვენთვის ცნობილნი არიან ის ადამიანები, ვინც გადასახადს იხდიდნენ. ოჯახის უფროსები მოხსენებულნი არიან სახელითა და მამის სახელით, ამი-

ტომ შეგვიძლია, წარმოდგენა შევიქმნათ, თუ ვინ ცხოვრობდა მაშინდელ უდეში, რა ერქვათ მათ, როგორი სახელები იყო მაშინ მოდაში და სხვა.

უდეში საკუთარ სახელად გვხვდება **ზურაბი**.

ზ. ჭუმბურიძე წერს, რომ „ზურაბ (ქართლში დამკვიდრებული ფორმაა სპარსული სახელისა (სურხაბ//სუხრაბ), რომელიც სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც „წითელი წყალი“, მაგრამ ძველად ის ნიშნავდა აგრეთვე წითლად მოელვარე ძვირფას ქვას – ლალს. სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა უნდა ედოს საფუძვლად ადამიანის სახელს. ზურაბი ერქვა ლეგენდარული ირანელი გმირის როსტომის ვაჟს. იგი ჩვენში ფართოდ გავრცელდა „შაჰ-ნამეს“ სხვა გმირთა სახელების მსგავსად. მისი კნინობითი ფორმაა: ზურაბა, ზურა, ზურია, ზურიკო. აქედანაა გვარები **ზურაბიშვილი, ზურაბაშვილი, ზურაშვილი, ზურიკაშვილი, ზურაბიანი, ზურაბაული**“ (ჭუმბურიძე, 2003: 159-160).

ახალგაზრდებში გავრცელებული სახელია გიორგის მოფერებითი ფორმა **გოგიჩა**: **გოგიჩა** მოღურავის ძე. მაზანა ბუდახას ძეს ჰყავს შვილი **გოგიჩა**. ერთი **გოგიჩა** არის სინანას ძე, ხოლო ერთის მამას შავთვალა რქმევია (შდრ. მესხეთში გავრცელებული გვარი შავთვალაძე და მისი თურქული კალკისაგან მომდინარე გვარი ყარაგვეზაშვილი). სინანას ისე ჰყვარებია ეს სახელი, რომ მეორე შვილისთვისაც **გოგიჩა** დაურქმევია.

გოგიჩა საერთოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოში, რასაც ადასტურებს მისგან მიღებული გვარები: **გოგიჩაიშვილი, გოგიჩაშვილი, გოგიჩაძე, გოგიჩიძე**.

ხშირად გვხვდება საკუთარ სახელებად ახლო ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები: მამა, პაპა, ძმა, ბიძა და ა.შ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პაპა, რომლისგანაც სამი სუფიქსის დართვით სამი სხვადასხვა სახელი გვაქვს მიღებული. ფირალი უსარის ძეს ჰყავს შვილი **პაპუნა**, რომელიც გაფორმებულია -უნ-ა სუფიქსებით. პაპუნა მთელ საქართველოში გავრცელებული სახელი იყო, რამაც მოგვცა გვარი **პაპუნაშვილი**. იყო მეორე **პაპუნა**, რომლის მამასაც ჯირო ერქვა. როსტევან ტატიკის ძეს ჰყავდა შვილი **პაპუნა**. ზუბელ კვინიკასძეს ჰყავდა ძმა პაპუნა. ერთისთვის დაურქმევიათ **პაპუ**, რომელიც ან პაპუნას შემოკლებული ვარიანტია, ან ცალკე სუფიქსია -უ ისევე, როგორც **ბათუ**,

ბუდუ და სხვა სახელებში. **ყანდუას** კი თავისი სახელისათვის დაუმსგავსებია შვილის სახელი და მისთვის **პაპუა** დაურქმევია, ისევე როგორც მეორე ყანდუას ჰყოლია ძმა **პაპუ**.

არანაკლებ პოპულარულია მამასთან დაკავშირებული საკუთარი სახელი **მამუკა**. იგი გაფორმებულია -უკ-ა სუფიქსებით. მიჰრანს შვილისთვის დაურქმევია **მამუკა**. მირაზისის შვილიშვილს ჰყოლია შვილი **მამუკა**. ასევე შაჰყულას, რომლის შვილის სახელიც ამოუკითხავია, ჰყავდა შვილიშვილი **მამუკა**. ამ საკუთარი სახელიდან მიღებულია მესხეთში გავრცელებული გვარი მამუკაშვილი. შესაძლებელია თვით უდეში არსებული გვარი მამუკაშვილი მოდიოდეს რომელიმე იმ მამუკათაგან, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ.

ღმერთისადმი მიძღვნითი სახელის მატარებელ ერთ უდელს, რომელსაც **უფლისა** ერქვა, შვილისთვის დაურქმევია **უღულა**. უფლისა ცნობილი სახელია ქართულ ანთროპონიმიკაში. მისგან მოდის გვარი **უფლისაშვილი**, მაგრამ ამ სახელის მატარებელმა კაცმა შვილს „მოდური" აღმოსავლური სახელი დაარქვა, თუმცა ქართულ ენობრივ სტრუქტურაში მაინც მოაქცია და იგი გააფორმა -ა ანთროპომაწარმოებლით. ახლო ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინია **ბიძა**, რომელსაც დართული აქვს კნინობითობის მწარმოებელი -ინ-ა და ვღებულობთ საკუთარ სახელს – **ბიძინა**. ეს სახელი დღესაც ფართოდ არის გავრცელებული, დღესაც არქმევენ ბავშვებს. უდეში ცხოვრობდა ერთი **ბიძინა**, რომლის მამისა და პაპის სახელი ამოუკითხავია.

მცენარეთა სახელები შეიძლება შერქმეოდა ადამიანს. ამ სახელებიდან ჩვენამდე მოაღწია გვარებმა. მართალია, დღეს აღარავინ არქმევს ბავშვს მსხალას, მუხას და სხვა ამგვარ სახელებს, მაგრამ ამ სახელთაგან მიღებული გვარები გვაფიქრებინებს, რომ იყო დრო, როდესაც ასეთი ტიპის სახელები ერქმეოდა ადამიანებს. დღეს გავრცელებული გვარები: **მსხალაია, მსხალაძე, მსხალია** (სილაგაძე, თოთაძე, 1997: 145) გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ **მსხალა** ადამიანის საკუთარი სახელი იყო. ასევე გვარების: **მუხაშვილი, მუხაძე, მუხიაშვილის** ამოსავალია საკუთარი სახელი მუხა, რომელიც გვარის დამდებს ერქვა.

უდეში გვყავდა ორი **კაკალა**, რომელთაგან ერთის მამის სახელი არ ვიცით, რადგან ამოუკითხავია, და მეორე იყო **სარგიზის**

ძე.კაკალა საქართველოში გავრცელებული სახელი იყო. მისგან მიღებულია გვარები: **კაკალაშვილი, კაკალაძე, კაკალია, კაკალიაშვილი.** ერთს რუსული დაბოლოებით გადაუკეთებია კიდეც ეს გვარი და კაკალოვი უწერია (სილაგაძე, თოთაძე, 1997: 102).

კაკალამ მოგვცა შემოკლებული ვარიანტი **კაკა**, რომელიც ფრიად გავრცელებული სახელით იყო იმდროინდელ მესხეთში, მაგრამ უდეში მხოლოდ ერთი კაკა ცხოვრობდა, ეს იყო ყანდუა ყარაოღლანის ძის ძმა **კაკა**. **კაკა** გვხვდება საკუთარ სახელად უკვე „ტბეთის სულთა მატიანეში“ (ენუქიძე, 1977: 296).

კაკა ადამიანის საკუთარ სახელად გვხვდება ტოპონიმებში. ასპინძაში არის **კაკაველი** (მინდორი, მტკვრის მარცხენა ნაპირი მტკვარსა და ვარნეთს შორის); **კაკაწყარო** (წყარო, ნასოფლარ ღობიეთში, აფნიასა და გოგაშენში) **კაკაური** (ნავენახარი ხიზაბავრაში) (ბერიძე, 1992: 66).

„კაკა საკუთარი სახელი უნდა იგულისხმებოდეს ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ხიდის სახელწოდებაში – **„კაკას ჴიდი“**. ამ ტოპონიმში **კაკა** საკუთარი სახელი უნდა იყოს (ბერიძე, 1992: 66).

კაკა -უჩ-ა სუფიქსებითაც გვხვდება გაფორმებული. ორი **კაკუჩა** ცხოვრობდა უდეში: ზერეკ მუქაფისძეს ჰყოლია ძმა **კაკუჩა** და **კაკუჩა** ვართიას ძე.

ტრადიციული ქრისტიანული სახელებიდან, რომლებიც ქართველ მეფეებსაც ერქვათ და, ბუნებრივია, მესხეთშიც იყო გავრცელებული, გვხვდება დავითი. ყუზან ასითასძეს ჰყავდა **„დავით** ძმა მისი“. დავითისგან გვაქვს მიღებული მისი კნინობითი ფორმა **დათუნა**, რომელიც ყუზანისძეა. ორი გიორგი იყო: ერთი - ზურაბის ძმა და მეორე - **ბაქარ შაჰისძე**. გიორგის მოფერებითი ფორმით მიღებულია უკვე ზემოთ დასახელებული რამდენიმე **გოგიჩა** და გოგინა, რომლის მამის სახელიც ამოუკითხავია.

მესხეთში ოდითგანვე გავრცელებული იყო სახელი მანველი, რომლისგანაც გვაქვს მიღებული გვარები: **მანველიშვილი, მანველაშვილი, მანველიძე,მანუელიძე** (მაისურაძე, 1990: 101).

უღულა უფლისასძეს ძმა ჰყავს, რომელსაც **ვასილი** ჰქვია (ბერძნ.) „სამეფო“, „მეფისა“. მესხეთში, ეს სახელი ძირითადად „ბასილის“ სახით გვხვდება დღევანდლამდე. თუმცა ბოლოს „ვასილმა“ გაიმარჯვა. ბასილისა და ვასილის ურთიერთობაზე ზ.ჭუმბურიძე წერს: „ამჟამად უფრო გავრცელებული ფორმა ამ

სახელისა არის **ვასილ.ბ** და ვ ბგერები თვით ბერძნულშიც მონაცვლეობდა. ზოგმა ენამ (მათ შორის ქართულმა) ისესხა უფრო ადრინდელი ფორმა, სადაც ბ არის დაცული, ზოგ ენაში კი (მაგალითად, რუსულში) გადაიღეს ვინ-იანი ფორმა. ამიტომ გვაქვს ქართულში ბასილი (ისევე როგორც ბესარიონ, ბიქტორ, იობ, საბა და ა.შ.), რუსულში კი ვასილი (ისევე როგორც ვისარიონ, ვიქტორი, იოვ, სავა). ამჟამად გვაქვს პარალელური ფორმები: **ბასილ** და **ვასილ**, **ბიქტორ** და **ვიქტორ**. უფრო ძველი **ბასილისაგან** მიღებულია გვარები: **ბასილაძე, ბასილაშვილი, ბასილია**. ვასილისაგან კი ქართული გვარი არ იწარმოება" (ჭუმბურიძე, 2002:133). როგორც უდეში მცხოვრები ვასილის მაგალითი გვიჩვენებს, ვასილისა და ბასილის ბრძოლა მესხეთში ადრევე დაწყებულა და იგი ერთ-ერთი ყველაზე ძველი „ვასილია".

ბერძნული, თურქული, ებრაული, არაბული, სპარსული სახელების გვერდით შემოსულია სომხური სახელები: **ტერაკოფი** არის **აზარიასძე**. **ასვატურ აღდარისძეს** ჰყავს ძმა **ხაჩატური**, ხოლო ტერაკოფის ძმა არის ანანია, გავრცელებული სახელი როგორც სომხურ ანთროპონიმიაში, ისე - ქართულში. ორივე ენაში არის ამ სახელისაგან მიღებული გვარები **ანანიაშვილი, ანანიძე** და **ანანიანი**. ანანია ბერძნული სახელია და ნიშნავს „მადლი უფლისა", „შემწეობა უფლისა" (ჭუმბურიძე, 2003:125). იყო სხვა ანანიაც. გრიგოლ ზატიკას ძეს ჰყავდა შვილი აზარა და ძმა **ანანია**.

კიდევ ერთი წმინდანის სახელზე უნდა შევჩერდეთ. ეს არის მატათა, მატათია, რომელიც იყო წმ. მოციქული, ერთ-ერთი „თორმეტთაგანი". საეკლესიო და საისტორიო ტრადიციით მატათამ იქადაგა საქართველოში, იმოგზაურა ანდრია მოციქულთან ერთად. ზოგი ვერსიით, აღესრულა კოლხეთში.

უდეში უცხოვრია ორ **მათათას**. ვფიქრობთ, მათი სახელის ამოსავალი ფორმა არის მატათა. მომდევნო თ-ს გავლენით მოხდა ყრუ მკვეთრი ბგერის გაფშვინვიერება. ერთი მათათა იმდენად ცნობილი პიროვნება ყოფილა უდეში, რომ მის შვილიშვილს მხოლოდ შვილიშვილობით მოიხსენიებენ და საკუთარი სახელით არა. მეორე **მათათას** ჰყოლია შვილი **ნურაზიზი**.

ქართული ანთროპონიმიის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია უდის საკუთარი სახელები. უმრავლესობა ამ სახელებისა სათავეს უდებს ქართულ გვარებს. ეს გვარები დღეს მთელ საქართველოშია მიმოფანტული.

ქრისტიანული, მუსლიმური, წარმართული სახელები შემოდიოდა ენაში. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა განსაკუთრებით აისახა მის ანთროპონიმიაში, რაც კიდევ ერთხელ კარგად ჩანს უდის მაგალითზე. ქართველი კაცი დანარჩენ მსოფლიოსთან თავის დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს ონომასტიკური არსენალით, ამიტომ საინტერესოდ გვეჩვენება იმ სახელების ჩამოთვლა, რომელთაც შესაბამისი გვარები მოგვცეს ქართულ სინამდვილეში.

აზარა – აზარაშვილი, აზარიაშვილი; **ალადანი** – ალადაშვილი, ალადოშვილი; **ამირან** – ამირანაშვილი; **ამოონ** – ამონიშვილი, ამონაშვილი; **ანანა** – ანანანიაშვილი, ანანიძე; **ანტონ** – ანტონაშვილი; **აღდგომელ** – აღდგომელაშვილი, აღდგომელაძე; **ბაინდურ** – ბაინდურაშვილი, ბაინდურაძე; **ბარათა** – ბარათაშვილი; **ბატატა** – ბატუტაშვილი, ბატატუნაშვილი; **ბენა** – ბენაშვილი, ბენია, ბენიაიძე; **ბიძინა** – ბიძინაშვილი; **ბუდახა** – ბუდაღაშვილი; **გელაზარ** – გელაზარაშვილი; **გიორგი** – გიორგიშვილი, გიორგიძე; **გრიგოლ** – გრიგოლაშვილი, გრიგოლია; **გოგინა** – გოგინაშვილი, გოგინაძე; **გოგიჩა** – გოგიჩაიშვილი, გოგიჩაშვილი; **გულაბა** – გულაბაშვილი, გულბანი; **დავით** – დავითაშვილი, დავითაია, დავითაძე; **დათუნა** – დათუნაშვილი; **დეკანოზი** – დეკანოზიშვილი, დეკანოსიძე; **დემეტრე** – დემეტრაშვილი, დემეტრაძე; **ელია** – ელიაშვილი, ელიავა; **ვარძელი** – ვარძელაშვილი, ვარძელიშვილი; **ბასილ** – ბასილაშვილი, ბასილია, ბასილაია; **ზაქარა** – ზაქარიაძე, ზაქარეიშვილი, ზაქარაია; **ზერეკ** – ზერეკიძე; **ზოსიმე** – ზოსიძე, ზოსიშვილი; **ზოტიკი** – ზოტიკაშვილი; **ზუბელ** – ზუბალაშვილი, ზუბელაშვილი; **ზურაბ** – ზურაბიშვილი, ზურაბაშვილი; **იაკობ** – იაკობიძე, იაკობაშვილი; **ილარიონი** – ილაშვილი, ილარიონი (გვარი), ილარიშვილი; **კაკა** – კაკიაშვილი, კაკაშვილი; **კაკალა** – კაკალაშვილი, კაკულია; **კაკუჩა** –კაკოჩაშვილი, კაკოშაძე; **კვინიკა** – კვინიკაძე; **მაზანა** – მაზანაშვილი, მაზანიშვილი, მაზაშვილი; **მამუკა** – მამუკაძე, მამუკაშვილი; **მანველ** – მანველიშვილი, მანველაშვილი; **მანა-**

სე – მანასაშვილი, მანასეშვილი; **მასურ** – მასურაშვილი, მასურაძე; **მიჰრან** – მირიანაშვილი; **მურად** – მურადაშვილი; **მურვან** – მურვანიშვილი, მურვანიძე; **მღვდელი** – მღვდელიძე, მღვდელაძე; **ნათენა** – ნათენაძე, ნათენაშვილი; **ოთარა** – ოთარაშვილი; **პაპუ** – პაპუნაშვილი; **პაპუნა** – პაპუნაშვილი, პაპიძე, პაპუკაშვილი; **როსტევან** – როსტევანიშვილი; **საგინა** – საგინაძე, საგინაშვილი; **სიმონ** – სიმონაშვილი, სიმონია; **სინანა** – სინატაშვილი, სინაძე; **ტატიკ** – ტატიკაშვილი, ტატიკაძე; **უფლისა** – უფლისაშვილი; **ფირალი** – ფირალიშვილი, ფირალაშვილი; **ქიტესა** – ქიტესაშვილი; **ქრისტესა** – ქრისტესაშვილი, ქრისტესიშვილი; **ღარიბა** – ღარიბაშვილი, ღარიბაძე; **ყაზა** – ყაზაშვილი; **ყადუა** – ყადიძე; **ყანდუა** – ყანდუაშვილი; **ყარა** – ყარაშვილი, ყარაძე; **შავთვალა** – შავთვალაძე; **შაჰყულა** – შაყულაშვილი; **შერგელ** – შერგილაშვილი; **ჭანი** – ჭანიშვილი, ჭანიძე; **ხახუტა** – ხახუტაშვილი, ხახუტაძე; **ხოჯა** – ხოჯავა, ხოჯაშვილი.

ნაწილი სახელებისა ისეთია, რომელთაც შეიძლება არ აღმოაჩნდეთ შესაბამისი ქართული გვარები, ან ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით არ იძებნება, რაც განპირობებულია ან შესადარებელი მასალის სიმცირით, ან იმით, რომ ეს სახელები ძირითადად აღმოსავლურ-მაჰმადიანურ სამყაროდან არის და ისინი გარკვეული პერიოდის შემდეგ გადის მოდიდან, ამიტომ თუ მანამდე ვერ შექმნეს გვარები, შემდეგ უკვე აღარ არქმევენ მათ ბავშვებს, რომ მათგან შეიქმნას გვარები. ეს სახელებია: როსაფ, უსარ, ყუბად, **იონა**, მირარსლან, გრამტან, ბადირხან, იმარინდო, დოვლათიარ, ასითა, მიქენდერ, ყუზან, ვართია, მასურ, საღა, ნუქაფ, ასვატურ, **სავი (საბა?)**, იოსაფ, ყარაოღლან, შირინ, ბადუჩა, ყალამი, ნარინბეგ, აღლამ, ისქენდერ, უღულა, ბაქარშაჰი, შაჰმირანი, ტერაკოფ, მოღურავი, ბუდახა, ნურაზიზ, მათათა, **იოსიტა**, ნურალ, ემანეთი, მირაზიზ, შაჰყუბად, აღდარ, ხაჩატურ, სარგიზ, ატოლი, **სატალა**.

ჩამოთვლილთაგან **იონა**, რომელიც ძვ. ბერძნული სიტყვიდან მოდის და „მტრედს" ნიშნავს, ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელია, სახარების უძველეს, ხანმეტ ძეგლებში გვხვდება. გვარი იონაშვილი გვქონდა და დღეს აღარ დასტურდება (ჭუმბურიძე, 2003: 169).

უდეში დადასტურებული სახელი **საღა** შეიძლება **საღარას** შემოკლებული ვარიანტიცაა. ეს ფორმა კი სათავეს უდებს გვარებს: **საღარაძე.საღარაშვილი, საღარეიშვილი** და დასტურდება ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში (ღლონტი, 1986: 185), სახელმწიფო არქივში დადასტურებული ფორმა **ნუქიფი** და უდელი **ნუქაფი** ერთი სახელისანი ჩანან (ღლონტი, 1986: 172), ასევე გვხვდება ისტორიულ საბუთებში **ნურალი** (ღლონტი, 1986: 172) და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ამგვარად, XVI საუკუნის უდეში მცხოვრებთა ანთროპონიმია ქართულია. თავისი სტრუქტურითა და სემანტიკით ბევრი სახელი, რომელიც შემოსულია მესხურ დიალექტში და სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა აქვს, მოდურია მაშინდელ მცხოვრებთა შორის. ქართულს გარდა აღმოსავლური და ქრისტიანული სახელები გავრცელებული იყო დანარჩენ საქართველოშიც, რასაც ადასტურებს ამ სახელთაგან ქართული გვარების შექმნა.

მესხეთი ყოველთვის გამოირჩეოდა კონფენსიური სიჭრელით, რის მაგალითიც არის სწორედ ეს სოფელი. მასში ცხოვრობდნენ მართლმადიდებელი, კათოლიკე და მუსლიმი ქართველები. ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ თანაცხოვრების იმ შესანიშნავ მაგალითზე, რითაც გამორჩეულია სოფელი უდე.

ქართველთა გამუსლიმება მესხეთში ძირითადად XVIII-XIX საუკუნის დასაწყისში ხდება. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ მხოლოდ მაღალ წრეს აქვს მიღებული მაჰმადიანობა. კონფესური სიახლეები ძირითადად ეკონომიკურ ნიადაგზე ხდებოდა. მაღალ წრეს, რომელსაც პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდა და იყო მიწის მფლობელი, ბევრი ჰქონდა დასაკარგი, რის გამოც ხშირად დამპყრობლის ნებას დაჰყვებოდა და ასრულებდა მის ძირითად მოთხოვნას, იცვლიდა სარწმუნოებას, ამით იგი არა მხოლოდ ინარჩუნებდა მდგომარეობას, ხშირად იუმჯობესებდა კიდეც და თავისუფლდებოდა გადასახადისაგან.

ხდებოდა საწინააღმდეგო პროცესიც, როდესაც დიდ დაწოლას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვებოდა და თუ ოსმალთა მიერ დაწესებულ უმძიმეს გადასახადს ვერ უძლებდა, განსაკუთრებით აქაური გლეხი, აიყრებოდა და საქართველოს სხვა კუთხეში გადასახლდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც სამ ძმათაგან ორი შეიცვლიდა სარწმუნოებას, რომ მესამე მაინც „შეენახათ“, ერთად გადაეხადათ

მესამის გადასახადები, რომ იგი ქრისტიანად დარჩენილიყო. ამიტომაა, რომ ბიძაშვილობა გვარითაც გრძელდებოდა. ერთი და იმავე გვარის კაცები, ძმები, იყვნენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები. ქართულ ტრადიციას, სისხლით ნათესაობას დედისა და მამის მხრიდან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მუსლიმთა მეხსიერებაში დიდ ხანს რჩებოდა ხსოვნა თავიანთი წინაპრებისა, წარმოშობისა. ამას ემატებოდა აკრძალვა, რომლის მიხედვით არ შეიძლებოდა ქორწინება ბიძაშვილებსა და დეიდაშვილებს შორის არც კათოლიკებში და არც მუსლიმებში. გრძელდებოდა ქართული მართლმადიდებული ტრადიცია.

ეს ყველაფერი კარგად დასტურდება დოკუმენტურად. ჩვენ მიერ დასახელებური „დავთარი“, რომელიც ოსმალების მიერ არის შედგენილი კარგად ასახავს არა მხოლოდ უდის, არამედ მთელი მაშინდელი ოსმალეთის გურჯისტანის – სამცხის, ჯავახეთის და არტაანის ეროვნულ-ეთნიკურ შემადგენლობას. მაშინდელი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართულია, არიან მცირედ სომეხნი და დაწყებულია სარწმუნოების ნიადაგზე ოსმალური სახელების გაჩენა.

რადიკალურად იცვლება სიტუაცია XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთის მიერ გათავისუფლებულ მაშინდელ მესხეთში თითქოს უნდა შეწყვეტილიყო ქართველთა სარწმუნოების შეცვლა, მაგრამ სინამდვილეში ხდება პირიქით, რუსეთმა თავისი აღწერებით არა მხოლოდ დააკანონა ისლამიზაციის პროცესი, არამედ ბევრი რამ დააჩქარა და შეუქცევადი გახადა.


ბევრი სოფელი, რომელთაც აღწერს რუსეთი XIX საუკუნის სამოციან წლებში, დასახლებულია მაჰმადიანი ქართველებით, რომლებიც საუკუნის ბოლოს ფიქსირდებიან ახალ აღწერებში როგორც თათრები და XX საუკუნეში ხდებიან თურქები. კიდევ უფრო უარესდება მდგომარეობა, როდესაც XX საუკუნეში, კერძოდ, 1944 წელს, სამცხე-ჯავახეთიდან ასახლებენ ხალხს, რომელთა დიდ ნაწილს შენარჩუნებული აქვს ენა და გვარი, როგორც თურქებს. ოფიციალურად არც ერთი ქართველი არ გაუსახლებია საბჭოთა კავშირს, ყველა მუსლიმი ქართველი აქციეს თურქად და ისე გაასახლეს. ეს იყო დეპორტირებული ხალხის არა მხოლოდ ფიზიკური ტკივილი, ტრაგედია, არამედ მათი სულის ამოგლეჯა, გენეტიკის გაბუნდოვნება და საკუთარ

ფესვებთან დაბრუნების პერსპექტივის მოსპობა. საბჭოთა კავშირი აგრძელებს მეფის რუსეთის დაწყებულ საქმეს. რუსეთს ყოველთვის ხელს აძლევდა, რომ დასუსტებულიყო საქართველო, რომელის სიძლიერეს მუდამ განსაზღვრავდა სამხრეთის, სამცხე-ჯავახეთის, სიძლიერე, ქრისტიანობა. მთავარია, რომ ისტორიულად, მას შემდეგ, რაც იქმნება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" და რუსული „აღწერები" საქართველო, როგორც პოლიტიკური მოთამაშე აღარ არის, მის ბედს წყვეტენ რუსეთი და ოსმალეთი.

პოლიტიკა თავისთავად განსაზღვრავდა ბევრ რამეს, მაგრამ იყო აგრეთვე სახალხო პოლიტიკა. ხალხისთვის ისტორიული ხსოვნა გრძელდებოდა დიდი ხნის მანძილზე. ურთიერთობას, ეროვნული ფესვების სიმტკიცეს განსაზღვრავდა გვარიც. ქართული და თურქული გვარი განსხვავდება თავისი სტრუქტურითა და დანიშნულებით. მართალია, ორივეს ეკონომიკურ-ეთნოგრაფიული საფუძვლები განაპირობებდა, მაგრამ ქართული გვარის თაობიდან თაობაზე გადასვლა, ხოლო თურქული გვარის ცვლა თაობებს შორის, რადიკალურად ცვლიდა ეროვნულ-ეთნიკურ თვითშეგნებას. ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლების სარწმუნოებრივი განსხვავება ხშირად თუ დაპირისპირების მიზეზი შეიძლება გამხდარიყო, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, გარკვეულ შემთხვევებში ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემის საფუძველიც ხდებოდა.

ტოლერანტობის ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ფაქტზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება სოფელ უდის მაგალითზე. 1901-1909 წლებში აშენდა უდეში კათოლიკური ტაძარი, რომელსაც აქვს ორი მნიშვნელოვანი წარწერა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე ორივე წარწერა ინფორმაციული ხასიათისაა, მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ტაძრის მშენებლობის, მაშინდელი ისტორიული პირების შესახებ. წარწერებიდან ვგებულობთ, რომ ტაძრის მშენებლობაში თავისი წვლილი შეუტანია მღვდელ სიმონ ჩილაშვილს. ეპისკოპოსი ყოფილა კესლერი, ხოლო რომის პაპი პიი. ასევე გვამცნობს წარწერა, რომ ეკლესია აშენდა რუსეთში ნიკოლოს მეორის მეფობის ჟამს და კავკასიაში მთავარმართებული არის ვარანცოვ-დაშკოვი. ეს ინფორმაცია ჩვენთვის


მნიშვნელოვანია და ადასტურებს XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ცნობილ პიროვნებათა გარემოს, როცა შენდება ტაძარი, რომ ეს გარემო არის რეალური და წარწერა სანდოა, ასახავს მაშინდელ ისტორიულ სინამდვილეს. აქედან გამომდინარე ისტორიული დიკუმენტის ძალა აქვს წარწერის დანარჩენ ნაწილს, რომელიც გვამცნობს უშუალო მშენებლების, ხალხის შესახებ, ვინ იყვნენ ისინი და რა სარწმუნოებისანი. პირველი, ჩრდილოეთის წარწერა გვამცნობს, რომ ტაძარი აშენდა 1901-1909 წლებში:



სურათი 1

resim 1

„1901წ. აღშენდა 1909წ. სამცხე-საათაბაგოს მესხ ქართველებმა უდის 272 მოსახლე კათოლიკებმა.“ ეპიგრაფიკული წარწერების ზოგიერთი ქარაგმა-შემოკლებანი თუ პუნქტუაცია ხშირად განპირობებულია მასალით. **მოსახ.** შემოკლებული სიტყვაა და ნიშნავს მოსახლე. ასევე ტაძრის მშენებლობის დასაწყისად უნდა მივიღოთ 1901 წ. მიუხედავად წინადადების სინტაქსური გაუმართაობისა. კიდევ უფრო სრულყოფილია მეორე წარწერა:



სურათი 2

resim 2

„უდეს არის კათოლიკები 2120 სული, მაშენებელნი ამა საყდრის. მაჰმადიანები 520 სული, ორივ ტომით ქართველნი. ღვთისმშობელო, შენ გწირამთ ჩვენ შრომას“.

წარმოდგენილი წარწერა-დოკუმენტი გვამცნობს, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანია, ხოლო ნაწილი არის მაჰმადიანი, მაგრამ, როგორც კათოლიკენი, ისე მაჰმადიანნი არიან ქართველები. რისთვის დასჭირდათ მშენებლებს, სოფელს, საზოგადოებას ამის ხაზგასმა, წარწერაში აღნიშვნა. ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მეზობელი ქვეყნები, ზოგიერთი მაშინდელი უცხოელი მეცნიერი ეჭქვეშ აყენებდა როგორც კათოლიკების ისე მაჰმადიანების ქართველობას. სარწმუნოებრივი თანაცხოვრების ამ შესანიშნავი დოკუმენტით ვგებულობთ, რომ ქრისტიანულ ტაძარს ქრისტიანებთან ერთად აშენებენ მაჰმადიანები. ღვთის სახლი ყველასთვის საპატივცემულო იყო. ბევრი მაგალითია საიმისოდ, რომ სამცხე-ჯავახეთის ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობა პატივს სცემდა ერთმანეთის რელიგიურ დღესასწაულებს. მოღებული იყო ნათლობა-მეჯვარეობა ქორწილებში.


სამწუხარო სწორედ ის არის, რომ ამ შესანიშნავი ტაძრის მაშენებელი ბიძაშვილები, ქრისტიანები და მაჰმადიანები 1918 წელს ჩაითრიეს სარწმუნოებრივ დაპირისპირებაში, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ სოფლის (და არა მარტო ამ სოფლის, მთელი სამცხე-ჯავახეთის) მაჰმადიანი მოსახლეობა, ქართველები, გაასახლეს შუა აზიაში როგორც თურქები და მათ მოუსპეს სამშობლოში ქართველებად დაბრუნების საშუალება.

ქრისტიანობის დროინდელი ტრადიცია მაჰმადიანურ მოსახლეობაში დიდხანს გრძელდებოდა. ზოგიერთი ოჯახი, რომელიც სასულიერო საქმეს ემსახურებოდა სარწმუნოების შეცვლამდე, გარკვეული ფორმით შემდეგაც აგრძელებდა ამ სამსახურს. შუა აზიის დეპორტირებულ მოსახლეობაში ცნობილია უზბეკეთის მაგალითი, სადაც ტაშკენტის ოლქში ცხოვრობს სოფ. შურდოდან გადასახლებული მოსახლეობა, იქვეა ოჯახი, რომელსაც ებარა ეკლესიის გასაღები. ეს წმინდა საქმედ ითვლებოდა, ამიტომ ოჯახმა თან წაიღო გასაღებიც და აღთქმული ვალდებულების

ხსოვნაც. ამ ოჯახში დღესაც ინახება წმნიდა მოქაარგულ ნაჭერში გახვეული გასაღები, რომელიც დევს სპეციალურ ყუთში. ძურდო დღეს ნასოფლარია ახალციხის მუნიციპალიტეტში. მე-16 საუკუნეში იგი პატარა სოფელი ყოფილა, მხოლოდ სამ კომლს უცხოვრია, ისიც ერთი ოჯახია თავისი განაყრებით: გიორგი ზარასფას ძე, დავითა ძმა მისი და გოგიჩა ძმა მისი. გიორგი, დავითა და გოგიჩა ძმები არიან (ჯიქია, 1941: 35), ხოლო 1870 წელს აღრიცხულია 14 კომლი (ჯიქია, 1958: 58).

კულტურა, რომელიც სარწმუნოებრივ ნიადაგზე იქმნება, ადვილად არ ქრება და არ იკარგება. დღევანდელ ქრისტიანულ ყოფაში ბევრი წარმართული ელემენტია შემორჩენილი, რომელიც თავად იქცა ქრისტიანული კულტურის ნაწილად. ასე ხდებოდა მაჰმადიანური სარწმუნოების მიღების შემდეგაც. იმავე სოფელ უდეში არის ბუხრის ქვა, რომელსაც აღმოსავლურ-მაჰმადიანური ელემენტები შემკული ჩუქურთმები აქვს. რითაც შესრულებულია ორი წრე. ამავე ელემენტებით არის შემკობილი ჯვარი, რომელიც ბუხრის ქვის შუაში არის ამოკვეთილი.

უდის წარწერები განსაკუთრებულობით აქტუალურობას იძენს დღეისათვის. სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულმა მაჰმადიანმა მესხებმა უნდა გაითვალისწინონ წინაპართა დამოკიდებულება, პატივისცემა დაკარგული ეროვნებისადმი. დღეს შეიძლება ნებისმიერი ეროვნება აირჩიოს ადამიანმა, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს ის, რაც იყო, რითაც მოვიდა დღევანდლობამდე.



უდე 1909 წ. უდე 1909

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერიძე, 2008 - მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, თბილისი.

ბერიძე, 2010 - უდის მოსახლეობა მე-16 საუკუნეში, ტაძრები და სახელები, თბილისი.

ჯიქია, 1941 გურჯისტანის ვილაითის დიდი დავთარი, II, თბილისი.

ჯიქია, 1958 გურჯისტანის ვილაითის დიდი დავთარი, III, თბილისი.

ბერიძე, 2007 - მითოლოგიური გმირი და „ამირანის გორა", ქართველური ონომასტიკა, თბილისი.

ჭუმბურიძე, 3003 - რა გქვია შენ? თბილისი.

მაისურაძე, 1090 ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მსალები), თბილისი.

სილაგაძე, თოთაძე, 1997 გვარსახელები საქართველოში, თბილისი.

ტბეთის სულთა მატიანე, 1977 - ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბილისი.

ბერიძე, 1992 - ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბილისი.

ვახუშტი ბატონიშვილი, 1973 - აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიის ლექსიკონი, 2007, თბილისი.

ღლონტი, 1984 ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ღლონტი, 1986 - ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი.

Ude adı Güney Gürcistan'da bulunan eski adlardan biridir. Bu isim "ḳud" kökünden türemiş ve bina, konut, dam anlamına gelmektedir (Beridze, 2008:138-139). Bu köy eski zamanlardan itibaren yerleşikti. Ancak, köyün en eski nüfus sayımı 16. y.y. da Osmanlılar tarafından "Defteri Mufassal Vilayat-ı Gürcistan" adlı tahrir defterinde yapılmıştır. 1595 yılında Ude köyünde 135 hane vardı. Dönemin şartlarına göre Ude

büyük bir köy sayılırdı. Udc'de kale ve rabat denilen kale önü vardı (Beridze, 2010:216). Genellikle, bჟyჟk kჟylerin bჟyჟk gelenekleri vardır. Osmanlılar Udc köyünü nahiye merkezine dönüştürüp Gürcü mჟlki idare sistemini devam ettirdiler.

XVI. asırda tutulan "Gürcistan Vilayatının Mufassaal Defterine" göre Ude'de 135 aile yaşıyordu. Bunlar kale yakınında, rabatta oturuyorlardı. Aile sayısına göre Ude büyük köy sayılırdı. O zamanlarda aileler kalabalıktı ve onlarca kişiden ibaretti. Ancak Osmanlı memuru tarafından tahrir edildiği zaman yalnız vergiye tabitutulan kişinin adı veya baba adı gösteriliyordu. Bu insan ise ailenin reisi sayılırdı.

Udc'de özel isim olarak Zurabi'ye de rasgeliyoruz.

Z. Çumburidze'ye göre "Zurab ismi (FarsçaSurkha/Sukhrab) anlam olarak "Kızıl Su" anlamına gelmektedir. Ayrıca, önce "Parlayan Kızıl Taş" anlamına da gelirdi. Tahmin ettiğimiz kadarıyla bu isim insanlara eski anlamına göre koyulmuştur. Zurab Fars Destanı kahramanı olan Rostom'un oğlunun adıdır. "Şah-Name" kahramanların isimleri gibi bu isim bizde fazlasıyla koyulmaktadır. Küçültme isim olarak Zuraba, Zura, Zuria, Zuriko olarak ta kullanır. Buradan Zurabişvili, Zurabaşvili, Zurikaşvili, Zurabiani, Zurabauli gibi soy adlar türemiştir. (Çumburidze, 2003:159:160).

Gençler arasında Giorgi isminin küçültme şekli Gogiça çok yaygındır. Örn: Moğuravi oğlu Gogiça. Budakha Oğlu Mazakhanın Gogiça adında oğlu var. Bir Gogiça var Sinan'ın oğlu, birisinin babasının adı Şavtvala imiş (Meskheti bölgesinde yaygın olan Karagvezaşvili soyadı Şavtvalaşviliden gelir, Türkçe Şavtvala Karagöz anlamına geliyor). Sinan bu ismi o kadar sevmiş ki ikinci oğluna da Gogiça koymuştur.

Gogiça ismi Gürcistan'da çok yayıgındır. Buradan Gogiçaşvili, Gogiçaişvili, Gogiçadze, Gogiçidzesoyadları türemiştir.

Sık sık öz isim olarak yakın akrabayı belirten terimlere de rasgeliyoruz. Örn: Mama (Baba), Papa (Dede), Dzma (Kardeş), Bidza (Amca) v.s. Bunlar arasından Papadan türemiş olan isimler daha yaygındır. Papa kökünе üç ek eklenerek isim alınmıştır. Örn: Usarioğlu PiralininPapuna isimli oğlu vardır. Pap- kჟkჟne un-a- ekleri eklenmiştir. Papuna bütün Gürcistan'da yaygın isimdi. Buradan Papunaşvili soyadı

türedi. Daha bir Papuna vardı, babasının adı Ciro imiş. Tatik Oğlu Rostevan'ın Papuna isimli oğlu vardı. ZubelKvinikadze'nin Papuna adlı kardeşi vardı. Birisine Papu adını vermişler. Bu isim ya Papun'anın kısaltmasıdır, ya da U harfi ayrı bir ek olarak kullanılmıştır, örn: Batu, Budu isimlerde olduğu gibi. YAndua adlı birisi kendi ismine benzeterek oğluna Papua adını koymuştur. YAndua'nın Papu adlı kardeşi varmış.

Mama (baba) isimden türemiş olan özel isimlerde bolca bulunur. Mam kɋkʃne uk-a ekler eklenmiştir. Mihran isimli adam torununa Mamuka adını vermiştir. Oğlunun adını okuyamadığımız Şahkula adlı birisinin Mamuka adlı torunu vardı. Anılan özel isimden Meskheti bölgesinde yaygın olan Mamukaşvilisoyadı türemiştir. Günümüz Ude köyünde yaşayan Mamukaşvililerin eski Mamukalardan gelme ihtimali vardır.

Tanrıya atfedilen Uplisa ismini taşıyan birisi çocuğuna Uğula adını vermiştir. Uplisa'dan Uplisaşvili soyadı türemiştir. Ancak Uplisa adını taşıyan adam çocuğuna o zaman moda olan doğu dünyasında kullanılan isim koymuştur. Ancak bu isim yine de Gürcüce'nin yapısına tabi tutulmuş ve -a eki eklenmiştir. Bidza ismi yakın akrabalığı belirtmektedir. Buna -in-a kʃɷʃltme eki eklenerek ɋzel isim olan Birdina ismi türemiştir. Bu isim günümüze kadar çocuklara koyulur ve yaygındır. Ude'de, "Defterde" baba ve dede adları okunamadığı Bidzina adlı birisi yaşıyormuş.

İnsana bitki adları da koyulurdu. Bu isimlerden türemiş olan soy adlar günümüze kadar duruyor. Gerçi bugün hiç kimse çocuğuna Mskhala (Atmutɷuk), Mukha (Meşe) v.s. adları vermiyor, ancak tahmin ettiğimiz kadarıyla günümüzdeki Mskhalaia, Mskhaladze, Mskhalia (Silagadze, Totadze, 1997:145) gibi soyadların bu isimlerden türemiş olduğu gerek. Mukhaşvili, Mukhiaşvili, Mukhadze soyadlarında özel isim Mukha'dan türemiş olduğu düşünülmektedir.

Ude'de Kakala isminde olan iki kişi yaşıyormuş. Birisinin baba adı "Defterde" okunmuyor. Diğerinin baba adı Sargizi imiş. Kakala ismi Gürcistan'da yaygındı ve buradan Kakalaşvili, Kakaladze, Kakalia, Kakaliaşvili gibi soy adlar türemiştir. Birisi Rusçaya has olan şeklini vermiş ve Kakalov diye yazmıştır (Silagadze, Totadze, 1997:102).

Kakalanınkısaltılmış hali Kaka olmuştur. Bu isim o dönem Meskheti'de yaygındı, Ancak Ude'de Kaka isminde yalnız tek bir kişi yaşıyormuş. Bu adam Kandua Karaoğlanın oğlunun kardeşi Kaka imiş. Kaka isim "Tbeti Anılarında" da geçmektedir (Enukidze, 1977:297).

Özel isim olan Kaka yer adlarında da rasgelmektedir. Aspindza ilçesinde (Kura nehrinin sol kenarındaki çayıra, Varneti'nin karşısında olan yere) Kakaveli denilir. Apnia, Ğobieti, Gogaşeni köylerinde Kakatskaro var. Khizabavra köyünde eski üzüm bağı olan yere Kakauri denilir (Beridze, 1992:66).

Tarihi kaynaklarda adı geçen "KakasKhidi (Kaka'nın köprüsü)" toponimde Kaka'nın özel isim olması gerek (Beridze, 1992:66).

Kak'ya –ura-a ekleri de eklenir. Ude'de Kakuça isimli iki kişi yaşıyormuş: Mukapi Oğlu Zerek'inKakuça isimli kardeşi varmış, daha başkası Vartia oğlu Kakuçadır.

Geleneksel olarak, Gürcü Kralların da taşıdıkları gibi, Meskheti'deerkeklere Davit ismi sık koyulurdu. Asista Oğlu kuza'nın Davit isimli kardeşi vardı. Davit'ten küçültme şekliDatuna alınmıştır. Bu Datuna'nın babasının adıYuzan'mış. İki Giorgi varmış: Birisi Zurab'ın kardeşi, diğeri Bakarşahın Oğlu. Giorgi'nin küçültme şekli, yukarıda bahsettiğimiz gibi, Gogiça ve Goginadır. "Defterde" bunların baba adları okunmuyor.

Uplisa Oğlu Uğula'nın kardeşinin adı Vasili'dir (Vasili Yunanca isimdir ve kral ülkesi anlamına geliyor). Meskheti'de Vasili ismi Basili olarak kullanırdı. Ancak, günümüzde Vasili diye kullanır. Vasili ve Basili isimler hakkında Çumburidze şunu yazıyor: "Günümüzde isim oalarak daha fazla Vasili kulanır. V ve B harfler Yunancada yerlerini değiştirir. Bazi bir dile (Gürcüce dâhil) bu ismin B harfli şekli dâhil edilmiştir. Bazi bir dile, örneğin Rusça'ya V harfi olan Vasili ismi yerleşti.Dolyasıyla Gürcüce'de Besarion, Basil, Biktor, İob, Saba v.s. isimler var. Rusça'da ise bu isimlerde B harfin yerine V harfi kullanarak Vasil, Visarion, Sava, İovv.s. olur. Şimdilik her iki şekil yani Vasil ve Basil, Viktor ve Biktor kullanır. Eski Basili olan şeklinden Basiladze, Basilaşvili, Basilia soy aldatı türemiştir. Gürcüce'de Vasili isminden türemiş soy adlar yoktur" (Çumburidze, 2002:133). Ude'de oturan Vasili ismin örneğinden hareketle Vasili şeklinin daha önce kullanıldığı anlaşılmaktadır.

Yunanca, Türkçe, Yahudice, Arapça, Farsça isimler yanısıra Ermenice isimler de var. Örneğin: Azaria Oğlu Terakop, Ağdar Oğlu Asvatur'unKhaçatur adlı kardeşi varmış. Terakop'un kardeşi Anania imiş. Anania isim her iki dilde, Ermenice'de ve Gürcücede bulunur. Her iki dilde bu isimden soy adlar türemiştir: Ananiaşvili, Ananidze ve Ananyan. Anania Yunanca isimdir ve "Tanrının Mübareği", "Tanrının Yardımı" anlamına gelmektedir (Çumburidze, 2003:125). Ude'de daha başka bir Anania varmış, Zatika Oğlu Grigol'un Azara ve Anania isimli iki oğlu varmış.

Matata ismi bir azizin ismidir. Matat, Matatia on iki havariden birisidir. Kilise geleneğine göre Matata Aziz Andria ile birlikte Gürcistan'a gelmiş ve Batı Gürcistan'da, Kolkheti'de vefat etmiştir.

Ude'de Matata isimli iki kişi yaşıyormuş. Matata'nı çok tanıdık bir insan olduğundan dolayı torunu yalnız "Matatanın torunu" şeklinde anılmıştır. Matata'nınNuraziz adlı çocuğu varmış.

G჻rc჻ antroponimleri için Ude'deki özel isimler çok önemlidir. Bu isimlerin çoğundan Gürcüsoyadları türemiştir. Günümüzde bu soy adlar bütün Gürcistan'a yayılmıştır.

G჻rc჻ diline Hiristiyan, M჻slმman, Paganist isimleri dʒhil ediliyordu. Gürcistan'ın jeopolitik konumu onun antroponimlerinde yer almıştır. Ude örneği bunu açıkça göstermektedir. Onomastik, Gürcülerin dünyaya bakışını göstermektedir. Bundan dolay aşağıda isimlerde türeyen soyadları tarif ediyoruz:

Azara-Azaraşvili, Azariaşvili, **Aladani**-Aladaşvili, Aladoşvili, **Anana** – Ananidze, Ananiaşvili, **Amiran** – Amiranaşvili, **Amoon** – Amonaşvili, **Anton** – Antonaşvili, **Ağdgomel** – Ağdgomaleşvili, Ağdgomeladze, **Baindur** – Bainduraşvili, Bainduradze, **Barata** – Barataşvili, **Batata** – Batutaşvili, Batutanaşvili, **Bena** – Benaşvili, Benia, Beniadze, **Bidzina** – Bidzinaşvili, **Budakha** – Budağaşvili, **Gelazar** – Gelazaraşvili, **Giorgi** –Giorgişvili, Giorgidze, **Grigol** – Grigolaşvişi, Grigolia, **Gogina** – Goginaşvili, Goginadze,**Gogiça** – Gogiçaişvili, Gogiçaşvili, **Gulaba** – Gulabaşvili, Gulbani, **Davit** – Davitaşvili, Davitaia, Davitadze, **Datuna** – Datunaşvili, **Dekanozi** – Dekanozişvili, Dekanosidze, **Demetre** – Demetraşvili, DemetraZe,**Elia** – EliaŞvili, Eliadze, Eliava, **Vardzeli** – Vardzelaşvili, Vardzelişvili, **Vasil** –

Basilaşvili, Basilia, **Zakara** – Zakariadze, Zakareişvili, Zakaraia,**Zerek** – Zerckidze, **Zosime** –Zosidze, Zosişvili, **Zotiki** – Zotikaşvili, **Zubel** – Zubelaşvili, Zubalaivili,**Zurab** – Zurabişvili, Zurabaşvili, **İakob** – İakobidze, İakobaşvili, **İlarioni** – İlaşvili, İlarişvili, **Kaka** – Kakiaşvili, Kakaşvili, **Kakala** – Kakalaşvili, Kakulia, **Kakuça** – Kakoçaşvili, Kakoşadze, **Kvinika** – Kvinikadze, **Mazana** – Mazanaşvili, Mazanişvili, **Mamuka** – Mamukadze, Mamukaşvili, **Manvel** – Manvelişvili, Manvelaşvili, **Manase** – Manasaşvili, Manaseşvili, **Masur** – Masuraşvili, Masuradze, **Mihran** – Mirianaşvili, **Murad** – Muradaşvili, **Murvan** – Murvanişvili, Murvanidze, **Mğvdeli** , Mğvdelidze, Mğvdcladze, **Natena** – Natcnadze, Natenaşvili, **Otara** – Otaraşvili, **Papu** – Papunaşvili, **Papuna** – Papunaşvili, Papidze, Papukaşvili, **Rostevan** – Rostevanişvili, **Sagina** – Saginadzc, Saginaşvili, **Simon** – simonaşvili, Simonia, **Sinana** Sinataşvili, Sinatadze, **Tatik** – Tatikaşvili, Tatikadze, **Uplisa** – Uplisaşvili, **Pirali** – Piralişvili, Piralaşvili, **Kitesa** – Kitesaşvili, **Kristesa** – Kristesaşvili, Kristesişvili, **Ğariba** – Ğaribaşvili, Ğaribadze, **Kaza** – Kazaşvili, **Kadua**– Kadidze, **Kandua** Kanduaşvili, **Kara** Karaşvili, Karadze, **Şavtvala** – Şavtvaladze, **Şahkula** – Şahkulaşvili, **Şergel** – Şergilaşvili, **Çani** – Çanişvili, Çanidze, **Khahuta** – Khahutaşvili, Khahutadze, **Khoca** – Khocava, Khocaşvili.

Bazı bir soy ad özel isimden türememiştir. Bunun nedeni ya elimizde olan malzemenin kısıtlı olduğu ya da özel isimlerin Doğu, yani İslam Dünyasından alındıkları için belli bir zaman sonra bunların modadan kalktıklarıdır. Dolaysıyla bunlardan soy ad türemeyebilirdi. İslam Dünyasından alınan isimler şunlardı: Rosap, Usar, Yubad, Miraslan, Badirkhan, Dovlatyar, Asita, Mikender, Yuzan, Vartia, Masur, Sağa, Nukap, Asvatur, İosap, Karaoğlan, Şirin, Baduça, Kalam, Narinbeg, Ağlam, İskender, Uğula, Bakarşah, Şamiran, Terakop, Moğrav, Budakha, Nurazia, Matat, İosita, Nural, Emanet, Miraziz, Şahkubad, Ağdar, Khaçatur, Sargiz, Atol, Satala, İona.

Anılan isimlerden İona eski Yunancadır ve Güvercin anlamına gelmektedir. Bu isim İncil'deki metinlerde geçcr. Soy ad olarakİonaşvilida vardı, ancak günümüzde bu soyadı taşıyanlar yoktur (Çumburidze, 2003:169).

Ude'de bulunan **Sağa** diye isim, **Sağara** isminin kısaltılmış şekli olabilir.Bu isimden Sağaradze, Sağaraşvili, Sağareişvili gibi soy adlar türemiş ve tarihi kaynaklarda da geçmektedir (Ğlonti, 1986:1712). Devlet arşivinde muhafaza edilen belgelerdekiNukipi şekli Udedeki Nukapi adına çok benziyor (Ğlonti, 1986:172). Tarihi belgelerde Nurali ve çok sayda ona benzeri isimler mevcuttur (Ğlonti, 1986:172).

Demek olur ki, XVI. asırda Ude köyü ahalisinin antroponimisi Gürcücedir. Meskh lehçesine dâhil olan birçok sözcük semantik ve yapı açısından yabancı dillerdendir. Dolaysıyla dönemin ahalisi arasında bir moda olmuştur. Gürcüceden gayrı, Doğu ve Hristiyan dünyasından alınan isimler ülkenin farklı bölgelerinde de yaygındı. Bu isimlerden Gürcü soyadları türemiştir. Gürcistan'da insanlara Hristiyan dininden olacak vaftiz adı ile birlikte, dönemin modasına yakışan ikinci isim de veriliyordu. G[illegible]nümüzde de birçok adam vaftiz ismi ile değil de ikinci adla tanınıyor. Denilebilir ki, yalnız Ude'nin değil, bütün Gürcistan antroponimisinin araştırması, dil, semantik, ek ve fonetik açısından önemlidir.

19. y.y'da Ude merkezi bir köy konumunu devam ettirdiği için 20. y.y.'da bu köyde büyük bir kilisenin inşasına karar verildi.

Meskheti bölgesi her zaman mezhepler çeşitliğiyle tanınırdı. Bunun bir örneği de Ude köyüdür. Köyde Ortodoks, Katolik ve Müslüman Gürcüler oturuyorlardı. Aşağıda bu köyde ortak yaşam kültürünün örneklerinden bahsedilmiştir.

Meskheti'de Gürcülerin İslam dinini kabul etmesi genellikle 18. Ve 19. y.y. başlarında vuku bulmuştur. Vakhuşti Batonişvili'ye göre, İslam dini yalnız toplumun üst tabakası tarafından kabul edilmiştir. Genellikle, din değiştirme ekonomik durumdan dolayı meydana gelirdi. Toprak sahibi olan üst tabakalar, çok fazla kaybedecek mülkleri olduğu için işgalcilerin taleplerine ve inançlarına uygun davranmayı seçerlerdi. Bu yüzden dinlerini değiştirdiklerinde yalnız eski konumlarını korumakla kalmıyor, bazı hallerde daha fazlasını da elde edebiliyor ve vergiden de muaf tutuluyorlardı.

Bazı durumlarda aykırı süreçler de yaşanabiliyordu. Köylüler Osmanlı tarafından kurulan ağır vergilerden kaçmak için köylerini terk edip Gürcistan'ın diğer bölgelerine yerleşiyorlardı. Kimi zaman üç kardeşten

ikisi, üçüncüsünü "saklamak", yani Hıristiyan dininde kalmak için, onun vergisini de üstleniyor ve dinini değiştiriyorlardı. Bu sebeple akrabalık soy adı üzerinden devam ettiriliyordu. Aynı soydan olan erkekler farklı dine sahip olmalarına rağmen kardeşti. Gürcü geleneğine göre kan akrabalık sistemi belirleyici rol oynuyordu. Müslümanlar uzun süre atalarını ve köklerini unutmuyorlardı. Bununla birlikte, akraba evliliği hem Katoliklerde, hem de Müslümanlarda yasaktı. Bunlar arasında Ortodoksluk gelenekleri devam ettiriliyordu.

Bütün yukarıda bahsedilenler belgelerle ispat edilmiştir. Osmanlılar tarafından tutulan adı geçen "Defter'de" yalnız Ude'nin değil, Bütün "Osmanlı Gürcistan'ın" yani Samtskhe'nin, Cavakheti ile Ardahan'ın milli ve etnik durumu belirtilmiştir. Bu bölgelerde yaşayan dönemin ahalisinin %90'ı Gürcüdür. Az sayıda Ermeni vardı ve dini etkiden dolayı müslüman isimlerinin verildiğine de tanık olunmaktaydı.

19. y.y'da Rusya Meskheti bölgesinikendi topraklarına bağladıktan sonra durum tamamen değişti. Yeni gelişmelere göre, bu bölgede Gürcüler tarafından din değiştirme sürecinin kesileceği düşünülmekteydi. Ancak beklentilerin tam tersi ortaya çıktı. Rusya yaptığı tahrirlerle İslamlaşma sürecini yasal hale getirerek süreci kesmek bir yana onu hızlandırdı ve geri dönülmez bir boyut kazandırdı.

19. y.y'da sayımı yapılan köylerin çoğunda Müslüman Gürcüler oturuyordu. Aynı asrın sonunda tutulan yeni defterlerde onlar Tatar, 20. y.y'da ise Türk olarak kaydedilmişlerdir. Durum, 1944'te Samtskhe-Cavakheti Bölgesi'nden henüz dillerini ve soyadlarını muhafaza edebilen halkın Türk olarak sürgüne gönderilmesinden sonra daha da kötüleşti. Resmi kayıtlara görebu bölgeden SSCBhükümeti hiç bir Gürcü'yü sürgüne göndermemiştir, çünkü bütün müslüman Gürcüleri Türk yaparak sürmüştür. Bu durum sürgün edilen halkın yalnız fiziksel acısı değildi. Sürgün ederek bu insanların ruhunu söktüler, genetiğini karanlığa gömdüler ve köklerine dönme perspektiflerini yok ettiler. Sovyet Rusya Rus İmparatorluğu'nun başlattığı işi devam ettiriyordu. Rusya, her zaman Gürcistan'ı zayıflatmak peşindeydi. Gürcistan'ın güçlüğünü ise her zaman onun Güney bölgesi olan Ortodoks Samtskhe-Cavakheti belirliyordu. "Defteri Müfassal Vilayat-ı Gürcistan" ile Rus "Tahrir Defterleri" tutulduğu zaman Gürcistan bağımsız

bir siyaset oyuncusu değildi ve kaderi Rusya ile Osmanlı Devleti tarafından belirleniyordu.

İzlenecek siyasi politikalar ile genel siyaset pek çok bileşen tarafından belirlenir. Devlet siyasetinin yanı sıra halk siyaseti de bir toplumun geleceğinde çok önemli bir yer tutar. Halk, deneyimlerle oluşturduğu bilgiye sahiptir ve geçmişini uzun süre hafızasında tutar. Soyadı sistemi ise akrabalık ilişkileri ile milli köklerin unutulmamasını sağlayarak bağların ve kültürel ortaklığın sağlam kalmasını teşvik eder. Gürcü ve Türk soyadları birbirinden yapı ve işlev olarak farklıdır. Aslında her ikisi de ekonomik ve etnografik durumdan dolayı türemiştir; ancak, Gürcü soy adlarının nesilden nesile taşınması söz konusu iken Osmanlı soy adlarının nesiller arasında değişmesi milli-etnik bilincin tamamen değişmesi anlamına gelmektedir. Çoğu zaman aynı soy adını taşıyanlar arasında olan din farklılığı tartışma sebebi de olabiliyordu. Ancak, bazı durumlarda ise tam tersi bir biçimde hoşgörü ve farklı inançlar arasında olumlu ilişkilerin ve algının da ortaya çıkmasını sağlayabiliyordu.

Ude köyünde aynı etnik kimliklere sahip olmalarına rağmen farklı dinlere mensup topluluklar arasında yaşanan hoşgörü ve ortak yaşam kültürü örneği üzerine durmak istiyoruz. 1901-1909'da Ude köyünde Güney ve Kuzey duvarlarında iki önemli yazıt bulunan Katolik kilisesi inşa edildi. Bu yazıtlarda kilise inşaatı ve dönemin tarihi simaları hakkında önemli bilgiler mevcuttur. Yazıtlara göre kilise inşaatında papaz Simon Çilaşvili'nin çok önemli katkıları olmuştur. Dönemin piskoposu Kesle, Papa ise X. Pii imiş ve kilise Rus Çarı II. Nikola, Kafkas Bölgesi Yöneticisi ise Vorontsov-Daşkov iken inşa edilmiştir. Bu bilgilerde 20. y.y. başlarında faaliyet gösteren ve bilinen simaların geçmesi, yazıtların güvenilir olduğunu gösterir ve dönemin tarihi gerçeğini açıklar. Bu yüzden yazıtların devamında inşaatçılar ile yerli halkınmensup oldukları dinleri hakkında verilen bilgilere de güvenmemiz ve tarihi belge olarak kabul etmemiz gerekir. Kuzey yazıtına göre kilise 1901-1909 yılları arasında inşa edilmiştir. Yazıtlar iki ana maddeden oluşmaktadır.

Birinci yazıt:

"1901 yıl. 1909 yılında Samtskhe-Saatabago'nun Katolik Meskh Gürcüleri olan Ude'nin 272 sakini tarafından inşa edilmiştir".Yazıtlarda

bazı anahtar-kısaltmalar ve noktalamalar malzemeye göre yapılırdı. "*Mosali*" kısaltılmış bir kelimedir ve "*Mosahle*" demektir. Bu cümlenin sözdiziminin düşük olmasına rağmen kilise inşaatının başlangıç tarihi olarak 1901 yılının kabul edilmesi gerekir.

İkinci yazıt:

"Ude'de bu kiliseyi inşa eden 2120 kişi Katolik ve 520 kişi Müslüman oturuyor. Her ikisi de Gürcü kökenlidir. Meryem Ana, emeğimizi sana bağışlıyoruz."

Yukarıda bahsedilen yazıtlara göre köy ahalisi çoğunluk olarak Hıristiyan, bir kısmı ise müslümandır. Ancak, gerek Katolikler, gerekse müslümanlar Gürcüdürler. Burada asıl üzerinde durulması gereken nokta inşaatçıların, köylülerin ve toplumun yazıtta bunu belirtmeye neden gerek duyduğudur. Bunun sebebi dönemin bazı bir yabancı bilim adamlarının hem Katoliklerin hem de müslümanların Gürcü olduklarından şüphe duymasıydı. Farklı dinlerin ortak yaşamını belirten bu fevkalade yazıttan anlaşıldığına göre, Hıristiyanlar bu kiliseyi müslümanlarla birlikte inşa etmişlerdir. Tanrı evine herkes tarafından saygı gösterilirdi. Samtskhe-Cavakheti bölgesinde Hıristiyan ve müslüman ahalisi birbirlerinin dini bayramlarına saygı gösterdiklerinden fazlasıyla bahsedilebilir. Dini hoşgörünün yanında, iki farklı dine mensup toplumun aralarında kirvelik ve sağdıçlık gibi kültürel/dini ilişkiler de mevcuttu.

Hoşgörü ile başlayan ve ortaklaşa bir biçimde kilise inşaatı ile süren olumlu ilişkiler, daha sonraki dönemde aynı şekilde devam etmemiştir. Üzüntü veren gelişmeler şu şekildedir: 1918'de bu şahane kilisenin inşaatçıları olan müslüman ve Hıristiyan akrabalar dışarıdan güçler tarafından teşvik edilerek dini bir savaşa çekildiler ve bunun sonucu da çok acılara mal oldu. Daha beteri, bu köyün (yalnız bu köyün değil, bütün Samtskhe-Cavakheti Bölgesi'nin) müslüman ahalisi yani Gürcüleri, Orta Asya'ya Türk oldukları gerekçesiyle sürülerek daha sonraki dönemlerde vatanlarına Gürcü olarak dönebilme olasılıkları tamamen ellerinden alındı.

Hıristiyanlık döneminde edinilen gelenekler Müslümanlar arasında uzun süre devam ettirilmekte ve hala uygulanmaktaydı. Örneğin, din değiştirmeden önce ilahiyat işleriyle uğraşan bazı aileler din değiştirdikten

sonra da belli bir tarzda eski dinine hizmet etmeye devam ediyordu. Orta Asya'ya sürülen halklar arasında Özbekistan örneği çok yaygın olarak bilinir. Bu örneğe göre, Taşkent bölgesine Şurdo köyünden sürgün edilen bir aile köyün kilisesinin anahtarını muhafaza ediyordu. Bu iş kutsal sayılırdı ve bu aile sürgüne gönderildiğinde vazifesini yerine getirerek anahtarı ve malzemeleri de birlikte götürdü. Bu malzemeleri kutsal bir parçaya sarmış ve özel kutuya yerleştirmişlerdir. Anahtar günümüze kadar muhafaza edilmiştir. Günümüzde Şurdo köyü Akhaltsikhe ilçesinde bulunan harabe durumda bir köydür. 16. y.y.'da bu köy küçük bir köymüş ve burada yalnız ფი aile oturuyordu. Her ფიფ de ortak bir ailenin daha kფიფk birimleriydi. Aile reisleri ise şunlardı: Zarspa Oğlu Giorgi, kardeşi olan Davit ve kardeşleri olan Gogiça. Giorgi, Davit ve Gogiça kardeşlerdir (Cikia, 1941:35). 1870'te ise bu köyde 14 hanenin mevcut olduğu belli olmaktadır (Cikia, 1958:58).

Dini esaslara dayanan kფltფr ოok ოabuk tფkenmez ve kaybolmaz. Günümüz Hıristiyanlık dininde pagan inancından kalan çok sayıda unsur bulunmaktadır ve bunlar hala Hıristiyanlık kültürünün önemli bir parçasını oluşturmaya devam etmektedir. Aynısı İslam dini kabul edildikten sonra da yaşanmıştır. Ude köyünde Doğu-İslam motifleri taşıyan iki adet daire şeklinde süslenmiş bir şömine taşı vardır ve ortasında aynı süslerle çevrilmiş bir haç kabartması bulunur.

Günümüzde, Ude yazıtlarının anlamı özellikle günceldir. Samtskhe-Cavakheti Bölgesi'nden sürgün edilen müslüman Meskhler atalarının duygularına ve kaybettikleri etnik köklerine saygı göstermelidir. Gფnფmფzde her bir insan kendini herhangi bir milletten gოsterebilir. Ancak hangi kökenden geldiğini de unutmamalıdır.

ივანე გვარამაძის ცნობები XIX საუკუნის შუა წლების სტამბოლის და გალათას შესახებ*

მოკლე შინაარსი

ივ. გვარამაძე (ვინმე მესხი) მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (1831-1912წწ).

ივ. გვარამაძე იყო ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პუბლიცისტი. მის შრომებში დიდი ადგილი უჭირავს ტოპონიმური მასალის ჩაწერასა და კვლევას. ნაშრომების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში დაცულია მისი ხელნაწერი N 2102, რომელიც მოიცავს 39 გვერდს. აკლია სათაური, არ უზის თარიღი. ხელნაწერში აღწერილია ავტორის 1859-1860 წლებში მოგზაურობა სტამბოლში. შინაარსის მიხედვით ჩვენ იგი დავასათაურეთ ასე: „აღწერა მესხეთისა და სტამბოლისა“. როგორც სათაურიდან ჩანს, მოგზაური დეტალურად აღწერს მესხეთს, აჭარას, თავს გადამხდარ ამბებს. აღწერა არ არის მხოლოდ სახელების დაფიქსირება. ავტორი მიმოიხილავს გეოგრაფიულ გარემოს, ბუნებრივ პირობებს, მეურნეობას და სხვა.

თურქეთის ტერიტორიაზე დაწვრილებით აღწერს მოგ-ზაური ტრაპიზონს, მის ყველა შესასვლელ კარს, ქუჩას და ა.შ. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: ჯაბახანა, ზინდან კაფუსი, ტაბახანა კაფუსი, ორთა კაფუსი, სოხტა კაფუსი, მოლოზ კაფუსი და მუმხანა კაფუსი, ყუზღუნი, ბოზთაფა, იენიჯემამა-ჰალა, იმარეთ ჯამი, გიაურმეიდანი. მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ცალკე ქალაქია გალათა, რომელიცდღეს სტამბოლის ერთ-ერთი უბანია, ხოლო „ნაშრომის 60 პროცენტი ეძღვნება სტამბოლის აღწერას. ეს არის შესანიშნავი აღწერა თითქმის საუკუნე ნახევრის წინ ქალაქის სასახლეებისა, ქუჩებისა, უბნებისა, მეჩეთებისა, ეკლესიებისა, მოსახლეობისა“. სულთნების საფლავების აღწერისას

---

* სტატია მოხსებების სახით ნაკითხულ იქნა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ქართულ-თურქული ურთიერთობები: წყაროები ქართულ-თურქული ურთიერთობების შესახებ/Uluslararası Türk Gürcü Ilişkileri Sempozyumu:Türk-Gürcü Ilişkilerinin Kaynakları, ტრაპიზონი, 23-24 ნოემბერი, 2017: დაიბეჭდა ამავე საერთაშორისო სიმპოზიუმის კრებულში, ტრაპიზონი, 2018, გვ. 21-35.

გარდაცვლილთა დამსახურებისა და ცხოვრების თარიღებზე მიუთითებს ავტორი.

საკვანძო სიტყვები: ივანე გვარამაძე, თურქეთი, სტამბოლი, გალათა, ტრაპიზონი.

XIX. ASRIN ORTALARINDA İVANE GVARAMADZE'NİN İSTANBUL VE GALATA HAKKINDA ANLATTIKLARI

ÖZ

İvane Gvaramadze (Vinme Meshi) bir tarihçi, dilbilimci ve gazeteci olarak19. yy. ikinci yarısı ile 20. yy. başlarında faaliyet göstermiştir (1831-1912).

İv. Gvaramadze çalışmalarında yer adları araştırması ile kayıt etmesine fazlasıyla önem vermiştir. çalışmaların büyük kısmı henüz neşredilmemiştir. Samtskhe-Cavakheti devle Müzesi'nde onun N 2102 kayıt numarasını taşıyan 39 sayfalı, başlıksız ve tarihsiz elyazması bulunur. Elyazmada yazarın 1859 – 1860 yıllarında yaptığı İstanbul seyahatı anlatılmıştır. Eserin içeriğine göre tarafımızdan ona "Mesheti ile İstanbul'un Tasviri" gibi ad verildi. Başlıktan anlaşıldığı kadarıyla, gezgin Mesheti, Acara gibi bölgeleri ile başına gelenlerinin ayrıntılarını anlatmıştır. Anlatılarda yalnız isimler değil, bölgenin coğrafyası, doğası, tarım gibi konulara dikkat çekilmiştir.

Yazar Türkiye Toprakları'nda Trabzon'un ayrıntılarını anlatmıştır. Örn: caba haneden, zindan kapısından, tabak hane kapısından, orta kapıdan, sohta kapıdan, moloz kapıdan, mumhane kapıdan, kuzğjni'den, boz tepeden, yenice mahalleden, imaret camiden, giyaur meydanından v.s. bahsetmiştir. Günümüz İstanbul'un bir semti olan Galata 1860'lı yıllarda müstakil bir şehirdi. "Elyazmanın %60 İstanbul anlatılmıştır. Muhteşem eserde şehrin bir buçuk asır öncesi saraylarından, caddelerinden, semtlerinden, camilerinden, kiliselerinden, nüfusundan söz edilmiştir". Yazar padişahların kabirlerini anlattığında emeklerinden ve yaşam tarihlerinden bahsetmiştir.

Anahtar Kelimeleri: İvane Gvaramadze, Türkiye, İstanbul, Galata, Trabzon.

IVANE GVARAMADZE'S INFORMATION ABOUT ISTANBUL AND GALATIA IN THE MIDDLE OF THE 19th CENTURY

ABSTRACT

Ivane Gvaramadze (Vinme Meskhi) worked in the second half of the 19th century and at the beginning of the 20th century (1831-1912).

Ivane Gvaramadze was a historian, linguist and publicist. In his works he paid great attention to recording and researching toponimic materials. Most of his papers are still unpublished. The Samtskhe-Javakheti History Museum keeps his manuscript # 2102 covering 39 pages. It doesn't have a title and a date. The manuscript describes the author's journey in Istanbul from 1859 to 1860. According to the content we gave it the following title: "Description of Meskheti and Istanbul" (M. Beridze, Temples and Names, 2010, p. 258). As the title shows, the traveler describes Meskheti and Adjara in details. But this description is not just a fixation of the names. The author reviews geographical environment, natural conditions, farming and so on.

In the territory of Turkey, the traveler gives a detailed description of Trabzon with its all entrance doors, streets and so on. Some of them are: Jabakhana, Zindan Kafus, Tabahana Kafus, Orta Kafus, Sokhta Kafus, Moloz Kafus and Mumhana Kafus, Kuzghzhni, Boztafa, Yenjemamahala, Imaret Jami and Guyaurmeidan. In the 60s of the 19th century, there was a separate city of Galatia which is one of the districts of Istanbul today. "60 percent of the work is dedicated to the description of Istanbul. This is a remarkable description of palaces, streets, districts, mosques, churches and population of the city almost half a century ago" (Beridze, p. 266). Describing the Sultans' graves the author indicates their merits and dates of their lives.

Key Words: İvane Gvaramadze, Turkey, İstanbul, Galata, Trabzon.

ივ. გვარამაძე (ვინმე მესხი) მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (1831-1912წწ)

ივ. გვარამაძე იყო ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პუბლიცისტი. მის შრომებში დიდი ადგილი უჭირავს ტოპონიმური მასალის

ჩაწერასა და კვლევას. ნაშრომების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში დაცულია მისი ხელნაწერი №2102, რომელიც მოიცავს 39 გვერდს. საწერი ქაღალდის ფორმატი არ არის ტრადიციული ზომა. ჩვეულებრივ რვეულის ფურცლისგან განსხვავებით ორმაგია მისი ფართობი. აკლია სათაური, არ უზის თარიღი. ხელნაწერში აღწერილია ავტორის 1859 -1860 წლებში მოგზაურობა სტამბოლში. შინაარსის მიხედვით ჩვენ იგი დავასათაურეთ ასე: „აღწერა მესხეთისა და სტამბოლისა“ (მ. ბერიძე, ტაძრები და სახელები, 2010 წ. გვ. 258). როგორც სათაურიდან ჩანს, მოგზაური დეტალურად აღწერს მესხეთს, აჭარას, თავს გადამხდარ ამბებს. აღწერა არ არის მხოლოდ სახელების დაფიქსირება. ავტორი მიმოიხილავს გეოგრაფიულ გარემოს, ბუნებრივ პირობებს, მეურნეობას და სხვა.

თურქეთის ტერიტორიაზე დაწვრილებით აღწერს მოგზაური ტრაპიზონს, მისი ციხის ყველა შესასვლელ კარს, ქუჩას და ა.შ. მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ცალკე ქალაქია გალათა, რომელიც დღეს სტამბოლის ერთ-ერთი უბანია, ხოლო „ნაშრომის 60 პროცენტი ეძღვნება სტამბოლის აღწერას. ეს არის შესანიშნავი აღწერა თითქმის საუკუნენახევრის წინ ქალაქის სასახლეებისა, ქუჩებისა, უბნებისა, მეჩეთებისა, ეკლესიებისა, მოსახლეობისა“ (ბერიძე, გვ. 266). სულთნების საფლავების აღწერისას გარდაცვლილთა დამსახურებისა და ცხოვრების თარიღებზე მიუთითებს ავტორი.

ნაშრომი დაყოფილია პარაგრაფებად. I პარაგრაფი დაზიანების გამო დაკარგულია. პარაგრაფებად დაყოფის საფუძველია ძირითადად ისტორიულ-გეოგრაფიული პრინციპი. სხვადასხვა კუთხეს ან ქალაქს პარაგრაფის სხვადასხვა ნომერი უზის. აქედან XXVI—XXIX პარაგრაფები ეკუთვნის ტრაპიზონს.

რადგან ჩვენი დღევანდელი კონფერენცია ტარდება ტრაპიზონში, გადავწყვიტეთ, გვესაუბრა სწორედ იმ ცნობების შესახებ, რომელსაც ავტორი გვაწვდის ამ ქალაქის შესახებ. მართალია, ბევრად უფრო ვრცლად არის აღწერილი სტამბოლი, გალათა თუ აჭარა-მესხეთი, მაგრამ ტრაპიზონზე საუბრისას ავტორი ყურადღებას უთმობს მის მოსახლეობას, ეთნიკურ შემადგენლობას, საუბრობს ლაზეთის, იგივე ჭანეთის, კოლხეთის და ისტორიის

ზოგიერთ საკითხზე, ავლებს პარალელებს ლაზურ ენასა და მეგრულს შორის, ლაზებსა და მეგრელებს შორის.

ისტორიული, გეოგრაფიული და ონომასტიკური ანალიზი ასახავს მეცნიერების იმდროინდელ დონეს. ზოგიერთი მოსაზრება შეიძლება დღეისათვის სადაო იყოს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია თვით აღწერა, რომელიც მე-19 საუკუნის შუა წლების რეალურ სურათებს გვაძლევს, ამიტომ კიდევ უფრო მეტად იზრდება ხელნაწერის მნიშვნელობა. ტოპონიმთა ეტიმოლოგიები, ზოგ შემთხვევაში გულუბრყვილო, ხალხური ხასიათისაა, მაგრამ ავტორი რადგან ფლობს ქართულის გარდა ბეძნულ, სომხურ და თურქულ ენებს, საინტერესოა ამ ენებზე არსებული სამეცნიერო მონაცემების და წყაროების დამოწმება.

ტრაპზონის შესახებ ივ. გვარამაძე წერს. „ტრაპზონი დედაქალაქია მენგრელთა და ჭანთა, რომელთზედაც შემდგომ სხვა და სხვა ნათესავთა იუფლეს და უფლობენ დღესაც. ძველად იწოდებოდა ქალხიდი ქართულად, ბერძულად კოლქისი და სომხურადაც გავღქისი“. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ქართულ სახელწოდებაზე. ქალხიდი ავტორის მიერ ეტიმოლოგიზირებული კოლხიდაა. სხვა შემთხვევაში ამ ვერსიას ხსნის ავტორი შემდეგნაირად: „ტრაპიზონი დაფუძნებულ არს ზღვაზედ გარდამდგარ კლდის თავზედ. ძველი წოდება არა ჰსჩანს და როიცა ბერძენთ ქართველთაგან აუღიათ, ტრაპიზონი დაუძსთ სახელად, სადაც კერპთ სამზვერველი ტაბლა ყოფილა. აქედან სჩანს, რომ კოლხიდა ჰრქმევია ქათულად, რომელი არა თუ უნდა გამოვსთარგმნოთ ქალხიდად, როგორითაცვე ჰსთარგმნიან, არამედ ქალმხედად, რადგან ხშირი მისნობა დიაცებში ამ მხარედ უფრო ყოფილა“.

ავტორის მიზანი ნათელია, რომ კოლხიდა ჯერ დაუკავშიროს ქალხიდას და შემდეგ ქალმხედს, თითქოს ქალთა მისნობას „მხედობას“. ეტიმოლოგია, რა თქმა უნდა, არარეალისტურია, მაგრამ უაღრესად თანამედროვე და მეცნიერულია მისი ლინგვისტური დაკვირვება ლაზურის ანუ ჭანურის შესახებ: „ენაცა არის ჭანური, რომელი ძალიან ეახლოება მეგრულსა, მხოლოდ ამით ირჩევა, რომ ჭანნი თათრულს ხშირად ურევენ საუბარში. ყოველნი კი ერთობ სამეგრელოს ხალხს ჰგუანან სახით თუ ტანით, მაგრამ ესენი უფრო მოთეთრწითურო არიან მათგან. ურევიან ნაცრისფერნი და ხუარბლისფერნი ქალ-კაცნიცა. დიდად თუ

პატარათ - საზოგადოდ უყვართ სიმღერა და ფერხული, ხშირად მეტადრე ნარდში“.

მეცნიერულია და იმდროისათვის საინტერესო ეთნოისტორიული ტერმინების (კოლხიდა, ლაზეთი, ჭანეთი, სამეგრელო) ურთიერთ დაკავშირება და ანალიზი. მართლაც მეგრულისა და ჭანურის (ლაზურის) ურთიერთმიმართება, არა აქვს მნიშვნელობა მათ ენებად ჩავთვლით თუ დიალექტებად, ძირითადად თურქული და ქართველური ლექსიკური მინარევებით უნდა განვიხილოთ.

ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით მიუთითებს ავტორი ჭანეთისა და ჩინეთის ეტიმოლოგიურ სიახლოვეს, როდესაც წერს: „აზრზედ დიდად ახლოს არს და ასეც ვჰგონებ, რომ იყოს, ქართლის ცხოვრებაში მწერალნი ორბელიანი ყმაწულით გარდმოსულს რომ ჰსდებენ გილანით თუ ჩინეთით საქართველოდ და მის შემდგომ ქართველთა თანა შეერთებასა. ბეჯითად ეს ჭანნი მათ ყმათა ჩამამავალნი უნდა იყუნენ, რომლების წინაპარნი შეეკედლნენ კოლხიდელთა და მის გამო მრთელ კოლხიდას, გინა მენგრელიის რომელსამე ნაწილს დაედუა სახელად ჭანეთი. ამას ყველანი ვჰგრმნობთ, რომ ჭანეთს და ჩინეთს არა დია განსხუავება აქუს მოუცილებელი სიახლოებისაგან კიდე“.

მხატვრულად აღწერს ტრაპიზონის გარემოს ავტორი. მისი თქმით ეს არის ლაზისტანი. „მდებარეობა ქვეყნისა მრთლად ღრმა ღელე-ხევებია დიდრონი ტყიან მაღალის მთებით ჩაღმოებულია, მრავალგან ასასვლელად ადამიანს ფერხი მოეკიდება ჯერედ.ალას აყაფრული მთებია, რომ ამბობენ მკვიდრნი მთის წვერებისგან ერთი ერთმანეთზედ გასასვლელად შეიძლება ტყის ყურძნის ნაკაფებით წანწალები გაიბას და გავიდეს კაცი ერთი მთით მეორე მთაზედაო.“ ვაზის ლერწით გაბმული „წანწალები“, რომელიც მთის წვერებს შეაერთებს და რომელზეც ადამიანები გადიან ზედ, თავად ავტორსაც აეჭვებს, ამიტომ ამბობს, რომ „დასტურ ამისთანა ღონისძიებასაც ხმარობენ თურმე“. ასეთი მხატვრული აღწერით მიდის ავტორი ეტიმოლოგიამდე“: ამის გამო ოსმალთ დაუძს სახელად „ლაზისტანი, გინა ლეზგისტანი ესე ან მიწა ადგილის მიმსგავსებით ლეზგისტანისა“.

სიგრძეს და სიგანეს ქვეყნისას ივ. გვარამაძე ზომავს მაშინდელი ორიგინალური საზომით - სავალით. რამდენ გზასაც გაივლის ადამიანი დღეში, ამას თვლის საზომ ერთეულად. ასეთი

საზომით „სიგრძე ჭანეთისა დაწყებული არზრუმით და ათინით არის ექვსი დღის სავალი“. ხოლო სიგანე არი სამი დღის სავალი. ჰაერი და კლიმატი კარგია, მთების სიმაღლე ვერ უშლის ხელს, რომ კლიმატი იყოს შეზავებული და სასარგებლო.

ივ. გვარამაძე მდინარეთა დასახელების მიხედვით მიუთითებს, რომ თითოეულ მდინარის სახელდება ხდება იმ ქალაქების მიხედვით, რომელიც მის ნაპირზეა, ან რომელთანაც ერთვის იგი ზღვას, მაგალითად: ათინის მდინარე, რიზის მდინარე, ოპის მდინარე და სურმანის მდინარე. ჩამოთვლილია ლაზეთის ქალაქები და დაბები: ირისა, სურმანა ოფა(ხოფა?) ტრიპოლი, გირასონი, „რომელ არს ფარნაგია“

მეურნეობა და მოსავალი ტრადიციულია, რომელიც შესაბამისი გარემო პირობებით არის განპირობებული: „სიმინდო, ლობიო, ბაკლა და ოსპი, რომელნიც გაქვანან გარეთ კიდეცა. ხილნი ყოველნაირი, აგრევე ლიმონი, თურუნჯი, ლელვი, პროწეული და მისთანანი. ერთსა და იმავე ვენახში ჭირნახულიც მოდის და ყურძენიცა. აქაური თვითო მაღლარი ოთხ-ხუთ საპალნენდინ მოისხამს და ღვინოც ჩინებული ღვინო დგება“.

ტყის ხილნარში ჩინებულია ვაშლი, ხეჭაჭური, ნიგოზი და თხილი. ამის დაგვარ სხვაცა. მარტო კანაფსა და სელს ღებულობს ოსმალოს მთავრობა, აქეთგან წელიწადში ორიათას ყანთრამდინ ამბობენ. სანადიროც ყოველნაირნი მხეცნი და ცხოველნი მოიძევიან ხმელეთისა თუ წყლისანი.“

მითითებულია ტრაპიზონის აღების თარიღი 1461 წელი. მე-19 საუკუნის შუა წლებში ტრაპიზონი შემოზღუდულია გალავნით. გალავანი არის რამდენიმე რიგისა: მისი ტერმინებით გარე გალავნის გარდა არის შუა გალავანი და შუას შიგანა გალავანი. ოსმალურიდან თარგმნის სახელწოდებებს ტრაპზონის ციხეებისა. გარესგარეთა ციხე, შიგანას შიგანა ციხე და შიგანი შიგანის შიგანა ციხე. ამ უკანასკნელში არის კარგად გამაგრებული ჯაბხანის საცავი. შიგანა ციხე შემოზღუდულია ხელოვნური თხრილით - „განგებ ხრამი ჩაკაფული“ და ოთხი კარით. ეს კარებია: აშაღი ჰჯსარი კაფუსი (ციხის ქვეშეთი კარი), ზინდან კაფუსი (სატყვეოს კარი), ტაბახანა კაფუსი და ჯიამა კაფუსი „ამ ნაწილში მკვიდრობენ მრთლად მაჰმადიანნი. აქვე არს ფაშის სასახლეები, კაჲ ნაკეთები, ორი აბანო და ერთიც ჯამი, რომელიც ყოფილა

იოვანე ნათლისმცემლის ეკლესია მთლად ნათალი ქვიათ ნაგები. ფათი მაჰადს გარდუქცევია ჯამად. კედლებზედ ისევ სჩანს ხარება ძეგლად ნაკეთები". ჯამის მოედანი მოკირწყლულია ფიქალი ქვით, აქვეა სასახლეები და ქულბაქნი. თავდაცვითი ხელოვნური თხრილი არის გარშემოვლებული გარეთა ციხესაც, რომელსაც აგრეთვე აქვს ოთხი კარი: ორთა ჰჳსარკაფუსი, სოხტაკაფუსი, მოლოზკაფუსი, ზღვის მხარეს და მუმხანა კაფუსი. ამ ნაწილში ცხოვრობენ მაღალი წრის წარჩინებული მაჰმადიანნი, რომელთაც აქვთ ქულბაქნი და ქარვასლაც.

აღმოსავლეთიდან ციხეს ჩაუდის წყლიანი ხევი, რომელსაც ყუზღუნს უწოდებენ. ამ მდინარეზე გადებულია ორი ხიდი - დიდი და მცირე. პირველი დიდი, მაღალი ხიდით გზა მიდის შიგანა ციხის დაბახანის კარამდე. დაბახანას ალბათ ავტორი უწოდებს იმავე ტაბახანას. მეორე მცირე ზომის ხიდით გზა მიდის მუმხანა კაფუსამდე. არის აგრეთვე ციხის გარშემო მესამე ხიდი, ციხის დასავლეთით. აქ ციხეს ჩაუდის მდინარე რომელსაც უწოდებენ ისკალიბოზს. ამ ხიდით გზა მიდის შიგანა ციხის ზინდან კაფუსამდე.

ტრაპზონის მოსახლეობა არის 80 000. ძირითადია მაჰმადიანი მოსახლეობა–ორი მესამედი. ხოლო ერთი მესამედი ქრისტიანია. ოსმალთა გარდა ცხოვრობენ ბერძენი და კათოლიკე სომეხნი. ტრაპზონის გარე გარშემოწერილობა (სიმრგგვლე) გარეთუბნიანად არის ექვსი ვერსი. ქალაქი დამშვენებულია ხშირი წყაროებით და ხილნარით, ჩაფლულია მწვანეში. „მოსახლე არ არის, რომ ბაღი არ ჰქონდეს".

ივ. გვარამაძე იყო სასულიერო პირი, ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი ინტერესი ეკლესია-მონასტრების მიმართ არის განსაკუთრებული. მისი აზრით, ბერძნებს აქვთ 24 ეკლესია, რომელთა შორის შვიდი მოქმედია.

ეს ეკლესიებია: აიღორღ (წმ. გრიგოლისა), რომელიც არის სამთავარეპისკოპოსო. აიიორ (წმ. გიორგისა), ხრისტოს, აი იოკირია, აი ვასილი, ფაროს და სოხტად წოდებული ეკლესია.

ამ სალოცავების მიხედვით აქვთ უბნებს სახელწოდება მიღებული. არის მხოლოდ ერთი დედათა მონასტერი ღვთიშობლის სახელობისა, რომელიც ქალაქის გარეუბანში ბოზთაფის კლდეშია გამოკვეთილი. ამ მონასტერში მომლოცველნი მიაწყდებიან

ხოლმე ვნებისკვირაში. ბევრი ეკლესია გადაკეთებულია მეჩეთად და აბანოდ. კათოლიკეებს აქვთ ორი ეკლესია. ერთი კაფუჩინებისა და აქვს მონასტერი სასწავლებლითურთ, მეორე არის სომხურ-კათოლიკური.

არის ბევრი მაჰმადიანური ჯამი, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა: იენი ჯუმა მაჰალად წოდებულ უბანის ჯამი.

იმარეთ ჯამი დიდებულად ნაგები, რომელშიც მარხია სულთან სელიმის დედა. ამ ჯამს აქვს სამადლო, სასტუმრო, სასწავლო, სამზარეულო და ფურნე. კაფალ მეიდან ჯამი, ინჯირლიქის უბანში ზღვისპირის ჯამი და იერტოლიმაგის ჯამი.

გარე უბანში არის ბევრი სავაჭრო ქვითკირით ნაგები. თორმეტი ქარვანსარა, ვაჭრობისათვის გარეუბანში, აღმოსავლეთით, არის „გაშლილი" მოედანი, რომელსაც გიაურმოედანი ჰქვია. ამ მოედნის აღმოსავლეთით არის გალავნიანი ჯამი, რომელსაც გამოსდის წყარო.

გიაურმოედნის ცენტრში დგას შადრევანი, კოხტად ნაკეთი, რომელიც გაუკეთებია ქართველ აბდულა აჯი ფაშას 1791 წელს. შადრევანს აქვს წარწერა ამის შესახებ.

მოგზაური ერთი კვირა დარჩა ტრაპიზონში. როგორც ვნახეთ, მას ამ ხნის მანძილზე უქმად არ დაუკარგავს დრო და შეძლებისდაგვარად ეცნობოდა ტრაპიზონის ღირსშესანიშნაობებს.

İvane Gvaramadze (Vinme Meshi) bir tarihçi, dilbilimci ve gazeteci olarak19. yy. ikinci yarısı ile 20. yy. başlarında faaliyet göstermiştir (1831-1912).

İv. Gvaramadze çalışmalarında yer adları araştırması ile kayıt etmesine fazlasıyla önem vermiştir. Onun alışmaların büyük kısmı henüz neşredilmemiştir. Samtskhe-Cavakheti Devlet Müzesi'nde onun N 2102 kayıt numarasını taşıyan 39 sayfalı, başlıksız ve tarihsiz elyazması bulunur. Elyazmada yazarın 1859-1860 yıllarında yaptığı İstanbul seyahatı anlatılmıştır. Eserin içeriğine göre tarafımızdan ona "Mesheti ile İstanbul'un Tasviri" şeklinde ad verdim. Başlıktan anlaşıldığı kadarıyla, gezgin Mesheti, Acara gibi bölgeleri ile başına gelenlerinin ayrıntılarını anlatmıştır. Anlatılarda yalnız isimler değil, bölgenin coğrafyası, doğası, tarım gibi konulara dikkat çekilmiştir.

Gezgin Türk Topraklarında bulunan yerlerden Trabzon'u etraflıca anlatmıştır. Anlatılarında Trabzon kalesinin bütün kapılarından, sokaklarından v.s. bahsedilmiştir. 19. Yüzyılda Galata ayrı bir şehirdir. Bugün ise İstanbul'un bir semtine dönüşmüştür. Anıların %60 İstanbul anlatılarından ibarettir. Burada yaklaşık bir buçuk asır öncesi şehrin saraylarından, caddelerinden, semtlerinden, camilerinden, kiliselerinden, ahalisinden bahsedilmiştir. Yazar Padişahların mezarlarını anlattığında, onların şereflerinden ve yaşam tarihlerinden söz etmiştir.

Eser altı paragraftan ibarettir. Zedelendiğinden dolayı I. paragraf kaybolmuştur. Eserin paragraflara bölmesi tarihi-coğrafya prensibine dayalı yapıldı. Her bölge ve şehir paragraf numarası ile işaretlenmiştir. XXVI-XXIX paragraflarda Trabzon anlatılmıştır.

Sempozyumumuzun Trabzon'da yapıldığı için, yazarın Trabzon üzerine verdiği malumatların sizlere sunmasını uygun gördük. Gerçi İstanbul, Galata, Acara-Meskheti bölgesi daha etraflıca anlatılmıştır. Fakat Trabzon'u anlattığında yazar şehrin sakinlerinin etnik köklerinden, Lazistan yani Çaneti, Kolheti'nin ve tarihin bazı konularından bahsetmiştir. Lazca ile Megrelce'nin benzerliklerinden ve Lazlar ile Megrellerden söz etmiştir.

Tarihi, coğrafi ve onomastiksel betimlemeler dönemin biliminin derecesini gösterir. Tabi ki, bazi bir fikir üzerine tartışmalar gerk, fakat konu olan önemli anlatılar 19. Yüzyılın ortalarının gerçeklerini gösterir. Bu yüzden eserin önem daha da artıyor. Yer adlarının etimilojisi bazan çok saf bir tarzda yapılmış ve halk dili araştırma metotları kullanarak yapılmıştır. Ancak, bununla birlikte şunu da belirtmek gerekir ki, yazar Gürcüce dışında, Yunanca, Ermenice ve Türkçeye hâkimdir. Burada bazı dillerde yazılan ve yazarın dipnot olarak kullandığı veriler ile kaynaklar da dikkat çekicidir.

Trabzon'u anlattığına yazar: "Trabzon Megrel ve Çanların başkentidir. Fakat daha sonra diğer kavimler ele geçirdiler ve günümüze kadar buraya hâkimler. Eskiden buna Გურჯი dilinde Kolhidi, Yunanca Kolkisi ve Ermenice Gavğkisi denilirdi. Dikkatimizi çeken Gürcüce verilen isimdir. Kalhidi yazar tarafında değiştirilen Kolhida'dır. Kendi versiyonunu yazar şöyle açıklamıştır: "Trabzon denize bakan bir uçurum üzerine kurulmuştur. Bunu eski ismi belli değil ve Yunanlar burayı

Gürcülerden aldıklarında ve burada kurban sunağı bulunan yere Trapizoni ismini vermişler. Buradan şehrin Kolhida olduğu bellidir. Kolhida ise Kalmheda yani cin karılar bulunan yer anlamına gelir, çünkü buranın bayanları cinlikle meşhurdular" gibi ifadelerini kullanmaktadır.

Yazarın amacı buradan belli olmaktadır. Kendisi Kolhida'yı Kalhida'ya ve daha sonra Kalmheda'ya ve bayanların cinliğine bağlıyor. Tabi ki, bu tür etimiloji doğru değil. Fakat, Lazca yani Çanca üzerine yaptığı dilbilgisel yaklaşımları modern ve bilimseldir. Yazara göre "Çanca Megrelce'ye çok yakındır. Fakat Çanlar konuşmalarında Türkçe kelimeleri sıs sık kullanırlar. Herkes sima ve yapı olarak Samegrelo halkına çok benzerler. Ancak, bunlar onlara göre daha beyaz ve kırmızımsılar. Aralarında kül ve buğdayrenklileri de var. Genel olarak, tϑrkϑ sϙylemek ve halay ϖekmek ϖok severler. Bunu, ϙzellikle imecede yaparlar.

Yazar tarafından terimlerinin Kolhida, Lazeti, Çaneti, Samegrelo gibi etno-tarihsel terimlerin kullanması, biribirine bağlaması ve tetkik edilmesi onun bilimsel yaklaşımlarını göstermektedir. Lazca ve Megrelce'nin incelenmesi, dil veya bir lehçe olarak saymamıza rağmen, genellikle Türkçe ve Gürcüce'den dâhil olan kelimeler üzerinden yapılacaktır.

Yazar Gürcü Tarihi Kaynaklarına dayalı Çaneti ve Çineti (Çin) adlarının benzerliklerinden bahseder. Yazar "Bana göre, Kartli Kroniklerde Orbeliani isimli yazar tarafından Gilan yani Çin'den bir takım gençlerin Gürcistan'a gelmesi ile Gürcülerle karışması haberin doğru olması gerek. Gerçekten, günümüz Çanların gelen gençlerin torunları olması gerek. Bunların ataları Kolhara sığındılar ve bu yüzden bütün Kolhidaya ve Mengreliya'nın bir kısmına Çaneti adı verildi. Gördüğümüz kadarıyla Çaneti ve Çineti (yani Çin) kelimeler arasında harflerden başka bir farklılık yok" şeklinde kelimelerini kullanır.

Yazar Trabzon'nunçevresininin özelliklerini açıklıyor. Ona göre burası Lazistan'dır. Yazar "Bu ülke uzun boylu ağaçlı ormanları olan uçurum, dağ ve dereler üzerine kurulmuştur. Dolaştığında insanın ayakları karışır. Karşında yüksek dağlar var. Buralılara gϙre yaban üzümün dallarını bükerek bir ip köprüsü yapıp bir dağdan diğerine geçilebilir" gibi anlatıyor. Fakat ip köprülerine kendisi de inanmıyor ve

bu yüzden "buralılar benzeri tedbirlere de başvurmuşlar gibi" ifade ediyor. Buna benzeri açıklamalarla yazar bölgenin adını şu şekilde açıklamış: "Bu yüzden Osmanlılar buraya Lezgistana benzediği için Lazistan yani Lezgistangibi ad vermişlerdir".

İv. Gvaramadze Ülkenin enini ve boyunu o dönemde kullanılan ლოწსწ olan -bir insanın bir gün içinde geçebileceği mesafe, kullanarak hesap etmiştir. Bundan hareketle yaptığı ölçülere göre- "Erzurum'dan Atina'ya kadar Çaneti'nin uzunluğu altı günlük mesafedir. Eni ise, üç günlük mesafe. Havası ve iklimi yidir. Dağların yğksekliği iklimin yumuşaklığı ile faydalı olmasına engel olmıyor".

İv. Gvaramadze'ye göre her ırmak ismini kenarında bulunan şehirden veya denize döküldüğünde yakınında bulunan şehirden alır. Örneğin: Atina çayı, Rize çayı, Opa çayı, Surmana çayı. Burada Lazistan'ın şehir ve kasabalarından söz edilmiştir: İrisa, Surmana, Opa (Hopa?), Tripoli, Girasoni, "eskiden Parnagia".

Tarım ve ziraat doğa şartlarına göre yapılır: "Mısır, fasulye, bakla ve mercimek üretilir. Bunlar dışarıya da satılır. Her türlü meyve var. Limon, Turunç, incir, nar ve benzeri yetişir. Ayni bağda hem üzüm, hemde diğer meyve ve sebzeler yetişir. Buranın bir salkım üzüm ağacından 250 – 300 kg. Üzüm alınır ve şarabı da şahanedir".

Yaban meyvelerinden elma, heçaçuri, ceviz ve fındık bulunur. Duyduğuma göre, bu ürünlerden gayrı, Osmanlı Devleti bu bღlgeden iki bin katran kadar kenevir ve keten götürüyörmuş. Bu memlekette gerek su, gerekse karada bulunan av hayvanları bulunur".

Trabzon'un fetih tarihi, 1461'den bahsedilmiştir. 19. Yüzyılda Trabzon bir duvarla çevrili idi. Buranın bir kaç duvarı vardı. Yazara göre dış duvar haricinde, orta duvar ve orta duvar içinde bulunan daha bir duvar vardı. Trabzon kalelerinin adlarını Osmanlıca'dan çevirmiştir. Dışduvar dışı duvar, İçduvar içi duvar ve iç kale içi kale. Bu son kalede Cabhane'nin deposu var. İç kale toprak duvarı ile çevrilidir ve buradaki dere "ağaçlardan özellikle temizlenmiştir". Buranın dort kapısı var. Bu kapıların adları şunlardı: Aşağı Hisar Kapısı, Zindan Kapısı, Tabahana Kapısı ve Ciama Kapısı. "Burada oturanların hepsi müslümandır. Aynı yerde paşa konakları var. Bunlar çok zariftir. Daha iki hamam ve bir cami var. Bu cami eskiden Vaftizci Yahya adına yöntülmüş taşlarla yapılan

kilise idi. Mehmed Fatif camiye çevirmiştir. Duvarlarında incil tasvirleri daha kalmıştır". Caminin avlusu kayrak taşlarla döşenmiştir. Hemen burada saraylar ve d□kkanlarbulunur. Dış kalesi de savunma amaçlı toprak duvarı ile çevrilmiştir. Bunun dört kapısı var: Orta Kapı, Sohta Kapı, denize bakan MolozKapısı ve Mumhane Kapısı. Burada ileri gelen M□sl□man tabakası oturur. Burada kervan sarayı ve d□kk□nlarda vardır.

Kalenin doğusunda Kuzgun Deresi denilen bir dere var. Bu dere üzerinde iki, birisi büyük, diğeri küçük olmak üzere iki köprü var. Büyük ve yüksek olan üzerinden giden yol Dabahanenin kapısına kadar gider. Anlaşılan, yazara göre Tabahane ile Dabahene aynıdır. Küçük köprü üzerinden giden yol ise Mumhane'nin kapısına kadar gider. Kalenin batısında daha bir köprü var. Burada İskaliboz adlı bir dere varmış. Bu köprüden giden yol Zindan kapısına kadar gider.

Trabzon ahalisi 80.000 dir. Ahalinin genel kısmı yani üçte ikisi Müslümandı. Üçte biri ise Hiristiyandı. Osmanlılar dışında burada Yunanlılar ve Katolik Ermeniler yaşıyorlar. Trabzon'un çevre duvarı dış mahallesi dahil olmak üzere altı verst'tir. Şehirde çok sayıda pınar ve meyve ağaçları bulunur, burası tamamen yeşildir. "Her ailenin bahçesi var".

İv. Gvaramadze din adamı idi. Bu yüzden onun ilgisini daha fazla kilise ve manastırlar çekerdi. Kendisine göre Yunanlıların 24 kilisesi vardı. Bunlardan 7'si faaldi. Bu kiliseler şunlardır: Başpiskoposluk merzezi olan Aiğorğ kilisesi (Aziz Grigoli adına), Aiior kilisesi (Aziz Giorgi adına), Hristios, Ai İokiria, Ai Vasili, Paros ve Sohta kiliseleri.

Bu ibadethanelere göre şehrin semtlerine isim verilmiştir. Şehir dışında, Boztepe deresinde Maryem Ana adına rahibeler manastırı var. Bu tek bir rahibe manastırıdır, başkası yoktur. Bu marastıra çok sayda cemaat Paskalya □ncesi haftada gider. □ogu kilise cami veya hamama dönüştürülmüştür. Katoliklerin iki kilisesi var. Birisi okulu olan Kapuçinlerin, diğeri Ermeni Katolik kilisesinindir.

Çok fazla Müslüman Camisi var. Bunlar arasında en görkemlisi Yeni Cuma Mahallesinin camisidir.

İmaret camisi çok güzeldir. Burada Sultan Selim'in annesinin türbesi bulunur. Caminin içinde zarafet, misafirlik, eğitim amaçlı odalar, mutfak

ile fırın bulunur. Ayrıca Kapak Meydan Camisi, İncirlik Mahallesi'nin Camisi ve Yerdoğmaz Camisi bulunur.

Dış mahalde harçla yapılı dükkânlar, on iki kervan saray var. Alışveriş yapmak için şehir dışında, doğu semtinde, "açık" bir meydan var. Bu meydana Giyaur Meydanı denir. Bu meydanın doğusunda etrafı duvarla çevrilmiş bir came var, bu cameden çeşme akar.

Giyaur Meydanı'n ortasında zarif bir çeşme var. Bunu Gürcü Abdullah Hacı Paşa yaptırmıştı. Yapılışına dair üzerinde bir yazı bulunur.

Gezgin Trabzon'da bir hafta kalmış. Gördüğümüz kadarıyla, zamanını boşuna harcamamış ve imkanlar dahilinde Tarbzon'un gezilecek yerlerini ziyaret etmiştir.

ექსპედიცია კურცხანის ხეობაში*
(ანგარიში)

ჩვენი კურსდამთავრებულის ნათია ველიჯანაშვილის შეტყობინებით კურცხანის ხეობაში ადგილობრივნი მიუთითებენ ეპიგრამფიკულ ძეგლებზე, რომელიც შეიძლება დაიკარგოს ან განადგურდეს, როგორც ბევრი მსგავსი ნიმუში ჩვენი ისტორიისა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ლ. ბერიძის განცხადების საფუძველზე გადაწყდა, მოწყობილიყო ერთდღიანი ექსპედიცია, გასვლა კურცხანის ხეობაში და წარწერის მონახულება, შეძლებისდაგვარად დაფიქსირება ან წამოღება უნივერსიტეტში წარწერიანი ქვისა. წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულება დიმიტრი შეყლაშვილთან. საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ტერიტორიაზე, სადაც ძეგლის არსებობას მიუთითებდნენ, სპეციალური მანქანის გარეშე ვერ ავიდოდით. ასეთი სპეციალური მანქანა აღმოჩნდა ძველი სამხიდიანი „ურალი“, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა მუშაობს ხე-ტყის დამზადებაზე.

2015 წლის 25 ივლისს, შაბათს, აბასთუმნის მისადგომთან **კურცხანის წყლისა** და **ოცხურას** შესართავთან რესტორან „მზიურის“ წინ შეიკრიბა ჯგუფი: მერაბ ბერიძე, ვასილ ბერიძე, ნათია ველიჯანაშვილი, დავით ველიჯანაშვილი, ბორის შეყლაშვილი, ომარ გაბუნია და მძღოლი. დამხვედრნი ყველანი ადგილობრივი მკვიდრები იყვნენ, მათ კარგად იცოდნენ კურცხანის ხეობა და ადგილი, სადაც წარწერიანი ქვა გვეგულებოდა.

როდესაც ხეობათა სახელდება ხდება, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მდინარეს, რომელიც ხეობაში მოედინება, ხოლო მდინარეთა ნომინაცია ხეობაში მდებარე რომელიმე ცნობილი პუნქტის მიხედვით ხდება მის სათავეში, შესართავთან ან რომელიმე მონაკვეთში. ჩვეულებრივი გრამატიკული საშუალებით გაფორმდება ცნობილი სახელი და ხეობის ან მდინარის სახელდებაც სრულყოფილ სახეს ღებულობს. ორი ძველი და ისტორიული მდინარე ერთვის ერთმანეთს აბასთუმნის ბოლოს, რომელსაც ძველი

---

* დაბეჭდილია „გულანში“, №17, 2015 წელი, გვ. 218-229, სათაურით „ეპიგრაფიკული ძეგლი კურცხანის ხეობიდან“.

ციხესიმაგრე დასცქერის ჩრდილოეთიდან. მას **თამარის ციხეს** ეძახიან, თამარის ციხიდან მდინარე ოცხურას **(ოცხის წყლის)** მარჯვენა ნაპირამდე ჩადის გვირაბი, ხოლო „მზიურის“ თავზე, კურცხანის მარჯვენა ნაპირზე არის ეკლესია, რომელიც ადგილობრივთა მტკიცებით **დარეჯანის** (?) სახელობისაა, ვფიქრობთ, ეს ნაეკლესიარი უნდა იყოს ს. ჯიქიას მიერ დამოწმებული 1879 წლის „დროების“ ინფორმაცია: „იქ, სადაც ოცხეს და კურცხნის მდინარეები შეერთვიან ერთმანეთს, მხარ მარჯვნივ, ტყით შემოსილ მაღალ კლდიან გორაზე დგას ნახევრად მონგრეული ძველი ქართული მონასტერი“ (ჯიქია, 1958:176). გ. ბოჭორიძის მიხედვით ეს არის მონასტერი **წმ. გიორგის სახელობის** ეკლესიით **(გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, 1992:122)**. ასე რომ, დარეჯანის სახელობისა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს.

ოდნავ, რამდენიმე მეტრში, ჩასცდები ოცხურას და შეგხვდება დღევანდლამდე შემონახული **თამარის ხიდი,** რომელსაც ხშირად ადიდებული ჩაუვლის ამ ორი ხეობის წყლები, მაგრამ ვერაფერს აკლებს. **ოცხურა,** მიუხედავად იმისა, რომ დღეს **ოცხე** აღარსად არის, როგორც საკუთრი სახელი, ინახავს ამ უძველეს ქართულ სახელს -ურ-ა ჰიდრონიმთა მაწარმოებელი სუფიქსით გაფორმებულს. ზოგჯერ ამ მდინარეს **ოცხის წყალსაც** უწოდებენ, ოფიციალურად ყოველგვარი წესებისა და გეოგრაფიული თუ ლინგვისტური კანონების დარღვევით კი ოცხე წაუწერიათ მდინარის მისათითებელ ტრაფარეტზე. კურცხანის ხეობის მდინარეს **კურცხანის წყალი** ჰქვია. ჩვეულებრივ, მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტი მიგვანიშნებს, რომ ხეობის მთავარი პუნქტი არის **კურცხანა,** ისევე, როგორც **ოცხე** იყო და არის ოცხის ხეობის მთავარი პუნქტი და ის აბასთუმნის ისტორიული სახელია. აქვე შეიძლება მივუთითოთ ოცხის კიდევ უფრო ძველი სახელის გამოძახილად **ორძღე (ორძღის წყალი).** ეს სახელი ჩაწერილი გვაქვს 2010 წელს და ინფორმატორის კატეგორიული მტკიცებით, ოცხეს ასე უწოდებდნენ. თუ მართლაც მივიღებთ ამ ფარმას, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ **ორძღე** მიღებულია **ოძრხესაგან** რ - ძ ს მეტათეზისითა და ხ - ს თანამეწყვილე ნაპრალოვნით შეცვლით, რაშიც შეიძლება არაქართულენოვანი გარემო იყოს დამნაშავე.

ჩვენ უნდა შევყვეთ კურცხანის ხეობას. სახელი კურცხანა გვხვდება ა-ს გარეშეც და გვაქვს მისი შეკუმშული ფორმა,

რომლის დადასტურებაც თანამედროვეთა მეტყველებაშიც შეიძლება:

„კურორტის ზონა სწორედ იმ ადგილს იწყება, სადაც მდინარე **აბასთუმანი კურცხანს** უერთდება. მდინარე **კურცხანს** მივყავართ ნაძვით, ფიჭვით და სოჭით შემოსილ კურცხნის ხეობაში“ **(ვ. ანდღულაძე, აბასთუმნის სამკურნალო წყლები,1934:10).**

კურცხანას ზოგჯერ **კურცხანკასაც** ეძახიან. — ка რუსული სუფიქსით დაბოლოებული მდინარეთა სახელები გვხვდება მე-19 საუკუნის შემდეგ. ასე ეწოდა **ბორჯომულას ბორჯომკა** თვით ოცხის წყალს (ოცხურას) მე-19 საუკუნეში უწოდებდნენ **აბასთუმნის წყალს** და მის რუსულ ვარიანტს **აბასთუმანკას.** ეს ფორმა დამოწმებული აქვს 1866 წელს მ. სკოროვის სტატიიდან ვ. ანდღულაძე (ანდღულაძე, 1934:16).

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოსაზრება არსებობს ოცხის || ოძრხის ეტიმოლოგიის შესახებ, აშკარაა, რომ გეოგრაფიული პუნქტით არის მოტივირებული სახელდება და სადაც არ უნდა ვეძებოთ ოცხის || ოძრხის ადგილმდებარეობა, ოცხის ხეობას ვერ გასცდება.

რაც შეეხება **კურცხანს** თუ **კურცხანას,** დღეს ვერავინ მიუთითებს მის ისტორიულ ადგილ-სამყოფელს და არც ისტორიული ტრადიცია ან რაიმე გადმოცემა არსებობს იმის შესახებ თუ სად შეიძლება ყოფილიყო კურცხანა. რადგან სიტყვა გვხვდება შეკუმშული ფორმით - **კურცხნის,** აშკარაა, რომ - ან მარცვლის ნ არ არის გრამატიკული ფორმის აღმნიშვნელი, არის მარცვლის შემადგენელი ნაწილი, ფუძე არის კურცხან-. ეტყობა - ა სუფიქსი შედარებით გვიან არის დართული და ის ჰიდროსუფიქსის ფუნქციას ასრულებს. ასეთივე მაგალითია ამავე რეგიონში სოფ. ურავლის სახელი - **ურაველი,** მისგან ნაწარმოები მდინარის სახელი ურაველ - ა და ხეობის სახელი **ურავლის** ხეობა. უნდა ყოფილიყო სოფლის სახელი **კურცხანი,** საიდანაც მივიღეთ მდინარის სახელი კურცხანა და ხეობის სახელი **კურცხანის||კურცხნის ხეობა.**

კურცხ რომ ცალკე გამოსაყოფია, ამას ადასტურებს გ. ბოჭორიძის მიერ ჩამოთვლილი აბასთუმნის მიდამოებში დასახელებული **კურცხი: ტომლარ კურცხი** (ბოჭორიძე, 1992:125)

ჩამოთვლილ სახელთაგან შემდეგში ბევრი ცალკე აღწერის საგანი აღარ არის, მაგ: **ყანობილი, დათვეთი** (წინუბნის მიდამოებში დასახელებული დათვეთი სხვა არის), **დიდმაღალი** და სხვა, ასევეა **ტამლარ კურცხი.** სახელი თურქულ-ქართული კომპოზიტია ისევე, როგორც ბევრი ტოპონიმი სამცხე-ჯავახეთში.

შეიძლება კურცხანის ეტიმოლოგია დავუკავშიროთ **კურცხალს.** ისედაც აშკარაა, მაგრამ კურცხ- ფორმის არსებობა გვაძლევს საშუალებას კურცხანში - ან ელემენტი გამოვყოთ. კურცხალი მესხურ დიალექტში უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ალ. ღლონტი იმოწმებს ი. მაისურაძეს და წერს: **კურცხალი** - ახლად გათიბული ყანაა (ხორბალი, ქერი), ნაწვერალი (ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984: 317), ხოლო გრ. ბერიძე კურცხალს განმარტავს განსხვავებულად, მაგრამ ასევე ყანას უკავშირებს: „გაკორდებული ყანა, ერთ-ორი წლისა, ორი წლის შემდეგ უწოდებენ **რცხალას**. ძველ საქართველოში კურცხალი(?) ერქვა „მიწის დასვენებას“, „განსვენება ქვეყნისაა“ (დამოწმებულია ივ. ჯავახიშვილი) **(გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, 1981: 76)**

თუ აქ ფონეტიკურ ნიადაგზე არა გვაქვს ნ ბოლოში მიღებული, შეიძლება დავუშვათ, რომ **კურცხალ - კურცხან** - ფორმებში ორი დაბოლოება გვაქვს - ალ და - ან, სიტყვის მნიშვნელობა უკავშირდება კურცხ- ფუძეს, რომელიც დაბოლოების გარეშეც გვხვდება გ. ბოჭორიძესთან.

შევუყევით კურცხანის ხეობას. მანძილი დიდი არ არის სულ რაღც 16 - 18 კმ. შეიძლება იყოს. მძიმე და რთული გზაა. შესართავიდან ხეობა არის ვიწრო ტყით დაფარული. ტყე შერეულია, ნაპირებს მიუყვება რთხმელა, ბევრია ფიჭვი, ნაძვი და სოჭი. მარცხენა ნაპირის ფერდობები ფიჭვნარია, ჩრდილოეთ მხარეს, ხოლო მარჯვენა ნაპირი, სამხრეთით, ნაძვნარია. ცხოველთაგან დათვია ბევრი, კურდღელი, მგელი, აქა-იქ წითელიც, შველი, ირემი და სხვა.

მიკროტოპონიმია გარკვეული წლების შემდეგ იცვლება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დიდი სოციალური ძვრები მოხდა. კოლექტივიზაციამ, კომუნისტების დროს, შექმნა ერთგვარი საზოგადოებრივი, კოლექტიური მიკროტოპონიმია, ინდი-

ვიდუალლური, პატრონიმული მიკროტოპონიმები შეცვალა საერთო-სახალხო თუ კოლექტიური საკუთრების ნიადაგზე შექმნილმა ტოპონიმიამ. ტყე დაყოფილია კვარტალებად, როგორც ითქვა, 19 კვარტალია და ადგილობრივებმა იციან, რომელი კვარტალი სად მდებარეობს, რა ფართობს მოიცავს. კვარტლებად დაყოფის დროს გათვალისწინებულია გეოგრაფიული ფაქტორი: ხეობა, მთათაშორისი, მდინარე საზღვრად და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ დანომრილი კვარტლები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ტოპონიმებად, მაგრამ სამისამართო ფუნქციას ასრულებს და დგას ტოპონიმად ქცევის რიგში, თუ მანამდე რამე ახალი ფორმა არ შემოიღეს ტყის დაყოფისა. ასევე შეიძლება ითქვას, უკვე ტოპონიმებად არის ქცეული სანერგეთა სახელები. ასეთი სამი შეგვხვდა: **პირველი სანერგე, მეორე სანერგე, მესამე სანერგე**. ინფორმატორის თქმით: „ჩემი ბავშობის დროს დავყავდით ნერგების დასარგავად. თვითონ თხრიდენ ორმოებს და ჩვენ ვრგავდით“. იგი მომსწრე იყო თავად სანერგის არსებობისა ამ ადგილებში. ამჯერად აღარავითარი სანერგე აღარ არის. პატარა ახოსავით მინდვრებია ტყეში და ჰქვიათ სანერგეები, პირველი, მეორე, მესამე.

კიდევ ერთი ტოპონიმიზაციის გზაზე მდგომი საინტერესო პროცესი შეინიშნება კურცხანის ხეობაში. ექსპედიციის დასაწყისში, როდესაც ვგეგმავდით გასვლას, მიმართულებას და ა.შ., მასპინძლებმა თქვეს, რომ გავივლით 13 წყალს და მივალთ დანიშნულების ადგილზე. თავისთავად წყლის რიცხობრივი სიმრავლე, უცნაურად ჟღერდა. თანაც უნდა შევყოლოდით მდინარეს აღმა. თავდაპირველად 13 წყალში გავიაზრეთ მცირე შენაკადები, რომელიც ისედაც ახლავს ამ ტიპის ხეობას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სულ სხვა რამესთან გვქონდა საქმე. ხეობა ვიწროა, გზა ხშირად კვეთს მდინარეს (რომელიც ზაფხულის სიცხის გამო მცირე ღელის წყალივით მოდის) და ხან მარცხენა ნაპირს მიჰყვება, ხან - მარჯვენას. აი, ასეთი თითო გადაკვეთა აღმოჩნდა თითო წყალი. სულ 13-ჯერ გადაიკვეთა და 13 წყალი ამიტომ ჰქვია, ოღონდ 13 წყალი, კონკრეტულად, 1-დან 13-მდე რაოდენობას კი არ აღნიშნავს, არამედ - მეცამეტეს. ასეა ცამეტივე. ათვლა იწყება შესართავიდან, აქედან შემოვდივართო, განმარტეს ინფორმატორებმა. ეს ათვლა არ არის პირობითი, ე.ი. ყველა

ნომერს თავისი ტოპონიმური დატვირთვა, სამისამართო ფუნქცია აქვს. შეიძლება ყველა ნომრის მდებარეობა ზუსტად ყველა ადგილობრივმა ვერ დაასახელოს, მაგრამ ჩაძიებით პრაქტიკულად ზუსტი ორიენტირის ჩვენება შეუძლიათ. უკან დაბრუნებისას ათვლა პირუკუა. მე-13 წყალი, მე-12 და ა.შ.

ვფიქრობ, ღირს ცამეტივე წყლის დაფიქსირება, რადგან სამომავლოდ საინტერესო იქნება, რომელი მათგანი გაიმარჯვებს და დარჩება მკვიდრ ტოპონიმად თუ გაქრება ყველა.

პირველი წყალი - ხეობის დასაწყისი

მეორე წყალი - პირველიდან ხუთასიოდე მეტრია, გადავდივართ მარცხენა ნაპირზე. გადავდივართ სასმელი წყლის მილზე გადავლით, რომელიც მთელ ხეობას ჩამოუყვება, ამარაგებს სოფლებს: აბასთუმანს, ვარხანს, ხარჯამს, ხევაშენს. სათავეს იღებს ობსერვატორიის დაღმა ბაღებიდან, ადგილიდან, რომელსაც **ლიპს** ეძახიან („კლდე არის სულ, ქვა არის და იმიტომ ეძახიან ლიპს“

მესამე წყალი - აქ შემოგვიერთდა რეიჯერი ომარ გაბუნია. მესამე წყლის მარჯვენა ნაპირიდან ტყის გზა შედის **პანკისის ხეობაში**, რომელიც მიდის **უნაგერას მთამდე**. უნაგერა გადასცქერის ადიგენს („უნაგერს გავს, ქვემოდან რომ შემოხედავ“). **პანკისზე** ამბობენ, ახალი სახელიაო. მესამე წყლის შემდეგ გზა გაუყვა კალაპოტს.

მეოთხე წყალი - მეოთხე წყალზე ორჯერ გადავდივართ და გზა კვლავ კალაპოტს მიუყვება. სასმელი წყლის მილი აქ ჰაერში რჩება. მეოთხე წყლის შესახებ გამყოლთა ნაწილი ამბობს, ცალ-ცალკე წყლებიაო და მეოთხე-მეხუთეს უწოდებენ, ნაწილი ერთ წყლად თვლის. აქვე აქა-იქ გაჩნდა თეთრი ხე, რომელსაც **ვერხვას** ეძახიან, გვხვდება აგრეთვე პანტა და ველური ვაშლი.

მეექვსე წყალი - რადგან მეოთხე ჩაითვალა და ახლო-ახლოა ერთმანეთთან, ამიტომ მეექვსეა შემდეგი წყალი. მეექვსე წყლის ზევით, როგორც ინფორმატორები ამბობენ, იცის კალმახი. **კურცხანის კალმახი** უფრო მუქია და წითელ წინწკლებიანი. ხეობათა კალმახი განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მეშვიდე წყალი - გზა ორად იყოფა, ერთი იქვე გადადის მდინარეზე და მიუყვება კალაპოტს, მეორე შემოუვლის მარცხნიდან. ზამთრისა და ზაფხულის მიხედვით მიდის შემოვლითი გზით მანქანა. მეშვიდე წყლიდან გზა (მარცხენა ნაპირიდან) ადის ობსერვატორიაში. გზაში იგულისხმება ტყის გზა, რომელზეც მხოლოდ სპეციალური მანქანები დადის. **ობსერვატორიის გზა** მძიმე აღმართია და ქვა - ღორღიანი. „გზა ტრასასავით იყო, როცა მუშაობა გვქონდა, ტყემ გადაარჩინა ჩვენი რაიონი, ტყე რომ არა, ხალხი გაწყდებოდა შიმშილით ან დაიცლებოდა მთლიანად“ - ამბობენ გამყოლები.

მერვე წყალი - მშვიდი ადგილია, მომდოვრებული.

მეცხრე წყალი - მეორე სახელი აქვს მეცხრე წყალს - **გძელი|| გრძელი წყალი.** „ასე წყალში მივდივართ 100 მეტრი და იმიტომ“.

მეათე წყალი - დაბლა ჩადის ოდნავ გზა.

მეთერთმეტე წყალი - თითქოს ქვიანმა გზამ იკლო. მეთერთმეტე წყლის შემდეგ, ვიდრე მეთორმეტემდე, არის გზიდან გადასახვევი მარჯვნივ (მდინარის მარცხენა ნაპირზე), რომელიც აგრეთვე ადის ობსერვატორიაში, აქვე ჩამოდის **ობსერვატორიის წყალი**, იგი სათავეს იღებს **ყანობილის მთის** ზევიდან, სიგრძე იქნება სულ რაღაც კილომეტრნახევარი.

მეთორმეტე წყლის ზემოთ, რამდენიმე მეტრში არის **ლიპი**, კლდოვანი ფერდი, გზაც გაჭრილ კლდეზე მიდის მდინარის მარცხენა ნაპირზე, აქვეა სასმელი წყლის სათავე, ღია „ბასეინი“, ამიტომ ადგილს **ბასეინსაც** ეძახიან. მეთორმეტე წყლის ზემოთ (ბასეინის ზემოთ) არის **სანერგე**, რომლის გაღმა, მდინარის მარჯვენა ნაპირზე ჩანს **ხის საყარი.** ქართლში ხის დასაცურებელს (საყარს) **სვანს** ეძახიან. „მაღლა მოჭრილ ხეს ზამთარში წაუთლი წვერს ფანქარივით და ჩამოვა აგერა, აქანა, ნაპირზე“.

მდინარის მარცხენა ნაპირზე მიუთითებენ დიდ და პატარა **დათვიეთებს,** ძველ ნასოფლარებს. 10 წლის წინ **დიდ დათვიეთში** უცხოვრია განდეგილ ბერს მარტოდმარტო ზამთრ-ზაფხულ. არავითარ კონტაქტში ხალხთნ

არ შედიოდა, მხოლოდ ჩადიოდა აბასთუმანში, საჭმელს ყიდულობდა ხოლმე. თავისი ხელით ჰქონდა გაკეთებული გომური საცხოვრებლად.

ბოლო წყლის წინ, მეთორმეტე წყლის შემდეგ, მდინარის მარცხენა ნაპირიდან ადის **დიდი დათვიეთის გზა.** ნასოფლარი გზიდან კილომეტრნახევარშია ვაკე ადგილზე, აქვეა მდინარის მარცხენა ნაპირზე **მესამე სანერგე.** ხეობაც გაიშალა შედარებით, ამიტომ გაჩნდა ძველი ნასოფლარი. მე-16 საუკუნეში აღწერილია ამ ადგილზე **დათვეთი** (ჯიქია, 1958:175).

„დროება“ მე-19 საუკუნეში იხსენიებს **დათვიეთად** და დღევანდელი მოსახლეობაც ასე უწოდებს, მაგრამ ს. ჯიქია უპირატესობას **დათვეთს** ანიჭებს. დათვეთად აქვს დადასტურებული ორ ადგილზე გ. ბოჭორიძეს (ბოჭორიძე, 1992: 38,125). დათვეთი მე-16 საუკუნეში გაუკაცრიელებულია და ნასოფლარად არის მითითებული (ჯიქია, 1941:129). დათვეთის შემთხვევაში სახელდების მოტივაცია განსხვავებულია და დათვთან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც, მაგალითად, **ქორეთი,** ამავე რეგიონში, ხოლო **დათვიეთის** დროს ამოსავალი უნდა იყოს ადამიანის სახელი **დათვია.**

მეცამეტე წყლამდე ერთი მცირე მონაკვეთია, რომელსაც **ფანერკებს** ეძახიან. როდესაც კურცხანის ხეობაში გზა გაიყვანეს, ამ ადგილზე „ფანერკის“ ბინები იყო და სახელიც იქიდან დარჩა. მეთორმეტედან მეცამეტე წყლამდე შედარებით დიდი გზაა და მდინარის მარცხენა ნაპირს მიუყვება. ამ ადგილს **კოსტას ბაღსაც** ეძახიან. სახელი შეერქვა აქაური მეტყევის **კოსტა ყულიჯანაშვილის** სახელის მიხედვით.

კოსტას ბაღიდან გადავედით მდინარეზე, მცირე მანძილის გავლის შემდეგ მივედით პატარა ეკლესიასთან. 3,5×6 მეტრი ფართობით. კარი აქვს მხოლოდ სამხრეთიდან. შესასვლელში ამყოლის ქვა შუაზეა გახეთქილი, ფიჭვის ფესვს გაუხეთქია. მშენებლობის დროს არ ჩანს კირი გამოყენებული. უცნაური საკურთხევლის ქვაა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. ბრტყელი ზედა ნაწილი ოთხკუთხად გულამოღებულია. საკურთხეველი არ

არის გამოყოფილი. საკურთხევლის ქვა ახლოს არის აღმოსავლეთის კედელთან, მის უკან მხოლოდ ერთი კაცი დადგება კედლამდე. ხე პირდაპირ კედელზეა ამოსული, ერთი დიდი ხე ახლახან წაქცეულა, ზედ დასდებია დასავლეთის კედელს.

ახლომახლო ერთ-ერთ სოფლელს (რომლის სახელსაც ადგილობრივნი შეგნებულად არ ასახელებენ) საკურთხეველის ქვა და კუთხის ქვები წაუღია. პრობლემები შექმნია ოჯახში, სიზმარი უნახავს და უკან დაუბრუნებია ყველაფერი. ჩვენი თანმხლები მონაწილე იყო ამ ქვების უკან დაბრუნებისა. საკურთხევლის ქვა იმავე ადგილზე დადგეს, საიდანაც წაილეს.

ეკლესიის სახელი არ იციან. ის შედარებით ახლოს არის მდინარის მარჯვენა ნაპირთან და **პირველ ეკლესიას** ეძახიან. პირველი ეკლესიიდან უკან დაბრუნების შემდეგ გაგრძელდა გზა მეცამეტე წყლისაკენ. ამ მონაკვეთში არის ორი ახლად გაჩენილი სახელი, რომელიც იბრძვის ტოპონიმად ქცევისათვის. მცირე მინდორია დღეს, რომლეზეც დიდი სოჭი იდგა. ახალგაზრდებმა დააწერეს 2000, თარიღი ამოკვეთეს. შემდეგ სოჭი მოჭრეს, მაგრამ ადგილს უკვე **ორი ათასს** ეძახიან.

ერთ-ერთ მისახვევს **პამიატნიკს** უწოდებენ. აქ დაღუპულა ახალგაზრდა ადამიანი, ზურაბ ბოჭორიშვილი. უბედური შემთხვევის ადგილზე დაფაა დადგმული სურათითა და წარწერით (შდრ. **პამიატნიკი** აბასთუმანში; მდ. მტკვრის ხეობაში ძველი მუსხის პირდაპირ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე).

სათავეებთან კურცხანის წყალს მარჯვენა ნაპირიდან, სამხრეთ დასავლეთიდან დასცქერის ორი, გამორჩეული კლდე, რომელსაც **ბოდოკლდეს** უწოდებენ. თავზე და გარშემო ტყე აქვს, ხოლო მდინარის მხარე სალი, ვერტიკალური შიშველი კლდეა.

ვფიქრობთ, სახელი გარეგნული ნიშნით უნდა იყოს დარქმეული. მისი კომპოზიტურობა ეჭვს არ იწვევს და მეორე ნაწილი არის **კლდე**, ხოლო რაც შეეხება **ბოდო**-ს, უნდა მოდიოდეს **კბოდე** საგან. **კბოდე** „მიუდგომელი (ჩაუვალი) კლდოვანი ნაპირი ზღვისა, მდინარისა. ციცაბო კლდე ზღვის (მდინარის) პირას“ **(ქეგლ. არნ ჩიქობავას საერთო რედაქციით, IV, 1955:1119). კბოდეკლდემ მოგვცა ბოდოკლდე,** კ-ს დაკარგვითა და ე-ს ასიმილაციით.

ბოდოკლდე ცნობილი ისტორიული სახელია, დამოწმებულია „მატიანე ქართლისაში“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუხჩიშვილის მიერ, ტ I., 1955:305). კლდის მიხედვით უნდა შერქმეოდა შემდეგ სოფელს, რომელიც უნდა ყოფილიყო იქ, სადაც დღეს მიუთითებენ **ბოდოკლდის ეკლესიას**, კურცხანის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე დაახლოებით 4×8 მეტრი ფართობისა, დუღაბით ნაშენი. შემორჩენილია შესანიშნავი **ბოლნური ჯვარი**, ბოლოებგაფართოებული და წრეში ჩასმული.

ნასოფლარი დადასტურებულია „გურჯისტანის ვილაითის დიდ დავთარში“ 1595 წელს, ოღონდ გაუკაცრიელებული და აოხრებული (ჯიქია, 1958:175).

ბაღები, სადაც დგას ეკლესიის ნაწილი, ახალი სახელია. კურცხანის ხეობაში ბაღებად რამდენიმე ადგილს მოიხსენიებენ ტყეში. ეს ყველაზე დიდი ნასოფლარია. მოშორებით მიუთითებენ ტერასებს. ბევრი კედელია ჩვენამდე მოღწეული. გარშემო დიდი დასახლების კვალია, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ბაღები არ უნდა იყოს მისი პირვანდელი სახელი. ეკლესია, რომელიც დაახლოებით 3.5×7 მეტრი ფართობისაა, დუღაბით არის ნაშენი. ჩვენი მისვლისას გაირკვა, რომ ვიღაც მრუდე ხელს ქვები მოეფანტა. ჩვენი მეგზურებიდან ზოგმა ისიც კი თქვა, დათვმა იცის ჭიანჭველების ძებნაში ქვების გადატრიალებაო, მაგრამ არსად დათვის ნაკვალევი არ ჩანდა. ორი შესასვლელი კარი აქვს - სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ამ ხეობისათვის დამახასიათებელი მუქი ფერის ქვით არის ნაშენი. ტაძრის აღმოსავლეთით არის სარკოფაგის ტიპის აკლდამა. იგი ბრტყელი დამუშავებული ქვებით არის გადახურული, ხოლო გარშემო ფიქლების ღობეა შემოვლებული. ამ ტიპის ქვის ღობეები დამახასიათებელია როგორც სამცხის, ასევე ჯავახეთის წმინდა ადგილებისთვის. ზოგი მოსაზრებით იგი წინარექრისტიანულიც შეიძლება იყოს. ტყე მტერია კურცხანის ხეობის ნასოფლარებისა. ერთი ხე ამოსულია კედელში ისე, რომ ფესვები შემოჭდობილი აქვს კუთხის ქვებისათვის. ტაძარში დგას ეკლესიის გუმბათოვანი მაკეტი, რომელიც ფერადი ქვისგან არის გამოკვეთილი. იქვეა სტელის ნაწილი თაღოვანი ორნამენტით და ასომთავრული ორი ასოთი: ⴒⴓ (წმიდაო).

ტაძრის მისასვლელთან მიყუდებულია წარწერა, რომელიც ნუსხა ხუცურით არის ნაწერი. მხოლოდ ერთი ასო არის ასომთავრული: ჩ ქარაგმების გახსნით იკითხება: „წმიდაო ეკლესიაო“. ს-ს თავი ამომტვრეულია. ასოს მოხაზულობის კონტურები კარგად ჩანს, ამიტომ აშკარად ე უნდა იყოს იგი. კ-ს „მუცელი“არა აქვს. ქვა იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით, ამიტომ მისი ტრანსპორტირება ვერ შევძელით.

კურცხანის ხეობის ერთდღიანი ექსპედიცია დასრულდა. მდინარეს, რომელიც სათავეს იღებს **მამლის მთის** ძირიდან, **პატარა მთასაც** ეძახიან, ხოლო მეორე შენაკადს ჭური ჰქვია („ჭურივით ჩავარდნილი ადგილია“) (შდრ. **ჭურა**, ასპინძის რაიონში). სათავის ორი ტოტი ერთდება **მოჭდობილთან (დაჭდობილთან).** ამ ადგილზე ბინები მდგარა „დაჭდობილი“ („მოჭდობილი“) ხეებით ნაშენი. ეს „ტიპი“ მშენებლობისა თვალში საცემია იმით, რომ მრგვალი ხეებია „დაჭდობილი“ ერთმანეთში და კედლები ასეა გაკეთებული.

ხეობა დიდი ხანია დაცლილია მოსახლეობისგან. მთელ ტყეში მიმოფანტული გაველურებული ვაშლი, მსხალი, პანტა და სხვა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართველი კაცი ოდითგანვე ცხოვრობდა აქ. ადგილობრივები ერთ ლეგენდას ჰყვებიან აქაურების შესახებ: კურცხანელი ქალი გაუტაციათ ოსმალეთში. ასაკში შესულა და ერთხელ, ვიღაც ჩასულს კურცხანის თიხა, კურცხანის დოქებიო - უძახია სავაჭრო ადგილას. ქალს ჩადრი გადაუწევია და უკითხავს, ნადვილად კურცხანისაა თუ არაო. ახალგაზრდას დაუდასტურებია. მაშინ მოხუცს უთხოვია, შემდეგ რომ ჩამოხვალ, იქნებ კურცხანის წყალი ჩამომიტანო და დაგასაჩუქრებო.

უკვე კარგა მანძილი ჰქონია გავლილი თავისი სოფლიდან ახალგაზრდას, რომ მოხუცის ნათქვამი გახსენებია. გაუვსია სხვა წყალი, წაუღია მოხუცისთვის, რომელსაც მონდომებით დაულევია თავისი მამულის წყალი და უთქვამს: ამ ოხრებს, ხალხის გაწყვეტაც არ უკმარიათ, წყლისთვისაც გემო შეუცვლიათო. (შდრ. „რა კარგი ხარ ჩიხორიშო, არ გერიოს ხვილიშაო“.)

ეს წყარო დღესაც არის, გამოდის კურცხანის ნაპირთან ახლოს ხის ძირას, არის ძალიან ცივი და გემრიელი, ოღონდ დამლევი აღარ არის ქართველი კაცის სახით, ხანდახან მეტყევე ან ტყისმჭრელი თუ გაიგრილებს გულს მისი წყლით.

GÜNEY GÜRCİSTAN'DAN SÜRGÜNE MARUZ KALAN TOPLULUKLARIN KİMLİK ANALİZİ[1]

Güney Gürcistan'dan sürgüne maruz kalan toplulukların trajik tarihi günümüze kadar devam etmektedir. Bu topluma mensup olan insanların kimliklerinin suni yada tabii olarak özdeşleşmesinden önce onların aslını araştırmak gerek. Bunun için uzun süreli çalışmalar gerekiyor. Çünkü, konuya bir an önce başlaması, onu tek taraflı ve sonuçsuz araştırmalardan ve 20. asrın karanlık tarihinden kurtaracaktır. Gerekli araştırmalar yapılmadan farklı genetik, habitüs, kültür ve millete mensup olan insanlar suni olarak diğer halklara dahil edilebilir ve böylelikle de şeref ve hakkını iade etmek yerine vatansız, kültürsüz, başkasına bağlı bir toplum elde edinilir ve bu durum yeni bir trajediye neden olabilir.

Araştırmamızın amacı sürgüne maruz kalan insanların aslını soyadlarına göre araştırmaktır. Bilindiği kadarıyla farklı halkların soyadlarının kendilerine özgü semantiği, sıfatı ve dil yapısı vardır. Soyadlar ise toplumun ana dilinde olduğu gibi açıklanmaktadır.

Sürgüne maruz kalan insanların soyadları üzerine çalışmalar daha da devam edecektir. Araştırmalara toplumun temsilcilerinin katılmaları onların aslını, dedelerinin ikametgahlarını, aile tarihini tespit etmek için kolaylık sağlayacak ve hayatlarının da huzurlu bir tarzda geçirmelerine yol açacaktır. Bundan dolayı farklı toplumlarla münasebet kurmaları daha kolaylaşacak, kendilerini yeniden keşfederek meziyetlere varacaklardır.

Anahtar kelimeler: Gürcistan, sürgün, soyad.

[1] სტატია დაბეჭდილია საერთაშორისო სიმპოზიუმის კრებულში: Uluslararası Ahıskalı Turklerin Hukuki ve Sosyal Sorunları Sempozyumu, გირესუნი, 14-15 Nisan, 2014. კრებული გამოიცა 2015 წელს, გვ.101-106.

THE ANALIZING OF IDENTIFIKATIONS OF THE FORCED MIGRATED COMMUNITIES OF THE SOUTHERN GEORGIA

SUMMARY

The tragic history of the forced communities still hasbeen continued. Before the examining the falsification issues of the documents of the said communities by synthetic ways or by purpose, the native roots of these forced migrated people must be researched seriously. The best andthe most positive way to solve the problem is the examining of the family names of the individuals or the families as whole. Of cours, to achieve seccess long run researches are needed, to start the researc of theissue immedfiately vill save the complicated aiiue from the one-sided research and from the researches without any resuls, so the said issue will be saved from the dark and hidden sides of the history af 20. Century. Many individuals and families could be identified by falsified genetic, cultural and national identies before anyserius researches done. So, as a result of this kind of falsified researches in a community individuals that without country without culture and 'no-one' could be raised. Instead giving back the stolen honors and these kinds of results could cause new and more dramatic tragedies. The major aims of our research are to find out the main roos of the forced migrated individuals by researching their family names properly. As it was know the family names of the completely different peoples have very special semantics, adjectives and linguistics. When it was focused on the family names, they have been axamined in the mother languages of the communities as they were. The serios researches will be continued on the forced migrated peoples. The participations of the representatives of the forced migrated peoples from the the region will give hands to the researches to identify the main roots, the former residents of their forefathers, their family history and the results of these researches will help the remained individuals from the forced migrated people to live their lives in peace and prosperity. Then, they will be get close contacts with the members of the different etnic groups of peoples in the region and they will have some abilities to discover themselves.

KEY WORDS: State of Georgia, forced migration, family name

Meskheti, Samtskhe-Cavakheti Bölgesi dışında Şavşeti, Eruşeti, Kola, Tao, Klarceti ve tarihi Gürcistan'ın diğer Güney – Batı bölgelerini içeriyordu. Kapsadığı bir bölgenin güçlendiği sürece Meskheti'ye kah Tao-Klarceti, kah Zemo Kartli, kah Samtskhe-Saatabago denirdi. Meskheti'nin çeşitli bölgelerinde yaşayanlara Samtskhelni, Cavakhni, Taoelni, Klarcni, Eruşelni, Şavşni denirdi. Ancak, bütün bunlara bütünleyici isim olarak Meskhi denirdi. Meskhler Gürcistan'ın diğer bölgelerinde yaşayanlar, örneğin: İmereli, Megreli, Kaheli, Svani, Krtleli, Açarcli, Tuşi, Hevsuri, Guruli gibi Gürcülerdi.

XVI. asırda Osmanlı Devleti Meskheti bölgesini fethetti ve gვთlვ gelenekleri taşıyan bu bölgede Osmanlı siyasi-ekonomi sistemini uygulamaya başladı. Anılan gelişmeler bölgede İslam'ın yayılmasına yol açtı (Lomasadze, 1975, s. 284). Burada, yerli Gürcüler arasında Müslümanlık dışında Katoliklik ile Gregoryan inancın yayımlaması da teşvik edilirdi (Topçişvili, 2005, s. 154).

Osmanlı İmparatorluğu'nun hakimiyeti sürece sosyal hayatta bir teşvik olarak din değişimi ile vergiden muaf tutma usulu uygulanıyordu. Dolaysıyla insanlar "Tatarlaşmış" yani İslam Dinini Kabul etmiş olurdular ve doğal olarak soyadlarını ve milliyetini değişmeye mecbur kalırdılar.

"Tatarlaşmak" ilk başta insanın hayatında sanki hiç bir şey değişmezdi, yalnızca İslam Dinini Kabul eder, daha az vergi öderdi. Ancak, kardeşi ile kardeş gibi ve Gürcü olarak kalırdı. Gürcüce konuşur ve toplumla olduğu ilişkilerini de eskisi gibi devam ettirirdi. Hiristiyanların bayramlarına da katılabilirdi, ancak bu katılım yalnız yemek kısmına gerçekleşirdi. Demek ki, ilk once ciddi bir talepler yoktu ve dolaysıyla bu süreç müşkülatsız devam ediyordu. Daha sonraki süreçlerde ise soyad değişimi ve Türkçe bilmek şart oldu.

1893 yılında yayınlanan 1883 nüfus sayımına gore Gürcü Müslümanlarının bir kısmı kendisini "Tatar" olarak beyan ediyor, ancak bir kısmı kendini daha Gürcü olarak ifade etmişti (Svod, 1893).

Kendilerini Gürcü olarak gören Gürcü Müslümanları aşağıda adı geçen köylerde oturuyorlardı: Adigeni, Ardzne, Bolacuri, Ğağvi,

Goderdzi, Ğortubani, Gugunauri, Dertseli, Zanavi, Zarzma, Zedubani, Kekhovani, Mlaşe, Mokhe, Mamniauri, Osiauri, Plate, Sairme, Didi Smada, Patara Smada, Utkusubani, Tsikhisubani, Tsre, Mormani, Arali, Agara, Atskuri, Zikilia, Kopadze, Orgora, Sakire, Sakuneti, Tkemlana, Tsinubani, Tsohtevi, Tsriohi, Zemo Oşora, Kvemo Oşora, Boga, Giorgitsminda, Klde, Mikeltsminda, Mugareti, Persa, Sviri, Tsnisi, Çohta, Şurdo, Abi v.s.

Ayrıca farklı dinleri taşıyan Gürcülerin birlikte yaşadıkları köyler de vardı. Bunların bir kısmı Gürcü, diğer kısmı ise Tatar olarak geçiyordu. Bunlar şunlardı: Erkota, Çobareti, Tskaltubani, Toba, Atskvita, Agara, Ahaşeni, Mareli, Kahareti, Hahalo, Şolaveri, Tsahani, Abastumani, Çarali, Vale, Zveli, Engikvevi, Ğreli, Giorgitsminda, Toloşi, Roketi, Kuntsa v.s.

Diğer, sayı olarak yeterinceye kadar fazla olan köylerde ise kendilerini "Tatar" olarak Kabul ediyorlardı. Ancak, bunlardan hiç biri Türk değildi.Söz konusu "Tatarlar" dinlerini değiştiren Gürcülerdi. 20. Asrın başlarında kendilerini daha gürcü olarak Kabul eden köylerin "Tatarlaşma" hareketleri gözlenmektedir.

Sovyet dşneminde Gürcü Müslümanların yabancılaştırmasında gayrı Gürcü okullar asıl rol oynamış ve Meshler arasında Gürcüce'nin kayıbolmasını teşvik etmiştir.

Ünlü faaliyetçi G. BOÇORİDZE Samtskhe-Cavakheti Bşlgesini gezip çeşitli tarihi eserleri tanımlamıştır. 20 Ekim 1932 yılında Eğitim Komiserliği'nin Okul Şubesi Müdürlüğüne gönderdiği raporun bir kısmı konumuz açısından ilgi çekmektedir. Raporda Müslüman Meshlerin oturduğu köyler ve onların soyadları mevcuttur.: "Bu köylerde oturan ailelerin dili Gürcücedir. On iki köy bir birlik olarak yaşıyor, diğer köyler ayrı ayrı yaşıyorlar. Grup olarak yaşayan köyde Türkçe yalnız erkekler bilir, bayanlar ve çocuklar bu dili hiç bilmezler. Bu köyler şunlardır: Sviri – 200 aile, Boga – 90 aile, Şurdo – 70 aile, Giorgitsminda – 80 aile, Mohta – 28 aile, Persa- 10 aile, Tsohtevi – 60 aile, Mugareti – 80 aile, Zikilia – 280 aile, Agara – 25 aile, Sakuneti – 150 aile, İndusa – 100 aile, Kamza – 100 aile. Ayrıca köylerin bir kısmında ahalinin çoğu Gürcüce konuşuyor. Örneğin: Zemo Oşora – 230 aile, Ude – 150 aile, Vale – 90 aile. Ayrıca yukarıda anılan köylülerin soyadlarını da belirtiyorum:

Sviri'de – Kakunaşvili v.s.; Şurdo'da - Hmaladze, Gorişvili; Tsohtevi'de – Lomidze, Kapanadze, Papaladze, Çheidze; Zikilia'da – Gvaramadze, Nadiradze, Hahutaşvili, Gogaladze, Zurabadze, Kapanadze, Tskipodze, Çitadze, Bidzinaşvili; Agara'da – Gvaradze, Tuğuşadze, Kotadze; Sakuneti'de – İordanaşvili, Potshveraşvili, Mçedlişvili, Puturidze, Çkoidze, Kahişvili; İndusa'da – Şaravandidze, Koraşvili, Korimişvili, Koçiaşvili, Okropiridze, Gelaşvili, Haloşvili, Satoşvili, Ramişvili, Kamza'da – Oniaşvili, Goçaşvili, Maharaşvili, Çeçilaşvili, Çaçmoşvili, Maharaşvili, Kocorişvili, Kumeğaşvili, Amoşvili, Tsulukidze; Zemo Oşora'da Ğoniaşvili, Kuçaidze, Zandariani, Avalişvili; Ude'de – Barataşvili, Kançadze, Gelaşvili, Beridze, Abuladze, Petaşvili, Elaşvili, Bakradze; Vale'de- Çavçavadze, Amilahvari, Boçorişvili; Çitadze, İlarionidze, Gozalişvili, Nijaradze, Beridze, Nadiradze; Kapanadze; Atskuri'de – Varşaveli, Lomidze, Orjonikidze, Okheidze, Samsonidze, Kipiani, Bakaridze, Aznauridze, Dvalişvili, Lekidze, Meshidze".

Yukarıda anılan köyler 1886 yılında Müslüman Gürcü köyü olarak saylan köylerin bir kısmıdır. Bu köyler ise, 1828 yılında Rusya bu bölgeleri işgal ettiğinde burada bulunan köylerin yalnız bir parçasıdır.

Mesheti'de İslam Dinini Kabul eden Gürcüler dini ve milliyeti birbirinden fark edemiyorlardı. Onlar için Gürcü kelimesi Hiristiyan anlamını kazandı. Kendilerine ise Müslüman yada "Tatar" diyorlardı. Tabi ki, anılan Tatarlık Gürcülüğü kapsamıyordu artık, ancak Türklük alanına da gelmiyordu. Tatar olarak burada yaşayan Kara Papaklar, Kürtler, v.d. gibi Müslüman halklar da anılmaktaydılar. Müslüman Gürcüler onlara karışmazdılar ve kendilerini belirtmek için "Yerli" ya da "Binali" terimini kullanmaya başladılar. Yerli diğer Tatara ya da Hiristiyana kız vermezdi (Lomsadze, 1975, s. 101).

"Yerli" terimi milliyet anlamını kazanmaya başladı. Yeni Sovyet soyadlarını aldıklarına rağmen, Meshler sürgünde de birbirlerini soy ağacına göre fark ediyorlardı.

Hiristiyanlar ve Müslümanlar yan yana yaşıyorlardı. Dolaysıyla onların ortak soyadları ve kökleri vardı.

Diğer halkların soyadları gibi Gürcü soyadların da kendine has semantiği, dilsel yapısı, karakteristiği var ve Gürcüce'nin kelime hazinesine göre açıklanır. Din ve soyad değişimi birbirine bağlandı.

Osmanlı hakimiyeti döneminde en önemli etken vergi sistemi idi, çünkü dinini değiştirdikten sonra Hiristiyanlıktan dönen kişinin vergisi azalıyordu. Ancak, bununla birlikte ad değiştirmesi de gerekyordu. En önemlisi ad değiştirmesi idi, çünkü ilk etapta soyadın değiştirmesine gerek yoktu. İlk başta İslamlaşmış insanlardan baba adını sormazdılar, çünkü baba adları Gürcüce idi. Ancak, daha sonra gelecek nesiller baba adını kullanmaya başladılar. Buna örnek olarak Samtskhe-Cavakheti Tarihi Müzesi'nden alınan bir evrak aşağıda sunulmuştur: "Muskhi köyünden Tomagilin Toromanı İslam Dinine geçti, Simon Maisuradze'ye Hüseyin, Kurdadze'ye Süleyman, İsidor Kurdadze'ye Ali, Kite Kurdadze'ye İbrahim v.s. gibi adlar verildi. İlk etapta soyadlara dokunulmamıştır. İslam Dinini kabul etmek ve ad değiştirmek aynı zamanda iki ad taşımasına neden oldu. 1937 yılında müslüman olan birisi dedesinin anlattıklarını şöyle ifade etmiştir: "Dedem ve babam sünnet olmuşlradı, dedemin adı Khiza idi, Ninemin adı Khvaramze. Babamın Gürcü adı Pavle, Tatarca ise Badala idi. Amcamın Gürcü adı Alekso, Tatarca adı ise Murattı" (S:C:İ: Helnatseri N4002,s.8).

İki ad meydana geldikten sonra iki soyad da oluşmaya başladı. Gürcüce olan soyad değişmedi, Tatarca olan ise baba adına göre değişirdi.

"1921-1926 yıllarında tutulan resmi kayıtlara göre Müslüman velilerin doğan çocuklarına Gürcü soyadının verdikleri sıkça rastlanır. Örneğin: Gvaramadze, Orjonikidze, Nadiradze, Lomidze v.s. Bu tarihlerden sonra Gürcü soyadları daha yazılmamıştır. Çocuklara yalnız Gürcü adları verilmiştir. Örneğin: Natela, Tsiala, Tamar, Nina, Vasil v.s." (Kirvalidze,1989, s.61).

R. Topçişvili İslamlaştırma sürecinn soyadlarına yansımasını 1886 yılında yapılan nüfus sayımının aile listesinden alıp göstermiştir: "Tamamen Gürcü Müslümanların yaşadığı Zemo Oşora köyünde Gogia Oğlu İsmail vardı. Bu Gogia'ya Tatarca Mirza oğlu denirdi. Buradan İsmail'in babasının Hiristiyan olduğu anlaşılmıştır. Onun adı Gogia imiş, İslam dinini kabul ettikten sonra adını Mirza koymuşlar. Aynı köyde Osman Oğlu Kül Ahmet yani Tato Oğlu Kül Ahmet vardı. Buradan anlaşıldışına göre, Kül Ahmet'in babasının adı din değiştirdikten önce Tato imiş. Kldc köyünde Bidzina Oğlu Recep Tatidze ve Bidzina Oğlu

Halil Tatidzeler yaşıyormuş. Recep'in ve Halil'in babalarının adı Gürcüce Bidzina imiş ve daha sonra Müslümanlaşmış" (Topçişvili, 2005, s. 57-58).

Müslüman Meshlerde soy ad değişimi Gürcü bilincinin bozulmasına neden oldu ve bir kültürden diğer kültüre geçmelerini sağladı.

Meshler kendi yeni soyadlarına alıştıklarına göre anılan yeni sistem bu konuda kendilerini tatmin etmiyordu, çünkü, artık eski soyadlarını kullanmıyorlardı. Ancak, kendileri akrabalığı gösteren eski soaydlarının köklerini kayıp etmediler ve bağlarını devam ettirebildiler. Çünkü, yeni soyadlar eski soyadlara bağlı olan akrabalık prensiplerini tamamen bozmuştu.

Bir başka belgeye göre "1897 yılında Vale köyünde 140 aile yaşıyor. Bunlar Ortodoks, Katolik ve M§slümen Meshlerdir. Hepsi yaklaşık 1500 kişidir. Bunlaın taştan kiliseleri ve camisi vardır. Çok çalışkan, barışçı, insansever ve dürüstler. Aralarında kötülük olmaz. Dışarıdan buraya hırsız sokulmaz, kardeş gibi yaşıyorlar, çünkü bir soydan, bir kandan t§remişlerdir. Müslümanların bir kısmı Ortodoksluktan, daha çoğu ise Katoliklikten dönmüştür" (S.C.İ.M. Stambolis Pondi, "Krebuli", s. 6).

BİBLİYOGRAFYA

1. Topçişvili, R. (2005), Etno-İstoriuli Etiudebi, I. Tbilisi.
2. Svod Statistiçeskih Dannıh O Naselenii Zakavkazskogo Kraya, (1893), Tiflis.
3. Lomsadze, Ş. (1975), Samtskhe-Cavakheti, Tbilisi.
4. Samtskhe-Cavakhetis İstoriuli Muzeumis Pondebi, Helnatseri N4002, Akhaltsikhe.
5. Kirvalidze, G, (1989), Akhaltsikhis Raionis Gamahmadianebul Kartvelta Gvarebi, Jurnali "Sabçota Samartali", N7, Tbilisi.
6. Samtskhe-Cavakhetis İstoriuli Muzeumis Stambolis Pondi, "Krebuli", Akhaltsikhe.

ასპინძა და ასპინძელობა*

როდესაც ასპინძაზე დავფიქრებულვარ, ასეთი რამ კი იშვიათად არ მომხდარა, ჩემს ცნობიერებაში ცოცხლდება ისტორიული სურათები, შეიძლება ითქვას, ისტორია და ბავშვობა ჩემი. უცნაური სიმბიოზია ბავშვობა და ისტორია! ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის უცნაური. ჩემი თაობა ომის შემდგომ თაობას მიეკუთვნება. დღეს დიდ სამამულო ომზე, რომელსაც, მის გარკვეულ ფარგლებს, მეორე მსოფლიო ომსაც უწოდებენ, სხვადასხვაგვარი აზრია საზოგადოებაში შექმნილი, ჩამოყალიბებული. ერთნი ამბობენ, რომ ის იყო ჩვენი, ქართველების სამამულო ომი, ხოლო მეორენი კატეგორიულად უარყოფენ ამას და სხვის ომში გვიბრძოლია, ის ჩვენი არ იყოო, ბრძანებენ. თქვენ განსაჯეთ: მამა ქერჩიდან დაბრუნდა დაჭრილი, მეორედ წავიდა ფრონტზე მეგობრის გულისთვის და კვლავ გადარჩა. მამის ძმა ჩემი, ბიძაჩემი 18 წლისა დაიღუპა ომში, უგზოუკვლოდ დაღუპულთა სიაშია დღესაც. დედის ძმათაგან ორი დაიღუპა, ერთიც ნაფრონტალი დაბრუნდა. როგორ არ იყო ჩემი, ჩვენი ომი, ქართველების ომი? იყო, აუცილებლად იყო მეორე მსოფლიოც, სამამულოც და ქართველთა ომიც.

ძეგლი უნდა დავუდგათ იმ პირტიტველა ბიჭებს, თუ უდგათ, ნუ დავუნგრევთ. აი, ასეთი წინაპირობის ფონზე მოვიდა ჩვენი თაობა, 45-50-იანელები. ყველაფერი ემსახურებოდა დამთავრებული ომის იდეოლოგიზაციას. მამაჩემის შინელი, კოლმეურნეობის თავმჯდომარის გალიფე შარვალი და „ცარსკები" მახსენებდა, რომ რუხი ფერის სამოსი ომიდან დაგვრჩენოდა და პატივი უნდა გვეცა მისთვის. ორად გაყოფილები ერთმანეთს ომობანას თამაშის დროს რომ ვუპირისპირდებოდით, ვცდილობდით, „ჩვენებში" მოვხვედრილიყავით, არავის უნდოდა „გერმანელობა", მაგრამ გაყოფა გაყოფა იყო და ვიღაცა „ფაშისტი" იყო, ვიღაცა - წითელარმიელი. ბევრი რამ აკლდა ჩვენს თაობას, მაგრამ გვქონდა ერთი უმთავრესი რამ, ეს იყო იმედი მომავლისა! როგორც დამარცხდა ფაშიზმი, ასე დავამარცხებდით ნებისმიერ მტერს! ეს იყო სულისკვეთება ჩვენი ბავშვური ცხოვრებისა. თითქოს პესიმიზმის

* „ლიტერატურული მესხეთი", ივნისი, 2018, №6 (234).

ნიაღვარს უნდა წაელეკა მომავალი, მაგრამ ასე არ მოხდა. ასიათასობით ქართველი ვაჟკაცი დაეცა ამ ომში, ეს ხომ ჩვენი გენოფონდი იყო, მათ უნდა გაეგრძელებინათ ქართველობა, მაგრამ ვინც დაბრუნდა, ცხოვრების სახსრის ძიებასთან ერთად გამრავლებასა და მომავალზეც ფიქრობდა. ასე მოვიდა ომგამოვლილი გენიდან ჩვენი თაობა. ალბათ სტატისტიკა თავის ადგილზე დასვამს ნებისმიერ ემოციასა და ლოგიკას, მაგრამ ამჯერად სტატისტიკის გარეშეც ნათელია ყველაფერი. ომის შემდგომი თაობის ბავშვებისგან ასპინძის სკოლაში პარალელური კლასები იქმნებოდა, მე თავად ვიყავი „ა“ კლასელი, ვიღაცები იყვნენ „ბ“ კლასელები. შედით იმავე სკოლაში დღეს და ნახავთ, რამდენი ბავშვია, შეადარეთ ყოველგვარი სტატისტიკის გარეშე, გაავლეთ პარალელი და ყველაფერი ნათელი გახდება. მე-20 საუკუნის ბოლო ასპინძისათვის, საქართველოსათვის ომების, მომავალი თაობის გაუფრთხილებლობის, თავისი ქვეყნისგან უზრუნველად გაწირვის საუკუნეა. ამიტომ არის ჩემთვის ბავშვობა მთელი ისტორიის ტოლფასი. მაშინ ვიყავი ჩემი ქვეყნის, ასპინძის და ჩემი ოჯახის ნაწილი. არ მინდა პესიმისტური ნოტა გაუღერდეს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ახალი არაფერი მომხდარა მე-20 საუკუნეში - ხან ჩვენს ომში ვიბრძოდით, ხან - სხვისაში. ბევრი დროშის ქვეშ გვიქნევია ხმალი, პოლიტიკა ოხერი რამ არის, თავად პოლიტიკას ცბიერი და ავანტიურისტი პოლიტიკოსები ქმნიან, შედეგი კი 18-20 წლის ბიჭების მხრებსა და თავებზე გადის.

ყველას კარგად ახსოვს, რა საშინელი სიტყვა იყო „ავღანეთი“, როდესაც რუსული დროშის ქვეშ ვიბრძოდით. იტყვი ამ სიტყვას და თვალწინ დაგიდგება ცინკის კუბოებით ჩამოტანილი ჩვენი ახალგაზრდები. განა რამე შეიცვალა! ახლა ამერიკის დროშის ქვეშ ვიბრძვით, ავღანეთი კი ავღანეთად რჩება. მეთოდიკაა სხვადასხვა და დახვეწილი. რუსები გვიმალავდნენ, რომ ავღანეთში დაიღუპა ქართველი ჯარისკაცი, ამერიკელები ამითაც პიარს იკეთებენ - „ნახეთ, რა ლამაზად დაიღუპა ქართველი ჯარისკაცი!“

წავიდა ბავშვობა, დარჩა ასპინძა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო და ასაზრდოებდა თაობებს. ჩემი თაობის მთავარი ნიშანი, როგორც უკვე ითქვა, ოპტიმიზმია. ოპტიმიზმი, რომელიც ჩვენი პატარა დაბისადმი განსაკუთრებულ სიყვარულშია გადაზრდილი იმთავითვე. ამ ყველაფერმა დაბადა დიდი სიყვარული ასპინ-

ძისა, სიყვარული პატარა დაბისა, რომლის ოდნავი სახეცვლილებაც კი ჩვენში ზრდიდა იმედს და სურვილს, სამომავლოდ გაგვეკეთებინა კეთილი საქმეები, რომელიც ჩვენს მშობლიურ ასპინძას წაადგებოდა, ქვეყანას გამოადგებოდა. მახსოვს, ტრადეციული საგზაო ტრაფარეტი რომ იდგმებოდა „ასპინძის“ აღსანიშნავად ახალციხიდან მიმავალ გზაზე მაშინდელი მილიციის სიახლოვეს, დაახლოებით დღევანდელი „ზველის“ მარკეტის მისადგომთან რომ იდგა, მერე „სატყეოს გორის“ ძირას გადაიტანეს, შემდეგ ცოტა შორს და დღეს სადაც არის, ყველა ხედავს. ჩვენ ამას აღვიქვამდით ასპინძის ზრდად, ჩვენს პირად წარმატებად, ქვეყნის წინსვლად. ასევე იყო ხვილიშის მიმართულებით. როდესაც ასე შეხედავს გარემოს ახლგაზრდა, ინფრასტუქტურის გაფართოების და წარმატების ნებისმიერი გამოვლენა რომ საკუთარ წარმატებად მიაჩნია, მისთვის სუიციდი, ათასი სისულელე, რის გამოც არაერთი ბავშვი იღუპება დღეს, აზრს კარგავს და მხოლოდ ჯანმრთელ ცხოვრებაზე ფიქრობს, სიყვარულზე ფიქრობს.

მამებზე ვთქვით, ვინ იყვნენ და მათი თაობა რითიც გახლდათ გამორჩეული, ცნობილია. თაობა, რომელიც გადაურჩა 1937 წელს, მაგრამ ვერ გადაურჩა სამამულო ომს. თაობა, რომელმაც გამოიარა არა მხოლოდ კოლმეურნეობა, თავისი ავითა და კარგით, არამედ გამოიარა ის განწყობა და ფსიქოლოგია, შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, გამოიარა კომუნების პერიოდი, როდესაც სოფლიდან გავიდა გარკვეული რაოდენობა ოჯახებისა და შექმნეს საერთო საცხოვრებელი, საერთო ოჯახი, „ერთი დიდი კერა“ და როცა საქმე საერთო საბნამდე მიდგა, მაშინღა მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე, ესეც ასპინძის ისტორიაა, ესეც გავიარეთ.

მძიმე იყო პაპების თაობის ცხოვრება, რუსის ხიშტის ქვეშ მდგარი თაობის ყოფა. დაპირისპირების, ხალხთა და რელიგიათა გადაკიდების თაობა. ასპინძისათვის და ასპინძელობისათვის დღემდე მოვიდა 1918-1919 წლები, გაქცევები და მობრუნებანი. ჩვენ გვიყვებოდნენ არა როგორც ზღაპარს და გადმოცემას, არამედ, როგორც თავსგადახდენილს და ფაქტს, რომ, როდესაც მდევარი მოგდევს, როგორც მწევარი გაქცეულ ცხოველს, ყველაფერს აკეთებ თავის გადასარჩენად. დედას დაუტოვებია გზაზე ბავშვი, რომ დანარჩენები გადაერჩინა, ან აკვნიან ბავშვთან ერთად გადაჩეხილა კლდეზე, რომ მომხვდურს არ ჩავარდნოდა

ხელში. ეს იყო, ხდებოდა... თუ ვინმეს ეეჭვება, ნახოს შესანიშნავი თვითნასწავლი მხატვრის მიხეილ იაძის ტილო და დარწმუნდება ნათქვამის ჭეშმარიტებაში.

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 500-ზე მეტი ქართველი ქალი გათხოვდა თურქეთში. მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო რომელიმე ეროვნების ადამიანზე, მით უმეტეს თურქზე, ლამის ნახევარი გერმანია თურქების ხელშია, მაგრამ ის, რაც ოსმალომ გადაგვატარა, ღირს დასაფიქრებლად.

ასე ვიზრდებოდით და თანდათან ფართოვდებოდა ჩვენი თვალსაწიერი. დედა, მამა, პაპა-დიდედა, ნათესავები... სკოლა, მეგობრები, თანაკლასელები, თანაკუთხელები... ჰო, ეს უცნაური საზომია ბავშვთა ერთობისა - თანაკუთხელები. კუთხე ანუ მხარე, დიალექტი არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმებოდა თანაკუთხელებში. ასპინძას ჰქონდა თავისი კუთხეები. მაშინ რა ვიცოდი, თუ კუთხელობა, იგივე უბნელობა, მისი სახელდების და მოტივაციის საკითხები ჩემი საქმიანობის დიდ ნაწილად იქცეოდა. ასპინძა იყოფოდა სამ კუთხედ. ჩვენც ჯერ ჩვენი კუთხის პატრიოტები ვიყავით, მერე - ასპინძისა და შემდეგ - მთელი ქვეყნისა. მე ქვედაკუთხელი გახლდით, კიდევ იყო შუაკუთხე და ზედაკუთხე. ტოპონიმიაში კლასიკური დაყოფაა უბნებისა ასეთი დაყოფა. ზოგჯერ არ არის აუცილებელი სამივე კუთხე (უბანი) არსებობდეს. მაგალითად, აჭარაში არსებობს შუახევი, მაგრამ არ არსებობს ქვემოხევი ან ზემოხევი, სამაგიეროდ, არსებობს იმერხევი თურქეთში, ისიც ჩვენთვის არსებობს, ჩვენი ცნობიერების ნაწილია, ისიც ანიმაციური, არა რეალისტური, სადღაც მეხსიერებაში არსებული, თორემ იმერხევს რა ჰქვია თურქეთში, თურქულად არც ვიცი, ან რატომ უნდა ვიცოდე, ის ხომ სცდება ჩემს ისტორიულ და თანამედროვე თვალსაწიერს. ჩვენ ხომ ძალისძალად ვცდილობთ, შევინარჩუნოთ ის მხოლოდ სახელის დონეზე, ესეც საქმეა! რას იზამ! აი, ასპინძაში კი გვქონდა სამივე კუთხე. რაც უფრო პატარები ვიყავით, მით უფრო გვიყვარდა ჩვენი ქვედაკუთხე და მტრად წარმოგვედგინა ზედა თუ შუა კუთხეები. ხშირად ერთმანეთი დაგვისისხლიანებია ჩვენი კუთხის სიყვარულით, მართლა სიყვარული იყო ეს, ოღონდ რაღაც ფეოდალური ეპოქის ნარჩენს ჰგავდა ჩვენს ფსიქოლოგიაში. ვიზრდებოდით და ვაფართოებდით გეოგრაფიულ და სოციალურ თვალსაწიერს. აი, სკოლის მაღალკლასელობისას „ავმაღლდით“ კუთხელობაზე და

ასპინძის პატრიოტები შევიქენით. ეს უკვე რაღაც ეროვნულ ცნობიერებას უახლოვდებოდა, ოღონდ არარეალისტურ საფუძვლებზე იყო დაყრდნობილი, არ ეტეოდა საბჭოთა იდეოლოგიაში, რომელიც გვასწავლიდა, რომ უნდა გვყვარებოდა ყველა ერისა და ეროვნების ადამიანი. ასე დავუპირისპირდით ერთხელ ტამალელ სომეხ თანატოლებს. დღესაც მიხარია, რომ მაშინ ათობით ახალგაზრდა ერთმანეთის პირისპირ დავდექით და ჩვენი დაპირისპირება ჩხუბში არ გადაიზარდა. სომხები უარესი პატრიოტები არიან თავისი ეროვნებისა, მაგრამ გვეყო მაშინ ორივე მხარეს ჭკუა და საბოლოოდ დავმეგობრდით კიდეც. ეს მეგობრობა ბოლომდე გაგვყვა. ერთი რამ კი აშკარა იყო, ჩვენი (ჩემი) ასპინძისადმი დამოკიდებულება ფესვებს უახლოვდებოდა, ვცდილობდი, გავრკვეულიყავი, რა იყო ასპინძა, რა იყო ასპინძელობა. ჩვენს თავმოყვარეობას, თუ პატივმოყვარეობას არა, ასაზრდოებდა ისიც, რომ ასპინძა გახლდათ რაიონული ცენტრი, ე.ი. დანარჩენ დასახლებათაგან (სოფელთაგან) გამოირჩეოდა. ჩვენ კი ამ რაიონულ ცენტრში, ერთი პატარა „ქვეყნის“ პატარა დედაქალაქში ვცხოვრობდით.

ხშირად დამისვამს (დაგვისვამს) კითხვა საკუთარი თავისა და უფროსების წინაშე: რატომ არის რაიონული ცენტრი ასპინძა და არა სხვა რომელიმე სოფელი? შეიძლება დღეს ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ მაშინ მე ამაზე პასუხი არ მქონდა, არც უფროსები მპასუხობდნენ დალაგებულად, ძირითადად რაღაც ბუნდოვან, ლეგენდისმაგვარ ამბავს გვიყვებოდნენ. საქმეს ართულებდა ისიც, რომ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში რაიონული ცენტრი ტოლოში იყო. მტკვრის პირას ტიტლიკანები რომ ვეყარენით, სრულიად სერიოზულად ვნერვიულობდით, რა გვეშველებოდა, ასპინძა რომ რაიონის ცენტრი არ ყოფილიყო?! ეს კი სოციალისტური საზოგადოებისათვის შეუფერებელი და მძიმე კითხვა აღმოჩნდა. გამორჩევითობა იმ დროს სერიოზულად ისჯებოდა. ლიდერობა ისევ და ისევ საზოგადოებრივი, გეგმიური, სოციალისტური ხაზით უნდა განვითარებულიყო. კომკავშირი იყო ლიდერი, ხოლო პიროვნება მხოლოდ აქტივისტი შეიძლება ყოფილიყო. ასპინძა იყო ლიდერი, მაგრამ მხოლოდ იმ დონეზე, რომ ის იყო კომუნისტების, აქტიური კომუნისტების, აქტივისტების საკრებულო და არა თავისთავად ლიდერი სოფელი. მაშინ საკითხი ასე იდგა, ჭკუით იყავით, თორემ ნებისმიერი ლიდერი

მხოლოდ იმ დონეზე შეიძლება არსებობდეს, რა დონეზეც ზემოთ, ხელმძღვანელებს სურთ. აკი შეიძლებოდა და იყო კიდეც ტოლოში რაიონული ცენტრი და კიდევ უფრო უარესი - ხრუშჩოვის პერიოდში მოინდომეს და საერთოდ გააუქმეს ასპინძის რაიონი, შეუერთეს ახალციხეს, გაამსხვილეს რაიონები. აი, თუ სხვათა ნება-სურვილზე არ იყო დამოკიდებული ადამიანების, ქალაქების, სოფლების დაწინაურება თუ დაკნინება, ჩასახლება თუ გადასახლება. ამიტომაც იყო, რომ მოგვიანებით დამამთავრებელ კლასში, როდესაც ასპინძის ისტორიას როგორც ვახერხებდი, ისე ვეცნობოდი და აღმოვაჩინე, რომ საუკუნეების სიღრმეში მიდიოდა ასპინძის, როგორც ლიდერი დასახლების ისტორია. ის დასახლებათა, სოფელთა გარკვეული ნაწილის ცენტრი ყოველთვის იყო და ეს ძირითადად ისტორიულ-გეოგრაფიული პირობებით იყო მოტივირებული. გარშემო ხეობათა და მთიან დასახლებათა შორის ასპინძას გამორჩეული ადგილი ეკავა. აბა, დავუკვირდეთ, რამხელა ველია ასპინძის ველი მთელი მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე უხსოვარი დროიდან ხიდით შეერთებული. ციხე განა ყველა სოფელს ჰქონდა? ასპინძას კი მუდამ ჰქონდა ციხე. რამდენი სოფელია დედამიწის ზურგზე, მის მცხოვრებთ მდინარე რომ არ უნახავთ, ასპინძაში კი გაწოლილია საქართველოს დედამდინარე მტკვარი. საკმაოდ წყალუხვი მდინარე ერთვის აქვე ციხისძირის გავლის შემდეგ მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან, მანამდე ასევე თავის დროზე წყალუხვი, მაგრამ დღეს თითქმის დამშრალი **კოხტის ხევი** ერთვოდა, ეს სიმდიდრე იყო ოდითგან და ქმნიდა პირობებს ასპინძის დაწინაურებისა.

ბევრჯერ მყოლია ჩემი სტუდენტები ასპინძის ციხეზე, გადმოგვიხედავს ქონგურიდან. ადით, ბატონებო, გადმოიხედეთ ასპინძის ციხიდან და ნახავთ, როგორი სტრატეგიული დანიშნულებისაა ეს პატარა პროდუქტი ფეოდალური ეპოქისა. აქედან გადამდგარმა, არ არის აუცილებელი დავით აღმაშენებლობა ან ნაპოლეონობა, რომ ბრძოლის რეალური სურათები წარმოიდგინო. ხელისგულივით წინ გიდევს დაცემული ვაკე, მართალია, დღეს დასახლებული და სახლებით გაჯერებული, მაგრამ მაინც ვაკე. აი, ამ ციხემ განსაკუთრებული ძალით გვაგრძნობინა ჯერ კიდევ ძალიან პატარებს, რომ რაღაც ისეთი დამთავრდა ასპინძის ისტორიაში, რომელსაც მომავალი აღარა აქვს, ოღონდ ძალიან ვაჟკაცური, გმირული და საკუთრივ ჩვენი (ჩემი) რომ იყო, ის

დაგვეკარგა. ხის ხმლებით ვიცავდით და ვესხმოდით ერთმანეთს ციხეზე და ციხის გარშემო.

დიდი ლომგულობით გამორჩეული არ გახლდით, ამიტომ ვერ დავიტრაბახებ იმ ერთადერთ გვირაბში შესვლას, ზოგიერთები რომ შევიდნენ კოშკის ქვეშ. ისიც არ ვიცი, მართლა ბოლომდე შევიდა თუ არა ვინმე, მაგრამ ისინი დიდ ამბებს ჰყვებოდნენ იქ ნანახს. ასპინძის ციხე კეტავდა ორ დიდ ხეობას, მტკვრისას (ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით) და **ოთისწყლისას**. მოპირდაპირე მხარეს ერკოტის ძირში იდგა კიდევ ერთი ციხე, რომელიც ერუშეთის მხარეს კეტავდა. ჯავახეთის დარაჯად იდგა **კოხტის ციხე** დღევანდელი ტამალის თავზე, მათ შორის მაინც გამოირჩეოდა ასპინძა, რადგან იგი უფრო დიდი ხეობებსაც კეტავდა, მის სიახლოვეს გადიოდა საქარავნო თუ სხვა სახის გზები და შედარებით დიდიც იყო.

ასპინძის ციხის გაცოცხლება გვინდოდა მუდამ, მისთვის ძველი სულის ჩადგმა. ომობანა არ გამოგვდიოდა, იმდენი ვერ ვგროვდებოდით, რომ ყიზილბაშებისა და სხვათა შემოსევა გაგვეთამაშებინა მის კედლებზე, თანაც ამას კარგი „რეჟისურა“ სჭირდებოდა (ჩვენ ხომ მაშინ ისეთ ფილმებზე ვიზრდებოდით, ეროვნულ სულს რომ ამაღლებდა!) სამაგიეროდ, მისწრება იყო ჭიაკოკონობა. მთელი თვით ადრე ვიწყებდით სამზადისს ჭიაკოკონობისათვის. ვაგროვებდით მანქანის საბურავებს და ზედა კუთხეს, ციხის დასახლებას, ვერავინ უდებდა ტოლს. ასპინძის ციხეზე დანთებული ცეცხლი კუდიანებსაც ებრძოდა, ეშმაკსაც აფრთხობდა და ასპინძის ნებისმიერი კუთხიდან ძალიან ლამაზი სანახავიც იყო.

მაღალ კლასებში გატაცებით ვიფართოებდით ასპინძელობას, ვეჯიბრებოდით ჩვენი ბავშვური შეჯიბრით სხვა რაიონთა ცენტრებს, განსაკუთრებით კი ახალციხეს, თუმცა ვაღიარებდით ახალციხის დედაქალაქობას მთელი მესხეთისა. პირველად სწორედაც ასპინძის ციხის გამო ვიფიქრე, რომ რაბათი მხოლოდ ახალციხეს არ ჰქონდა და ჩვენ რომ ციხის უბანს ვეძახდით, ისეთივე რაბათი ყოფილა, როგორც ახალციხეში, თუმცა ეს სიტყვა ჩვენთვის უკვე მოძველებული იყო. ახალციხელი რაბათელები ისტორიიდან მოდიოდნენ, ხოლო ასპინძელი რაბათელები აღარ იყვნენ, ისინი გაასახლეს 1944 წელს. მათვე წაიღეს ხსოვნა რაბა-

თისა, ახალმოსახლენი, იმერეთიდან ჩამოსახლებულნი, არ იცნობდნენ ამ არაბულ სიტყვას და მათთვის ციხის შემოგარენს ციხის დასახელება და **ციხის ძირი** ერქვა.

ასპინძა იყო მთავარი თემა, როდესაც მხატვრულ ლიტერატურას გვირჩევდა სკოლა ან პიონერია. ვეძებდით იმ ავტორებს, ვისაც რამე ჰქონდა ნათქვამი ჩვენს ასპინძაზე. გატაცებით ვკითხულობდით ლადო ასათიანის „ასპინძის ომს“ სცენიდან მთელი ჯგუფი. მაშინ გავაცნობიერე და დავაკავშირე ერთმანეთს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი საბანაო ადგილი მტკვარზე და ასპინძის ომი. **ერეკლეს ნახიდარი** გამორჩეული საბანაო იყო თავისი სიღრმით, პირველ რიგში, საშიშიც გახლდათ მტკვრის ეს მონაკვეთი, რადგან კლდე სიგრძივ შედის წყალში და დიდი სიფრთხილე სჭირდება ზევიდან გადახტომისას, ხიფათს რომ არ გადაეყაროო.

ასპინძის ბრძოლა საამაყოა თითოეული ასპინძელისათვის, განსაკუთრებით იყო საამაყო ჩვენი თაობისათვის, რადგან ამაში ჩვენეულს ვხედავდით ყველაფერს მაშინ, როდესაც მისაბაძად და საამაყოდ ყოველდღე ჩაგვჩიჩინებდნენ, უნდა გვყოლოდა ლენინი, მარქსი, ენგელსი, ძველი რევოლუციონერები და კომკავშირლები. ასპინძა კი ქართველებმა მოიგეს, ერეკლე მეფემ მოიგო. ერეკლეს ნახიდარიო, როდესაც ვამბობდით, ვიცოდით, რატომ იყო ნახიდარი, ისიც გავიაზრე, რომ შეიძლება გააკეთო „ცუდი“ საქმე, ჩაჭრა ხიდი და გააკეთო დიდი საქმე, მოიგო ბრძოლა. იმ პერიოდში ძნელი გასარჩევი იყო მტერი და მოყვარე, რადგან „ერთადერთი“ მტერი გვყავდა გერმანია და გვყავდა მუდმივი მტრები, თურქეთი და სპარსეთი.

ასპინძის ციხიდან კარგად „ჩანდა“ ბრძოლის ბატალიები, როგორ გადმოვიდა მტკვრის მარცხენა ნაპირიდან მტერი, როგორ დაბანაკდა მარჯვენა ნაპირზე, როგორ იომეს და ღამემ როგორ გაყარა მოწინააღმდეგე მხარეები. პაპა ცოცხლად მიყვებოდა ერეკლესა და ლეკთა ბელადის შერკინებას ერთი-ერთზე. ერეკლეს ხმალმა ისე ოსტატურად გაკვეთა მოწინააღმდეგე, რომ ამცდაო - შესძახა ლეკთა ბელადმა. „სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, გადმოვარდა ცხენიდან!“ - ეს პაპის სიტყვებია, რომელიც ჩამრჩა გონებაში და დღესაც მახსოვს. პაპის დახატული ბრძოლის სცენა მუდმივად თვალწინ მიდგას.

განა ბევრია ადგილის სახელი, რომლის შექმნის ისტორია და მასთან დაკავშირებული ფაქტები ასე კარგად რომ ვიცოდეთ და

მოელწიოს ჩვენამდე! აი, რატომ ჰქვია ნახიდარი, თანაც რამდენ საუკუნეს არის გამოვლილი ის კირის დუღაბი, რომლითაც ბურჯია ნაშენები. მერე კი თვით ასპინძის ეტიმოლოგია გახდა ნაცნობი და ახლობელი. ეს უკვე სცდებოდა სკოლისა და ბავშვობის ასაკს. ეს უკვე სტუდენტობის წლებია, როდესაც ცოდნის მისაღებად თბილისს წასულები შორიდან ველაციცებოდით და ვეფერებოდით ასპინძას. პირველ რიგში, არ შეიძლება არ დააკავშირო ერთმანეთს ასპინძა და მასპინძელი. ქართველი კაცისათვის მასპინძელი რაც არის, ყველას მოეხსენება. აღმოჩნდა, რომ მასპინძელი ნიშნავდა ასპინძის პატრონს. ე.ი. ასპინძა სასტუმროს, ღამის გასათევს, ცხენთა დასასვენებელ და, შეიძლება, გამოსაცვლელ ადგილს ერქვა. ბევრი ასპინძა იყო საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში. მაშინ იგი საზოგადო სიტყვა გახლდათ და არა მხოლოდ ერთი ადგილის სახელი. სიტყვა აღმოსავლურია, სპარსული, მისი ძირია ასპ-, რაც ცხენს ნიშნავს. ამავე ძირიდან მოდის კიდევ ერთი სახელი ჩვენს მხარეში. ეს არის ჯავახეთის სოფელი ასპანა, რომელიც თავფარავნის ტბის ნაპირზე მდებარეობს, სოფელ თავფარავნის მოპირდაპირე მხარეს. ამ ადგილებში, ამ სოფლებში შეიქმნა ქართული ხალხური ბალადის კლასიკური ნიმუში „თავფარავნელი ჭაბუკი“. ჯავახი იყო ის ჭაბუკი, რომელიც „ასპანას ქალსა ჰყვარობდა“, ზღვა რომ ჰქონდა „წინად სავალი“ და „გასვლას შიგ არა ზარობდა“. ასპანელი იყო ის ბებერიც, რომელიც „ვაჟისთვის ანთებულ სანთელს აქრობდა, აბეზარობდა“. ამ ბალადის ტრაგიკული ფინალი ცნობილია, ამიტომ აღარაფერს ვიტყვი, აღარ გავაგრძელებ. ამავე ძირისაა ჩვენს მხარეში გავრცელებული ცნობილი გვარი ასპანიძე. ასპანას უწოდებდა ძველი ქართველი ისპაჰანს.

საქართველო და კერძოდ მესხეთი ყოველთვის მსოფლიო მოვლენების მონაწილე იყო. მეზობელი ჩვენთან მხოლოდ ხმლითა და ომით არ მოდიოდა. ენობრივი კონტაქტები კიდევ უფრო ძველია, ვიდრე რეალური ისტორია, ის ისტორია, ჩვენს მატიანეებსა და წყაროებში რომ არის დადასტურებული. აი, ამ კონტაქტების შედეგია სპარსული სიტყვის შემოსვლა ქართულში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე. ქართულ ენას აქვს ერთი უნიკალური თვისება, სხვა მრავალ თვისებათა შორის, რომ ყველა გრამატიკული კატეგორია შესაბამისი აფიქ-

სით აღნიშნოს. თუ ჩვენს მკითხველს თავს არ შევაწყენთ ლინგვისტური ტერმინოლოგიით, რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ, ნათელი რომ გახდეს, როგორ მივიღეთ ასპინძიდან მასპინძელი. მ-ელ კონფიქსი (მაწარმოებლები) აწარმოებს წარმომავლობაკუთვნილებას. ძველ ქართულში ეგვიპტელს მეგვიპტელს უწოდებდნენ. ადგილის სახელს დაერთვოდა აღნიშნული აფიქსები, ისევე, როგორც ეგრისის მკვიდრი და პატრონი იყო მეგრელი. (-ის სუფიქსი ჩამოსცილდება ასეთ დროს, როგორც ადგილის სახელთა მაწარმოებელი). ამავე წარმოებისაა ცნობილი გვარი მაჩაბელი, რომელიც აჩაბეთის მკვიდრს ნიშნავს. აქაც ჩამოსცილდება -ეთ ტოპომაწარმოებელი. ასევე მივიღეთ ასპინძაზე მ-ელ მაწარმოებელთა დართვით მასპინძელი, რაც ნიშნავდა ასპინძის მკვიდრსა და პატრონს. შემდეგ სიტყვა და აღსანიშნი ობიექტი დასცილდა, როგორც ხდება ხოლმე და ორივე სიტყვამ დამოუკიდებელი ცხოვრება გააგრძელა. ერთმა საზოგადოდ, ხოლო მეორე - ასპინძა, დარჩა ადგილის სახელად. როდესაც სასატუმროს აღნიშნავდა და ჯერ საკუთარ სახელად არ იყო ქცეული, ბევრი ასპინძა გვქონდა, ყველა სასტუმროს ასე უწოდებდნენ, ბოლოს კი ერთგან შემოგვრჩა და ეს არის ჩვენი ასპინძა.

ასპინძის პირველ ხსენებას მატიანეში თარიღი უზის. ეს არის 888 წელი. მას შემდეგ კი 1130 წელი გავიდა. ქართველი კაცის ფსიქოლოგიაში დროის აღქმა ძალიან პირობითია. ათასწლეულობით ვზომავთ წარსულს, ამიტომ ყოველთვის გვეახლოვება ჩვენი ისტორიის რომელიმე მონაკვეთი. თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს თარიღი და ისტორიაში ხსენების ასაკი ასპინძისა, ამაზე ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის თუნდაც ის ფაქტი, რომ კიევის რუსეთმა ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ მიიღო ქრისტიანობა. ასპინძის ისტორიაში ხსენების ასაკზე ერთი საუკუნით უმცროსია მართლმადიდებელი რუსეთის სარწმუნოების ისტორია. ადვილი წარმოსადგენია, რას ნიშნავს ეს დრო და ასაკი ქვეყნისათვის, რა და როგორი ცხოვრება განვლო, რა სიმაღლეებს მიაღწია ჩვენმა მეზობელმა ქვეყანამ ამ ხნის მანძილზე. ასპინძა კი ისევ იქ არის, ისევ ის ისტორიული გარემო აკრავს მას. მაშინაც დიოდა მტკვარი და ერთვოდა მას ოთის წყალი, გაღმა ვარნეთის ციხე იდგა და ვარნეთელები ცხოვრეობდნენ. იქვე ოსკერია შველთა სიმრავლით გამოირჩეოდა. ერკოტა-ზველს შორის დიდი სპორტული თამაშები იმართებოდა. საქარავნო გზა ასპინძაში იყოფოდა, აქ

იქმნებოდა დიდი გზაჯვარედინი. ერთი გზა ზეკარ-გოდერძის გადავლით დასავლეთ საქართველოსკენ, ისტორიული კოლხეთისკენ, ზღვისკენ მიემართებოდა, მეორე - აღმოსავლეთისკენ, აწყურიდან ქართლის გზით შიდა ქართლსა და თბილისს ჩადიოდა. მესამე გზა ჯავახეთზე გაივლიდა, გადიოდა სომხეთზე, სპარსეთსა და ინდოეთისაკენ მიემართებოდა, ხოლო მეოთხე - ერუშეთის, ტაო-კლარჯეთის ქვეყნების გავლით ბიზანტიასა და რომს სწვდებოდა. ამ გზაჯვარედინობის გამო იყო, რომ ასპინძა ადგილის სახელად მხოლოდ აქ, სამცხე-ჯავახეთის საზღვართგასაყარზე შემორჩა და არა სხვაგან. სწორედ ამ გზაჯვარედინობის გამო აღმოჩნდა ასპინძა აგრეთვე მუდმივად ბრძოლებისა და ყურადღების ეპიცენტრში. ასე იყო მე-9 საუკუნის ბოლოსთვისაც, მისი ისტორიაში ხსენების წელს: სუმბატ დავითის ძე, ჩვენი ერთ-ერთი დიდი მემატიანე, წერს: „ხოლო ადარნასე, ძე მოკლულისა კურაპალატისა, განვიდა ბრძოლად მისა, და მიყვა მისთანა შეწევნად ადარნასესა გურგენ კურაპალატი და შვილნი მისნი - და ყვეს ბრძოლა და ომი დიდი ნასრის ზედა და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ - ადარნასეს კერძთა და სძლეს ნასრას, მეოტ ქმნეს, შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ხევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქრონიკონსა რ ე. და არა დაუშთა შვილი ნასრას და აღიხოცა სახსენებელი მისი“. სწორედ ეს არის სპინძის პირველი ხსენება, თანაც მითითებულია, რომ იგი მდებარეობს „ხევსა სამცხისასა“ ზედა, რომელიც დღევანდელი ოთის წყალი, ან თვით მტკვარი უნდა იყოს. ასპინძა რადგან სამცხის ხევზეა მდებარე, ხოლო კოხტა (კოხტის ხევი), დღევანდელი ხვილიშასთან ჩამდინარე ტამალის წყალი ჯავახეთისა და სამცხის საზღვარია (ვახუშტი ბატონიშვილი), კიდევ უფრო იზრდება მნიშვნელობა ამ ფაქტისა. მემატიანე ნასრას ეპიზოდის აღწერით გვაწვდის ძვირფას ცნობას, რომ ასპინძა სამცხეში მდებარე სოფელია. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხდებოდა სწორედ ასპინძა ბრძოლების ასპარეზი. აქ მტკვარი შედარებით მდორედ მოდის, ხოლო ახჩია-ვარძიიდან მოყოლებული, არტაანის მტკვარზე და ახალქალაქ-დლივის წყლის ქვემოთ მთლად ვიწროებია, ერუშეთისა და ჯავახეთის მთებს შორის, მტკვარი ხმაურითა და დაქანებით მოდის, ამიტომ ბრძოლის გაშლის საშუალება არ არის. ასპინძასთან კი იშლება მთებით მოცული გარემო - მტკვრის მარცხენა ნაპირზე კაკაველია, ხოლო

მარჯვენა ნაპირზე - კოტორაულები, დღეს რომ ერკოტის უბანი ჰქვია. მას ჩაჰყვებოდა დიდი ჭალა მდინარის ნაპირზე. ასპინძისა და ვარნეთის ციხეები კიდევ უფრო მეტ სტრატეგიულ დატვირთვას აძლევდა ამ მიდამოებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაღმა-გამოღმა ველებს ჩვენთვის უკვე ცნობილი ხიდი აერთებდა.

ერთი ბრძოლის ეპიზოდს ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს. იგი დაკავშირებულია ჩვენს დიდ წინაპართან, გიორგი სააკაძესთან. გიორგი სანადიროდ იყო გასული, მოინადირა ოთაოშორის მიდამოები, რომელიც ბოლო დრომდე ირმების სიმრავლით გამოირჩეოდა. ნადირობისას, მართალია, მხოლოდ მონადირენი ახლდა მას, მაგრამ მონადირე მებრძოლი და მეომარი იყო პირველ რიგში. აი, რას წერს დიდი გეოგრაფი და ისტორიკოსი დიდი მოურავის შესახებ: ყორჩიბაშმა გაგზავნა ყიზილბაშები. „მოსრულთა ყიზილბაშთა გარემოიცვეს ასპინძა, მაშინ მოურავი იყო ნადირობასა და მუნიდამ იხილა ასპინძა, მოცული ყიზილბაშითა, მოეტევა მცირედითა კაცითა, ეკუეთა და აოტნა ყიზილბაშნი და მოსწყუიდნა იგინი“.

ასპინძასთან გამართული ბრძოლები, სამწუხაროდ, ყოველთვის ჩვენი გამარჯვებით არ მთავრდებოდა. შაჰთამაზი, ჩვენი დიდი მტერი, საშინელი სისასტიკით გამოირჩეოდა. „ახალი ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: „ხოლო ვითარცა ესმა შაჰ-თამაზ, განიხარა ფრიად და წარმოემართა სპითა ურიცხვითა საათაბაგოს ზედა: მოესწრა ყაენი შაჰ-თამაზ... ვარძია, თმოგვი და ვანის ქვაბი და აწყური, ასპინძა, ვარნეთი და სრულიად სამცხის ციხეები აღიღო“. სრულიად სამცხის ციხეთა შორის მოხსენიებული ასპინძა დიდი ბრძოლის ობიექტად იქცა.

ასპინძა მაინც გამორჩეულად ერეკლეს სახელთან არის დაკავშირებული, როგორც უკვე ითქვა, ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ მესხებმა სწორედ მას უძღვნეს ბევრი ლექსი და გადმოცემა:

„შენ ერეკლე, ომიანო,
ცხენ-ლამაზ უნაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძის ბოლოს ჰყრიანო,
ყვავი, ყორანი ლეშსა შჭამს,
კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო“.

ერეკლეს გამარჯვებამ გამოაფხიზლა როგორც ქრისტიანული, ისე მაჰმადიანური მესხეთი. ხერთვისში ერისთავის ნაცვლად მე-18 საუკუნეში ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ბეგი ზის. ის ქართველია, მაგრამ ასრულებს სხვა ქვეყნის ადმინისტრატორის როლს. მაჰმადიანური წესით მცხოვრები ბეგის გარშემო მის ჰარამხანას ლამაზი ქალები ამშვენებენ, მათი მაშინდელი ტერმინოლოგიით - ხანუმები. ასპინძისომგამოვლილ ერეკლეს, რომელიც მიემართებოდა თბილისისაკენ, განსაკუთრებით შვენოდა ბრძოლაგადახდილი ვაჟკაცის შარმი:

„ამ ერეკლემ არ დასთმო თავისი მუცლის ჩხვერაო,
ადგა, ჩაყარა ლაშქარი, წამოვა ნელა-ნელაო,
ასრე ჩამოვა ხერთვისსა, თვარეც არ არის, ბნელაო.
ხანუმებმა გადმოხედეს, ტურფად დაუწყეს ცქერაო,
დღეში სამჯერ ვილოცავდით, ღმერთმა არ დაგვიჯერაო,
ვაიმე, თუ დაგვიმძვირდეს სარაიებიდან ცქერაო.
ფადიშაჰს შემოუთვლია, ერეკლე რა კაციაო?!
რო მოგახსენო, ბატონო, პატარა ყმაწვილიაო,
გული უდგია სპილოსი, გარედან სალი კლდეაო,
ასე დანგრევს ციხესა, როგორც ფუტურო ხეაო“.

ხერთვისის შემდეგ თბილისისკენ მიმავალ ერეკლეს და მის გამარჯვებულ ლაშქარს ხიზაბავრელებმა ნადიმი გადაუხადეს. იყო მოლხენა და სიხარული, საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების სადღეგრძელოები.

ასე იცავდა ქართველი კაცი თავის მამულს. როგორც ვნახეთ, ბევრი რამ გადაიტანა ასპინძამ, ისევე, როგორც მთელმა საქართველომ, მაგრამ უმთავრესი გადასატანი წინა აქვს. დღეს იარაღით აღარავინ მოდის. აღარც ოსმალები მოდიან ოსმალური გაღუნული ხმლებით. დღეს სხვა ომია, ფული წყვეტს ყველაფერს. სხვა ქვეყნის ფულს სხვანი შემოჰყვებიან, ემკვიდრებიან ჩვენს მამულში, ისტორიას ლამის წარმართობის დროიდან იქმნიან. ვინც მიწას პატრონობს, ქვეყანაც იმისია. ისტორიაგამოვლილი ასპინძა, რომელიც მეორე ათასწლეულს ითვლის, ღირსეულად უნდა შეხვდეს ამავე ათასწლეულის ბოლოს - ეს არის მისი და ჩვენი ყველას მიზანი.

იძულებითი გამოხმაურება*

„ლიტერატურული მესხეთის“ მარტის ნომერში დაიბეჭდა ვაჟა სამსონიძის წერილი „ადგილის სახელთა მართლწერისათვის!“, რომელიც დაგვიანებული გამოხმაურებაა ჩემი წიგნისა „ტაძრები და სახლები“. თავისთავად ნებისმიერი გამოხმაურება, დადებითი იქნება თუ უარყოფითი, მისაღებია. მეცნიერების წინსვლა აზრთა სხვადასხვაობას ემყარება. მე გამაოცა ავტორის ქილიკნარევმა ტონმა და ამიტომ გადავწყვიტე უპასუხოდ არ დამეტოვებინა ეს წერილი.

არაეთიკური ტონი უცოდინრობისა და ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციაზეა დაფუძნებული. ბატონ ვაჟა სამსონიძეს სწყენია, რომ მისთვის საინტერესო სტატიის ამონაბეჭდი მიმიცია და არა წიგნი მთლიანად. მას შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, როდესაც ბრძანებს, რომ ამონაბეჭდი **ახალი წიგნიდან** იყო. „ტაძრები და სახლები“ გამოვიდა 2010 წელს. ვ. სამსონიძე ჩემთან ყოფილა გასულ წელს, როგორც თვითონ წერს, ე.ი. 2017 წელს. 7 წლის წიგნი ახალი არ არის. სინამდვილეში მე აღარ მქონდა სასაჩუქრედ და იმიტომ ვერ მივეცი მას „ტაძრები და სახლები“. ასეც რომ არ ყოფილიყო, ამონაბეჭდის გაჩუქება მიღებული ფორმაა სამეცნიერო წრეებში და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ამიტომ არასწორია ვ. სამსონიძის ეჭვები, თითქოს მე მას „შენიშვნა“ მივეცი ამ ჟესტით. იგი წერს: „წიგნის ავტორს სურდა **„შენიშვნა“ მოეცა ჩემთვის, რომ მე არასწორად გადმოვცემ ჩემი სოფლის ადგილთა სახელებს“.**

ამონაბეჭდის ფაქტს რატომ გებულობს ასე მაშინ, როდესაც სტატიაში, რომელშიც მის შესახებაა საუბარი, პატივისცემის გარდა არაფერი არც მიგულისხმია და მსგავს რამეს ვერც იპოვის, როგორც ფაქტს, პატივცემული ოპონენტი. საქმე იმაშია, რომ აზრთა სხვადასხვაობა უპატივცემლობა არ არის, უპატივცემულობა სხვისი აზრის კატეგორილი მიუღებლობაა.

ფაქტებისა და კვლევების ვ. სამსონიძისეულ შეფასებებს შემდეგ შევეხებით. ამჯერად გვინდა ერთ არაპროფესიონალურ

* „ლიტერატურული მესხეთი“, აპრილი, 2018, №4 (232).

წამოძახილზე მივუთითო: „**ტატანისის ავაზანა,** რომელიც სოფლიდან ჩრდილოეთის მხარეს, 16-17 კილომეტრზე მდებარეობს, მ. ბერიძეს არ უნდა ჰქონდეს ნანახი, ის ვიღაცის არასწორ ინფორმაციას იმეორებს".

ვინ თქვა, რომ ტოპონიმური მასალის შეკრებისას ან კვლევისას შესაძლებელია ან აუცილებელია ყველა ადგილის ნახვა. გავიხსენოთ ჩვენი დიდი წინაპარი ვახუშტი ბატონიშვილი, რომელსაც თვალითაც კი არ ენახა სამცხე-ჯავახეთი და დასავლეთ საქართველო (ივ. ჯავახიშვილი), მაგრამ ამის გამო მას უარი არ უთქვამს თავისი ქვეყნის ამ ნაწილების გეოგრაფიული სახელების დაფიქსირებასა და ანალიზზე.

კიდევ ერთი: ვ. სამსონიძეს აღიზიანებს ვინმეს მიერ ტატანისის შესახებ საკუთარი აზრების გამოთქმის ფაქტი. საამისოდ „მტკიცე" არგუმენტი აქვს მას. ილიას პერიფრაზი რომ ვიხმაროთ, ამას იმიტომ აკეთებს, რომ ტატანისი მისი სოფელია, რომ ის ტატანისელია, რომ ტატანისი, ე.ი. მისი სოფელია და ხელები შორს ტატანისისაგან. „ასე იმიტომ ვიქცევი, რომ, ჯერ ერთი, ტატანისი ჩემი მშობლიური სოფელია, ბავშობა და სიყმაწვილე იქ გამიტარებია და ალბათ არავისგან უნდა მესწავლებოდეს აქაურ ადგილთა სახელების სწორი წერა – წარმოთქმა, მეორეც – არ მინდა შეცდომაში შედიოდნენ „ტაძრების და სახელების" არა მარტო მკითხველები, არამედ მისი ავტორიც". დღეს ყველაფრის პრივატიზაცია ხდება, მაგრამ, ვფიქრობ, უხერხულია საანალიზო მასალის, ამ შემთხვევაში სოფ. ტატანისის ტოპონიმთა პრივატიზაცია. მისი აღწერის და კვლევის უფლება ყველას აქვს.

ახლა მოკლედ მოგახსენებთ რა შეცდომებზეა საუბარი. საქმე ეხება სამ ტოპონიმს და თავად ტატანისის ეტიმოლოგიას.

ავაზანთან დაკავშირებით მიმუშავია, ამიტომ, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, როდესაც იმოძღვრება ბატონი ვ. სამსონიძე, რომ ავაზნი **ტატანისური ტოპონიმია** და **ტატანისელებმა შეარქვეს** და როგორ გავბედე მე მის შესახებ რამის თქმა.

„მესხეთში ავაზანს აქვს კონკრეტული დანიშნულება. ის აუცილებლად უნდა იდგეს გამომდინარე წყაროს წინ. უნდა იყოს გათლილი ხისგან ან ქვისგან. როგორც წესი, ხის ავაზნები დროთა განმავლობაში ლპება, ფუჭდება და კვალიც იშლება. ხშირად

ხდება, რომ ასე გამქრალი ავაზნის ადგილას მხოლოდ წყარო დის, აღარ არის ავაზანი, მაგრამ ხალხი მაინც მას ავაზანს უწოდებს. ბოლოს და ბოლოს შრება წყაროც“ (მ. ბერიძე, ნასოფლარი ერკოტა, გვ. 75).

ავაზნის ეტიმოლოგია მ. ანდრონიკაშვილს ეკუთვნის. მისი აზრით ეს სიტყვა შემოსულია ქართულსა და სომხურში ჩრდილო ირანული დიალექტური წრიდან. სომხურში მას აქვს **ტბის, გუბის** მნიშვნელობა. შესულია სხვა ენებშიც და ყველგან წყალს უკავშირდება (მ. ბერიძე, ავაზანი სამცხის ტოპონიმიაში, ნასოფლარი ერკოტა, 2013, გვ.74-79) აღარაფერს ვამბობ ძველ ქართულში მისი მნიშვნელობის შესახებ: **„სიავი“, ქვაბი, აუზი, ემბაზი,** სულხან-საბასეულ განმარტებებზე, დიალექტურ მონაცემებზე და სხვა. ავაზანი გავრცელებული ლექსიკური ერთეული იყო სამცხე-ჯავახეთში, რომელიც სამწუხაროდ იკარგება თანდათან და მხოლოდ სპეციალურ ტერმინად თუ გამოვიყენებთ, ან ტოპონიმია შემოგვინახავს ხოლმე.

ვ. სამსონიძე ჩემზე წერს: „როცა ტოპონიმ **ავაზანას** ეხება, ერთგვარად **შეცბუნებულია**“ და ამის არგუმენტად მოჰყავს ციტატა ჩემი წიგნიდან: **„ავაზანა** მთის, საძოვრის სახელია, რა შუაშია ხის გეჯაო“ (აქ -ო უაზროდ ზედმეტია – მ. ბერიძე) არ ვიცი ჩემი შეშინებულ-შეცბუნებული მდგომარეობა რატომ ფიქსირდება ამ ციტატით. მე მკითხველს ვუჩვენე რომ **ავაზანი** დაერქვა მხოლოდ წყაროს, ხოლო ავაზან-ა, ა-ს მატოპონიმებული ფუნქციის გამო შეიძლება დაერქვას მის გარშემო ტერიტორიებს. ეს ასეც არის მოცემულ შემთხვევაში. განსაკუთრებით „შთამბეჭდავია“ ბატონი ვ. სამსონიძის მსჯელობა, როდესაც იგი იჭრება ლინგვისტიკაში და აკეთებს აკვიატებულ დასკვნებს. მოვიყვან ციტატას ჩემი წიგნიდან: „ავაზანი ტატანისში კიდევ ერთ კომპოზიტურ სახელში გვხვდება – **ოთხავაზები.** ასე ჰქვია წყაროსა და მის გარშემო ყანებს. შინაარსი ასე უნდა აიხსნას: რადგან რიცხვითი სახელი ურევია, ოთხი გეჯა – ყოფილა. ეს აშკარაა, მაგრამ მაშინ ქართულისათვის უცნაური ფორმა იქმნება. რიცხვითი სახელი და მრავლობითი რიცხვი? ოთხ ავაზნებში ეს -ებ მრავლობითი რიცხვის ნიშანი ავაზნების რაოდენობას, მის სიმრავლეს არ ასახავს.... თავიდან წყაროსთან იდგა ოთხი ავაზანი (გეჯა) ამიტომ **ოთხავაზანი დაერქვა** წყაროს, მოხდა

ჩვეულებრივი მეტონიმია, როდესაც წყაროს სახელი გადავიდა ყანაზე, მაგრამ ყანა ერთი არ იყო, ამიტომ ყანების **სიმრავლე გამოიხატა -ებ-ის საშუალებით. ასე მივიღეთ ქართულისათვის უცნაური ფორმა – რიცხვითი სახელი, არსებითი სახელი და მრავლობითი რიცხვი.**"

ბატონი ვ. სამსონიძე გამარჯვებული და გახარებული აფრიალებს ჩემს „შეცდომას," რიცხვით სახელთან ერთად -ებ-იანი მრავლობითი რომ უცხოა ქართულისათვის და იქვე მოჰყავს ცნობილი მაგალითები: „გუშინ **შვიდნი** გურჯანელნი", **„ორნი** წაველით საომრად." ეს ორივე მაგალითი, რა თქმა უნდა, უადგილო და უხერხულია. აქ არის ძველი მრავლობითი და არა -ებიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო: **„გუშინ შვიდი გურჯანელები წავედით"**, ან **„გუშინ შვიდები გურჯანელები წავედით"**. ასევე უნდა ყოფილიყო მეორე მაგალითის დროსაც: **„ორები წავედით საომრად"**. ასეთი მარგალიტები იფრქვევა ჩემი ოპონენტისაგან.

ავაზანი მხოლოდ გეჯა არ არის, იგი სარიტუალო დანიშნულების ჭურჭლად გამოიყენებოდა არა მხოლოდ ქრისტიანობის ჟამს, არამედ წარმართობის დროს. მოვიყვან აპოკრიფული ლიტერატურიდან მ. ანდრონიკაშვილის მიერ დამოწმებულ ციტატას: „ედგა თორნესა **ავაზანი დიდი; და მას ზედა დაკლიან კაცნი და შთადონ სისხლი იგი მათი მას ავაზანსა და აღმოიღებედ მას სისხლისაგანსა და სუმმედ** და მიიხუნედ კაცნი იგი და მომწყდარნი დასხნეს მას **ავაზანსა**" (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანული-ქართული ურთიერთობებიდან, I, 1966 წ. გვ. 2018). ავაზნები, რომლებშოც ადამიანთა სისხლს აგროვებდნენ და შემდეგ მიირთმევდნენ, ჩვენამდე შემორჩა ჯავახეთში.

კიდევ უფრო გაუგებარია ვ. სამსონიძის გააფთრებული შემოტევა ქუმის ეკლესიასთან დაკავშირებით. მინდა კატეგორიულად განვმარტო: არ ვედავები **ქუმის, ხომის, ხომას** და ა.შ. ტოპონიმებთან დაკავშირებით ოპონენტს.

ქუმის ეკლესია, ხომი და ხომელი ვ. სამსონიძის სავიზიტო ბარათია და ამაში დავეთანხმე არაერთგზის. იმ სტატიაში, რომელშიც ვ. სამსონიძეს **ეჩვენება,** რომ ქუმის ეკლესიის **ნამდვილ** სახელად ვასახელებ **გუმის ეკლესიას,** ვწერთ: „დღევანდელი

ქუმის ეკლესიის ლოკალიზაცია, ისტორია და სახელის ეტიმოლოგია მოგვცა მკვლევარმა ვ. სამსონიძემ. მანვე დაუკავშირა ვახუშტი ბატონიშვილისეული გუმბათიანი მონასტერი, წნისის ხეობისა, „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის მოსე ხონელს“..... **„ვ. სამსონიძე** ჩამოთვლის იმ ტოპონიმებს, რომლებიც დაკავშირებულია **ქომის//ქუმის//ხომის** ეკლესიასთან“... **ქუმის, ქომის და ხომის დაკავშირება სრულიად ლოგიკური ჩანს,**. თუ რამ განაპირობა ასეთი ფონეტიკური ცვლილება, ჯერჯერობით უცნობია..... **ხომის ვ. სამსონიძისეული ეტიმოლოგია დამაჯერებელია“.**

ვფიქრობთ მეტი მხარდაჭერა ოპონენტის მოსაზრებისა წარმოუდგენელია. ის კი რატომღაც გამოეკიდა პარალელურ ფორმას ქუმის ეკლესიისა.

1977 წელს 80 წლის ინფორმატორისაგან ჩაწერილი **გუმის ეკლესია** არ დავკარგე და მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს ვერ დავადასტურე, პარალელურ ფორმად მოვიხსენიე. ალბათ ბატონ ვ. სამსონიძეს ერთი სული ჰქონდა, როგორმე მოსე ხონელამდე მისულიყო, მივიდა, დაიწყო მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც პირველად დააფიქსირა **ხონელის** ნაცვლად **ხომელი** და ხელახლა მოგვიყვა სად, როდის, რა წაიკითხა და ვინ როგორ მოუწონა დღემდე. არა და, როგორც მოგახსენეთ, მე მას ეს აზრი იმავე წერილში მოვუწონე. სამწუხაროდ ოპონენტი პოზიტიურს ვერაფერს ხედავს სხვათა ნათქვამში. როგორ გავბედე, რომ დავაფიქსირე **გუმის ეკლესია**!!! კარგია ხომელობა, კარგია ტატანისეულობა, მაგრამ უხერხულია, სხვათა აზრების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება.

რაც შეეხება **დოლორას,** ვივარაუდე, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დოლონა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დავინახოთ გვარში – დოლონაძე.

რ – ნ მონაცვლეობა შეუძლებელი არ არის, თუნდაც სამცხეჯავახეთის ტოპონიმიაში. მაგალითად: ტოპონიმ **ორგორის** პარალელურ ფორმად გვხვდება **ონლორა.** შეიძლება სხვა მაგალითებიც **დაიძებნოს.** რა თქმა უნდა, არაპროფესიული განაცხადია, როდესაც ოპონენტი წერს, რომ „დოლონას და დოლონაძეს არაფერი საერთო არ აქვს“, საამისო არგუმენტები მას არ მოჰყავს, არც იმას ამბობს, რომ დოლორა ერთადერთი ფორმაა და არ

არსებობს დოლონა. რომც დაიჟინოს, ეს მასალა ბევრად ადრე, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მაქვს ჩაწერილი. რაც შეეხება მის აზრს, რომ „დოლორა ზანიზმი ინდა იყოს“, სერიოზული მტკიცება სჭირდება. მით უმეტეს ტატანისის **პანტიანის** თუ **ყანის** სახელის **დიღვირთან** დაკავშირება სოლიდურ მუშაობას მოითხოვს ონომასტიკოსისაგან.

რადგან ამ სამი ტოპონიმის შესახებ მე არც კატეგორული ვყოფილვარ და არც რაიმე განსაკუთრებული აზრი გამომითქვამს ისეთი, ბატონი ვ. სამსონიძის აგრესია რომ გამომეწვია, ამიტომ ლოგიკურია ვიკითხოთ: აბა, რაშია საქმე? სად მარხია ძაღლის თავი? ვფიქრობ ოპონენტისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ჩვენეული ეტიმოლოგია ტატანისისა. ჩვენი აზრი ასეთია: „ტატანისისათვის ამოსავალია **ტატანი,** რომელიც ფორმდება **-ის** დაბოლოებით, ისევე, როგორც ტატნობისათვის არის ძირეული სახელი **ტატანი,** ოღონდ ამ შემთხვევაში წარმოქმნილია **-ობ** დაბოლოებით, რომელმაც გამოიწვია ფუძის რედუქცია“ (მ. ბერიძე, ტაძრები და სახელები, 2010წ. გვ.180) მკითხველს არ შევაწყენ არგუმენტების მოხმობით, რასაც წიგნში რამდენიმე გვერდი უკავია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ნამდვილად არ შეიძლება, არსებობდეს მიწის და ცის ტატნობი. **ტატნობი** მხოლოდ შეიძლება ჰქონდეს ცას. ტატანისის ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას ვ. სამსონიძე წერს: „მიგვაჩნია, რომ სოფლის დასახელება მიღებული უნდა იყოს **„ტატნობი“** - სიტყვიდან, და რომ „ტატნობი“ უნდა ვუწოდოთ არა მხოლოდ „ცის კამარას, ცის თაღს, ცას.“ არამედ მიწის სწორ ზედაპირსაც. სწორედ ასეთ ჰორიზონტზე იყო გაშლილი წინათ სოფელი ტატანისი, ახლა რომ **„ვერანა ტატანისი“** ჰქვია“ (გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ 2006 წლის მაის), იძულებული ვარ დამატებით მივუთითო ციტატის ავტორს შემდეგ უზუსტოებათა შესახებ: **ტატანისი** არ შეიძლება მიღებული იყოს ტატნობი სიტყვიდან, რადგან ორივე (ტატანისი და ტატნობი) მიღებულია ტატან ფუძიდან, ერთი **-ის** სუფიქსით და მეორე **-ობ** სუფიქსით. შორს წაგვიყვანს იმაზე მსჯელობა თუ რა განსხვავებაა ამ ორ სუფიქსს შორის და რას როდის დაერთვის თითოეული მათგანი. ტატნობს ვერ ვუწოდებთ მიწას. არ შეიძლება ითქვას მიწის ტატნობი. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს ოპონენტის ციტატიდანაც, როდესაც იგი წერს: „სწორედ ასეთ **ჰორიზონტზე**

იყო გაშლილი წინათ სოფელი ტატანისი“, თუ მიწა და ცა ერთნაირად შეიძლება აღიქვას ადამიანმა, **ჰორიზონტის** ნაცვლად ავტორი იხმარდა ტატნობს და წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: „სწორედ ასეთ **ტატნობზე** იყო გაშლილი წინათ სოფელი ტატანისი“. – ეს კი ღიმილის მომგვრელი იქნებოდა. მთავარი მაინც ის მგონია, რომ ცის თაღი ჩვენს ოპონენტს სწორხაზოვან ობიექტად წარმოუდგენია. თაღი კამაროვანია, რკალისებურია, ხოლო სწორი ზედაპირი სხვა რამეს ნიშნავს.

ავტორს ტატანელი და ტატანისელი ერთი და იგივე ფორმა ჰგონია: „ტატანელი, რა თქმა უნდა, გვარი არ არის, სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა და ნიშნავს ტატანისელს, ისევე „როგორც თბილისელი – თბილისელს, ქუთაისელი – ქუთაისელს, ბოლნისელი – ბოლნისელს, ურბნისელი – ურბნისელს“ (გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, 2006 წ. მაისი) წერს იგი. თბილისელი აბა რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა თბილისელს? იგივე ითქმის ქუთაისელზე, ურბნისელზე და სხვა. მაგრამ ონომასტიკოსისათვის, ვინც წარმომავლობისა და გვარის საკითხებს იკვლევს, ტატანელი და თბილისელი ერთ დონეზე არ განიხილება. მაშინ, როდესაც ტატანელი მოღვაწეობდა **ტატანისელი** წარმომავლობის აღმნიშვნელ ფორმად არ გამოიყენებოდა ისევე, როგორც არ შეიძლებოდა თბილისელის ურბნისელის და ა.შ. თქმა. **ტატანელის** შესაბამისად უნდა გვეთქვა: **თბილელი, ურბნელი, ქუთათელი, ბოლნელი** და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ წარმომავლობა არ აღინიშნებოდა, რაც კარგად ჩანს ეპარქიათა დასახელების ტიტულარტორის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში. აღნიშნული ფორმები დღეს გამოიყენება ჩვენი საპატრიარქოს ადმინისტრაციულ სტრუქტურაში.

როდესაც **-ელ** სუფიქსი დაერთვოდა ნაგენეტივარ სახელებს (თბილისი, ბოლნისი, ურბნისი), ჩამოსცილდებოდა **-ის** დაბოლოება. გარდა სადაურობის აღნიშვნისა, **-ელ** სუფიქსს ჰქონდა კუთვნილების ფუნქციაც.

ჩვენს პუბლიკაციაში თავი შევიკავეთ ბევრი უზუსტოებისაგან, რომელიც ახლავს ბატონი ვ. სამსონიძის ხსენებულ სტატიას. ამჯერადაც დავიდუმებთ და ვეხმაურებით მხოლოდ მისეულ ინტერპრეტაციებს ზოგიერთი აზრისა.

უნივერსიტეტის ოცდახუთწლოვანი იუბილე*

მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც საუნივერსიტეტო ცხოვრებით ცხოვრობს სამხრეთ საქართველო, ახალციხე, ახალქალაქი. ყველაფერი კი მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მისმა ახალგაზრდა მეცნიერებმა კურსი სამხრეთისაკენ აიღეს. დაუვიწყარია მაშინდელი დღეები,... უნივერსიტეტელი ახალგაზრდა განმანათლებლები დაიძრნენ სამხრეთისაკენ, ყველაზე შორეულ სოფელშიც შეაღწია ახალგაზრდულმა ენერგიამ. მერე იყო ტერასების აღდგენა, ხერთვისის რესტავრაქცია წლების განმავლობაში კიბერნეტიკის ინსტიტუტის მიერ, აწყური, ტამალის წმ. გიორგი, კუმურდოს ტაძრის გაწმენდა, უბრალოდ კოლმეურნეობებში სტუდენტთა საზაფხულო სემესტრები და მრავალი სხვა. დედაქალაქმა ხელახლა აღმოაჩინა მესხეთი, რომელიც ყოველთვის ჩვენი პატრიოტიზმისა და ეროვნული თვითმყოფადობის, ქართული კულტურის სათავეების სიმბოლო იყო.

ტაო-კლარჯეთის საგანმანათლებლო სკოლები, ადრე შუასაუკუნეებიდან მოყოლებული, ტონს აძლევდა ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას, შემდეგ რუსთველი და ისტორიული ქრონიკები... დიდ აღმავლობას დიდი დაცემა მოჰყვება ხოლმე.

ახალციხეში ბოლო წიგნები მე-20 საუკუნის დასაწყისამდე იბეჭდებოდა.

აი, ამ ტრადიციის ფონზე იშვა დიდი ეროვნული აღმავლობა მე-20 საუკუნის 70-იან-80-იან წლებში, რასაც შედეგად მოჰყვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის გახსნა 1990 წელს.

დღეს ალბათ კარგი იქნება გავიხსენოთ უკვე ისტორიული დოკუმენტის „საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება“ 1990 წლის 6 თებერვლის №1-2დ.

---

* 2015 წლის 16 ოქტომბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო შემაჯამებელ ღონისძიებაზე წარმოთქმული სიტყვის ვრცელი ვარიანტი. დაიბეჭდა „გულანში“, №18, 2015 წელი, გვ. 5-18.

რესპუბლიკის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის ახალი სასწავლო დანაყოფების შექმნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი გურამ ენუქიძე.

საქართველოს სსრ მოსახლეობის მიერ **წარმოებისაგან მოუწყვეტლივ** უმაღლესი განათლების მიღების ორგანიზაციის მიზნით, რესპუბლიკის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის რექტორატების წინადადებების გათვალისწინებით, კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. 1990 წლის 1 სექტემბრიდან გაიხსნას:

1.1. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტი **ქ. ახალციხეში** - სპეციალობებით: ქართული ენა და ლიტერატურა /30 კაცი/, ისტორია /30კაცი/, სოციალლური და ეკონომიკური დაგეგმვა /სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალიზაციით - 40 კაცი/

1.2. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფაკულტეტი **ქ. ბოლნისში** - სპეციალობებით: ქართული ენა და ლიტერატურა /35კაცი/, რუსული ენა და ლიტერატურა /35 კაცი/, ისტორია /35 კაცი/, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა /35 კაცი/.

1.3. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფაკულტეტი **ქ. ზუგდიდში**.

1.4. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი ახალციხის რაიონის დაბა **ვალეში;**

1.5. საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობა ბოგდანოვკის რაიონში /სოფ. **გორელოვკა/;**

2. დაევალოს საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის რექტორს /ამხ. გ. აგლაძე/ უზრუნველყოს ინსტიტუტის სასწავლო-ექსპერიმენტალური მეურნეობის შექმნა **დმანისის** რაიონში.

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მარნეულის **/კაზრეთის/** ფილიალმა;

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ფუნქციონირებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელ-საკონსულტაციო პუნქტი მარნეულის რაიონის ა. წერეთლის სახელობის **კოლმეურნეობაში**.

5. დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. რ. ხუროძეს ზემოთ აღნიშნული დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა.

საზოგადოების ყურადღებას მივაქცევ იმ ფაქტს, რომ ყველა დანაყოფი უნდა შექმნილიყო მხოლოდ **„ნარმოებისაგან მოუწყვეტლივ“**, ე.ი. დაუსწრებელი სწავლების ფორმა იყო ამ ბრძანებაში. ფილიალის არსებობის ერთი წლისთავზე ვწერდით: „თავიდანვე უნივერსიტეტის პოზიცია ამ საქმეში გამოკვეთილი იყო. თუ გვინდა გავამართლოთ მიზანი, რისთვისაც იხსნება უმაღლესი სასწავლებელი ახალციხეში, **აუცილებელია სწავლების დასწრებელი ფორმა.** განათლების მაშინდელ მინისტრთან საუბრით და ზეპირი შეთანხმებით გადავწყვიტეთ, მძიმე გზას დავდგომოდით – დაგვეწყო არაფრისგან, ჩამოგვეყალიბებინა ახალციხეში შესაბამისი დონის უმაღლესი სასწავლებელი“ (გაზეთი „მესხეთი“ №5, 1991 წ.). მინდა გავიხსენო მნიშვნელოვანი შეხვედრა ბატონ თემურ ხუროძესთან, რექტორი გახლდათ ბატონი ნოდარ ამაღლობელი, ხოლო ბატონი თემური იყო პრორექტორი და კურირებდა ჩვენს საქმეს.

გადაწყვეტილების შეუსაბამობა გახლდათ ის, რომ ახალციხეში სხვა დანაყოფებთან ერთად უნდა შექმნილიყო ფაკულტეტი სამი სპეციალობით.

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. ისტორია;
3. სოციალური და ეკონომიკური დაგეგმარება

კარგა ხნის მსჯელობისა და განსჯის შემდეგ გადაწყდა, ახალციხეში ჩამოყალიბებულიყო არა ფაკულტეტი, არამედ **ფილიალი** სამი მიმართულებით, რომელიც მალე სამ ფაკულტეტად იქცა და **დაუსწრებელი** სწავლების ნაცვლად სწავლების ფორმად ავირჩიეთ **დასწრებული.** ეს იყო ყველაზე სწორი გადაწყვეტა საკითხისა და სწორი გზის არჩევა.

აქვე შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის გარეთ გახსნილი ჩამოთვლილი დანაყოფებიდან, რამდენადაც მე ვიცი, ვერც ერთმა ვერ გაუძლო დროს და დღევანდლამდე მხოლოდ ჩვენ შემოვრჩით. თანაც ეს არ არის მხოლოდ შემორჩენა...

„ამავე სამინისტროს კოლეგიის №172 ბრძანებით განისაზღვრა ადგილი, სადაც უნდა მოთავსებულიყო უნივერსიტეტის

ფილიალი. შეერთდა ახალციხის №101 და №122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა ერთი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, დიდი წვალებით გამოთავისუფლდა საჭირო ფართობი" (გაზეთი „მესხეთი" №5, 1991 წ.). სიზუსტისათვის წარმოგიდგენთ ზემოთ მოყვანილი ბრძანების ტექსტს:

სახალხო განათლების სამინისტრო
ბრძანება №172 13. 04. 1990 წ.

ახალციხის №101 და №122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების გაუქმებისა და მათ ბაზაზე ახალციხის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის შექმნის შესახებ

ახალციხის №101 და № 122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები ფუნქციონირებენ ახალციხის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ბაზაზე. ორივე სასწავლებელი ამზადებს ერთსა და იმავე პროფესიის მუშათა კადრებს. იმის გამო, რომ ახალციხის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს არ ესაჭიროება იმ რაოდენობის მუშათა კადრები, რამდენიც მზადდება ყოველწლიურად ორივე სასწავლებელში მიღებული სპეციალობის მიხედვით, გაძნელებულია კურსდამთავრებულთა განაწილება და დამაგრება.

№122 პროფტექნიკური სასწავლებელი (ერთწლიანი სწავლების ვადით) გახსნილია №101 სასწავლებლის კომპლექსში. მას არ გააჩნია სპეცსაგნებში პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობების ჩასატარებლად სასწავლო სახელოსნოები, ლაბორატორიები და მანქანების ტექნიკური მომსახურების პუნქტი.

საქართველოს კპ ახალციხის რაიონულ კომიტეტსა და ახალციხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს მიზანშეწონილად მიაჩნია №101 და №122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის შეერთება და 101 სასწავლებლის სასწავლო კორპუსის **ერთ ბლოკში** განთავსდეს ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე

ვბრძანებ:

1. 1990 წლის 1 აგვისტოდან გაუქმდეს ახალციხის №101 და 122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები და მათ ბაზაზე შეიქმნას ერთიანი სასწავლო კომპლექსი და ეწოდოს ახალციხის

სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი (პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფლებით).

2. ახალციხის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნოს ყოფილი ახალციხის №122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ამხ. თ. სამსონიძე.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ყოფილი ახალციხის №101 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ამხ. კ. გელაშვილი საქართველოს კპ ახალციხის რაიონული კომიტეტის მიერ გადაყვანილია სხვა სამუშაოზე.

4. ეთხოვოს საქართველოს კპ ახალციხის რაიკომსა და ახალციხის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომს სასწავლებლების გაუქმების შედეგად გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობის საკითხის მოგვარება.

5. ახალციხის №101 და №122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობანი, მატერიალური ფასეულობა, მოსწავლეთა კონტიგენტი და სასწავლო მეურნეობები მთლიანად გადაეცეს ახლადშექმნილ ახალციხის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს.

6. ახალციხის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის სასწავლო **კორპუსის ბლოკში დროებით იჯარით განთავსდეს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილიალი.**

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ი. ისაშვილი):

- დააყენოს საკითხი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინაშე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის ახალციხის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში განლაგებასთან დაკავშირებით შენობა-ნაგებობის კაპიტალური შეკეთებისა და შიდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასაფინანსებლად 750 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ.

შეიტანოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების შეერთებასთან დაკავშირებით სათანადო ცვლილებები ამ სასწავლებლის 1990 წლის საწარმოო მაჩვენებლებში, საფინანსო და შრომის გეგმაში.

8. ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველომ (ამხ. რ. ბიწაძე) და ამავე სამინისტროს საპროექტო კანტორის დირექტორმა

(ამხ. თ. თავართქილაძე) ა/წ 15 აპრილამდე უზრუნველყონ გამოთავისუფლებული შენობა-ნაგებობების სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება.

9. ეთხოვოს ახალციხის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომს (ამხ. ო. შ. ჯინჭველაძე), გამონახოს სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაცია, პირდაპირი ხელშეკრულებით სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მომარაგება-გასაღების სამმართველოსთან (ამხ. გ. გოდერძიშვილი) ერთად უზრუნველყოს ზემოთხსენებული სამუშაოები საჭირო სამშენებლო მასალებით.

10. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველომ (ამხ. ზ. იანტბელიძე) უზრუნველყოს ახალციხის ყოფილი №101 და 122 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების ბალანსზე რიცხული მატერიალურ ფასეულობათა გადაბარების ორგანიზაცია.

11. ახალციხის №101 და 102 სასწავლებლებმა გაუქმების შემდეგ ბეჭედი და შტამპი გაანადგურონ არსებული წესის მიხედვით და განადგურების აქტი წარმოადგინონ სამინისტროს საერთო განყოფილებაში, ხოლო მკაცრი აღრიცხვის ბლანკები გადაეცეს ახლადშექმნილ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს.

12. აღნიშნული ბრძანების შესახებ ეცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილეს (ამხ. რ. ხუროძე).

საფუძველი: ახალციხის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 21 მარტის №335 და 337 მომართვები.

მინისტრი გ. ენუქიძე

სახალხო განათლების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე, რომელიც ჩვენ მოვიძიეთ, საინტერესოა უნივერსიტეტის ისტორიისათვის და ახალციხის საზოგადოებისათვის. მასში ჩანს თსუ ახალციხის ფილიალის გახსნისადმი სამხრეთ საქართველოს

ინტერესი და დამოკიდებულება. მიმართვებს ხელს აწერს ახალციხის მაშინდელი რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ოთარ ჯინჭველაძე**. ორივე მიმართვა ერთი და იმავე დღეს გახლავთ გაგზავნილი.

ახალციხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭო
აღმასრულებელი კომიტეტი
21 მარტი, 1990 №335
საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრს
ამხ. გ. ენუქიძეს

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქ. ახალციხეში №101, №122 პროფსასწავლებლების შეერთების შედეგად გამოთავისუფლდა №101 პროფტექსასწავლებლის ადრე კუთვნილი შენობა-ნაგებობები, გთხოვთ თქვენს თანხმობას აღნიშნულ შენობაში აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემაში არსებული ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასში გადასვლის თაობაზე.

ახალციხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს
აღმასკომის თავმჯდომარე: **ო. ჯინჭველაძე**

ახალციხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭო
აღმასრულებელი კომიტეტი
21 მარტი, 1990 №337
საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრს
ამხ. გ. ენუქიძეს

ახალციხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი გაცნობებთ, რომ ქ. ახალციხეში ფუნქციონირებს ორი სოფლის ტიპის №101 და №122 პროფტექსასწავლებელი, რომლებიც ყოველწლიურად ამზადებს 550-600-მდე კვალიფიკაციურ მუშას, რომლის სამუშაოზე მოწყობა და კვლავ სოფელში მათი დაბრუნება გაძნელებულია და სოფლის კადრებით განმტკიცების ნაცვლად ყოველწლიურად ვკარგავთ გარკვეული რაოდენობის მუშახელს, გამომდინარე აქედან, გთხოვთ ამ სასწავლებლების გაერთიანებას და მათ ბაზაზე იყოს მხოლოდ ერთი №122 პროფტექსასწავლებელი.

აღნიშნული გამოთავისუფლებული შენობები გამოიყენება **ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის შემდგომი ფორმირებისათვის.**

ახალციხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს
აღმასკომის თავმჯდომარე: **ო. ჯინჭველაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ხანი მიმდინარეობდა წინასწარი სამუშაოები, რომელშიც აქტიურად ვიყავი ჩართული. ვმუშაობდი ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში. ინტენსიური ურთიერთობა მქონდა ჩემს მშობლიურ კუთხესთან – მესხეთთან, ამიტომ შემთხვევითი არ იყო ფილიალის დირექტორად ჩემი დანიშვნის ბრძანება:

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №3/179

02. 28. 1990. ქ. თბილისი

§1

შეიქმნას ა/წ 16.02-დან თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი ქ. ახალციხეში შემდეგი სპეციალობით: ქართული ენა და ლიტერატურა (30 კაცი), ისტორია (30 კაცი), ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა (სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალიზაციით 40 კაცი).

§2

დაინიშნოს ა/წ 16.02-დან თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დირექტორად ტოპონიმიკის ს/კ ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი **მერაბ იოკიმეს ძე ბერიძე**, ხელფასი თვეში 325 მან.

§3

გადაყვანილ იქნას ა/წ 16.02-დან ტოპონიმიკის ს/კ ლაბორატორიის უფროსი მეც. თანამშრომელი მერაბ იოკიმეს ძე ბერიძე შემთავსებელი უფრ. მეც. თანამშრომლის 0,5 შტატში ს/წ 1.07-მდე, ხელფასით თვეში 150 მან.

საფუძველი: საქ. სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება №1-2 6.02.1990 წ.

რექტორი, აკადემიკოსი ნ. ამაღლობელი

მალევე ამ ბრძანებას მოჰყვა **სერგო მელიქიძის** სასწავლო ნაწილად დანიშვნის ბრძანება, №3/366 (16 მაისი, 1990 წ.) და მთავარი ბუღალტრის **რუსუდან სტეფანიანის** დანიშვნა, ბრძანება №3/485 (3 ივლისი, 1990 წ.).

თავიდანვე ავიღეთ ჩვენი მოღვაწეობის პრინციპად რეგიონის პრობლემებზე ფიქრი. სამცხე-ჯავახეთი მხოლოდ ახალციხე არ არის, მთელი 12 წელი მოვანდომეთ მუშაობას, რომ შექმნილიყო კიდევ ერთი დანაყოფი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა **ჯავახეთში, ახალქალაქში**, მართლაც უნივერსიტეტის რექტორის ბატონი როინ მეტრეველის აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით, მაშინდელი საქართველოს პრეზიდენტის **ედუარდ შევარდნაძის** თანადგომით 2002 წელს გაიხსნა კიდევ ერთი ფილიალი. კიდევ ერთ ისტორიულ დოკუმენტს მოვიყვან, რომელიც ნათლად ასახავს მაშინდელ დამოკიდებულებასა და განწყობას საუნავერსიტეტო განათლებისადმი სამცხე-ჯავახეთში:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება

№19 7. 02. 2002 წ.

ჯავახეთის რეგიონის განვითარების პერსპექტივების განხილვის საფუძველზე და პარლამენტის სათანადო კანონის შესაბამისად, თსუ დიდი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ:

1. გაიხსნას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალი **ქ. ახალქალაქში.**

2. ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნოს თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორი დოცენტი **მერაბ ბერიძე**.

ასვე დაევალოს სასწავლო-სამეცნიერო პროცესთან დაკავშირებული საორგანიზაციო საქმიანობის ოპერატიულად წარმართვა. მ.წ. მარტის თვიდან დაიწყოს ფუნქციონირება აბიტურიენტთა მოსამზადებელმა კურსებმა.

საფუძველი: თსუ სამეცნიერო საბჭოს 2001 წ. 2 ივლისის სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი№9).

რექტორი, აკადემიკოსი რ. მეტრეველი

ახალქალაქში ფილიალის გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მაშინდელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სიტუაცია ითხოვდა სწორი ნაბიჯების გადადგმას ამ მიმართულებით. ამიტომაც მოჰყვა ამ ბრძანებას პრეზიდენტის მილოცვა:

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის თანამშრომლებს

ქალბატონებო და ბატონებო, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით ჯავახეთის ფილიალის გახსნა საქართველოს სამეცნიერო-კულტურული ცხოვრების კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი და სასიხარულო მოვლენაა.

იმედი მაქვს, რომ ეს ახლად გახსნილი სასწავლო კერა, მესხეთის ფილიალთან ერთად, განსაკუთრებულ როლს შეასრულებს დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში, რაც კავკასიაში მშვიდობის დამყარების კიდევ ერთი გარანტი გახდება.

ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენი მეცნიერები არ დაიშურებენ ცოდნასა და ენერგიას, რათა ახალქალაქი იქცეს საუნივერსიტეტო ქალაქად.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ მნიშვნელოვან მოვლენას და მოგესალმებით ფილიალის ხელმძღვანელებს, პედაგოგებს, პირველკურსელებს, მთელი ჯავახეთის მოსახლეობას, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის მომავალი.

პატივისცემით
ედუარდ შევარდნაძე

ამ დღიდან მოყოლებული ახალციხის ფილიალი, რომელიც მესხეთის ფილიალის სახელით არსებობდა, უკვე აღარ ზრუნავდა მხოლოდ საკუთარ პერსპექტივაზე, განვითარებაზე. წინასწარ, წლების განმავლობაში იყო შემზადებული ჯავახეთში საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის საფუძველი.

ახალციხესა და ახალქალაქში პირველ რიგში იდგა კადრების პრობლემა. სისტემა, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა, დღესაც მუშაობს. თბილისიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები ჩამოდიოდნენ ახალციხეში, ხოლო ახალციხიდან ადიოდნენ ახალქალაქში. ჩვენი ავტობუსი დღესაც იმავე გრაფიკით მოძრაობს და რეისი არ ჩავარდნილა.

თანდათან მომზადდა ადგილობრივი კადრები. ეს 25 წელი იავარდით ვერ იქნებოდა მოფენილი და ამის ილუზია არც არასოდეს გვქონია. ურთულესი გზა გამოიარა ჩვენმა უნივერსიტეტმა ფილიალობიდან სახელმწიფო უნივერსიტეტამდე.

მის ნათელსაყოფად წარმოვადგენთ სამართალმემკვიდრეობის დინამიკას 1990 წლიდან დღემდე:

1990 წ. თსუ ახალციხის ფილიალი

2002 წ. თსუ მესხეთის ფილიალი

2007 წ. ახალციხის ინსტიტუტი

2009 წ. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

პარალელურად ყალიბდება ჯავახეთის ფილიალი

2002 წ. თსუ ჯავახეთის ფილიალი

2007 წ. ახალქალაქის უმაღლესი დაწესებულება კოლეჯი, რომელიც არსებობდა 2011 წლამდე.

2012 წელს სამთავრობო ბრძანებით ხდება ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ახალქალაქის კოლეჯის გაერთიანება და ყალიბდება **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.**

2014 წელს კი **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

ამგვარად, დღეს ჩვენი უნივერსიტეტი არსებობს ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებულ (70კმ) გეოგრაფიულ პუნქტებში ახალციხესა და ახალქალაქში. იგი არის თსუ მესხეთისა და თსუ ჯავახეთის ფილიალების სამართალმემკვიდრე.

უნივერსიტეტში არის 4 ფაკულტეტი

1. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
2. იურიდიული ფაკულტეტი;
3. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
4. ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი;

აქვე უნდა ითქვას, რომ ფაკულტეტები გამსხვილდა და მათში გაერთიანებულია ბევრი ისეთი მიმართულება, რომელიც მანამდე ცალკე ფაკულტეტი იყო. მაგალითად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დღეისათვის მიმართულების სახით არსებობს ყოფილი ფილოლოგიის, ისტორიის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკის, უცხო ენათა ფაკულტეტები.

ახალციხესა და ახალქალაქში ერთსა და იმავე სპეციალობებზე უხდებათ სტუდენტებს სწავლა, მაგრამ ეს არ არის საბოლოო სახე ჩვენი უნივერსიტეტისა. სამომავლოდ, უკვე მომავალი წლისათვის, ვგეგმავთ ერთი მსხვილი ფაკულტეტის გადატანას ახალქალაქში. საბოლოოდ ახალქალაქს ექნება თავისი ნიშა, გამსხვილებული მიმართულებები. განსაკუთრებით განვავითარებთ, როგორც სამეცნიერო, ისე სასწავლო პროცესებს პედაგოგიური მიმართულებით, კერძოდ, ბილინგური სწავლების ხაზით.

ჩვენი კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან რეგიონის ყველა უბანზე განათლებაში, საბანკო სისტემაში, ადმინისტრაციაში, ძალოვან სტრუქტურებში და სხვა.

ამ 25 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი დაამთავრა 7000 - ზე მეტმა სტუდენტმა. უნივერსიტეტს ბევრ მათგანთან აქვს დღესაც კავშირი, შექმნილია კურსდამთავრებულთა ასოციაცია. სამომავლოდ ეს კავშირი კიდევ უფრო გაღრმავდება და ვფიქრობთ, ერთად გადავწყვეტთ ჩვენი მხარის საჭირბოროტო პრობლემებს, რომელიც ძალიან ხშირად იცვლება და მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. ბაზრის შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია და ამიტომ საუნივერსიტეტო ტრადიციული სპეციალობების გვერდით დროის მოთხოვნების შესაბამისად იქმნება ახალი სპეციალობები. საამისოდ კარგი მაგალითია საჯარო მმართველობის მიმართულება იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც საჯარო სამსახურის მოხელეთა მომზადებას ემსახურება და

ერთ წელიწადში პირველი გამოშვება გვექნება. დღეს აქტუალური, პოპულარული სპეციალობები ხვალ შეიძლება ნაკლებ მოთხოვნადი იყოს, ამიტომ უნივერსიტეტი, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივ ცვალებადობაშია და დროის მაჯისცემას განსაზღვრავს.

საქართველოს ყველა კუთხე თავისებურია, ამა თუ იმ კუთხეში არსებობს შიდა საინტერესო სპეციფიკური საკითხები, რომლის განსაზღვრა და სწორი კვალიფიკაციაა საჭირო, რის შემდეგაც პროგრესი თვალსაჩინოა და თითოეული თავისებურება სასიკეთო სამომავლო ურთიერთობების საფუძველი შეიძლება გახდეს.

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. ეს, ისევე, როგორც მრავალკონფესიურობა, ჩვენი სიმდიდრეა. უნივერსიტეტი ამ შემთხვევაში კულტურათა, ტრადიციათა, ენათა კავშირებს სწავლობს და სახავს მათ სამომავლო თეორიულ თუ პრაქტიკულ პერსპექტივებს. სამცხე-ჯავახეთში სხვა ეროვნებებთან ერთად ორი ძირითადი ერი ცხოვრობს. ქართველებთან ერთად ჩვენს მხარეს აშენებენ სომხებიც, ამიტომ უნივერსიტეტისათვის ყოველთვის აქტუალური იყო ეს საკითხი. ჩვენ გვენდობა არა მხოლოდ ქართული, არამედ სხვა ეროვნებებთან ერთად სომხური მოსახლეობა. საბჭოთა პერიოდში ადგილობრივ, ერთად მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთათვის საურთიერთობო ენა იყო რუსული, ამიტომ ხშირად გვერდიგვერდ მცხოვრები ადამიანები გაუცხოებულები იყვნენ ერთმანეთისაგან.

უნივერსიტეტში დღეისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია (როგორც ახალქალაქში, ისე ახალციხეში) სომეხი სტუდენტობა, ისინი სწავლაში არ ჩამორჩებიან ქართველებს და წარმატებულნი არიან. ჩვენ ვზრდით საქართველოს მკვიდრ მოქალაქეებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის პატრიოტები არიან.

სერიოზულ ინტერესს იჩენენ ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ საქართველოს დეპორტირებული მოსახლეობის მემკვიდრეები, მესხები, რომელთაგან ერთი ჯგუფი უწყვეტი განათლების ცენტრში სწავლობს ქართულ ენას და მომავალ წელს სტუდენტები იქნებიან.

სტუდენტი ყველგან ერთნაირია, მთავარია, მათ ჩვენგან ჰქონდეთ სერიოზული ხელშეწყობა დღევანდელი ეკონომიკური და სოციალური გაჭირვების ფონზე.

ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტად ჩამოყალიბების შედეგად, უფასო სწავლების საშუალება აქვთ (სახელმწიფო დაფინანსებით) ეკონომიკის, ქართული ფილოლოგიის და ისტორიის მიმართულების სტუდენტტებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ სადოქტორო პროგრამის გაფართოების გზით ამ უფლებების კიდევ უფრო გამრავალფეროვნებისათვის, მაგრამ საჭიროა სხვაგვარი ხელშეწყობაც. ახალქალაქში უკვე აღვადგინეთ და საუკეთესო მდგომარეობაშია 200 კაციანი საერთო საცხოვრებელი. ასევე, საჭიროა გაკეთდეს საერთო საცხოვრებელი ახალციხეში, სადაც ჩვენს სიახლოვეს ინგრევა და ნადგურდება შენობები, აუცილებელია, ვიდრე არ დაგვიანებულა, გადმოგვეცეს ეს შენობები, რომ, როგორც ახალქალაქში, აქაც მოვახერხოთ მათი რეაბილიტაცია. ჩვენ ხომ ეს საცხოვრებელი ჩვენი მომავლისთვის, ქვეყნის მომავალი პატრონების აღზრდისათვის გვჭირდება. საკითხი არაერთგზის იქნა დაყენებული და იმედი გვაქვს ბოლოს და ბოლოს გადაწყდება.

ჩვენ კარგი ახალგაზრდობა გვყავს. საყოველთაო ჭეშმარიტებაა. რომელმა ქვეყანამაც განათლებაში ჩადო სამომავლო ინვესტიცია, დღეს მსოფლიოს წამყვან ქვეყნად მოიაზრება. განსაკუთრებული მადლობა ეთქმით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთაგან ბევრი უნივერსიტეტის გახსნის დღიდან მუშაობს უნივერსიტეტში. 90-იან წლებში ბევრს არ სჯეროდა, თუ შეიძლებოდა სამსახური ჰქონოდა სახლიდან დაშორებულ ადგილას, განსაკუთრებით 200 კილომეტრის მოშორებით. ჩვენმა უნივერსიტეტებმა ეს ტრადიცია დაამკვიდრა და დღევანდლამდე აგერ 25 წელია პროფესორები დადიან თბილისიდან ყოველკვირა. გვყავს შესანიშნავი ადგილობრივი კადრი. ჩვენივე კურსდამთავრებულები დღეისათვის წამყვან ადმინისტრაციულ და აკადემიურ თანამდებობებზე მუშაობენ, შეიქმნა საუნივერსიტეტო ინტელიგენცია, სტუდენტტური ოჯახები და სხვა.

დღეს განსაკუთრებული აღნიშვნაა საჭირო იმ მნიშვნელოვანი ფაქტორისა, რომ ბევრი ჩვენი თანამებრძოლი აღარ არის ცოცხალი, ისინი უნივერსიტეტის მშენებლობის გზაზე დაეცნენ,

წავიდნენ ამ ქვეყნიდან. გავიხსენებდი ზოგიერთ მათგანს. ისინი ჩვენი პროფესორებიც არიან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც: ომარ ზარნაძე, ჟულიეტა გეგეშიძე, ანჟელა კარაკაშიანი, ვასილ კუზიბაბაშვილი, გალინა წერეთელი, სულიკო ხმალაძე, ალექსანდრე ნებაძე, გივი ახვლედიანი, ვასილ კაკულია, ლალი კურტანიძე, დოდო გელაშვილი, ვალერი სილოგავა, გიორგი ხუტაშვილი, ოთარ ღამბაშიძე, კოტე კაკიტაძე, ია გეგეშიძე, ნინო ქაჯაია, ლია თათეშვილი, სოსო მახარაშვილი, მერუჟან აბრამიანი, ზურა ქუქჩიშვილი, სერგო მელიქიძე და სხვანი.

შრომას უქმად არ ჩაუვლია. დღეს 25 წელს ზეიმობს არა მხოლოდ ახალციხე, მთლად საქართველო, კიდევ ერთხელ მადლობას მოვახსენებ ყველა იმ ადამიანს, ვინც გვესტუმრა, დაგვაფასა და გაითავისა, გაინაწილა ჩვენი სიხარული, ვინც მოგვილოცა, დაგვაიმედა, ჩვენ ყველა გვეიმედება, რადგან დიდ საქმეს დიდი ძალისხმევა სჭირდება და ჩვენ თითოეული მათგანის იმედი გვაქვს.

1990 წლიდან ჩვენი უნივერსიტეტის მისიას ვხედავდით გიორგი მერჩულის სიტყვებში: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირიცხებისა, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების". ჭეშმარიტად!

„გულანის“ მომავლისათვის*

1990 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ჩამოყალიბებას თან მოჰყვა დედაუნივერსიტეტის ტრადიციების გადმოტანა ახალციხეში. ასე იყო, როდესაც ლიტერატურული საღამოების გამართვა დავიწყეთ ხუთშაბათობით, შევეცადეთ ოპონირებაც თანატოლებისგან ყოფილიყო, რეცეზენტობა გაგვეწია ახალდამწყები პოეტის ან პროზაიკოსისათვის ისევე, როგორც ეს თბილისში პოეზიის წრეზე ხდებოდა. მართალია „პირველი სხივის“ დონე ვერ შევთავაზეთ სტუდენტობას, მაგრამ მოხერხდა „ლიტერატურული ხუთშაბათების“ მცირე კრებულების და „სიტყვაჲს“ რამდენიმე ნომრის გამოცემა.

საუნივერსიტეტო ტრადიციების გაგრძელება და ფილიალში დანერგვა იყო რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების გამართვა, რომელთა ძირითადი მომხსენებლები თბილისის უნივერსიტეტის თუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები იყვნენ. ახალფეხადგმული უნივერსიტეტი ყოველთვის ცდილობდა, მოემზადებინა სამეცნიერო კადრები, ადგილობრივი სამეცნიერო ინტელიგენციის აღზრდა ადვილი არ აღმოჩნდა.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში კერძოდ, 1974 წელს ერთ კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფილოლოგიის ფაკულტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ინიციატივითა და **ბესიკ ჯორბენაძის** ხელმძღვანელობით შეიქმნა მუდმივმოქმედი „საენათმეცნიერო საუბრები“, რომელზეც უფროსი თაობის მეცნიერებთან ერთად მოხსენებებს კითხულობდნენ ახალგაზრდებიც. „საუბრებს“ სემინარის, დღევანდელი ტერმინოლოგიით, პრეზენტაციის სახე ჰქონდა. გამოირჩეოდა ცხარე კამათით, აზრის გამოხატვის თავისუფლებით. მახსოვს, როდესაც მე „საუბრებზე“ „ვარძიის ეტიმოლოგიისათვის“ წავიკითხე, თბილისში მყოფი **იან ბრაუნი** ესწრებოდა. შემდეგისთვის ძალიან გამომადგა ბატონი იანის მაშინდელი შენიშვნები თუ შეკითხვები. „საენათმეცნიერებო საუბრებს“ არ

* მოხსენდა „სამეცნიერო გულანის“ გაფართოებულ სხდომას პროფესორ სერგო მელიქიძის სახელობის აუდიტორიაში 2016 წლის 27 ოქტომბერს. დაიბეჭდა „გულანში“, №20, 2016, გვ. 5-17.

ახასიათებდა აუდიტორიის სიმრავლე. მას ესწრებოდნენ მხოლოდ საკითხით დაინტერესებული ადამიანები. არ იყო აუცილებელი, რომ მოხსენება ბოლომდე ჩამოყალიბებული, დასრულებული ყოფილიყო, მთავარი გახლდათ იდეა, რომლის გარშემოც იმართებოდა კამათი და აზრთა გაცვლ-გამოცვლა.

შემდეგ „საენთმეცნიერო საუბრებმა“ მთლიანად ენათმეცნიერების ინსტიტუტში გადაინაცვლა. სემინარზე წაკითხული მოხსენებები გამოვიდა კრებულების სახით: I კრებული – „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“ გამოვიდა 1978 წელს; ასევე – „ნარკვევები იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებიდან“ – 1980 წელს და „საენათმეცნიერო ძიებანი“ – 1983 წელს.

2005 წელს გარკვეული მოვლენების შემდეგ ჩამოვცილდი ადმინისტრაციულ საქმიანობას და გადავინაცვლე მთლიანად სამეცნიერო საქმიანობაში, მითუმეტეს, რომ მაშინ სერიოზული ვაკუუმი შეიქმნა ჩვენს უნივერსიტეტში ამ მიმართულებით. სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილების საფუძველზე მაშინდელი ხელმძღვანელობის თანხმობით შევქმენით „საენათმეცნიერო საუბრები“, 2007 წლის 15 მარტს დაიწერა თსუ მესხეთის ფილიალის მაშინდელი დირექტორის პროფესორ შ. ზაზაშვილის №19 ბრძანება თსუ მესხეთის ფილიალის ჰუმანიტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საენათმეცნიერო სემინარის – „საენათმეცნიერო საუბრები“ – დაარსების შესახებ ფილიალში სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ბრძანებაში ვკითხულობთ:

დაარსდეს თსუ მესხეთის ფილიალის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე რეგულარული საენათმეცნიერო სემინარი „საენათმეცნიერო საუბრები“.

სემინარის ხელმძღვანელობა დაევალოს პროფესორ მ. ბერიძეს.

საფუძველი: პროფესორ მ. ბერიძის განცხადება-პროექტი. სასწავლო და სამეცნიერო სამსახურის რეკომენდაცია.“

სემინარი იმავე მიზნებს ისახავდა, რასაც თბილისის უნივერსიტეტის „საუბრები“, ოღონდ ერთი განსხვავება იყო თვალშისაცემი, ახალციხურ „საენათმეცნიერო საუბრებში“ მონაწილეობის

სურვილი გამოთქვეს ლინგვისტების გარდა ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა, არქეოლოგებმა, ჟურნალისტებმა, პედაგოგიკის წარმომადგენლებმა და, რაც მთავარია, ლიტერატურის კრიტიკოსებმა და ლიტერატორის თეორიის პროფესორებმა. ამ პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა იდეის მოდიფიცირება და „საუბრების" გაფართოება. ასე შეიქმნა „საენათმეცნიერო საუბრების" ბაზაზე „სამეცნიერო გულანი", რომლის მიზანიც იყო არა მხოლოდ ენათმეცნიერების, არამედ ჰუმანიტარულ და სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლებისათვის საპრეზენტაციო კათედრის დათმობა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გარდა ხშირად მოხსენებათა წაკითხვის სურვილს გამოთქვამდნენ იურისტები, ფილოსოფოსები და ტექნიკური დარგის წარმომადგენლებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებაში ნათქვამი იყო: „საენათმეცნიერო საუბრების" ბაზაზე შეიქმნას „სამეცნიერო გულანი", რომელზეც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მოხსენებები იქნება მოსმენილი" (ბრძანება №9, 2007 წლის 15 ოქტომბერი. ინსტიტუტის რექტორი პროფესორი **თ. გელაშვილი**). „გულანზე" (როგორც მას შემოკლებით ვეძახით) იმდენი მოხსენება დაგროვდა, რომ დღის წესრიგში დადგა შესაბამისი კრებულის გამოცემის საკითხი.

2007 წლის 19 ნოემბერს მივმართე შემდეგი განცხადებით რექტორის მაშინდელ მოვალეობის შემსრულებელს პროფ. **რ. ზედგინიძეს:**

„ინსტიტუტში სამეცნიერი მუშაობის გაუმჯობესებისათვის რექტორის 2007 წლის 15 ოქტომბრის №9 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა „სამეცნიერო გულანი", რომელზეც ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები კითხულობენ მოხსენებებს.

„სამეცნიერო გულანის" სხდომები ტარდება ყოველ ხუთშაბათს. გავლილი დროის მანძილზე წაკითხულ იქნა მოხსენები და ჩატარდა კონფერენცია. სამეცნიერო საქმის სტიმულირებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წაკითხული მოხსენებები ჩაითვალოს საკონფერენციო სიტყვის მოსაზადებულ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობად.

„სამეცნიერო გულანზე“ ინსტიტუტის თანამშრომლები კითხულობენ მაღალი დონის მოხსენებებს, ამიტომ საჭიროა მათი კრებულის სახით გამოცემა. შესაბამისი დაფინანსება ჩადებულია ბიუჯეტის ჩვენ მიერ შემუშავებულ 2008 წლის პროექტში“.

2007 წლის 19 დეკემბერს გამოვიდა შემდეგი ბრძანება (№28, რექტორი პროფესორი **თ. გელაშვილი**):

„1. „სამეცნიერო გულანზე“ წაკითხული მოხსენებები ჩაითვალოს საკონფერენციო სიტყვის მომზადებად და სამეცნიერო-კვლევით მუშაობად;

2. „სამეცნიერო გულანზე“ წაკითხული მოხსენებები გამოქვეყნდეს კრებულში “გულანი“;

სამეცნიერო შრომების კრებული „გულანი“ გამოვიდეს სასწავლო წელში 2-ჯერ“.

ასე დაიწყო „გულანის“ გამოცემა 2008 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებით წელიწადში 2 ნომერი უნდა გამოსულიყო მხოლოდ, სარედაქციო კოლეგიის ინიციატივით და საქმის სიყვარულით წელიწადში ოთხი ნომერი გამოვიდა.

პირველი სარედაქციო კოლეგია ასე გამოიყურება:

მერაბ ბერიძე (თავმჯდომარე)

თინა იველაშვილი

ვალერი სილოგავა (თავმჯდომარის მოადგილე)

ტარიელ სიხარულიძე

ნესტან სულავა

მდივანი იყო **მარინა ბაბლუანი**

სხვადასხვა დროს, ჩამოთვლილთა გარდა სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ: **როინ ყავრელიშვილი, ნანა გოგოლაშვილი, რომან გოგოლაური, მარინე შონია.**

მდივნები: **მაკა ბერიძე, ნინო დობორჯგინიძე, მარეხ ოქრომელიძე, მანანა იოსელიანი**

პირველი ნომრის შესავალ წერილში რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი პროფ. თ. გელაშვილი წერდა: „ახალციხის სახელმწიფო ინსტიტუტი აგრძელებს სამეცნიერო-საგამომცემლო ტრადიციას, რომელიც შეიქმნა წლების განმავლო-

ბაში. თსუ მესხეთის ფილიალში მრავალი წიგნი გამოიცა, რომელთა მიზანი, ძირითადად, რეგიონების ინტერესებზე ფიქრი, განსჯა და ზრუნვა იყო. მათ შორის გამოვყოფდი „მესხეთს“, „ასპინძას“, „ჯავახეთს“ და სხვებს, რომლებიც მიიღო და გაითავისა მკითხველმა“

„გულანის“ დიზაინი ეკუთვნის **გიორგი ბაგრატიონს**. პირველი 8 ნომერი იბეჭდებოდა თბილისში, გამომცემლობა „ნეკერში“. დანარჩენი ნომრები გამოვიდა ჩვენს სტამბაში. თორმეტივე ნომერმა ლარისა გურგენიძისა და ლია გზირიშვილი-ზედგინიძის ხელში გაიარა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც გვიჭირდა, დადგა დაფინანსების პრობლემა, მაგრამ გულანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დავძლიეთ ეს საკითხიც და 2009 წლის პირველი ნომერი ავტორთა ხარჯით (დაფინანსებით) გამოვიდა.

2011 წელს მე-11 ნომერი გამოვიდა განსხვავებული ფორმატით. „სამეცნიერო გულანზე“ წაკითხული მოხსენებების ნაცვლად მასში დაიბეჭდა 2011 წლის 12 ოქტომბერს ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში **მიხ. თამარაშვილის** 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები.

ღირს ალბათ გავიხსენოთ 2008 წლის „გულანის“ პირველი ნომრის ავტორები, რომლეთა ძირითადი ნაწილი დღესაც ერთგული გულანელია: **არინა ბერიძე, მერაბ ბერიძე, შორენა გაბოშვილი, ქეთევან გრძელიშვილი, მაია ივანიძე, მაკა კაჭკაჭიშვილი, მარეხ ნათენაძე, ვალერი სილოგავა, ტარიელ სიხარულიძე, ნესტან სულავა, მაია ქუქჩიშვილი.**

უნივერსიტეტსა და ქვეყანაში იცვლებოდა სიტუაციები, შეხედულებები, დამოკიდებულებები, მაგრამ „სამეცნიერო გულანი“ და „გულანი“ ერთგულად ემსახურებოდა თავის ქვეყანას, თავის უნივერსიტეტს, მეცნიერებას და, რაც მთავარია, ახალგაზრდა მეცნიერთა დასპეციალებას, პროფესიონალიზმის სრულყოფას. ხუთშაბათი დღე იქცა „გულანის“ დღედ. ჩვენი თანამშრომელთა დიდი ნაწილი, ვინც თბილისიდან დადიოდა, თავის სამუშაო გრაფიკს „გულანის“ სხდომების მიხედვით აგებდა. იყო ერთი „შეთქმული“ შეთანხმებაც, როდესაც მე, ვალერი სილოგავამ და ნესტან სულავამ გადავწყვიტეთ, ყოველ ნომერში დაგვებეჭდა

სტატია. ვალერიმ სიკვდილამდე შეასრულა სიტყვა, „შეთქმულებას“ აგრძელებს ნესტანიც, მე კი ბოლო ნომერში (№19) ვუღალატე მათ. ამით იმის თქმა მინდა, რომ „გულანში“ მოღვაწეობა ჩვენი უნივერსიტეტის გარკვეული ნაწილის ცხოვრებისეულ პრინციპად იქცა.

პირველი ნომრის ავტორებს შემდეგ ნომრებში შემოუერთდნენ: **მედეა ბურდული (უერთგულესი გულანელი), ციური ლაფაჩი, გიორგი კვინიკაძე, სერგო მელიქიძე, ვახტანგ ინაური, გულიკო ჯანოვა, ირმა ქურდაძე, თინა იველაშვილი (როგორც ავტორი), ალექსანდრე ლეკიშვილი, ვერიკო მოდებაძე, ქეთევან სალაღაია, როლანდ ქურდაძე, იზა ჩანტლაძე, ირინა ჯიშკარიანი, ლალი ბერიძე, ეთერ მელქაძე, ნანა გოგოლაშვილი, ნატო ყრუაშვილი, ნანა ტალახაძე, ინგა ლუტიძე, მარინე შონია, უჩა ბლუაშვილი, ნათელა ნაცვლიშვილი-ბერიძე, თამარ მათიაშვილი, ასმათ ევსაია, დოდო ქუმარეტაშვილი....** სულაც არ არის შემთხვევითი, რომ მასში აქტიურობდა და აქტიურობს ჩვენივე კურსდამთავრებულების, ან თითქმის მათივე თანატოლები – „ახალი თაობა“.

დალი ბეთხოშვილი, მარეხ ნათენაძე, ლამზირა კობაიძე, როინ ყავრელიშვილი, მერი თათეშვილი, იამზე მსხვილიძე, მარეხ ტატალაშვილი, თეა გოგოლაძე, ნათია მაისურაძე, ედიშერ ნარიმანიძე, მაია ბალასანიანი, დოდო გელაშვილი-ბერიძე, რომან გოგოლაური, ნანა ბალახაშვილი, ვასილ მოსიაშვილი, ლელა წითაშვილი, ზურაბ ქუქჩიშვილი, სოფიკო გვარამაძე, დარეჯან ჯუჯუნაძე, თეა თათენაშვილი, მარიანა ბალასანიანი, ნათელა მელიქიძე.

„გულანში“ მხოლოდ ჩვენი უნიუერსიტეტის სამეცნიერო წრე არ იყო წარმოდგენილი. მასში სხვადასხვა დროს იბეჭდებოდნენ: **ბონდო არველაძე, ლია ახალაძე, ბაკურ გელაშვილი, ნუგზარ ბარდაველიძე, ანზორ თამარაშვილი, მურმან პაპაშვილი, თამაზ სანიკიძე, ელგუჯა კოპაძე, გიორგი გოცირიძე, გიორგი მაისურაძე, ბესიკ გაფრინდაშვილი, ლია ქიტიშვილი, რუსუდან ზაზაძე, ალექსანდრე მღებრიშვილი, გიორგი სოსიაშვილი, ნინო მეგენეიშვილი (დოქტორანტი), ციცინო მავზარაშვილი, გიორგი ხორბალაძე, ნანა გონჯილაშვილი, იოსებ ელიზბარაშვილი, ალექსანდრე მღებრიშვილი, ეკატერინე გოგიაშვილი, გრივერ ფარულავა, ზიზი**

თორთლაძე, მამუკა ბერიაშვილი. სტუდენტები: **მარიამ კაპანაძე, ჯულიეტა ელბაქიანი.**

მას შემდეგ, რაც გამოვიდა „გულანი“ საზოგადოებაში, სამეცნიერო წრეებში გაცხოველდა ინტერესი სათაურის შესახებ. რატომ გულანი? ჩემთვის ამ სახელით ცნობილი იყო ბევრი სხვადასხვა ტიპის კრებული, მისი ისტორიული და სასულიერო წიგნთა დანიშნულება, როდესაც სათაურს ვარჩევდით და სწორედ ამიტომაც შევჩერდით მასზე.

სულხან-საბასეულის განმარტება - „გულთ სანდომად შეკრებილი წიგნი“ - სრულიად საკმარისი იყო, რომ გაგვემართლებინა ჩვენი არჩევანი, მაგრამ გაზრდილი ინტერესის გამო ქალბატონ **ნესტან სულავას** ვთხოვე, დეტალურად შეესწავლა საკითხი და მანაც ჩვეული ერთგულებითა და პროფესიონალიზმით მოამზადა სტატია – „გულანი“ - არსი და დანიშნულება“ (გულანი, 3(7), 2009წ.), რომლის შემდეგაც გაჩნდა კრებულის გარეკანზე ასეთი განმარტება: **„გულანი** - საღვთისმეტყველო წიგნთა (სახარება, საქმე მოციქულთა, ეპისტოლენი, თვენი, მარხვანი, ზატიკი, საწინასწარმეტყველო, ფსალმუნი, ჟამნი, სვინაქსარი, ტიპიკონი...) ერთიანი დიდი კრებული, რომელიც მხოლოდ ქართულ ეკლესიას მოეპოვება“.

გულანის საღვთისმეტყველო ხასიათი ჩვენს შემთხვევაში პირობითია. რა თქმა უნდა, ეს არის მხოლოდ სათაურისა და სიტყვის, როგორც ლექსიკური ერთეულის ისტორია, რადგან ჩვენ არ გვქონია მიზნად აღგვედგინა მისი თავდაპირველი მნიშვნელობა და დანიშნულება.

სიტყვის ორივე ნაწილი ქართული ენისა და ისტორიის უძველეს შრეებს მიეკუთვნება. თავისთავად **გული**, რომელიც სითბოს, სიყვარულს, სიცოცხლის, მოძრაობის, ერთგულების და სხვა მსგავსი სემანტიკის მატარებელია, გაფორმებულია ასევე უძველესი ქართველური **-ან** სუფიქსით, რომელსაც ასევე „ურთიერთშორის მჭიდროდ დაკავშირებული“ მნიშვნელობა აქვს და გამოხატავს: **კრებითობას, მრავლობას, კორპორაციულიბას, თვისების ქონებას** (კითხვაზე რიანი?), **წარმოშობა სადაურობას** და ა.შ. (ს. ჯანაშია, თუმალ, თამალ ტიმანური, იბერი. შრომები, III, 1959, გვ. 34).

ამიტომაც იყო, რომ თუ თავდაპირველად ეს სიტყვა გამოყენებული იყო საეკლესიო შინაარსის წიგნების აღსანიშნავად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მან მთლიანად საერო სფეროში გადაინაცვლა და ამ სახელით მრავალი კრებული გამოვიდა: „კრიტიკული გულანი“ **(აკ. ბაქრაძე)**; „მცირე გულანი“ **(რ. მეტრეველი)**; „გულანი“ ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომების კრებული; „ონომასტიკური გულანი“ **(ბ. ჯორბენაძე)**, რომელთაც დაემატა ჩვენი „სამეცნიერო გულანი“, როგორც სემინარი და შრომების კრებული „გულანი“ (ნ. სულავა).

სახელწოდებამ საშუალება მოგვცა გაგვეერთიანებინა არა მხოლოდ ერთი რომელიმე, ამჯერად ლინგვისტური ან საერთოდ ჰუმანიტარული მეცნიერებანი, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა დარგები და მიმართულებანი.

ისტორიკოსებს, ლინგვისტებს, ლიტერატურათმცოდნეებს, ეთნოლოგებს, ფოლკლორისტებს, ონომასტიკოსებს სულაც არ მიაჩნიათ ერთმანეთის სპეციალობებში სამეცნიერო მოხსენებების მოსმენა ზედმეტად, ამიტომ პრინციპი, რომელიც წინასწარ წაკითხული მოხსენების დაბეჭდას ითვალისწინებს, დღესაც აქტუალური და საფუძველია გულანელებისათვის.

2015 წელს გადავწყვიტეთ „გულანის“ რეორგანიზაცია თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, რის გამოც გაკეთდა რამდენიმე პრეზენტაცია და დაიბეჭდა პასუხისმგებელი მდივნის **მ. კაჭკაჭიშვილი-ბერიძის** – სტატია „გულანში“–სამეცნიერო სტატიების წარმოდგენისა და გამოქვეყნების ახალი სტანდარტები“ („გულანი“, 18, 2015, გვ. 264-272). ამ სტანდარტებით უკვე მომზადდა და გამოქვეყნდა მე-19 ნომერი კრებულისა. ასევე მზადდება მე-20 ნომერი.

ახალი სტანდარტების შემოღებამ დღის წესრიგში დააყენა ძველის, ტრადიციულის შენარჩუნების საკითხი, მაგრამ ახალი იმას ნიშნავს, რომ ძველი უკვე განვლილი ეტაპია, დასრულებული ფაქტია, ამიტომ მისი იმავე სახით გაგრძელება, როგორც იყო, უაზრობა იქნებოდა, ამიტომაც „გულანის“ ტრადიცია ბეჭდვით ნაწილში გააგრძელა მისმა განაყოფმა, ახალმა ყოველთვიურმა ლიტერატურულმა, სამეცნიერო-პოპულარულმა და საზოგადოებრივმა ჟურნალმა „არავმა“, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩვენს უნივერსიტეტს, სწორი მენეჯმენტის

შემთხვევაში, აქვს დიდი სამეცნიერო–ლიტერატურული პოტენციალი. „არავის“ ათი ნომერი უკვე გამოვიდა და გარკვეული პოპულარობა მოიპოვა საზოგადოებრივ წრეებში. აგრძელებს გულანელების მიერ დაწყებულ საქმეს.

მინდა საზოგადოებას მოვახსენო კიდევ ერთი სიახლე, რომელიც „გულანის“ წიაღში იშვა. მომავალში, მე-20 ნომრიდან, კრებულში აღარ დაიბეჭდება ისტორიის, ეთნოლოგიის და არქეოლოგიის მიმართულების სტატიები. თუ თვალს გადავავლებთ წინა ნომრებს, ვნახავთ, თუ რა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ჩვენი კრებულისათვის თითოეული ეს დარგი მეცნიერებისა, მაგრამ ეს გაყოფა არ არის გულდასაწყვეტი, რადგან ჩვენი პროფესორის, რექტორის მოადგილის სასწავლო დარგში, ბატონი **ნიკო ახალკაცის** ინიციატივითა და ხელმძღვანელობით იშვა ახალი ელექტრონული გამოცემა. გულანელების, თითოეული თქვენგანის სახელით მინდა გზა დავულოცო მას. სათაური ჯერ არ ვიცი. საქმეს რომ ხელი შევუწყოთ, რომ არ დაიქსაქსოს ძალები, როგორც მოგახსენეთ, აღნიშნული დარგის ავტორები „გულანში“, მართალია, აღარ დაიბეჭდებიან, მაგრამ არსი გულანელობისა რჩება, ჩვენ ერთად ვიქნებით სხდომებზე და კვლავ ტრადიციულად მოვისმენთ ერთმანეთის მოხსენებებს.

განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო, რედაქტორის მოადგილე და რედაქტორი (როდესაც მთავარი რედაქტორის სტატუსი შემოვიღეთ) პროფესორი **ვალერი სილოგავა**, რომელიც გულსა და სულს სდებდა კრებულის მომზადებასა და გამოცემაში.

ვალერი სილოგავა გამორჩეული მეცნიერი და პიროვნება გახლდათ. მას კარგად ესმოდა ჩვენი უნივერსიტეტის მისია და დანიშნულება. მისი შრომები სამცხე-ჯავახეთისა თუ ისტორიული ტაო-კლარჯეთის ეპიგრამფიკის, ისტორიის საკითხებზე გამორჩეული მნიშვნელობისა და დონისა იყო. სამწუხაროდ, მის გარდაცვალებასთან ერთად ჩვენს უნივერსიტეტში ამ ტიპის კვლევები შეჩერდა.

მინდა გამოვყო და მადლობა მოვახსენო პროფესორ **ნესტან სულავას**, რომელიც ჩვენი კრებულის სული და გულია, თავისი საქმის დიდი სიყვარულითა და პროფესიონალიზმით. მისი, რო-

გორც რედაქტორის მოადგილის გარეშე, ჩვენი გამოცემის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. მადლობა ყველა გულანელს, ვინც უერთგულა ჩვენს კრებულს მთელი ამ ხნის განმავლობაში.

ახლა კი მთავარის შესახებ: ჩვენი 21-ე ნომერი უკვე გამოვა ახალი სარედაქციო საბჭოთი, კერძოდ გათვალისწინებული იქნება ცალ-ცალკე რედაქციები და რედაქტორები, კერძოდ:

1. **ლინგვისტიკა**
2. **ლიტერატურათმცოდნეობა**
3. **ონომასტიკა**
4. **განათლება**

რედაქტორის მოადგილესთან და პასუხისმგებელ მდივანთან მოლაპარაკების შემდეგ სწორედ ამ მიმართულებებზე შევჩერდით და შევთანხმდით, რომ შევძლებთ ჩვენი სიტყვის თქმას სწორედ მეცნიერების ამ დარგებში. თითოეულ მათგანს ეყოლება თავისი რედაქტორი, კერძოდ: ლინგვისტიკაში – **ინგა ღუტიძე**, ლიტერატურათმცოდნეობაში – **ნესტან სულავა**, ონომასტიკაში – **მერაბ ბერიძე**, განათლებაში – **ირმა ქურდაძე**.

ეს იქნება ინგლისურენოვანი საერთაშორისო გამოცემა, თავისი ქართული ვერსიებით ან დამოუკიდებელი გამოცემებით. ამ საქმისათვის, ვფიქრობ, უნივერსიტეტი არის მზად. სამომავლოდ თუ მეცნიერების ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მიმართულება მოისურვებს და ეყოლება საჭირო ძალები, შეეძლება, გამოეყოს გამოცემას და დამოუკიდებლად გააგრძელოს არსებობა, ჯერ ქართულად და შემდეგ უცხო ენაზეც. მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

რაც შეეხება „გულანის" რეორგანიზაციის პროცესს. მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები, რომელიც იგეგმება ჟურნალთან დაკავშირებით, თვისობრივად არ ცვლის „გულანს", როგორც სამეცნიერო გამოცემას და ამავდროულად სრულად უსადაგებს მას თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. შესაბამისად, რეორგანიზაცია უნდა განვიხილოთ, არა ცვლილებად, არამედ განვითარებად. აუცილებელია, გადაიდგას რამდენიმე ნაბიჯი ჟურნალის ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბების გზაზე. საორიენტაციოდ აღებულია ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითადაც ფასდება საერთაშორისო ჟურნალი მსოფლიოში. საამისოდ საჭიროა:

1. დაიხვეწოს ჟურნალის პოლიტიკა, რაც ითვალისწინებს:

- ჟურნალის კონცეფციის დამაჯერებლობას;

- რეცენზირების ტიპების შერჩევას;
- სარედაქციო საბჭოს წევრების წარმომავლობის გეოგრაფიულ მრავალფეროვნებას;
- ავტორების წარმომავლობის გეოგრაფიულ მრავალფეროვნებას.

2. შინაარსობრივმა მხარემ უნდა ასახოს:

- ცოდნის სფეროში მეცნიერული წვლილი;
- მოკლე შინაარსის (აბსტრაქტის) სიცხადე;
- დასახული მიზნების ერთგულება და ხარისხი;
- სტატიებისადმი ინტერესი, კითხვადობის გაზრდილი მაჩვენებელი.

3. ჟურნალის მდგრადობა უნდა დაეყრდნოს:

- ციტირებათა მაჩვენებლებს;
- რედაქტორთა სამეცნიერო პროდუქტულობას.

4. განისაზღვროს ჟურნალის გამოცემის რეგულარულობა ისე, რომ გარანტირებული იყოს:

- გრაფიკის დაურღვევლობა

5. უზრუნველყოფილი იყოს „გულანის“ ონლაინ მისაწვდომობა, რაც ნიშნავს:

- ჟურნალის საიტის შექმნას და მისაწვდომობას;
- ჟურნალის საიტის სათანადო ხარისხს.

ნებისმიერი თანამედროვე საერთაშორისო გამოცემა თავის საქმიანობას აფუძნებს საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკურ ნორმებზე. „გულანის“ პოლიტიკა დაფუძნებული იქნება ეთიკური ურთიერთობების სტანდარტებზე, გათვალისწინებული იქნება პუბლიკაციის პროცესში ჩართული ყველა მხარის ეთიკური ქცევის რეგულაციები. გაიწერება:

ა) **რედაქტორის მოვალეობები** (პუბლიკაციაზე გადაწყვეტილება, კეთილსინდისიერება, კონფიდენციალურობა, ინტერესთა კონფლიქტი და გამჟღავნების პოლიტიკა, პუბლიკაციებზე ზედამხედველობა და ა.შ.)

ბ) **რეცენზენტების მოვალეობები** (სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე გავლენა, შემსრულებლობა, კონფედენციალურობა, ხელნაწერისადმი მოთხოვნები და ობიექტურობა, პირველწაყროს აღიარება..)

გ) **ავტორებისადმი მოთხოვნები** (ხელნაწერისადმი მოთხოვნები, მონაცემებთან წვდომა, ორიგინალობა და პლაგიატი, პუბლიკაციის თანადროულობა და რაოდენობა, ავტორობა, რისკები, კვლევაში ჩართული სუბიექტებისა და ობიექტებისადმი განსაკუთრებული რეგულაციები, შეცდომებზე რეაგირება და...ა. შ.)

ჰ) **გამომცემლის მოვალეობები.**

„გულანის" სარედაქციო საბჭო შეიმუშავებს კონკრეტულ კრიტერიუმებს სხვადასხვა საკითხზე, რაც მნიშვნელოვნად გააიოლებს გამოცემის პროცესში ჩართულ ყველა მხარესთან ურთიერთობას.

1995 წელს, როდესაც გვქონდა ჩვენი უნივერსიტეტის (მაშინდელი ახალციხის ფილიალის) პირველი გამოშვება, ვწერდით: „დედაქალაქიდან მოწვეულ პედაგოგებთან ერთად ადგილობრივი კადრებიც ასწავლიან. ძირითადად - ენების ფაკულტეტზე. მომავალში **დიდი იმედი გვაქვს ასპირანტების და მაძიებლების, ასევე, წლევანდელი წარჩინებული კურსდამთავრებულების,** თუკი მოხერხდება მათი საასპირანტო მომზადება" („ქალთა გაზეთი", № 9, 1995 წ).

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ეს ხაზი მუდმივად აქტუალურია უნივერსიტეტისათვის, რადგან მომავალზე და განვითარებაზე ვართ ორიენტირებული. ჩვენმა კურსდამთავრებულებმა გააგრძელეს დაწყებული საქმე და დღეისათვის განახლდა ეს პროცესი სამაგისტრო და განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამების შემდეგ.

1995 წელს ვამბობდი და მჯეროდა, რასაც ვამბობდი: „ჩემი კვლევის საგანს ამოუწურავი მარაგები აქვს, მე თუ ვერ შევძელი კვლევის განგრძობა, მოვა სხვა, **თუნდაც ჩემ მიერ გაზრდილი სტუდენტი და** ის დაასრულებს და ეს არა ნაკლებ ღირებული იქნება ჩემთვის, ვიდრე, თუნდაც ჩემი სამეცნიერო საქმიანობა" („ქალთა გაზეთი", №9, 1995წ.). ეს ეხება არა მხოლოდ სამეცნიე-

რო საქმიანობას. ჩემთვის ყოველთვის ყველაზე მეტად ღირებული იყო ჩვენი მომავალი, რაც დღესაც ემჩნევა უნივერსიტეტს, მის ახალ თაობას. ჩვენი კურსდამთავრებულების როლს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

უნდა შემოვიღოთ მთავარი რედაქტორის თანამდებობა. მე და ქალბატონმა ნესტანმა ბევრი ვიფიქრეთ ამაზე და გადავწყვიტეთ, რომ ამ თანამდებობაზე ვთხოვოთ ასოცირებულ პროფესორს მაკა **კაჭკაჭიშვილ-ბერიძეს,** რომელიც ამავე დროს კრებულის პასუხისმგებელი მდივანიც არის.

მაკას კანდიდატურა მისმა პროფესიონალიზმმა, საქმის ერთგულებამ, კომუნიკაბელურობამ და ინგლისურისა და რუსულის ცოდნამ განაპირობა. მას შეუძლია, სხვათა დახმარების გარეშე წარმართოს ურთიერთობა სასღვარგარეთთან, ნაზიარებია თანამედროვე ინტერნეტ და კომპიუტერულ ტექნიკას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სამეცნიერო კრებულის მომავლისათვის. მან შეიმუშავა სტატიების თანამედროვე ფორმის პრინციპები „გულანისათვის“, გარკვეულია და ჩემი თხოვნით ასევე მოამზადა კრებულის პოლიტიკა. „გულანსა“ და „განსაკუთრებით“, „არავში“ მუშაობის ჟამს დავრწმუნდი, რომ კარგად შეუძლია სარედაქციო და სარედაქტორო საქმიანობის წარმართვა; სპეციალობიდან გამომდინარე, მისთვის უცხო არ არის სტატიისა თუ საერთოდ გამოცემის ენობრივი მხარის მონესრიგება, ორთოგრაფია, პუნქტუაცია, სტილისტიკა და სხვა.

შეუძლია იდეების არა მხოლოდ განხორციელება, წვდომა და სწორად გააზრება, არამედ ამავე იდეების აკუმულირება, პერსპექტივაში წარმოდგენა, სწრაფვა სიახლისაკენ.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს სხვადასხვა დარგსა და მიმართულებას: ლინგვისტიკას, სოციოლინგვისტიკას, დიალექტოლოგიას, ლიტერატურათმცოდნეობას, და ა.შ.

მას კონკრეტულად აქვს გააზრებული ჩვენი კრებულის მისია და როლი, როგორც სამცხე-ჯავახეთის, ისე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

მიუხედავად ამისა, მე და ქალბატონი ნესტანი, წინააღმდეგი არ ვიქნებით, თუ შემოგვთავაზებთ ალტერნატიულ კანდიდატურას, შესაბამისი სამეცნიერო და ინტელექტუალური შესაძლებლობებით.

პრაქტიკულად ეს არის „გულანის“ არა მხოლოდ გაგრძელება, არამედ ახალი **საერთაშორისო გამოცემის დაარსება**, რასაც ახალი ძალა და ახალი სისხლი სჭირდება

მაკა არის ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და სწორედ იმ ახალი თაობის წარმომადგენელი, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით, რომელსაც დროა, რომ დაეყრდნოს უნივერსიტეტი. მე ვრედაქტორობ ჟურნალ „არავს“, რაც საკმაო დროსა და ენერგიას ითხოვს, „გულანის“ მასშტაბების გაზრდას განუზომლად მეტი დრო სჭირდება, ამიტომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. დარწმუნებული ვარ ახალი „გულანი“ გაამართლებს იმ იმედებს, რომელიც აქვს ყველა გულანელს, უნივერსიტეტელს, ჩვენს მომავალს.

ერთი დღე ანდრიანწმინდაში*

ამ ჩემს ჩანაწერს შეიძლება ესე დავარქვათ, შეიძლება ნოველა, ან უბრალოდ ქრონიკა ერთი დღისა. უფრო უკეთესი კი იქნება - ლექცია ონომასტიკაში. დავაფიქსირებ დროს 2016 წლის 12 მარტი, ახალციხე, ჩემი მშობლიური მხარე მესხეთი, მამული ჩემი. თარიღის დასმა სტილია დღიურისა, მაგრამ თარიღის დასმა გახაზავს, ამასთან ერთად და საწინააღმდეგოდ იმ აზრისა, რომ დრო არის კონკრეტული და ერთადერთი, დროის მარადიულობას, არა კონკრეტულობას, უდროობას საერთოდ.

რატომ არის დრო უდროო? პირველ რიგში დღევანდელი დღე დააფიქსირებს ჩვენს საუკუნეს, რომ ასე ვცხოვრობდით დღეს, ასე ვშრომობდით დღეს, ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს დღეს იქნება 12 თებერვალი, იანვარი, მარტი თუ რომელიმე სხვა რიცხვი, თვე ან წელი. მათ შორის შეიძლება იყოს მხოლოდ ნიუანსური განსხვავება, ჩემი ან ვინმე სხვათა, ასაკობრივი სხვადასხვაობა, დანარჩენი დროისათვის რაიმეს აქვს მნიშვნელობა?! დღევანდელი დღე ეკუთვნის ჩემს სტუდენტებს, მაგისტრანტებს: ნათიას, სალომეს, ლილის, თინათინს და ნინოს, მათთან ერთად კი ჩემს მოწაფეს და მეგობარს მაკას.

დილის 10 საათზე შევიყარენით ზემოთ ჩამოთვლილნი უნივერსიტეტში და მოვემზადეთ ლექცია-სემინარისათვის, რომელიც უნდა ჩატარდეს ერთი დღის განმავლობაში. საამისოდ გადმოვიღე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარზე" თანდართული რუკა. დღეს ძალიანაც რომ გინდოდეს, ამ რუკას უკვე ვეღარსად იპოვი. მე მქონდა თვით **სერგი ჯიქიას** მიერ **ნოდარ ჯანაშიასადმი** ნაჩუქარი „დავთარი", რომელიც ჩემმა ხელმძღვანელმა, ნოდარ ჯანაშიას მეუღლემ, **ნელი ბაბუნაშვილმა** ჯერ მათხოვა, შემდეგ მაჩუქა და მითხრა, შენ გამოიყენებო, აი, ამ წიგნზე დართული რუკა, ის დამეკარგა, მაგრამ მისი გადიდებული ასლი, ადრე გავაკეთე, აღმოვაჩინე და გავამრავლე. გადავშალე ეს რუკა, შემოვისხი უნივერსიტეტის ეზოში გარშემო ჩემი სტუდენტები და მოწაფე და დავსახე გეგმა, რა უნდა გვეკეთებინა დღეს, სად და როგორ უნდა წავსულიყავით.

---

* „არავი" №12, 2016 წელი, გვ. 122-131.

წავედით წარსულში, შევაბიჯეთ უდროობაში და დღევანდელობაში. ამ ერთ დღეში უნდა მოგვევლო სულ ცოტა ორი ათასი წელი, შეგვეძლო მეტიც, მაგრამ საამისოდ დრო არ გვეყოფოდა. არაფერს ვიტყვი ჩემს ლექციაზე სამცხის, მესხეთის, ურავლის ხეობის შესახებ, მშვენიერი ამინდის, ონომასტიკის აქტუალური პრობლემების შესახებ. ამ ყველაფერზე გზაში ვისაუბრეთ.

ავედით ანდრიაწმინდაში, რომელსაც დასცქერის **ელიას მთა**.

პირველი საუკუნეა, ქართველები ვართ წარმართები, ვლოცულობთ ბევრ ღმერთზე, ზოგი ჩვენია და ზოგიც სხვისა. ჩვენ არასოდეს დედამიწის რომელიღაც კუთხეში შეყუჟული ხალხი არ ვყოფილვართ, რომ მხოლოდ საკუთარი ჭუჭრუტანიდან გვეცქირა სამყაროსათვის. ჩვენ სივრცის ხალხი ვართ, კომუნიკაბელური, სხვების და საკუთარი ღირსების დამფასებელი, ამიტომ კარგი ჩვენიც გვიყვარს და სხვისაც. ელიაც მეზობლებიდან მოსულა თავისი ცეცხლოვანი ეტლით, ამირანიც მოსულა და პრომეთეც, ღმერთთანაც უომიათ და ადამიანთანაც. იმ წელს გვალვიანი წელი დაიჭირა. ქართველებს ღმერთი კი მიგვიღია სხვისა, დავმონებივართ მას, მაგრამ ენა ჩვენი გვქონია მუდამ, თანაც დედამიწის ზურგზე მსგავსი ძალის და შესაძლებლობის ენა არ არსებობს. ეს არ არიის დანაქადნი, ეს არ არის ტრაბახი. ვერავინ, ვერც ბერძენი, ვერც სომეხი, ვერც რუსი, ვერც ერთი ევროპელი თუ აზიელი ვერ დაიქადნის, რომ რა ენაზეც მისი წინაპარი პირველ საუკუნეში მეტყველებდა, იმ ენაზე საუბრობს დღეს, რომ დღეს მისთვის მაშინდელი ენა იყოს გასაგები.

იმ წელს გვალვიანი წელი დაიჭირა, შეშინდა ხალხი, მოსავალი არ გვექნება, შიმშილით დავიხოცებითო და გამოვიდნენ გარეთ, აღაპყრეს ზეცისკენ ხელები, დაემხვნენ და ილოცეს, შესთხოვეს შველა ელიას, არ ჩანდა წვიმა. ჩააბეს ფერხული, იწყეს ცეკვა, სიცხისაგან და ცეკვისაგან სიშიშვლემ იმატა, რომელ ეზოშიც მივიდნენ წყალი ითხოვეს, გადმოასხეს წყალი საცხოვრებლიდან. დალბა აქა-იქ, დასველდა მიწა, მაგრამ ნამის დარიც არ აღმოჩნდა, ისეთი სიცხე იდგა. ფიჭვის წვერზე ყვავი იჯდა, დასჩხაოდა მოცეკვავეთ და ელიას მთისკენ სვლას მოუწოდებდა. ინიშნეს, გაჰყვნენ ყვავს. წინ მიხტოდა ყვანჩალა და მისდევდა შიშველი ხალხი მას, რომ ასულიყვნენ ელიასთან. ღმერთთან მისვლა ადვილი იყო, მისი ნახვა იყო ძნელი. შესაწირს ითხოვდა ცეცხლის

მფრქვეველი ელია, მსხვერპლი უნდოდა. ყველაზე წინ ულამაზესი ქალწული მიიწევდა. მას წყალიც სწყუროდა და ყველაზე მეტად სურდა წვიმის მოსვლა, რომ მოსავალი ჰქონოდათ, თუ მოსავალს მოიწევდნენ, უნდა გაეთხოვებინათ, დანიშნული იყო და მოსავალს ელოდა, ქორწილს ელოდა. პირველი ის აიჭრა ელიას მთაზე, მის წვერზე წარმართული ტაძარი იდგა, გოგომ დაადგა პირველმა ფეხი ტაძრის საკურთხეველზე. ყველა მხრიდან ამოვიდნენ თანასოფლელები, გული ყველას ამოვარდნაზე ჰქონდა, სიცხემ და მთის ფერდის გზამ გაუსაძლისი გახადა სუნთქვა. შემოეჯარნენ ტაძარს, რომლის საკურთხეველთან ულამაზესი ქალწული იდგა, რომელიც თითქოს კიდევ უფრო მაღლა ზეცაში აპირებსო აფრენას, აღეპყრო მკლავნი მაღლა და ლოცულობდა: „წმიდაო ელია, მოგვეცი ტალახი, მოგვეცი წვიმა, აღარ გვინდა გოროხი, აღარ გვინდა ხვატი და სიცხე, თორემ დავრჩებით მშივრები, თორემ არ იქნება ჩემი ქორწილი, წმიდაო ელია, შენი სახელის ჭირიმე, დაასველე დედამიწა, გამოუშვი ჩვენკენ ღრუბელი“.

ერთი წუთით შედგა ამის შემხედვარე ბრბო. გახევდა, შეჰღაღადა ელიას: „ვიცი, ელია, რომ მსხვერპლს ითხოვ, სისხლის გარეშე არ მოგვცემ წვიმას, არ მოგვცემ ღრუბელს. მზად ვართ მსხვერპლისთვის, ამოვსულვართ მთელი სოფელი, რომ თაყვანი ვცეთ და შემოგწიროთ შენი რჩეული.“ ეს ის დედაბერი იყო, რომლის ოჯახსაც იმ ულამაზესი გოგოს ოჯახმა უარი უთხრა რძლობაზე. ელიას ყვავი დასტრიალებდა მლოცველებს თავზე, სოფლიდან წამოღებული კაკალი გავარდნოდა და ჩხაოდა. იმასაც ამბობდნენ დედაბერი ელიას ყვავს ყველის ნაჭრებს აჭმევდა ხოლმე, ხანდახან იმ ყვავს ელიასთვის მიჰქონდა ხოლმეო დაზოგილი ყველის ნაჭრები. ყვავი ჰკვებავდა ელიას. დედაბერმა კიდევ აღაპყრო ხელები და რაღაც ისე დაიყვირა, ყვავის ჩხავილს უფრო ჰგავდა, ვიდრე დედაბრისას. ყვავმა დაიწყო გოგოს თავზე ფრენა. დედაბერმა კვლავ ამოიღო ხმა: „წმიდაო ელია, მოგვეცი ნიშანი, ვის ინებებ, რომ შემოგწიროთ, მოგვეცი ნიშანი“! ყვავი უახლოვდება გოგოს, კიდევ უფრო პატარა და პატარა წრეებს ხაზავს ჰაერში.....

დედაბერი: „მოგვეცი ნიშანი!“

ხალხი: „მოგვეცი ნიშანი!“

შეჩერდა ხმაური, შეჩერდა როკვა, ყვავი დაჯდა გოგოს თავზე. სიჩუმეში გაისმა **გოგოს ხმა:** „მოგვეცი წვიმა, მოგვეცი ტალახი, მოგვეცი ღრუბელი, ელია! “

დედაბერი: „ნიშანი მოცემულია! მსხვერპლი არჩეულია!“

ხალხი: „ნიშანი მოცემულია! მსხვერპლი არჩეულია!“

გოგომ ჩამოუშვა ხელები. ახლაღა დაინახა, რომ შიშველი იყო, თითქოს დაიმორცხვა კიდეც, მაგრამ მალევე მოეგო გონს და ხალხს მიმართა: „ყვავი დედაბრისა არის, დედაბერი მტერია ჩემი!

ხალხი: „სამსხვერპლო არჩეულია! ნიშანი მოცემულია!“

გოგო: „მე ქორწილი მაქვს შემოდგომით, მე დანიშნული ვარ!

ეტლზე ამხედრებული ელიას კერპი თითქოს იღიმიდა და ხალხის ხმას იმეორებდა: „არჩეულია! არჩეულია! არჩეულია!“

მისცვივდნენ გოგოს, სამსხვერპლოზე წამოაქციეს. დედაბერი უცნაურ როკვას როკავდა, სხვები ფერხულჩაბმულნი უვლიდნენ გარშემო და მზის სიმღერას მღეროდნენ, ქურუმმა ალესილი სატევარი კიდევ უფრო ალესა, ან რად უნდოდა იარაღს ალესვა ისეთი ნაზი და გრძელი ჰქონდა კისერი გოგოს!

სისხლმა იდინა, ულამაზესი ქალწულის თავი დაგორდა ელიას მთიდან, იგორა თავმა, იგორა და სასიძოს კართან მიგორდა ელიას მთიდან დაშვებულ ბრბოს გამოეყო ერთი მოხუცი, მიუბრუნდა ელიას ტაძარს და შეჰღრიალა: „ელია, აგერ შემოგწირეთ მსხვერპლი, შენი არჩეული მსხვერპლი შემოგწირეთ, მოგვეცი ტალახი, მოგვეცი წვიმა და ღრუბელი, თუ არა და შენი!“....

არ მოვიდა წვიმა. გადახმა ყველაფერი. დედაბერი ამბობდა: „კარგად ვერ შევწირეთ მსხვერპლი! ბიჭიც უნდა შეგვეწირა და უეჭველად მოვიდოდა წვიმა, არ იკმარა ელიამ!“ სასიძოს მიყოლებაც უნდოდა დედაბერს.

სასიძო გაბოროტებულა და დედაბრის შვილი მოუკლავს, დედაშენმა საცოლე მომიკლაო. სოფელი გადაეკიდა ერთმანეთს.

სოფელში ხმა დაირხა: ახალი ღმერთი გამოჩენილა, ჩვენთან არის, ჩვენშია, ჩვენთვის ლოცულობს და ჩვენთვის ეწამა. მსხვერპლს არ ითხოვს, სისხლს არ ითხოვს, სიყვარულს ითხოვს მხოლოდ. ამ ღმერთის მქადაგებელი შემოსულა სამცხეში, კერპთა მმუსვრელია, უკვე შეუმუსრავს ზადენის დიდი კერპი, დაუმხია, დაუცია ძირს და კერპს სიტყვაც ვერ ამოუღია, მისი სპარსი ქურუმები გაქცეულან, ხალხსაც მქადაგებლის მხარი

დაუჭერია, ძალა უყვარს ყველას, თანაც მისი ძალა სიყვარულშია, შეიყვარე და იქნები ბედნიერი. მერე გადასულა აწყურში სამძივართან. ეს ქალი ქვრივი ყოფილა და შვილიც გარდაცვლია. იქ მისულა თვით ღმერთის მოციქული ანდრია, უხილავს დედის ტირილი, აღუდგენი მკვდარი ძე მისი, დაუმხია ბილწი კერპები სამცხელებისა, აპოლონი და არტემი, ვერც მათ გაუწევიათ წინააღმდეგობა ახალი სარწმუნოებისათვის.

ჩვენ კი ისევ შევწირეთ დანიშნული გოგო ელიას, არ შეისმინა, წვიმა არ მოგვცა. სოფელი შფოთავდა, დავამხოთ ელია! გაგზავნეს უხუცესნი აწყურს, რათა მოეხმოთ განმანათლებელი მესხთა. ამ ვიზიტის შემდეგ, მოგვიანებით, მემატიანე დაწერეს: „და კულადცა ევედრნეს ქვრივი იგი დედაკაცი და სრულიად მესხნი, რათა არა განეშოროს მათგან. ხოლო წმინდამან ანდრია მიუგო და ჰრქუა: „სხვათ ქალაქთა და სოფელთ ჯერ არს ჩემდა ქადაგებად სახარება უფლისა“ და გამოჰყვება უხუცესთ. მოდის სოფელში, რომელსაც აუგებს ტაძარს, უწოდებს თავის სახელს და აკურთხებს პირველ ქრისტიანებად მესხება. ასე იწოდა ტაძარი და სოფელი ანდრიაწმინდად.

აი, ამ სოფელში შემოვედით. ტაძარი დგას, ირგვლივ მიჯრილია საფლავები. ელიას მთაზე წარმართულ ტაძრის ადგილზე ქრისტიანული სალოცავის კედლებიღაა შემორჩენილი. ელიობას ანდრიაწმნიდელები და ანდელები ადიან ელიას მთაზე და ელია წინასწარმეტყველის ხსოვნას უნთებენ სანთელს. ქრისტიანობამ ბევრი წარმართული კერპი და დღესასწაული გადახარშა და მოაქცია სასიკეთოთ. ოღონდ მსხვერპლთშეწირვა არ ყოფილიყო. არ დაღვრილიყო ახალგაზრდათა სისხლი მოყვასის ხელით და ბევრ დათმობაზე წავიდა ქრისტიანობა. სოფელი კი, რომელსაც ანდრია მოციქულამდე რა ერქვა, არავინ იცის, ისევ იქა დგას, ანდრიას სახელობის ტაძარი, რომელსაც საფუძველი თვით წმინდა ანდრიამ ჩაუყარა, შემდეგ განაახლეს და დგას დღევანდლამდე.

დროის ეს მონაკვეთი, ორიათასწლიანი მონაკვეთია, თითქოს ერთი ამოსუნთქვააო, არც არაფერი შეცვლილა გარშემო. ისევ ის მთებია, სახლებიც იგივე, სალოცავებიც იგივე, ხალხიც იგივე, აი, ამ სოფელში მოვედი და მოვიყვანე ჩემი სტუდენტები, რათა შეგვეგრძნო წარსულისა და დღევანდელობის ძალა და ენერგია.

ჩაგვეხედა ჩვენი ენის ფესვებსა და ძირებში, გვეგრძნო ერთმანეთი და გვეგრძნო სოფელი.

ახალციხიდან ანდრიაწმინდამდე არის ცოტა ხნის სავალი, მაგრამ ეს დრო, დაახლოებით ნახევარი საათი, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის რომ გვესაუბრა ტოპონიმიისა და გეოგრაფიის შესახებ. შეუძლობელია, იკვლიო გეოგრაფიული სახელი, ადგილის სახელი, იგივე ტოპონიმი, გეოგრაფიულო კვლევის მეთოდების გარეშე. უნდა იცოდე რუკაზე მუშაობა, მხარეების განსაზღვრა, გეოგრაფიული ტერმინოლოგია, რომ შეისწავლო თითოეული სახელი. თუ ვერ არჩევ მთას, გორას, სერს, ზეგანს, მაღლობს, დაბლობს, ხევს, ღელეს, ველს, მინდორს, და ა.შ.. რა გინდა მაშინ ტოპონიმიასთან. აი, შევდივართ სოფელში, რომელშიც ხევია ერთი, მაგრამ მასში მოდის ღელე, რა ხდება? ხევიც არის და ღელეც? თუ ეს სწორედ ამ სოფლის ამ ჩვენი მხარის სპეციფიკაა, რომ იყოს დასავლური სახელებიც და აღმოსავლურიც, ჩვენ ხომ სამხრეთელები ვართ, ჩვენ ხომ „შემაერთავი ხიდი“ ვართ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის....

და მაინც, ჩვენთვის მთავარი არის სოფლის სახელი ანდრიაწმინდა. ამავე სახელის, სახელობის, ტაძარი. რატომ ხდება, რომ სოფელს ჰქვია ანდრიაწმინდა, საზღვრული უსწრებს მსაზღვრელს, როგორც ეს ხდებოდა, ძირითადად, ძველ ქართულში, ხოლო ტაძარი არის წმინდა ანდრიას სახელობისა, მსაზღვრელს მოსდევს საზღვრული. ვითომ ძველი და ახალი ნორმების გამო?! არა მგონია! თუ ასეა, პირიქით უნდა იყოს, ჯერ ხომ ტაძარი აშენდა, ჯერ ხომ წმინდა ანდრიას ტაძარის იყო და სოფელზე შემდეგ გადავიდა მისი სახელი! და არა პირიქით. რა ხდება. აქ ხომ მეტონიმიის აშკარა შემთხვევაა. კაცმა არ იცის, რა ერქვა სოფელს, ვიდრე აქ აშენდებოდა ანდრიას სახელობის ეკლესია. იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა მომხდარა, რომ ეკლესიის სახელმა გადაწონა ყველაფერი, შეუცვალა სოფელს სახელი. ტოპონიმიაში მრავალთაგან ერთის გამორჩევითობის პრინციპი გადამწყვეტია სახელდების დროს, გამოარჩია წმ. ანდრიამ თავისი სახელით ტაძარი, მაგრამ გარკვეული გრამატიკული ნორმით გამორჩევაც საკუთარი სახელის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნორმა თუ არა თვისება მაინც ხომ არის. აი, ამ ყველაფერზე ვსაუბრობდით, ვიდრე შევიდოდით სოფელში.

ელიობის მთის ხილვისას გაჩნდა კიდევ ერთი კითხვა, მას შემდეგ, რაც დავშალეთ ეს სახელი, გამოვყავით ფუძე და სუფიქსები. ილიას დაემატა დღესასწაულობათა მაწარმოებელი სუფიქსი ობა. **აკაკი შანიძე** - ობა სუფიქსს განიხილავს სახელთა წარმოქმნის დროს და მის მთავარ თვისებად, ძალად აბსტრაქტულ სახელთა წარმოება მიაჩნია, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ „ეს სუფიქსი საწყისური წარმოშობისაა და რთულია. ობ-ა. დღეს მას სახელთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან“ კიდევ სხვა შესაძლებლობებზე მიუთითებს დიდი მეცნიერი, მაგრამ ჩვენ ხომ სუფიქსის კვლევისთვის არ ვიმოწმებთ მას. შევთანხმდით, დამეთანხმენენ, რომ -ობა არის დღესასწაულის მაწარმოებელი სუფიქსი, რომელიც მშვენივრად მოერგო ტოპონიმიას. მისი საშუალებით იწარმოება მარიამობა, ვარძიობა, შოთაობა, თბილისობა და აი, ჩვენი ელიობაც, რომელიც დასცქერის **ანდრიაწმინდას** და **ანდას**. ელიას სახელობის დღესასწაული არის ელიობა და ადგილსაც სადაც იმართება ეს დღესასწაული ხალხმა უწოდა ელიობა. ეს ადგილი მთა არის, ამიტომ მას გააჩნია პარალელური ფორმა ელიობის მთა. ეს არის მთავარი, თავსართ-ბოლოსართების გამოყოფაზე ადვილი არაფერია, როცა ასეთები არსებობს. მთავარია, როგორ მოხდა, რომ მას შემდეგ, რაც ანდრია მოციქული მოვიდა საქართველოში, მოსპო ტაროსის ღმერთი (როგორც ივ. ჯავახიშვილი იტყოდა), რომლის შესახებაც ჩვენი ლექციის დასაწყისში ვისაუბრეთ, მესხთათვის გამოაცხადა ქრისტიანობა, რის შესახებაც ბევრი უცხოელი (ბერძენი) და ქართველი მემატიანე, მეცნიერი ბრძანებს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოსპო და ელიობა დღესაც იდღესასწაულება ამ სოფელში. დღესაც ძლიერია ეს კულტი.

ეს საკითხი დასამუშავებლად დავტოვეთ, თუმცა წინასწარ გაჩნდა მოსაზრება, არა ასაკვიატებელი, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც მოსაზრება, რომ შეერწყა რამდენიმე ღმერთის თუ წმინდანის სახელი და ტრადიცია. წმინდა ელია წინასწარმეტყველი, ელია ამინდ-უამინდობის ღმერთი და წმინდა ილია.

მერე ისიც ვთქვით, რატომ მოხდა, რომ ანდრიას ცხოვრების ამსახველი ისტორია ამოღებულია „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაში, აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქტორობით

რომ გამოვიდა. ხომ არ არის ცოტა უფრო მეტად ანგარიშგასაწევი თუნდაც, ის ფაქტი, რომ მაინცდამაინც აქ, ამ სოფელს ჰქვია ანდრიაწმნიდა და არა სხვაგან, საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში. იმასაც უნდა მივაქციოთ ძალიან სერიოზული ყურადღება, რომ აბასთუმნის და ადიგენის გზათა გასაყარზე, სოფელ **ბენარის** თავზე დღესაც დაგვცქერის **ზადენგორა,** სადაც ანდრიამ დაამხო ზადენის კერპი, იქნებ გვეფიქრა **აპოლონისა** და **არტემიდას** კერპების რეალურობაზეც, რადგან სულ არ არის შემთხვევითი აწყურის ღვთიმშობლის ტაძრის გარშემო წარმოებული გათხრებისას, **ვახტანგ ლიჩელმა** რომაული სტილის კედლებს რომ მიაგნო.

ხალხი ბრძენია. ენის კანონების და ყოველგვარი საქმის თავის დამდები სოფელში ხალხია. ამ ბოლო დროს, მას შემდეგ, რაც ინგლისური ენა გააქტიურდა ჩვენში, ქართული ტრადიციული გრამატიკული პრობლემები გარკვეულ გავლენას განიცდის ინგლისურისაგან. ლექსიკაში რაც ხდება, ჯანდაბას! შემოდის ათასი უცხო სიტყვა და, ეტყობა, გვერდს ვერ ავუვლით ამ პროცესს, მაგრამ გრამატიკაშიც რომ ცდილობს შემოჭრას, ეს უკვე მეტის მეტია. ისე შეაჩვიეს სრულფუძინობას ტელევიზიებმა თანამედროვენი, რომ ფუძის კუმშვასა და კვეცას აღარავის უყურებს. მალე **მამალის ყივილს** გავიგებთ მამლის ყივილის ნაცვლად. ამის ნიშნები ძალიან ბევრია. ბოლოში ხმოვნისმიუკვეცაობა ხომ ლამის ნორმად გვიქციეს გაუნათლებელმა ადმინისტრატორებმა. ვალეს საჯარო სკოლაო ისე იტყვიან, ვალელს არავინ ეკითხება. ამას წინათ ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი თავის „განათლებულობას" აფრქვევდა, როდესაც ახალციხეს უნივერსიტეტიო - მითხრა და თან თავი ისე ნარნარად გააქანქარა, კისერში წარტყმა მომინდა, მაგრამ აბა, როგორ წავარტყამდი, იმასაც ეს უნდოდა.

აი, ანდრიაწმნიდელები კი მართალია თავიანთ დიალექტზე მეტყველებენ, მაგრამ ნორმებს იცავენ და თუ არღვევენ, ისევ საკუთარი ენის სასარგებლოდ, მისი ბუნებიდან გამომდინარე. ჩემს სტუდენტტებთან ერთად ჩასაფრებულები ვიყავით, როგორმე მეტი დიალექტორი მასალა ჩაგვეწერა. ბევრი ვერაფერი

გამოგვივიდა, მაგრამ ერთმა ფორმამ მოგვჭრა ყური. რამდენიმესგან გავიგონეთ, ანდრიის ტაძარიო, ანდრიის ეკლესიაო, ანდრიის შემოსვლაო საქართველოში.

წმინდა ანდრიას სახელობის ტაძრის და სასაფლაოს მოხედვის შემდეგ პირდაპირ სოფლის ცენტრში მოვხვდით. მღვდლისა და ჭილობის ასაკში სწორედ ახლა ვარ. ყველგან მცნობენ ან ნათესაობით ან ჩემი სტუდენტები არიან. აქაც ასე იყო, მაშინვე შემოგვხვდნენ ტრაქტორის კეთებით დაკავებული ახალგაზრდები, მკითხეს, რა გვინდოდა და, რომ გაიგეს ასაკოვან ხალხს ვეძებდით მასალის ჩასაწერად, გაიქცა ერთი ახალგაზრდა კაცი პაპამისის დასაძახებლად. მალე ბერიკაციც გამოხუსხუსდა, მიჭირს დანახვა, თვალი აღარ მიჭრისო გვითხრა და სახლში შეგვიპატიჟა. **მიხეილ მარკოზის ძე ინასარიძე** იყო ჩვენი მასპინძელი. 84 წლისა. ჩემზე ჰა და ჰა, 17 წლით უფროსი. მე მისი ხნისა თუ მოვიყარე, ალბათ მეც ამ დღეში ვიქნები, თუ არა და.... ღმერთმა იცის, რაც იქნება. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ მიშასთან, მაგრამ მაინც მის სასიყვარულო თავგადასავალს გამოვყოფ. საუბრის მანძილზე მარტო იყო მიშა ჩვენთან, გვიყვებოდა თავისი ცხოვრების ამბებს და რომ მივუსხედით სუფრას, მხოლოდ მაშინ დაუძახა თავის ცოლს და ასაკოვანი წყვილისგან მოვისმინეთ რომანტიკული, წინააღმდეგობებით სავსე სიყვარულის ისტორიაც. არც სიყვარული იზომება დროის რომელიმე მონაკვათით.

ზოგი რამ ლიტერატურული ცხოვრების ისტორიიდან უნივერსიტეტში*

ჯერ კიდევ 1990 წელს ვწერდით: „რაც უნდა კურიოზად მოგვეჩვენოს, ახალციხემ თავისი სახე, როლი, როგორც ეკონომიკურმა და სტრატეგიულმა პუნქტმა, დაკარგა მას შემდეგ, რაც შეწყდა ტყვეებით ვაჭრობა და რუსეთის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა იგი. რევოლუციამდე ჯერ კიდევ არ იყოს ცუდად საქმე, კონტაქტები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან აქცევდა ახალციხე ცნობილ ქალაქად. „შლანგბაუმმა" ახალციხე მოსწყვიტა არა მარტო დანარჩენ სამყაროს, არამედ საქართველოსაც კი. დღეს რთული პრობლემების წინაშე დგას ქალაქი, ისტორიული ცენტრი სამხრეთისა. იგი ხელახლა შემოდის მიმოქცევაში.... აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორი იქნება მისი მომავალი, დარჩება ბოლო დრომდე მოსულ პროვინციულ ქალაქად თუ.....".

1990 წელს შექმნილმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალმა საეტაპო როლი შეასრულა ახალციხის მომავლის განსაზღვრაში და მის განვითარებაში. ახალციხე ყოველთვის ისტორიული მესხეთის კულტურული-ეკონომიკური ცენტრი იყო.

მე-20 საუკუნეში არსებული მკაცრი ცენტრალიზაცია განსაზღვრავდა ცხოვრების ყველა სფეროს ყოფნა-არყოფნის საკითხს. თბილისში თავი მოიყარა ეკონომიკური შესაძლებლობების დიდმა ნაწილმა, უნივერსიტეტმა, ინსტიტუტებმა და ა.შ. რეგიონები მისდევდა თბილისის ცხოვრებას. საქართველოს სხვა კუთხეები შედარებით დაწინაურდა ამ მხრივაც. ქართლში, კახეთში, დასავლეთ საქართველოში ინსტიტუტები განაპირობებდნენ განათლების გარდა ლიტერატურულ ცხოვრებასაც. სამხრეთ საქართველოში მართალია არსებობდა მწერალთა კავშირის განყოფილება თუ ფილიალი, მაგრამ იგი სერიოზულ ლიტერატურულ პროდუქციას ვერ ქმნიდა.

ახალციხის გარდა ლიტერატურული მაჯისცემა ისმოდა რაიონულ ცენტრებში. ყველა რაიონში გამოდიოდა სარაიონო

---

* „არავი" №1, 2016 წელი, გვ. 3-10.

გაზეთი, რომელთა ფურცლებზეც ხშირად იბეჭდებოდა უმნიშვნელო ლიტერატურული ნაწარმოებები.

დღევანდელი გადასახედიდან ბევრი რამ დავიწყებას მიეცა. ზოგი რამ ციდან ჩამოვარდნილი შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს, რა იყო, რა დახვდა უნივერსიტეტს სამხრეთში და რა არის დღეს. საჭიროა სერიოზული ანალიზი იმისათვის, რომ უკეთ განვსაზღვროთ მომავალი. საამისოდ და საბედნიეროდ მაშინდელი უნივერსიტეტის გაზეთი „მესხეთი“ აფიქსირებდა დროს, სიტუაციას, პრობლემებს. არც ის არის შემთხვევით, რომ გაზეთს „მესხეთი“ დავარქვით და მესხეთის როლზე, მის ისტორიულ მისიაზე ხდებოდა ხშირად აპელირება. დღესაც აქტუალურია საკითხი მესხეთისა და მისი როლისა, ამიტომ ერთხელ კიდევ გავიმეორებთ 1992 წელს ნათქვამს: „ქართველებს გვაკლია ერთობის ისტორიული ფსიქოლოგია, სამწუხაროდ. ფეოდალური საქართველო რა განცდებით და განწყობილებითაც დაუკავშირდა რუსეთს, თითქოს, დრო არც გასულაო, თითქოს ეს ორასი წელი არც ყოფილიყოს, ისეთივე უბრუნდება ისტორიას. რაც იყო და როგორც იყო, იქიდან ცოტა რამ დაგვრჩა სასიკეთო. დღეს არ არსებობს დილემა, არსებობს ერთი გზა. უნდა გაძლიერდეს მესხეთი, მისი მიჩქმალული როლი უნდა წამოიწიოს, განისაზღვროს არა ზოგადად, არამედ - კონკრეტულად, მეცნიერულ საფუძვლებზე შედგეს განვითარების კონკრეტული პროგრამა და გაკეთდეს საქმე. რუსეთმა პირველი დღეებიდანვე განჭვრიტა მესხეთის ფუნქცია და ამიტომ უპირველესი დარტყმები სწორედ მესხეთზე მოვიდა.“.

ეს სიტყვები თსუ ახალციხის ფილიალის პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე ითქვა და იქვე აღინიშნა უკვე არსებული ლიტერატურული ცხოვრების ტრადიციის შესახებ: „პირველად, როდესაც ფილიალში პოეზიის წრე შეიქმნა, პირველი ლექსები განვიხილეთ ძალიან სერიოზულად, ისე დაგვაღამდა, ვერც შევამჩნიეთ. ნელ-ნელა წამოიწია ლიტერატურულმა ხუთშაბათებმა, სადაც უკვე მხოლოდ პოეზიას აღარ განვიხილავთ, უკვე სერიოზული მსჯელობა მიდის ლიტერატურაზე“.

პირველი, რაც გაკეთდა ფილიალში ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლება და ლიტერატურული ტრადიციის შექმნა იყო.

სანთლის შუქი ვისთვის რომანტიკული გარემოს შექმნის საშუალებაა, ვისთვის უბრალოდ სანთელი, რომელიც სიბნელეს

ანათებს, რომ ერთმანეთი დავინახოთ. 90-იან წლებში სანთელს გამოცლილი ჰქონდა რომანტიკული შინაარსი, რაზეც მიგვანიშნებს უნივერსიტეტის პირველი კრებულის „სიტყვაჲს“ წინასიტყვა 1996 წელს:

„პირველად იყო სიტყვა,... მერე გაიხსნა ჩვენი პატარა უნივერსიტეტი. პირველსავე წელს, პირველსავე შეხვედრაზე, სტუდენტებისა და პედაგოგების უპირველესი სატკივარი სულიერება გახლდათ. პოეტურობა არასოდეს გვაკლდა. პოეზიის წრე... ცივი საღამოები და მაინც ჩატარებული ზეიმი, ლექსის ზეიმი სანთლის შუქზე. უკვე მოგონებებადღაა დარჩენილი, რომ სიძნელეები საოცრად ლამაზდებოდა ლექსებით. ჩვენი პოეტები ..... მესხეთს პოეზიით ვინ გააკვირვებს, მაგრამ სხვაგვარი ძალა და ეშხი მოიტანეს სტუდენტებმა. რამ დაგვავიწყოს ტიციანისა და ცვეტაევას საღამოები. დღევანდელი გადასახედიდან მართლაც რომ დუღდა იმ გაჭირვების წლებში პოეტური ცხოვრება.“ („სიტყვაჲ“ I, 1996წ.).

ლიტერატურასა და პროგრესზე საუბრისას სამხრეთ საქართველოში სტიმულს და იმედს გვაძლევდა დედა უნივერსიტეტის ლიტერატურული ტრადიცია. ახალციხის ფილიალი აგრძელებდა თბილისის არა მხოლოდ სამეცნიერო ტრადიციებს, არამედ ლიტერატურულსაც. ამიტომაც იყო ლიტარუტურული ხუთშაბათები ჩვენთან ძალიან პოპულარული. ის ხომ თბილისის უნივერსიტეტის ანალოგიით შეიქმნა. უნივერსიტეტმა ჩაუსახა იმედი მესხეთს, რომ მოვიდოდა სერიოზული ლიტერატურა, აღორძინდებოდა უძველესი ლიტერატურული სკოლები თუ არა, გაწყვეტილი ძაფი მაინც გამთელდებოდა.

1990 წელს გახსნილ ახალფეხადგმულ ფილიალს მწირი ტექნიკური შესაძლებლობები ჰქონდა, მაგრამ მას არ უშინდებოდა. ჯერ კიდევ შორს იყო კომპიუტერული ბუმი, ჯერ ისევ საბეჭდ მანქანაზე ვკრეფდით ტექსტებს. სტამბა, რომელსაც ფოტოების კლიშეები ტყვიისა სჭირდებოდა და ისინი თბილისში უნდა დაგვემზადებინა, ტყვიისგან ჩამოსხმული შრიფტით ხდებოდა ტექსტის აწყობა, მიმზიდველი იყო ჩვენი მიზნებისათვის.

1992 წელს ასეთ პირობებში გამოვეცით მე-2 კურსის სტუდენტის ცაულინა მალაზონიას ლექსების პატარა კრებული, რომელსაც შემდეგი სიტყვები წავუმძრვარეთ.

„დამთავრდა გამოცდები, ცაულინა გახდა ჩვენი ფილიალის სტუდენტი. პირველი წელი რომანტიკულ ფერებში გავიდა. მაშინ იყო, სიყვარულის უნივერსიტეტი რომ უწოდეს ახალციხის ფილიალს.

მის პოეტურობას თურმე პოეზიაც ახლდა. პირველად ცაულინას ლექსები განვიხილეთ ერთ ლამაზ საღამოს. ყველაფერი პირველად და პოეტურად იყო მესხეთის უნივერსიტეტში. ცხოვრება თავისი გზით წავა....

ცაულინა მალაზონიას სევდანარევი, ნაღვლიანი, ზოგჯერ გაბედულსტრიქონიანი ლექსიც სხვაგვარ ძალას შეიძენს. რას იზამ, ეშველება საქართველოს, პოეზიასაც ეშველება. მინავლებული პოეტური პულსი, რომელიც ფილიალში ჩვენი მეორეკურსელი გოგონას სახით სცემს, ალბათ, განმტკიცდება მომავალში და მძლავრ პოეტურ ძალად იქცევა. აქამდე ბევრ პირველს კიდევ ერთი დაემატა.“

არვის ჰქონდა ილუზია იმისა, რომ ყველაფერი ერთი ხელის დაკვრით გაკეთდებოდა. „იმისათვის,რომ შეიქმნას მძლავრი სამხრეთული სალიტერატურო სკოლა, დროა საჭირო, შექმნით კი შეიქმნება. ამის იმედს ჩვენი ახალგაზრდობა და ისტორია გვვაძლევს. დიდი ეროვნული საზრდო და მომავალი.“

„ლიტერატურული ხუთშაბათების“ ლოგიკური გაგრძელება იყო „სიტყვაჲს“ გამოცემა, რომელიც მართალია სულ რამდენიმე ნომრით არის წარმოდგენილი, და სამწუხაროდ მხოლოდ სამი წლის განმავლობაში გამოდიოდა, მაგრამ მან მნიშვნელოვანი კვალი დააჩინა სამხრეთის ცხოვრებას. მისი რედაქტორი იყო კოტე კაკიტაძე პროფესიით ლინგვისტი, ენათმეცნიერი, მაგრამ ლიტერატურის, პოეზიის კარგი მცოდნე და თავადაც მშვენიერი ლექსების პატრონი. კრებულში იბეჭდებოდა პოეზია, პროზა, თარგმანები, კრიტიკული წერილები.

ერთგვარი საპროგრამო წერილის როლი შეიძლება დავაკისროთ 1997 წელს „სიტყვაჲს“ 1(2) ნომერში გამოქვეყნებული სტატიას „საით?“ მასში დასმული ბევრი პრობლემა დღესაც მნიშვნელოვანია. ინტერესმოკლებული არ არის იმის აღნიშნაც, რომ ზოგი რამ სწორედ იმ გზით წავიდა, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით. მიუხედავად მისი მოცულობისა, გადავწყვიტეთ გავიმეოროთ ტექსტი:

„თბილისი, სადაც თავი მოიყარეს მეოცე საუკუნის პოეტებმა, ყოველთვის რეგიონებიდან საზრდოობდა. ი. გრიშაშვილის გარდა თბილისში დაბადაბულსა და გაზრდილ ქართველ პოეტს ვერც კი ვიხსენებ. დღეს, როდესაც დედაქალაქიდან გავიდა ან გადის საქართველო, თბილისური პოეზია ერთგვარი სულიერი გაკოტრების საშიშროების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს. ქართველი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, ვისაც კი სერიოზული პოტენციალი და მატერიალური შესაძლებლობა აქვს, მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც ნებით თუ უნებლიედ ექცევა ევროპული ლიტერატურის გავლენის სფეროში. არც ჩვენს დედაქალაქს აკლია „ამერიკანიზმის“ მოჭარბება, რაც თავისთავად მხოლოდ საკუთარ „მეს“, პიროვნულ სულიერ ტკივილებს, ანდა სამყაროსთან „საკუთარ დამოკიდებულებას“ წარმოაჩენს. კოსმოპოლიტიზმის აჩრდილი დადის საქართველოში.

ევროპასთან კავშირის წინაალმდეგი არც ჩვენ ვართ, მაგრამ საჭიროა საკუთარ ფესვებზე დგომა. სხვა ქვეყნის ლიტერატურისაკენ გახედვა საკუთარი სიტყვის კრიზისმა იცის. როგორ დავძლიოთ იგი? საუკუნე მთავრდება. ყველა საუკუნის დასასრული ბევრი რამის დასასრულს და ბევრის დასაწყისს მოასწავებს. იქნებ მთავრდება „ეპოქა დიდი?“

ქართულ პოეზიას (მწერლობას, საერთოდ) უცხო ლიტერატურის გავლენები არ დაჰკლებია. ბერძნული, თურქული, რუსული პოეზია ყოველთვის ასაზრდოებდა ქართულს. შემდეგ დრო ჩამორეცხავდა „აშპაშხანებსა“ და „შაითან ბაზრებს“ და დაგვრჩებოდა ის, რაც მხოლოდ ჩვენეული იყო.

რით ვისაზრდოოთ?

ღვთის წყალობაა, ალბათ. დღევანდელი უნიკალური სიტუაციაა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთში). რეგიონების დაწინაურება (რაც გარკვეულწილად რეგიონალური მმართველობის შედეგია) ქმნის კუთხურობის, დაცილების საშიშროებას. თბილისი საზრდოობდა ქართული დიალექტებით და ეს მისი სიმდიდრე იყო მუდამ. ამის რეალური საშუალება ახალ ცენტრებს შეიძლება არც კი ჰქონდეთ. მესხეთში დღეს კომპაქტურად სახლობენ ჯავახებისა და სამცხელთა გარდა, იმერლები, მთიულები, აჭარლები, რაჭველები და სხვა. თითოეული დიალექტის მკვიდრს სამხრეთში თავისი კუთხიდან მოტანილი საკუთარი სურნელი და პოეტური სული აქვს. რა

თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში გასვლას, მაგრამ ევროპული ლიტერატურა ახლო მომავალში თავად მოვა ჩვენთან საკუთარი მთარგმნელების საშუალებით. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში დასავლური და აღმოსავლური ენები, ერთი, უცხო ენათა, ფაკულტეტის კუთვნილებაა. ტრადეციული მეზობლების ლიტერატურა ახლობელი გახდება სომხურიდან, თურქულიდან, ახალი ბერძნულიდან თარგმანების გზით. ევროპისა და აზიის გეოგრაფიულ გზაჯვარედინს უნდა გაუსწორდეს ლიტერატურული გზაჯვარედინი. ჩვენ არც ევროპისაკენ უნდა წავიდეთ და არც აზიისაკენ, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს და ამ გზით უნდა ვიაროთ.

მესხეთისათვის კიდევ ერთ სიმდიდრეზე მივუთითებ. ეროვნულ - ეთნიკურ სიმდიდრეს რელიგიურ სიმრავლეთა სიმდიდრეც დაემატება, მართლმადიდებულ-კათოლიკურ-გრიგორნიალურის გვერდით ჯერ თავიანთი ლიტერასტურული სიტყვა არ უთქვამთ მაჰმადიანებს, რომლებიც მესხეთის მოსახლეობის სოლიდურ ნაწილს წარმოადგენენ.

ლექსის (საერთოდ მხატვრული ნაწარმოების) ფორმას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ვინ წერს და როგორ წერს, როგორ ფორმას ითხოვს სათქმელი. სული იყოს ძლიერი, ნიჭმა იმძლავროს და იქ გამოხეთქავს, სადაც საჭიროა.

მძიმეა მისია, მაგრამ ასეა, ახალგაზრდობის მხრებმა უნდა იტვირთოს პოეტური ჭაპანის წევა, რასაც გაადვილებს საკუთარი ხალხის სულში ჩახედვა, იქ მოძიება კითხვის პასუხისა. ხალხთან სიახლოვე, სამშობლოსთან სიახლოვე და რწმენა მომავლისა გზას გაუნათებს ჩვენს პოეტებს.“

ამ პროგრამის ნაწილი იყო ის ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელიც ფილიალში გაიშალა და რამდენიმე კრებულით დაგვირგვინდა. სამწუხაროდ შემდეგ წლებში ცხოვრებამ სხვა მიმართულება მიიღო.

ლიტერატურული ცხოვრების საინტერესო ნაწილად გვინდოდა გვექცია პატარა კრებულებით ახალგაზრდობის წახალისება. ამ მიზნით დავიწყეთ წიგნაკების გამოცემა მე-20 საუკუნის 90-იან წლების ბოლოს, 1999 წელს. მათში იბეჭდებოდა ლიტერატურულ ხუთშაბათებზე წაკითხული ლექსები და მათი განხილვა, კრიტიკა ჩვენი სტუდენტებიდან და კურსდამთავრებულებისგან.

თითოეული მათგანისაგან ველოდით დიდ მომავალს, შრომას. სამწუხაროდ მძიმე ცხოვრებამ, როგორც ჩანს, თავისი დაღი დაასვა ამ თაობას.

უნივერსიტეტში სულ იდგა ლიტერატურის, სალიტერატურო ცხოვრების პრობლემა. მეტ-ნაკლები აქტიურობით ხან გაცხოველდებოდა ეს პროცესი, ხან მინელდებოდა და დროს ელოდებოდა. 25 წელი იმისათვის, რომ დიდი ლიტერატურა შეიქმნას არც ცოტა, მაგრამ იმდენიც არ არის, უიმედობა რომ დაგვეუფლოს. მთავარია სცემდეს ძარღვი, მთავარია ნიჭი, თორემ შედეგი უეჭველად დადგება. დღესაც არ ჰკარგავს აქტიურობას 2000 წელს ნათქვამი სიტყვები ჩვენი უნივერსიტეტის და სალიტერატურო საქმიანობის შესახებ:

„ლიტერატურა ის სფეროა, რომლის გარეშეც ვერ იარსებებს ვერც ერთი კულტურული დაწესებულება, ვერც ერთი კულტურული ადამიანი; აქედან გამომდინარე, ჩვენი მცდელობები გასაკვირი არ არის. მნიშვნელობა არა აქვს, რას გადაწყვეტს მწერალთა ყრილობა, მწერალთა კავშირის დარჩენა არდარჩენის თაობაზე. რამდენადაც დიდი მწერლობა და, საერთოდ, მწერლობა, არის იქ, სადაც დიდი მწერალია, ამიტომაც, ასევე, არა აქვს მნიშვნელობა, სად იქნება მწერალი, თბილისში, რუსთაველზე თუ მესხეთში. მთავარი ნიჭია. მე ვფიქრობ, მესხეთში მწერლობას აქვს მომავალი და საამისოდ ბევრ რამეს აკეთებს ჩვენი ფილიალი. ფილიალში მოქმედებს ლიტერატურული წრე, რომელიც ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების შეკრების ძირითადი ადგილია. შეხვედრებს ვუწყობთ რეგიონის მწერლებს, ხვდებიან ჩვენებსაც. მთავარი ის არის, რომ აქ მწერლობა არის გატაცებაც და პროფესიონალი მწერლებიც არიან ჩვენთან.

ყოველივე ამას მეტი ხელშეწყობა რამ ჰქონდეს, მეტი საშუალება რომ ჰქონდეს მწერალს და საარსებო საშუალების ძებნაში არ ფლანგავდეს ძვირფას დროს, მოიგებდა მწერლობაც და მწერლობის დამფასებელიც. ჩვენი ფილიალის ლიტერატურული წრე ძალიან სერიოზული ძალაა, ლიტერატურული ცხოვრება საინტერესოდ მიდის.“

სამხრეთ საქართველოს ცხოვრებაში უდიდესი როლი ითამაშა „ლიტერატურმა მესხეთმა“ რომელიც გამოდის 1999 წლიდან.

მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი არის უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის პროფესურა აქტიურად იბეჭდება მის ფურცლებზე. ამ საქმის თავი და თავი არის რედაქტორი ავთანდილ ბერიძე, რომლის მხოლოდ ინიციატივაზე და აქტიურ საქმიანობაზე კი არ არის დამოკიდებული „ლიტერატურული მესხეთი“, არამედ ავთანდილ ბერიძის საქმიანობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება გააკეთოს ერთმა ადამიანმა.

კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება და დარწმუნებული ვართ ჩვენი კოლეგებიც იტყვიან თავიანთ სიტყვას ლიტერატურულ ცხოვრების შესახებ, რომელიც სუფევდა უნივერსიტეტში ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში.

დღეისათვის საჭიროა არა მხოლოდ შეჯამება გავლილი ცხოვრებისა, არამედ სამომავლო პერსპექტივის განსაზღვრა. საამისოდ გადავწყვიტეთ ახალი ნაბიჯის გადადგმა და პერიოდული გამოცემის დაარსება. დროა ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთში) შიექმნას ისეთი პერიოდული გამოცემა, რომელიც გარშემო შემოიკრებს სამეცნიერო ინტელიგენციასთან ერთად პოეტებსა და მწერლებს. მით უმეტეს, რომ სამეცნიერო ლიტერატურული კრიტიკა, ლიტმცოდნეობითი ანალიზი და ლიტერატურის ისტორიაში შექმნილი შრომები არასოდეს აკლდა უნივერსიტეტს.

გადავწყვიტეთ დავაფუძნოთ ლიტერატურული და სამეცნიერო-პოპულარული კრებული **„არავი“**. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით **„არავი არს ქარი სამხრეთით, განმადნობელი ყინვათა.“** შეიძლება, ერთი შეხედვით, სათაურს არც ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა, დატვირთვა და რაც უფრო დამაბნეველი იქნება იგი საზოგადოებისა და გაუგებარი, იქმნება სჯობდეს რეკლამიმსათვის, მაგრამ, რადგან ჩვენი გამოცემა არის სამხრეთული, რადგან სამხრეთი ყოველთვის სითბოს, ერთიანობის სიმბოლო იყო საქართველოსთვის, გვინდა გალღვეს ყინული რომელიც თანამედროვე „დათითოებულ“ ადამიანთა გულშია და **„არავმა“** სიკეთე მოუტანოს ჩვენს ქვეყანას.

საზღვარსიქითა პოეზია*

2000 წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მაშინ თსუ მესხეთის ფილიალი ერქვა) ანსამბლი გაემგზავრა იტალიაში ერთ-ერთ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. ვიდრე იტალიაში ჩავიდოდით, გავიარეთ თურქეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, რუმინეთი, ავსტრია. საქართველოდან ევროპაში მიმავალი რამდენიმე ადამიანი ახლდა ჩვენს ანსამბლს. ისინი სხვადასხვა ქვეყანაში მიდიოდნენ ემიგრანტებად. ბევრი მათგანი იტალიაში ჩასვლამდე დაგვემშვიდობა. 2000 წლის 31 აგვისტოს ჩამიწერია დღიურში: „ურთულესი პრობლემაა საქართველოდან გადმოხვეწილთა პრობლემა. ჩვემნა ჯგუფმაც გადმოვიყვანეთ ჩვენი რამდენიმე მოქალაქე. საშინელებაა მათი განცდების მოწმეობა. ერთი დედა-შვილი იყო, საფრანგეთში მიდიოდნენ, ადრე ჩამოვიდნენ. შვილი, პატარა გოგონა, ვერ აღიქვამდა, რაც ხდებოდა და აძაგებდა, რაც შეეძლო, თავის სამშობლოს. ჩვენთან გამომშვიდობებაც ვერ მოახერხა დედამ, იმდენად განიცდიდა სამშობლოს დატოვებას. ანსამბლის ბიჭებმა რომ გააცილეს, ძლივს წაიღეს მისი ჩანთა, იმდენად მძიმე იყო. რა უწყვია ამდენი, რა მიაქვს, ხომ იცოდა დამხმარე არავინ ჰყავდა, - ასეთი კომენტარები გააკეთეს გამცილებლებმა, ხოლო ერთი ჩვენი თანამგზავრი თან ტიროდა და თან ისე მეუბნებოდა, ჩასულთან ესაუბრა ვიდრე ჩავიდოდა: **იმ ჩანთით ქართულ წიგნებს მიათრევდა, იქნება, ჩემმა შვილმა ენა არ დაივიწყოსო.**

ასევე მძიმე იყო ერთი ახალგაზრდა კაცის, ვეფხიას, გადახვეწა. ესპანეთში მიდიოდა. ბოლოს ნერვიულობის გამო მოუმატა ლაპარაკს, სიცილს, საქართველოს გახსენებას, გადაგვეხვია ყველას. ძალიან მინდა, მაგრამ ვიცი, ველარ დავბრუნდებიო.

ვინც მინახავს მე ასე გადახვეწილი სამშობლოდან, ყველა მისტირის თავის ქვეყანას. მე კი ასეთი განწყობა მეუფლება: მეჯავრება დღევანდელი ხელისუფლება ჩვენი, მეჯავრება მათი უნიათობა და გაუმაძღრობა. ისინი მიერეკებიან სამშობლოდან ქართველებს. ყველაფერს აკეთებენ, რომ გაძარცვონ საკუთარი ხალხი, გააღარიბონ და გადახვეწონ. ვისი ხელისუფალნი იქნებიან

* „არავი“ №4, 2016 წელი, გვ. 38-42.

ბოლოს, თუ ყველა წავიდა, ან ვინღა დარჩება საქართველოში, ვინ იცხოვრებს, ალბათ ყველა, ქართველების გარდა! ჩვენ ჩვენივე ხელით ვიგლეჯთ საკუთარ სისხლს და ხორცს. ასეთი რამ არც ერთ მტერს არ უქნია საქართველოს ისტორიაში. მეზიზღება დასავლეთი თავისი ცივილიზაციითა და სიმდიდრით, თავისი საშინელი მოწესრიგებულობით, ასე რომ იზიდავს ჩვენს გაუბედურებულ თანამემამულეებს. არც ფუნქციონერებსა და არც დასავლეთს არ აპატიებს ღმერთი ყოველივე ამას." - ამას ვწერდი 2000 წელს. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა.

ემიგრანტი ლათინური სიტყვაა და სამშობლოდან სხვა ქვეყანაში უმთავრესად პოლიტიკური მიზეზით გადასახლებულ ადამიანს ჰქვია. ემიგრაცია ახლავს დიდ პოლიტიკურ კატაკლიზმებს. პირველი ემიგრაციული ტალღა ახლდა 1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობას რუსეთის მიერ.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული პოლიტიკური მიზეზის გარდა ქართული ემიგრაციის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა სოციალურმა ფაქტორმა, როდესაც სამუშაოს საშოვნელად დაიძრა საქართველოს მოსახლეობა დასავლეთისაკენ. მერე და მერე ამ მოძრაობას შეუერთდა სტუდენტობა და საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლობა, რამაც გამოიწვია ქართული სათვისტომების გახსნა და დიასპორის ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყანაში.

ამიტომ ემიგრაციის პრობლემა სხვადასხვა ასპექტით უნდა განვიხილოთ. ქართველი ოდითგანვე ცნობილი იყო საკუთარ მიწაზე მიჯაჭვულობით. იძულებითი გადაადგილების გარდა არ ცდილობდა თავისი ქვეყნის დატოვებას ჩვენი ნინაპარი. „სადაც კარგად ვიქნები, ჩემი სამშობლო ის არის" - არასოდეს ეს დევიზი არ ჰქონია ქართველ კაცს. ამიტომაც არის რომ უცხოეთში გადახვეწილ თანამემამულეთ განსაკუთრებული ნოსტალგია აქვთ სამშობლოსი. ნოსტალგიას, მონატრებას პოეტური ენის აფეთქება ახლავს, სამშობლო, რომელსაც გაჭირვების გამო დასცილდა ქართველი, რომანტიკულ ფერებში მოჩანს შორიდან. ამ ყველაფერს აძლიერებს სამშობლოში დარჩენილი ოჯახო მეუღლე, შვილები, მშობლები.

პოეტური ენა ყველაზე მორგებული აღმოჩნდა სამშობლოს მოცილებული ადამიანისათვის. ლექსებში კარგად ჩანს ნოსტალგიასთან ერთად შეძახება საკუთარი თავისადმი, რომ გადახვეწა დამორჩილება არ არის, არ არის სამუდამო!

„მე ის არა ვარ, სამშობლოს რომ სასწორზე დასდებს,
უიმედობას ფეხებთან რომ დაეჩოქება,
მე ის არა ვარ, სიყვარულის ხიდებს რომ ჩასტეხს,
გზად მიუწვდომელ მწვერვალებს რომ დაეტოლება.“

მარინა ყიფიანი (საბერძნეთი)

„გაზაფხულდაო საქართველოშიც,
გლეხი ვენახში საქმით გართულა,
მე კი ქართულად ვერ ვგაზაფხულობ,
აქ ხომ ვაზიც არ ტირის ქართულად.
ვერ მოგეფერე ნატყვიარ გულზე,
დავაგვიანე. და გზაც გაგრძელდა,
ეს მონატრება ტკივილად დამდევს,
როცა დაგტოვე, დროც იქ გაჩერდა.“

ნანა მეტრეველი (საბერძნეთი)

ემიგრანტობა სტატუსი არ არის. ვინ რატომ და ვინ როგორ მოსცილდა თავის ქვეყანას ამის განსჯა მომავლისთვის მიგვინდია. ტერმინმა გააერთიანა ყველა. ნაღველის გარდა მდგომარეობის შემფასებლებიც არიან საზღვარსიქითა ქართველები.

„გახუნებული ოცნება გვტკივა,
გზააბნეული ფიქრი გვაწამებს,
რით ვუმკურნალოთ ჭრილობებს მტკივანს
წლებს ემიგრანტულს, მწარედ ნაწამებს.
შემოვინახეთ გულში ზაფხული,
მზე სამშობლოდან გამოვიყოლეთ,“

მარინა ყიფიანი (საბერძნეთი)

ალბათ შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ ემიგრანტთა პირველი თაობის ლექსებში ხალხური ნაკადი სჭარბობს. ემოციათა და განცდთა სიუჟეტური თუ მხარვრული წარმოსახვა ხალხური პოეზიის მზა რეცეპტებითაც შეიძლება აღმოჩნდეს ნასაზრდოები.

„მთას შეფენილი ფარა ვარ,
წვრილ ბილიკებით მავალი,
მეცხვარეცა ვარ, მგლისმუხლა,

დაუღალავი, თამამი.
ახლა მგელიც ვარ სამგლეთში,
ძაღლი - ერთგული მცველი ვარ,
ბრძოლის ველს მოკლული მხედრის
სისხლ ამღვრეული ცხენი ვარ.
კლდეზე ჯიხვი ვარ, მხტომარე,
სიკვდილის შიშის მოზარე,
წვიმა ვარ, გვალვების შემდეგ,
მორწყვა, მონამვის მოვალე."

ზაირა კელიაშვილი (საბერძნეთი)

შორიდან უფრო მწარედ აღიქვამ სამშობლოს. ყველაზე მტკივნეული, რაც შეიძლება იყოს ერის ცხოვრებაში, არის წართმეული, დაკარგული ტაძარი, მიწა წინაპართა ოფლით და სისხლით მორწყული.

მოჭრილი მარჯვენა ქართველთა ხვედრია,
დიდების საშენად ქმნილ - გამოძერწილი,
ეს წართმეული მიწები ჩემია,
მეც ჩემი მარჯვენა მაქვს შესაწირავი.

ზაირა კელოშვილი (საბერძნეთი)

უნდა ვუსურვოთ ჩვენი დღევანდელი ემიგრანტების შთამომავლობას შერჩენოდეს ის პათოსი და სიყვარული საკუთარი სამშობლოს მიმართ, რაც თანამედროვე პოეზიაში გასდევს თითოეულ ლექსს.

ვერ დამიბინდავს ამ მზეს, ლელიანს,
ძველი ცოდვები დაცვარა ოფლმა,
იყო ქართველი მართლა ძნელია
და რა ტკბილია უფალთან ყოფნა.

ნანა მეფარიშვილი (აშშ)

უცხოეთში გადახვეწილი ადამიანისათვის ჩნდება უპირველესი კითხვა: „სწორი ნაბიჯი გადავდგი თუ შევცდი, იქნებ სჯობდა, არ წამოვსულიყავი?!"

„მივედე მოვედე მთასა და ბარს შორის,
ვისუნთქე სამშობლოს და უცხო ჰაერიც,
ობობის ქსელები გავხლართე უნებრად,
და შიგ უსაშველოდ თავადვე გავები".

(მაია გოგოლაძე - კილიჩი, გერმანი)

გადადგმული ნაბიჯი მუდამ აწვალებს ემიგრანტის სულს:

„მე გუშინ სამშობლო დავტოვე,
ახლა კი უზნეოდ ნატვრებში მივტირი“

(ნანა მეფარიშვილი, აშშ)

სამშობლოდან გადახვეწილთა მიზანი ისევ სამშობლოს მსახურებისა, წმინდაა, მრავლისმთქმელია:

„არც ცრემლის ღირსი ვარ, არც ვინ გამაცილოთ,
მკვდარიც კი ჩამოქლეთ, კვნესა თუ აღმომხდეს,
მესროლეთთ, ოღონდაც გულს არ ააცილოთ,
უკან სამშობლო დგას და იმას არ მოხვდეს“

(ნანა მეფარიშვილი, აშშ)

ჩვენი ჟურნალი რეგულარულად ბეჭდავს და მომავალშიც დაბეჭდავს ემიგრანტ ავტორებს. გვინდა ერთგვარი ხიდის როლი შევასრულოთ სამშობლოსა და ჩვენს თანამემამულეთა შორის. მიზანი სიკეთის, სიყვარულის გაღრმავებაა. ქართველმა, სადაც უნდა იყოს იგი, ქართული საქმე უნდა აკეთოს. ამის შესანიშნავ მაგალითს ბევრი ჩვენი თანამემამულე გვიჩვენებს უცხოეთში. სამომავლოდ ვეცდებით კრიტიკული წერილებითაც შევეხმიანოთ ჩვენს საზღვრისიქითა ავტორებს. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იქნება თითოეული პოეტის შემოქმედების განხილვა და მათთვის პროფესიონალი კრიტიკოსისაგან ნათქვამი სიტყვა.

სტუმრად უნივერსიტეტში*

როგორი იყო ლიტერატურული, პოეტური ტრადიცია მესხეთში საბჭოთა პერიოდამდე და მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე? ყველაფერი ძირითადად შემოიფარგლერბოდა ხალხური ზეპირსიტყვიერებით. იყვნენ „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნენი და ასევე ხალხური „ვეფხვისტყაოსნის“ მთქმელები. ბევრი რამ ითარგმნებოდა მეზობელი ენებიდან, ყვებოდნენ და მღეროდნენ „აშუღყარიბის“ „ქოროღლის“ სიმღერებს. ეს ყველაფერი არ ხდებოდა მხოლოდ ქორწილებსა და დღეობებში, ასეთი გახლდათ მაშინდელი მესხეთის ყოველდღიურობა. მართალია სპეციალური სალონები არ არსებობდა და საამისოდ შეკრებები არ იმართებოდა, მაგრამ მიდიოდნენ ერთმანეთთან საღამოს ვიზიტებზე სტუმრობები, განსაკუთრებით ზამთრის გრძელ ღამეებში, რასაც არავითარ შემთხვევაში არ ახლდა პურობა, სმა, რადგან ეს არ არსებულ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული და ოჯახისათვის სპეციალურ სამზადისს მოითხოვდა. საღამოს შეხვედრები, როგორც წესი, ან ახლო ნათესავებს შორის ხდებოდა, ან სამეზობლოში, რაღაცით ერთნაირი სულიერი სიახლოვით დაკავშირებულ საზოგადოებაში. როდესაც 1944 წელს ადგილობრივი მაჰმადიანები გაასახლეს და ჩამოასახლეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეობა, დაყოფაც თავისთავად მოხდა, დამხვდურები ერთად, ერთ „ლიტერატურულ“ გარემოში ხვდებოდნენ, ხოლო მოსულები–ერთად. როგორც კი ამას დაერთო სასმელი და ქეიფი (ეს შედარებით მოგვიანებით მოხდა), ტრადიციაც მოიშალა.

შემოქმედი ადამიანები მიუწვდომელ ზღაპრულ ბურუსში იყვნენ გახვეულნი. არავის ენახა თავის დროზეც ილია, აკაკი, ვაჟა.... თუ ვინმემ რამე იცოდა მათ შესახებ, მხოლოდ შორეული გადმოცემების სახით. პოეზია და სიმღერა ერთიანდებოდა, მღეროდნენ ლექსებს და ლიტერატურაზე წარმოდგენაც აქ მთავრდებოდა. თუ რომელიმე ხელოვანზე შეიძლებოდა საუბარი, რომელსაც ხალხი იცნობდა, ისევ ორენოვანი აშუღები იყვნენ.

---

* „არავი“, №2, 2016. გვ. 3-16.

ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბება მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის გაცნობით, კითხვით არ ხდება. ცოცხალ პოეტთან, შემოქმედთან შეხვედრა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია. მარტო **აკაკი წერეთლის** მოგზაურობა რად ღირს მე-20 საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში.

პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ეროვნულ პატრიოტულ სულისა და პოეზიისადმი ინტერესის გასაღვივებლად **გალაკტიონის** მოგზაურობას სამცხ-ჯავახეთში 1955 წელს. მართლაც გმირობის ტოლფასი იყო **ვახტანგ გურგენიძის** ნაბიჯი, წაეყვანა გალაკტიონი სამხრეთ საქართველოში და პოლიტიზირებული გარემოს ფონზე შეექმნა დიდი პოეტისათვის ეროვნულ-ისტორიული გარემო. ხალხი მათ ხვდებოდა აღტაცებით. ეს მხოლოდ მოგზაურობას არ ნიშნავდა, მთელს სამცხე-ჯავახეთს დაამახსოვრდა ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა და დიდხანს ასაზრდოებდა პოეზიის სურნელით იქაურ საზოგადოებას. მოვიყვანთ ვ. გურგენიძის მოგონებას ამასთან დაკავშირებით:

„იმდროინდელ პრესის ფურცლებზე, კინოქრონიკებში, ზეპირ მოხსენება-საუბრებში, თვით ორგანიზაციების ადგილობრივ კრებებზე, აღარაფერს ვამბობ პარტიული ორგანოების კონფერენციებსა და პლენუმებზე, ვერ ნახავდით, რომელიმე პიროვნების სურათს, ვერ გაიგონებდით ვერაფერს, გარდა პორივნების დამცირებისა და გინებისა, ყველგან საუბარი იყო თემაზე: „ხალხი, როგორც ისტორიის შემქმნელი" (ვ. გურგენიძე, გალაკტიონი მესხეთ-ჯავახეთში,1993წ. გვ. 4) პიროვნების კულტის უხილავი აჩრდილი ჯერაც თავზარს სცემდა ომგამოვლილ თუ შემდეგი დროის ფუნქციონერებს, ამიტომ ნებისმიერი ცნობილი პიროვნების აქტიურობა მაშინ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ნაბიჯად განიხილებოდა, მიუხედავად ამისა გალაკტიონის მოგზაურობა შედგა.

პოეტის ამ გასვლას, გარდა საზოგადოებრივი ინტერესებისა, მოჰყვა გალაკტიონის ლექსების ციკლი მესხეთ-ჯავახეთზე, ვ. გურგენიძის მიერ გადაღებული ფოტომატიანე მოგზაურობისა და მრავალი სხვა.

მე-20 საუკუნეში ამ ტიპის შეხვედრები გარდა მხატვრული დატვირთვისა პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა, მიუხედავად

ამისა, მესხეთში სტუმრობისას ყველა ეროვნული მუხტით იმუხტებოდა და ეს ურთიერთობაც ახალგაზრდობის აღზრდის, მათი ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალება გახლდათ.

ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შოთაობის, რუსთველის დღესასწაულის, რეგულარულ გამართვას მესხეთში. საბჭოთა პერიოდში 1966 წლიდან მოყოლებული ყოველ წელს იმართებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლებთან მწერლებთან და პოეტებთან შეხვედრა. ყველა ის მოღვაწე, ვისაც მათი შემოქმედებით იცნობდა მკითხველი და ვისაც მხრებით მიჰქონდა მაშინდელი ქართული მწერლობა, შემოდგომით მესხეთის სტუმარი ხდებოდა.

დიდ როლს თამაშობდნენ საზოგადოებრივი გაერთიანება „ცოდნის" ლექტორები, რომელთა მიზანი და დავალება ძირითადად კომუნისტური რეჟიმის აგიტაცია-პროპაგანდა იყო, მაგრამ, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ჩამოდიოდა მესხეთში, გვერდს ვერ უვლიდა მის ისტორიას, რუსთველს, პოეზიას, ლიტერატურას და სასიკეთო შედეგებიც ახლდა ამ ტიპის მოძრაობას.

საზოგადოება, ახალგაზრდობა გამოდიოდა ხალხური პოეზიის, გადმოცემისა და ლეგენდების ფონზე ჩამოყალიბებული ცხოვრების შეფასებისა და სამყაროს აღქმის ტრადიციიდან, მიმდინარეობდა მხატვრული ლიტერატურის, მისი საშუალებით ჩამოყალიბებული გემოვნების ცოცხალი პროცესი.

განსაკუთრებული პატივი უნდა მივაგოთ რეგიონში მოღვაწე მხატვრული აზროვნების ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედთ, ვინც მართლაც გასაოცარი გულწრფელობითა და ენერგიით იტვირთა ლიტერატურული ღწვის მისია. შემოქმედნი, რომელნიც არსებული რეალობის პირობებში ახერხებდნენ ეროვნული სულის გაღვიძებას და მის მხატვრულ ფორმაში წარმოდგენას. ამ საკითხის შესწავლა აუცილებელია, ცალკე განხილვის საგანია, და, რომ არავინ გამოგვრჩეს, მათი დასახელებისაგან შევიკავებთ თავს.

ამ ჯანსაღი პროცესის გამგრძელებელი უნდა გამხდარიყო სამხრეთ საქართველოში უნივერსიტეტი, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს შეიქმნა და გააგრძელა არსებობა საქაართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და შენარჩუნების ურთულეს პერიოდში. მაშინდელი თსუ ახალციხის

(მესხეთის) ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტს, რომელზეც იკითხებოდა ქართულ ლიტერატურის, ლიტერატურის ისტორიის, კრიტიკის პრობლემებთან დაკავშირებული საგნები და ლექციები, ბუნებრივია დიდი როლი უნდა ეთამაშა მესხეთის სულიერების, ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბების რთულ პროცესებში. მისი კურსდამთავრებულები მომავალი დედები იყვნენ, ვინც სხვაგვარად აღზრდიდნენ შვილებს, შთამომავლებს.

უნივერსიტეტმა, როდესაც ლიტერატურული ცხოვრების წინამძღოლის როლიც აირჩია, პირველ რიგში ამით თავისი სამოქმედო პროგრამა დაუწერელ კანონად აქცია. სტუდენტობასთან ჰუმანიტარ პროფესორთა აკადემიური კანონიკური ურთიერთობა ძალიან ჩვეულებრივი ამბავია. ეს ურთიერთობა იძლევა ცოდნას, პროფესიის მიღების გარანტიას, მაგრამ შემოქმედ ადამიანებთან პერიოდული შეხვედრები ცხოვრებასთან, ლიტერატურასთან სხვაგვარად აზიარებს ახალგაზრდობას, საზოგადოებას საერთოდ. უნივერსიტეტი ქმნიდა და ქმნის მომავალს. ნებისმიერ ზედნაშენს სჭირდება მყარი საფუძველი, რაც კიდევ უფრო სერიოზული და ძნელი შესაქმნელია, ვიდრე დიდი ლიტერატურა. 2000 წელს ფილიალის არსებობის 10 წლისთავზე ვწერდით: „დიდი ლიტერატურა უნდა მოვიდეს. უღრუბლო ციდან წვიმა არ იცის. ჩვენს უნივერსიტეტს აქვს პრეტენზია, რომ შექმნას საფუძველი დიდი ლიტერატურის მოსვლისთვის. რომ არ ყოფილიყო **სერაპიონ ზარზმელი, გრიგოლ ხანძთელი,** არ იქნებოდა **რუსთაველი**. განვლილი 10 წლის განმავლობაში გვქონდა ცდები ლიტერატურული ცხოვრების გარკვეული გზით წარმართვისა, რასაც ფილიალის ლიტერატურული წრე ახორციელებდა. გამოიცა რამდენიმე კრებული, გამოდიოდა ლიტერატურული ალმანახი „სიტყვაა“ და სხვა. უნივერსიტეტმა უკვე გაავლო თავისი ხნული. მესხეთში, როგორც ყველგან, გამოდის წიგნები, ყველა, რა თქმა უნდა, მაღალი დონისა ვერ იქნება, მაგრამ მათ გამოცემას ავტორებს ვერავინ დაუშლის. იქმნება ლიტერატურული ფონი, რომ უკეთესი გამოიკვეთოს (ჟურნალი „ცისკარი„, №5, 2000წ. გვ.79).

პირველსავე წელს, როდესაც უნივერსიტეტში ვიწვევდით ადგილობრივ პოეტებს, ვხვდებოდით მათ, აშკარა გახდა, რომ, ამასთან ერთად, თავისი სიტყვა აუცილებლად უნდა ეთქვა თბილისს,

უნდა გაღრმავებულიყო და გახშირებულიყო მწერლობასთან ურთიერთობის ტრადეცია, კომუნისტურ პერიოდში რომ ჩამოყალიბდა. კოლექტიური გასვლებისა და შესაბამისი კონტაქტების პარალელურად საჭირო გახდა ინდივიდუალური მოწვევები, საჯარო ლექციები, რომელზეც დაისმებოდა კითხვები და გაეცემოდა პასუხები, საზეიმო, პომპეზური საუბრების ნაცვლად, საჭირო შეიქნა კონკრეტული პერსონალური შეხვედრები, ზოგ შემთხვევაში, თუნდაც ამას კამერული ხასიათი ჰქონოდა. უფრო შედეგზე ორიენტირებული გახდა ურთიერთობა.

ჩვენი უნივწერსიტეტის ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან მხარში გვედგა **ნოდარ ტაბიძე**. იგი არა მარტო სტუმრობდა და ურთიერთობდა სტუდენტებთან, არამედ დიდი სიყვარულით ყვებოდა დიდ **გალაკტიონზე**. აი, ერთი ამონარიდი მისი ინტერვიუდან 1996 წელს: „გალაკტიონისადმი მიძღვნილი ტეტრალოგიის ორი წიგნი დასრულებულია, ახლა ყველაზე რთულ პერიოდს ვეჭიდები 30-40-იან წლებს. გულწრფელად მოგახსენებთ, დავიბენი, ზოგიერთ არსებით საკითხში ვერ გავერკვიე. არაფერია, ესეც დაიძლევა."

ახალციხელი სტუდენტებისათვის ხელშესახები ხდებოდა ის დიდი სამზარეულო, რომელიც **გალაკტიონის** ცხოვრებას ეხებოდა, განსაკუთრებით მნიშვნელობა ჰქონდა, როდესაც ამას ბატონი ნოდარ ტაბიძის პირიდან ისმენდნენ და იქვე, მისივე მეგობრის **ვახტანგ ჯავახიძის** შეძახილი: „ნოდარ, ყველაფერი გადადე, მხოლოდ გალაკტიონს მიაპყარი ყურადღება. შენ მასთან ცხოვრობდი, ბევრი რამ გახსოვს, ბევრი რამ დაფიქსირებული გაქვს, მათი დაკარგვა არ შეიძლება, არადა, ხვალ რომ რამე დაგემართოს?! იჩქარე იჩქარე, იჩქარე!" („მესხეთის უნივერსიტეტი" №22,)

ახალციხეში უნივერსიტეტის ცხოვრებაში აქტიურ როლს თამაშობდა **რევაზ მიშველაძე**. იგი არაერთხელ ესტუმრა აქაურ ახალგაზრდობას, ჩაატარა ლექციები, გულშემატკივრობდა სამხრეთის უპირველეს უმაღლეს სასწავლებელს და ამხნევებდა მის პროფესურას, აწვდიდა ახლად გამოსულ საკუთარ წიგნებს. მრავალთაგან გამოვყოფთ მწერლის 1997 წლის ჩამოსვლას ჩვენს უნივერსიტეტში. მაშინდელი „მესხეთის უნივერსიტეტი" წერდა: „ბატონ რევაზ მიშველაძეს, ცნობილ მწერალსა და მეცნიერს,

თბილისის უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგეს, მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება.

ბატონი რეზო ამასწინათ ფილიალში იქნა მოწვეული. ბუნებრივია, შეხვდა პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს. მიმოიხილა ჩვენი სასწავლო თუ ლიტერატურული ცხოვრება. ესაუბრა ახალგაზრდებს, მათთვის ბევრ საინტერესო პრობლემას შეეხო" (მესხეთის უნივერსიტეტი", №5 (25)1997წ).

იმ პერიოდში გააქტიურდა ეროვნული ნიჰილიზმის სენი, რომელსაც საკუთარი კლასიკური მწერლობისადმი ასევე ნიჰილისტური დამოკიდებულება ემატებოდა. აქა-იქ „ვეფხვისტყაოსანსაც" გაკრეს კოსმოპოლიტური კბილი ახალმა ქართველებმა, ამიტომ მესხებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მწერლის ნათქვამს ჩვენი უპირველესი წიგნის შესახებ: „ჩვენ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი **ეროვნული პასპორტი** გვაქვს. ამ **პასპორტს „ვეფხისტყაოსანი" ჰქვია".**

აფხაზეთის ომში დაღუპული შვილის მამისგან ნათქვამ სიტყვებს სხვაგვარად ხვდებოდა ახალგაზრდობა. განსაკუთრებულ ემოციებსა და ტკივილთან იყო დაკავშირებული რეზო მეშველაძის ნათქვამი:

„ზოგიერთს ეჩვენებოდა, რომ მამულის დაცვის ნიჭი გაქრა საქართველოში, რომ მონობამ რუსეთის კირთების ქვეშ ბევრი რამ წაგვართვა, რომ წაიშალა ზღვარი ცოტნე დადიანსა და თანამედროვე ახალგაზრდობას შორის, თუმცა როგორც კი საქართველოს გაუჭირდა, ოცდაათი ათასი ქართველი ვაჟკაცი დადგა სამშობლოს სამსხვერპლოზე და შეეწირა მის დაცვას აფხაზეთში".

მწერალმა კარგად დაინახა და შეაფასა სამხრეთ საქართველოში ახალი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების სათავეში მდგომი ჩვენი უნივერსიტეტის როლი:

„ქართული ცივილიზაციის აკვანი მესხეთში დაირწა. მე ვხედავ, რომ ქართული ეროვნული ცნობიერება, იდეოლოგია საქართველოს გასამაგრებლად საჭირო ცნობიერება, ნელ-ნელა იკიდებს ფეხს სამცხე-ჯავახეთში. მე ამას მივესალმები. მე გახლდით მესხეთის უნივერსიტეტში და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე, როგორ ინტერესდებოდა სტუდენტობა ჩემი ნაწერებით, ქართველი მწერლის ნაწერებით."

მწერლები ახალციხეს სტუმრობდნენ სხვადასხვა ღონისძიებაზე და მათი გამოსვლებიც განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა, რადგან სხვა სამრეკლოდან რეკდა მათეული ნათქვამი. 2001 წელს ახალციხეში უნივერსიტეტის ეზოში **გრიგოლ ხანძთელის** ძეგლის გახსნა პირველ რიგში **გიორგი მერჩულეს** ლიტერატურული ღვაწლის დაფასება იყო. ბუნებრივია, იმ დღეს ეროვნულ-პატრიოტული სული განსაკუთრებით ზეიმობდა. სტუმართა შორის გამორჩეული გახლდათ **თამაზ წივწივაძისა** და **გენო კალანდიას** სიტყვები:

თამაზ წივწივაძე სწორედ მწერლობის ეროვნულ ხასიათს შეეხო, როდესაც განაცხადა: „დღეს ჩვენ გრიგოლ ხანძთელის ძეგლის გახსნას ვესწრებით და სწორედ აქ იქნებოდა უპრიანი, გაგვეხსენებინა, რომ ამ დიდ ადამიანს პირველი ძეგლი ბრწყინვალე ქართველმა მწერალმა - გიორგი მერჩულემ დაუდგა თავისი შესანიშნავი თხზულების სახით, რომელიც ღირსეულად წარმოადგენს თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ მწერლობას. სრულიად ბუნებრივია, რომ გრიგოლის ღვაწლი ქართულმა მწერლობამ უკვდავყო. **წარმოშობის დღიდანვე, ქართული მწერლობის უპირველესი საზრუნავი ეროვნული იდეალების სამსახური იყო** და ასეა დღესაც, როდესაც საქართველოს არანაკლები გასაჭირი ადგას“.

გენო კალანდიას საფიქრალი არანაკლებ მტკივნეული აღმოჩნდა. ეს ყველაფერი კი სულ სხვაგვარად ჟღერს როდესაც მწერლისგან ისმენ და არა პოლიტიკოსისაგან:

„მე მჯერა, თუ ჩვენ ერთად დავდგებით, გრიგოლ ხანძთელის მაღალი სული დაგვეხმარება, დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები - აფხაზეთი და სამაჩაბლო.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ, ჩვენს დიდ წინაპართ, რომლებიც ჩვენი თანამედროვენი არიან“ („მესხეთის უნივერსიტეტი, №3-4, 2001წ).

ლიტერატურული ექსპერიმენტების ძიებაში საინტერესო ინიციატივით გამოდის უნივერსიტეტი „ლიტერატურულ მესხეთთან“ ერთად, როდესაც ატარებს რომანის სწრაფი წერის კონკურსს 2001 წელს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები აძლევენ **ნარო კოლხელს** (ნარიმან იაშალაშვილის) რომანის სიუჟეტისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ციტატებს და იწერება

ახალი რომანი 3 დღეში. ავტორი ცხოვრობს ამ სამი დღის განმავლობაში უნივერსიტეტში ქანდაკებების, გრიგოლ ხანძთელისა და ივანე ჯავახიშვილის ძეგლების გარემოცვაში და წერს ნაწარმოებს.

თემა:

„ჭირსა შიგან გამაგრება“.....

შინაარსი:

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს“.....

(პროლოგის მაგიერ)

თავი I „სჯობს სახელისა მოხვეჭა“...

თავი II „სიყვარული აგვამაღლებს“...

თავი III „რასაცა გასცემ შენია“...

თავი IV “თქმა მართლისა სამართლისა“..

თავი V „მოყვარე მტერი ყოვლისა“...

თავი VI „ავსა კაცსა ავი სიტყვა“...

თავი VII „რა ერთსა გცემენ ათასნი“...

თავი VII „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა“...

თავი IX „ბოროტსა სძლია კეთილმან“...

თავი X „ჭირსა შიგან გამაგრება“...

„მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის

კაცი ჭირსა“... (ეპილოგი)

მუშაობის ხანგრძლივობა: 31 საათი და 15 წუთი

კომპედენტურმა ჟიურიმ გადაწყვიტა, რომ ნარო კოლხელის უმოკლეს დროში შექმნილი ნაწარმოები დაბეჭდილიყო „ლიტერატურულ მესხეთში“ („ლიტერატურული მესხეთი“ №7 (31) 2001წ). აი ჟიურის შემადგენლობა:

მერაბ ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორი. ჟიურის თავმჯდომარე

სერგო მელიქიძე - პრორექტორი

ნათელა ნაცვლიშვილი - ქართული ენის კაბინეტის ხელმძღვანელი

ვახტანგ ინაური ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე

ავთანდილ ბერიძე - გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი

თამარ გოგოლაძე - ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი

შალვა კელოშვილი - პოეტი

ლიტერატურული საქმიანობის ეს სტილი არა მხოლოდ მესხეთისათვის, საქართველოშიც სიახლე იყო და ამ ყველაფრის მოწმენი მაშინდელი სტუდენტები გახდნენ.

ლიტერატურული ხითშაბათები აფართოებდა წრეს, მისი მსმენელი აღარ ეტევა აუდიტორიაში, როდესაც რომელიმე მწერალი ან პოეტი გვეწვევა ხოლმე. **გოდერძი ჩოხელი,** როგორც მწერალი და როგორც რეჟისორი, დიდი სიყვარულით მიიღო უნივერსიტეტის დარბაზმა. მწერალმა მსმენელს მოუთხრო თუ როგორ დაბეჭდა პირველი მოთხრობები „ცისკარში“, რა გზა გაიარა მწერლობაში და კინოში. სტუდენტებისთვის მომავლის იმედის მომცემ და ოპტიმიზმის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ მისი ნათქვამი.

„თქვენ წარმოადგენთ ამ უნივერსიტეტს, რომელმაც ჯარ ამ მხარეში უნდა თქვას თავისი სათქმელი, გააძლიეროს საქართველო და შემდეგ სრულიად საქართველოს მომავალი შვილები და ბატონ-პატრონები უნდა გახდეთ..... **ახლა ჩვენი მტერი ცდილობს, რომ ქართველი ახალგაზრდობა მოწყვიტოს იმ ძირებს, იმ ფესვებს, იმ სულიერ საწყისს, რასაც ქართველების სული ერქვა** და ცდილობენ, რომ გადამთიელის სულს ჩავწვდეთ. ეკრანზე ვეღარც ქართულ ხალხურ სიმღერას გაიგონებ, ვეღარც ქართულ ფილმს ნახავ - ისეთს, რასაც ჩვეულებრივ დროს. ჩვენი მტერი კი ცდილობს, მოგვწყვიტოს წინაპრების სულს, მაგრამ მე ვხედავ, რომ ვინც იცის, სად არის ქართული სული, უპირველესად ესენი არიან მასწავლებლები, რომლებიც არ დაუშვებენ იმას, რომ ქართული ახალგაზრდობა მოწყდეს წინაპრების ფესვებს“ („მესხეთის უნივერსიტეტი“ №4 2002წ.). გოდერძი ჩოხელმა უნივერსიტეტელებს დაურიგა თავისი წიგნები ავტოგრაფებით.

მესხებს და მესხეთს სულ ჩასჩიჩინებდნენ, საყვედურობდნენ პროვინციელობას. შემთხვევითი საულაც არ იყო, ჯავახეთი რომ ქართველებისაგან იცლებოდა. ქართველმა კაცმავე შექმნა გამოთქმა: „რას მეჯავახები!“

ზოგიერთი ჩვენი წინაპარიც უწყობდა ხელს ასეთ კუთხურ უარყოფით დახასიათებას და გარკვეულ დეფინიციას,. ეს განსაკუთრებით გაძლიერდა მე-19 საუკუნეში და გაღრმავდა კომუნისტური რეჟიმის პირობებში. რწმენადაკარგული სამხრეთელი თავს

ხშირად საქართველოს სხვა კუთხეს აფარებდა, რაც გარკვეული ისტორიული ტრადიციითაც აიხსნება უამრავი შემოსევისა და დაპყრობის ფონზე.

საჭირო გახლდათ ქართველი კაცისთვის საკუთარი თავის რწმენის განმტკიცება, მესხობა მხოლოდ ისტორიით ტრაბახი არ უნდა ყოფილიყო. მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე გაუქმდებოდა, ჩვენი კუთხის კარჩაკეტილობაზე სერიოზულად „ზრუნავდა“ რუსული შლანგბაუმი.

ამ ტიპის მოწვევები, შეხვედრები მწერლებთან და პოეტებთან სწორედ ახალგაზრდობისთვის იმედის და რწმენის გაძლიერებისათვის იყო საჭირო.

უნივერსიტეტში სტუდენტებს შეხვდა, თავისი შესანიშნავი პოეზია გააცნო **თემურ ჩალაბაშვილმა,** უნივერსიტეტი, მისი ახალგაზრდობა და მესხეთი ერთსულ და ერთხორც წარმოაჩინა თემურმა, განუყოფელ ერთიანობად წარმოსახა: „ეს მინდა ვუთხრა ჩემს უდიდეს კუთხეს - მესხეთს:

ალბათ, მესხეთიდან იწყება სამშობლო. ერთი - ქიზიყში მელვიძება, როცა მგონია, რომ სახლში ვარ, და ასე ვგრძნობ თავს, როდესაც მესხეთში ვარ. ასევე მგონია, რომ ჩემი დედულეთია. განა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსთველი მესხი გახლავთ? არა მარტო მაგიტომ. მესხეთმა შექმნა რუსთველი თუ რესთველმა - მესხეთი, ეს ისეთი თემაა, რომელზეც, ალბათ, თაობები ისაუბრებენ.

ამაყი ვარ და ბედნიერი, რომ თქვენთან ვარ“ („მესხეთის უნივერსიტეტი“, №3, 2002წ).

პირადად ჩემთვის და მაშინდელი სტუდენტებისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია **ლაშა გახარიას** სტუმრობა უნივერსიტეტში. თითქოს დრო წაიშალა ჩვენს სტუდენტურ ცხოვრებასა და მაშინდელ შეხვედრას შორის. მე და ლაშა თანაკურსელები ვიყავით. ლაშასთვის ყოველთვის ძვირფასი იყო მესხეთში სტუმრობა.

ლაშა გახარიას პოეზიის სურნელი მაღალი მხატვრულობის გარდა თემატური აქტუალურობით გამოირჩეოდა მუდამ. ველარ ელეოდნენ ჩვენი სტუდენტები ლაშასთან განშორებას. ეზოში გამოყოლილები აგრძელებდნენ პოეზიას და პოეტურ შეხვედრას. მით უმეტეს, რომ წინაპართა ძეგლები იყვნენ ამ ყველაფრის მოწმენი. ჩვენი გაზეთი, მაშინდელი ჟურნალისტები წერდნენ ამის

შესახებ: „უნივერსიტეტის ეზოში შეჩერებულები კიდევ ერთხელ დავუბრუნდით მის პოეზიას, კიდევ ერთხელ დავიმუხტეთ პოეტური განწყობით.

დამშვიდობებისას ზეპირ ლექსად დაგვიქნია ხელი, რაც, თავისთავად, გულისხმობს იმას, რომ ჩვენ კვლავაც გვაჩუქებს სითბოთი და სიყვარულით აღსავსე საღამოებს."

სამწუხაროდ ველარ აუსრულა სტუდენტებს დანაპირები ლაშამ, სამაგიეროდ დარჩა მესხეთშა მისი ლამაზი ლექსი:

ვაი, თუ....
მეჯართეთათვის

ერთი კვირის წინ
მესხეთში გახლდით,
ბაჯაღლო ლინჯის
ვსინჯე ხერთვისი,
თმოგვსაც სპილენძის
შვენოდა ტახტი, -
მადისაღმძვრელი
თურქთა ღმერთისთვის.
ღუოდნენ კლდენი.
არ მისვენებდა
ერთი აზრი, რომ...
ვაითუ, მოსდგნენ
მოალაფენი
და ესეც თურქის ტომრით გაზიდონ?!

ლინჯი - სპილენძი (მეგრ.)

უნივერსიტეტში ჩემი მობრუნების შემდეგ პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლება, მწერლობასთან, პოეზიასთან სტუდენტთა ზიარებაში დახმარება იყო:

2014 წლის მიწურულს უნივერსიტეტს ორი შესანიშნავი პოეტი ესტუმრა. ნოემბერში სტუდენტებს და პროფესურას შეხვდა **მაყვალა გონაშვილი,** ხოლო დეკემბერში **თინათინ მღვდლიაშვილი.**

მოვიყვან ამონარიდს **ნინო ზედელაშვილის** რეპორტაჟიდან, რომელიც სწორედ ამ ვიზიტს ეძღვნება: „საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, ილია ჭავჭავაძის, ანა კალანდაძის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიების ლაურეატი, სხვადასხვა დროს სატელევიზიო საბავშვო რედაქციისა და პუბლიცისტურ გამოცემათა რედაქტორი, პოეტი **მაყვალა გონაშვილი** 27 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. ვიზიტთან დაკავშირებით ის კათალიკოს-პატრიარქის სიტყვებს იხსენებს.

დღევანდელ მწერლებს განსაკუთრებული მისია გაკისრიათ, ისეთივე, როგორც მე-19 საუკუნეში ხალხოსნებს, მთელი საქართველო უნდა ფეხდაფეხ დაიაროთ, ჩახვიდეთ ყველა კუთხეში და ქართული სიტყვა კიდევ უფრო მეტად ააღორძინოთ, რადგან ისე არაფერი სჭირდება საქართველოს, რწმენასთან ერთად, როგორც ქართული ენის გადარჩენა და მიხედვაო, - უთქვამს მაყვალა გონაშვილისთვის უწმინდესს. მას შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე პანკისის ხეობისკენ გაეშურა, შემდეგ მთიან აჭარას ესტუმრა, ახლა კი - მესხეთს“ („მესხეთის უნივერსიტეტი“№9, 2014წ).

როგორც ყოველთვის დროული და აქტუალურია პატრიარქის სიტყვები, რომელიც ახალი ძალის მომცემია ჩვენთვის, შუამავლია საზოგადოებასა და მწერლებს შორის.

ნიშანდობლივია **მანანა დუმბაძის** ამ შეხვედრის შესახებ ნათქვამი: „დღევანდელ შეხვედრასთან დაკავშირებით აღფრთოვანებული ვარ. ყოველთვის ვიცოდი, რომ ის, რაც საქართველოს უნდა შეუნახო, ხდება რეგიონებში, ეს არის ყველაზე ძვირფასი ქართული რეგიონი, რომელმაც შემოინახა ვარძია და ქართული სიტყვა.“

მწერალთა მხოლოდ მოწვევით აღარ კმაყოფილდებოდა უნივერსიტეტი. ეწყობა სტუმრის შემოქმედების განხილვა. ქალბატონებმა **ნესტან სულავამ**, **ნათელა ბერიძემ** და **მაკა კაჭკაჭიშვილმა** მიმოიხილეს **თინათინ მღვდლიაშვილის** პოეზია. შეხვედრა 2014 წლის დეკემბერში მოეწყო, მანამდე კი სტუმარი საფარაში წაიყვანეს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა და მისცეს საშუალება მოელოცა ჩვენი დიდებული ძეგლი. სხვას, რომ თავი დავანებოთ, მისი მესხეთში ყოფნისას დაიწერა შესანიშნავი ლექსი „ლომსია“. „ამ დღეებში დავწერე ლექსი „ლომსია“, ფინალურ

სტრიქონში მქონდა საფარა მოხსენებული. უფალმა და წმინდა ბარბარემ შემიწყალა, რომლის ხსენების დღეც არის დღეს და ტყუილი არ მათქმევინა, საფარა მანახა და დღეს თავისუფლად და თამამად შემიძლია წავიკითხო ეს ლექსი"- აღნიშნა პოეტმა.

ურთიერთობამ ორმხრივი ხასიათი მიიღო, პოეტური მუზის როლსაც ასრულებს ასეთი შეხვედრების დროს მონახულებული ჩვენი კუთხე. ჟურნალისტი **ლიკა ზაზაშვილი** წერდა თინათინის ვიზიტის შესახებ: „თინათინ მღვდლიაშვილი..... პოეტი, მხატვარი, ხატთა შემამკობელი, ღირსეული ქალბატონი, რომლის პოეზია ითარგმნა ინგლისურად, ფრანგულად, ჩეჩნურად, რუსულად, არაბულად. მის ლექსებზე შეიქმნა ისეთი ცნობილი სიმღერები, როგორიცაა "ხმალი ავლესოთ!", „ჭრიჭინები", „დავით მეფეს" და სხვა....

ამ დიდებულ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ ქალბატონს უმასპინძლა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 17 დეკემბერს. უნივერსიტეტში ქალბატონ თინათინთან შეხვედრის იდეა ასპინძაში პოეტისადმი მიძღვნილ პოეზიის საღამოზე დაიბადა. პოეტს გულთბილი დახვედრა მოუწყო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ" (მესხეთის უნივერსიტეტი" №10, 2014 წ).

2015 წელი უნივერსიტეტის საიუბილეო წელი იყო, რომლის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მწერალ **თემურ ჭკუასელთან** შეხვედრამ. მწერალი უნივერსიტეტს ეწვია მარტში. მისი შემოქმედება **ნათელა ბერიძის, ქეთევან გრძელიშვილის, მაკა კაჭკაჭიშვილის** და **ვახტანგ ინაურის** გვერდით შეისწავლეს და თავიანთი აზრი გამოთქვეს სტუდენტებმა **ნაზი ექნოსიანმა** და **ინდირა შაინიძემ.** შეხვედრის აქტუალურობისა და შესაბამისი დონის შესახებ მიუთითებდა გაზეთ „ვერსიის" რედაქტორი **მაია ფურცელაძე**: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ რეგიონში ამ დონის და ასეთი კარგი უნივერსიტგეტი ვნახე. აღფრთოვანებული ვარ ამით. მართალი გითხრათ, არ ველოდი, რადგან რეგიონებში, როგორც წესი, არ არის ხოლმე ყველაფერი ისე, როგორც ჩვენ გვინდა. ამიტომ სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი. ძალიან მომეწონა მომზადების ხარისხი და დონე ამ საღამოსი. ასეთი ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი ბატონი თემურ ჭკუასელის შემოქმედების მე იშვიათად მინახავს („მესხეთის უნივერსიტეტი" №3, 2015წ).

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორმა **ამირან გომართელმა** საერთოდ კრიტიკის პრობლემა დააყენა საქართველოში: „სამწუხაროდ, დღეს ქართული კრიტიკა არ არის ჯეროვან სიმაღლეზე. ყველას გახსოვთ ცნობილი გამოთქმა: განა დიდ იყო აქილევსი, არამედ დიდსა მიემთხვია მაქებარსაო. თუ კრიტიკა არ არსებობს, ყველაფერი არეულ-დარეულია, კრიტერიუმები არეულია“.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო თავად მწერლისეული შეფასება:

„ცუდ დროს დავიწყე წერა, რადგან ადრე ლიტერატურა ძალიან უყვარდათ საქართველოში. ახლა იმდენად დიდ ყურადღებას აღარავინ აქცევს და ჩემთვის ორმაგად ამაღელვებელია თქვენთან შეხვედრა. ჯერ ერთი, იმიტომ რომ საერთოდ შედგა ეს შეხვედრა და მეორე - შეხვედრის ხარისხი იმდენად გამაოგნებელია, გაოცებული ვუსმენდი აქ გამომსვლელთა დიდი ემოციით და გულწრფელობით ნათქვამ თითოეულ სიტყვას და ხანდახან მავიწყდებოდა, რომ ეს ყველაფერი იყო ჩემ მიერ დაწერილ წიგნებზე და აბსოლიტურად უცხო თვალით ვუყურებდი მათ და ვგრძნობდი, რომ ჭეშმარიტი მკითხველი თავისთავად არის შემოქმედი და მეორე - თქვენთან ერთად ისეთი რამ აღმოვაჩინე ჩემს ნაწერებში, რომლებზედაც მე თავად შეიძლება არც მეფიქრა“ (ჟურნალი „ცისკარი“ №3 2015წ. გვ. 42).

ეს უკვე შედეგია, მრავალწლიანი მუშაობის ურთიერთობის ნაყოფი, რომელსაც ისევ და ისევ გაღრმავება და გაძლიერება სჭირდება.

თემურ ჭკუასელთან შეხვედრა მხოლოდ მისი პროზით არ ამოიწურა. მართლაც, რომ საღამოს კულმინაცია მწერლის სცენარით გადაღებული ფილმის „გალობის რაინდების“ ჩვენება გახლდათ.

ღირს დავსვათ კითხვა: რატომ ვწერთ ამ ყველაფრის შესახებ?

ჯერ ერთი იმიტომ, რომ გვინდა ვაჩვენოთ ყველას, საქართველოში ყველგან საქართველოა და საქართველო არის იქ, სადაც ქართულ ენაზე იქმნება ლიტერატურა, ქართული მწერლები და პოეტები კითხულობენ თავიანთ ნაწარმოებებს.

მეორეც: უნდა გაგრძელდეს თბილისიდან რეგიონებში გასვლა, ქართული სიტყვა ძალუმად უნდა ესმოდეს ყველას. ამ საქმეს მეორე მხარეც აქვს, თვით მწერლობისათვის არის საჭირო საკუ-

თარ ფესვებთან ხშირი შეხება, რომ არ გაცვდეს ეროვნული ემოცია, არ გახდეს სულ ერთი მწერლისათვის, ვისთვის წერს იგი და ვინ კითხულობს მის ნაწარმოებს. ხშირად გვესმის ამა თუ იმ ენაზე ითარგმნაო ესა თუ ის ავტორი. იცნობენ ჯერ თავისსავე მამულში ამ ავტორს, თუ პირდაპირ ევროპელისთვის, ამერიკელისთვის იწერება, იქმნება სიუჟეტები!!!

და კიდევ: უნივერსიტეტის ვალიც არის და შეასრულა ის მისია, რომ საზისა და ბიათების, შუასაუკუნეების დროინდელი აღმოსავლური ზღაპარ-ბალადების მხატვრული დიაპაზონიდან საბოლოოდ გამოსულიყო მესხეთი. გარკვეული კულტურული ექსპანსიები დღესაც გრძელდება. ჩვენ კულტურული კონტაქტების მომხრე უნდა ვიყოთ და არა ექსპანსიებისა, რაც არ უნდა „დიდი" ხალხის თუ კულტურის წარმომადგენელი იყოს მეორე მხარე.

უძველესი მესხური ვაზი

საქართველო რომ მევენახეობის უძველესი სამშობლოა, საყოველთაოდ არის ცნობილი. მის ყველა კუთხეს ვაზის მოვლა-პატრონობისა და ღვინის დაყენების თავისებური ტრადიცია, შეიძლება ითქვას, კულტურა გააჩნდა. ამ მხრივ არც მესხეთია გამონაკლისი, მესხეთში მოჰყავდათ და უვლიდნენ როგორც მაღლარს, ისე ზვრებს.

განსაკუთრებით პოპულარული იყო და შემორჩა ბოლომდე ხეზე ასული ვაზი, რადგან ოსმალობის პერიოდში განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ მოხვდა ზვარი. ყურძნისგან ქართველი კაცი ყოველთვის ამზადებდა ღვინოს, ეს იყო ძირითადი დანიშნულება ამ კულტურისა. ღვინო გამოიყენებოდა როგორც საერო ისე სასულიერო დანიშნულებისათვის.

ქართული ქორწილი უღვინოოდ არ ჩატარდებოდა. მე-16 საუკუნიდან, რაც ოსმალეთის მმართველობის სისტემაში მოექცა მესხეთი, ღვინო, როგორც მუსლიმური სარწმუნოებისათვის მიუღებელი, იკრძალებოდა, ამიტომ, აქედან გამომდინარე, შესაბამისად მცირდებოდა ზვარი მესხეთში.

ზვარი ძირითადად ტერასებზე იყო გაშენებული. ტერასები დამახასიათებელი იყო მთაგორიანი მესხეთისათვის უძველესი დროიდან მოყოლებული. ტერასებზე ვაზის ჯიშის მოსპობაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ოსმალეთმა. გაიჩეხა ვაზი და მის ადგილზე გაშენდა ხეხილი: ვაშლი, თუთა, მსხალი და ა.შ ეს პროცესი შეუქცევადი აღმოჩნდა. ოსმალეთის მიერ „ტყეებისა და ბაღ-ვენახების აჩეხვამ, მოსახლეობის აყრამ და გამაჰმადიანებამ დიდი დაბრკოლება შექმნა ამ მხარეში სოფლის მეურნეობის ინტენსიური კულტურების ბაღ-ვენახების განვითარებისათვის“ (შ. ნიქვაძე).

ოსმალეთამდე ვაზს სხვა დამპყრობლებიც ემუქრებოდნენ. ცნობილია თემურ ლენგის და შაჰ-აბასის დამოკიდებულება ვენახისადმი, როდესაც მათ უბრძანეს ლაშქარს ვაზის აჩეხვა. მტერმა კარგად იცოდა, რომ ვაზის აჩეხვით ქართველ კაცს უსპობდნენ ღვინის კულტურას. ღვინო კი ჩვენთვის ეროვნული იდენტობის უმთავრესი ნიშანი იყო. ქართველ კაცს ყურძენი არ გამოუყენებია არასოდეს ჩამიჩისათვის.

1595 წელს ოსმალო მოხელე საგადასახადო დოკუმენტში, რომელსაც „გურჯისტანის ვულაიეთის დიდი დავთარი“ ჰქვია, ასეთ რამეს წერს: „ვენახი დედისიმედისა და მაწყევრელი ბერისა, აწ ყალი-ბეგ ჰაიდარ ფაშის ძის მფლობელობაში მყოფი, სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 50 ახჩას იძლევა“.

„ვენახი **დედისიმედისა** 2 ქილიანი – 1 ნაკვეთი და ვენახი მაწყევრელისა -1 ნაკვეთი, 3 ქილიანი, აწ ზაყიმი ელიას მფლობელობაში მყოფი, სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 61 ახჩას იძლევა.“ ახჩა ოსმალური ფულის ერთეული იყო.

ციტატებიდან კარგად ჩანს, რომ ქართველი მეპატრონეებისაგან ვენახი გადადის ოსმალოთა ხელში ან ისეთი ქართველი რენეგატი ფეოდალების ხელში, რომელთაც მაშინვე შეიცვალეს გვარ-სახელი, რომ შეენარჩუნებინათ მდგომარეობა ფაშის კარზე. მაწყევრელი ბერების (იგულისხმება აწყურელი ბერები. აწყურში საქაართველოს ერთ-ერთი უდიდესი საეპისკოპოსოს უდიდესი ტაძარი იდგა) და ჯაყელთა საგვარეულო სახელის დედისიმედის მქონე პატრონის ვენახი გადადის ყალი-ბეგ ჰაიდარ ფაშისძის და ზაყიმი ელიას მფლობელობაში.

ეს ის პერიოდია, როდესაც ვაზს, ვენახს ზოგადად, ჯერ კიდევ ფასი აქვს. მესხეთი კვლავ ქართული ტრადიციების მატერებელია.

სამწუხაროდ მე-16 საუკუნის შემდეგ მესხეთში ახალი ვენახები აღარ შენდება. მოსახლეობა, მართალია, ჯერ ძირითადად ქრისტიანია და მხოლოდ თავადაზნაურული წრის ნაწილია გამაჰმადიანებული, მაგრამ მიმდინარეობს ინტენსიური მიგრაცია ადგილობრივი მოსახლეობისა დანარჩენ საქართველოში. ამ მიგრაციას მიჰყვება მესხეთიდან ადგილის სახელები და იქმნება სხვა კუთხეებში ახალი დუბლი ტოპონიმები: ვარძია, ჩორჩანი, ლელოვანი, ზოვრეთი, სვირი და სხვა. ამ მიგრაციებს მიჰყვება ვაზის მოვლა-პატრონობის ტრადიციაც. ზვრები აღარ არის და ვაზი მხოლოდ მაღლარის სახით აგრძელებს არსებობას.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ აწყურში როგორი ვენახები იყო მე-16 საუკუნის ბოლოს. რამხელა გადასახადებს იხდიდნენ მისი პატრონები. მე-20 საუკუნეში მხოლოდ იმ ვენახების ნარჩენებიღა მოიძებნა.

ცნობილმა მეცნიერმა შ. წიქვაძემ სპეციალურად შეისწავლა ვაზის მესხური ჯიშები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სწორედ აწყურში შემორჩენილ ძველ ჯიშებს.

მაწყევრელი ბერის ვენახების ჩვენამდე მოღწეულ სახეობებად შეიძლება მივიჩნიოთ შავი ბუდეშური. ვაზის ეს ჯიში მეტად იშვიათადაა გადარჩენილი მესხეთის რაიონებში. მისი ერთეული ეგზემპლარები, რომლის ხნოვანება 60-70 წელს აღემატება, გვხვდება სოფ. აწყურის ძველ ბაღებსა და ნასოფლარებში". მაწყვერელ ბერებს კიდევ შავი ხარისთვალა და ჩიტიკვერცხა მოსწონდათ, ისინი მაღლარი ერთეული ძირების სახით ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის შუა წლებამდე შემორჩა. აი, ამ ჯიშების - შავი ბუდეშერის, ხარისთვალასა და ჩიტიკვერცხას ყურძნით დაყენებულ ღვინოს იყენებდა არა მხოლოდ საბარძიმოდ, არამედ საეკლესიო მსახურებისათვის საერთოდ აწყურის ეპარქია.

მართალია, ამ ყურძნით დაყენებულ ღვინოზე არც საერონი ამბობდნენ უარს, მაგრამ დედისიმედი და მისი სახლეული მაინც მესხურ მწვანეს ანიჭებდა უპირატესობას.

ასე მოვიდა უძველესი მესხური ჯიშები დღევანდლამდე. დღევანდელი სელექციონერები უკვე გაველურებული ვაზისგან თანამედროვე კულტურულ ჯიშებს ქმნიან. რაც მესხური ღვინის ახალი სიცოცხლეც არის.

„ხსნა ყველგან არის...“*

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე ბევრი თქმულა და რაც მეტი დრო გავა, მეტი ითქმება. ასევე მეტი დაიწერება იმ ადამიანზე, რომელიც საქართველოსთვის რთულ 90-იან წლებში ჩაუდგა სათავეში ჯერ თსუ-ის ახალციხის, ხოლო შემდეგ ჯავახეთის ფილიალებს. არ არსებობს მესხეთისათვის საჭირბოროტო საკითხი, რომელსაც პროფესორი მერაბ ბერიძე არ შეხებია თავის სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ წერილებში. მკითხველისათვის საინტერესო იქნება მისი მოსაზრების გაცნობა.

- „ახალციხეში უმაღლესი განათლების სკოლის ჩამოყალიბება იყო უდიდესი ეროვნული მოვლენა“, - წერს აკადემიკოსი როინ მეტრეველი, „მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა“, ასეთი იყო 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მაშინდელი განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის მოსაზრება: კიდევ უამრავი ღირსეული ადამიანი უნივერსიტეტს უმაღლეს შეფასებას აძლევს. თქვენთვის, ადამიანისთვის, რომელმაც თანამოაზრეებთან ერთად დაიწყო და მერე მთელი ცხოვრება დაუთმო ამ საქმის კეთებას, რა არის უნივერსიტეტი, კერძოდ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

- ვეცდები, დეტალებში გაგარკვიოთ. მე რომ ახალციხეში წამოვედი თბილისიდან, იდგა 1989 წელი. ყველას ახსოვს, როგორი იყო მე-20 საუკუნის ბოლო, 80-იანი წლების დასასრული და 90-იანების დასაწყისი.

ქვეყნისთვის, ჩვენი სამშობლოსთვის, ურთულესი პერიოდია ეს პერიოდი. მაშინ საზოგადოება მიჩვეული გახლდათ ერთი მიმართულებით მოძრაობას, კერძოდ, თითქმის ყველა პერიფერიებიდან თბილისისაკენ ისწრაფოდა. ასეთი სწრაფვა იწყებოდა სტუდენტობიდან. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც.

1967 წელს ჩავირიცხე თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ხუთი წლის სწავლის შემდეგ გავაგრძელე თბილისში ყოფნა უკვე

* „თანამედროვენი“, 2017 წელი, I ნაწილი, გვ.180-208.

უნივერსიტეტში მუშაობით და საკანდიდატო დისერტაციით. თითქოს ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც უნდა წასულიყო, მაგრამ ჩემი მშობლიური მხარე, მესხეთი (სამცხე-ჯავახეთი) ერთი წუთით არ მცილდებოდა თვალსაწიერიდან. ვაწყობდი გამსვლელ ღონისძიებებს უნივერსიტეტში. მაქსიმალურად ვცდილობდი დედაქალაქისთვის გამეცნო სამხრეთ საქართველო. მომყავდა სტუდენტები და ვამუშავებდი ხან ტერასებზე, ხან სასოფლო-სამეურნეო საქმეზე. ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ საკანდიდატო დისერტაციის თემად დამიმტკიცეს „ჯავახეთის ტოპონიმია“. ყოველ ზაფხულს დავდიოდი ექსპედიციებში და ვიწერდი მასალას. სოფელი არ არის ასპინძის, ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, რომ მე არ შევსულიყავი და არ ჩამეწერა ტოპონიმია.

ბოლოს დავიცავი დისერტაცია და როდესაც საკმაოდ სერიოზული საუნივერსიტეტო კარიერისთვის ვიყავი მზად, მაშინ მივატოვე თბილისი. თბილისში მქონდა ბინა, მანქანა. მყავდა მეუღლე, სამი შვილი, თითქოს ყველაფერი იყო ამ კარიერისთვის (უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის შტატზე ვმუშაობდი).

თბილისიდან როდესაც პერიფერიებში მიდიოდნენ მაშინდელი მომავლის მაძიებელი ადამიანები, მიდიოდნენ დროებით, რომ შემდეგ უკეთეს ადგილზე დაბრუნდებოდნენ დედაქალაქში. მე ეს ფიქრადაც არ მომსვლია. სხვათა შორის ჩემი ახალციხეში მოღვაწეობის პერიოდში ბევრი ასეთი პიროვნება ჩამოსულა ახალციხეში და დაბრუნებულა უკან, დაბრუნებულა უკეთეს თანამდებობაზე. მე კარიერის შესაქმნელად არ წამოვსულვარ ახალციხეში, მე წამოვედი უნივერსიტეტის შესაქმნელად, ჩამოსაყალიბებლად.

დღევანდელი გადასახედიდან ზოგისთვის შეიძლება ადვილად ჩანდეს ეს ყველაფერი, მაგრამ ასე ნამდვილად არ იყო. ეს საქმე დიდ სულიერ და ფიზიკურ ძალას ითხოვდა. საამისო არგუმენტად გამოდგება ის ფაქტი, რომ ჩვენთან ერთად 1990 წელს (ჩვენ მაშინ თსუ ახალციხის ფილიალი გვერქვა) 8 სასწავლო რგოლი შეიქმნა ფილიალის თუ ფაკულტეტების სახით. ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაუძლო დროის გამოცდას, შემოვრჩით მხოლოდ ჩვენ, უკვე როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს შემორჩენა არ არის, ეს იყო გამარჯვება.

რა დაჯდა გამარჯვება?

ნებისმიერი კარიერა ცხოვრების უკეთესად მოწყობას გულისხმობს. პირადი შესაძლებლობების რეალიზებას საზოგადოებაში. ეს ყველაფერი კი ხდება საფეხურების ცვლითა და აღმასვლით. სხვაგვარი კარიერა არ არსებობს. ჩემი მიზანი იყო მესხეთში (სამცხე-ჯავახეთში) გაემარჯვა საუნივერსიტეტო ცხოვრებას, ახალციხე, სამცხე-ჯავახეთი, მომზადებულიყო საამისოდ. ქალაქს და მხარეს გაეთავისებინა უნივერსიტეტი. ყველაზე რთული სწორედ ეს გახლავთ. დღეს ძალიან სერიოზულად არის აღებული პროფესიული განათლებისაკენ კურსი. მთელი სახსრები მიმართულია სწორედ საიმისოდ, მაგრამ, თუ ეს ყველაფერი მოხდა საუნავერსიტეტო განათლების ხარჯზე, პროვინციალიზმი დაახრჩობს ჩვენს მხარესაც და მთელ საქართველოსაც.

ორმოცი წლისა გახლდით, როდესაც ჩავუდექი ფილიალს სათავეში, ვთქვი მაშინ, რომ აქ უნდა დამთავრებულიყო ჩემი კარიერა, მე აღარ უნდა დავბრუნებულიყავი თბილისში. ამიტომაც ვთხოვე მეუღლეს, რომ სწორად გაეგო ჩემი საქციელი. ჩვენ ყოველთვის ერთად ვწყვეტდით კარდინალურ ცხოვრებისეული საკითხებს, თანაც ნათელა, ჩემი მეუღლე, ჩვენი ქვეყნის, ახალგაზრდებისადმი დამოკიდებულების პრობლემებს ჩემზე უფრო მეტად აქცევდა ეროვნულ რაკურსში.უპირველესად მისი მხარში დგომა, როგორც ოჯახის დედისა და როგორც პროფესიონალისა (იგი ფილოლოგია, კავკასიოლოგი), გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩემთვისაც და უნივერსიტეტისთვისაც.

უნივერსიტეტის შექმნა, ჩამოყალიბება ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. ბევრი რამ გადავიტანე მე და გადაიტანა ჩემმა ოჯახმა. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ეს ყველაფერი ყველაზე უფრო მძიმე ცხოვრებისეული ექცესებით დაწყებული, ოჯახის წევრთათვის ურთულესი სიტუაციებით და ფიზიკური ხელყოფით დამთავრებული.

ადმიანის ცხოვრებაში ყველაფერი მთავარია: არსებობისთვის ბრძოლა, საყოფაცხოვრებო ელემენტარული და ნორმალური პირობების შექმნა, ბოლოს და ბოლოს ყოფნა-არყოფნის საკითხი თან დასდევს თითოეულ ჩვენთაგანს, მაგრამ მთავარი მაინც სულია ამქვეყნად, რა სულის ხარ ადამიანი, რა გინდა და რისთ-

ვის ცოცხლობ. როგორც კი კითხვები გაგიჩნდება საკუთარ თავთან, უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება ხარ. ბევრს ბავშვობიდანვე დავა აქვს თავის თავთან, ზოგი ისე იცოცხლებს ამ ქვეყნად, რომ არც კი ჰკითხავს საკუთარ თავს, რა უნდა, რა მიზანი ჰქონდა და მიაღწია თუ არა მიზანს. კაცი იმდენად ფასობს, რამდენადაც ასრულებს თავის სიტყვას, მიზანს. ეს მართალია, ადვილი არ არის, მაგრამ იმხელა სულიერი კმაყოფილების მომტანია, რომ ღირს ღწვად.

- თქვენ ახსენეთ, ია-ვარდით არ იყოო მოფენილი არც თქვენი და არც თქვენი ოჯახის ყოფა იმ პერიოდში – მე-20 საუკუნის 90-იან წლებსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში. რას გულისხმობთ?

- მე ისიც ვთქვი, შორს წაგვიყვანს-მეთქი ამაზე საუბარი. ვგულისხმობ დაყაჩაღებას, ბინის გატეხას, მანქანის (გაწყობილი ახალი მანქანის) მოპარვას და სამუდამოდ დაკარგვას, შვილის დაჭრას, პატიმრობას, კიდევ ბევრ რამეს. არცერთ ამათგანზე, რაც ჩამოვთვალე და არ ჩამოვთვალე, დამეთანხმებით, ადვილი არ არის საუბარი და თანაც მოკლედ არ ისაუბრება. თითოეული პრობლემა, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს ადამიანისთვის, დაეცეს გაუუფერულდეს ცხოვრება, მაგრამ ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის იყო წმინდა საქმე და წმინდა მიზანი, რასაც უნივერსიტეტის მშენებლობა (ამ სიტყვის ფართო გაგებით) ჰქვია სამხრეთ საქართველოში. ამ მიზნის საპირწონედ ვერ დადგა ვერაფერი, რასაც შეეძლო, გავეტეხე. ცხოვრება აზარტიც არის. წინააღმდეგობა გაძლევს ძალასაც, გაიძულებს, იყო მობილიზებული, ორიენტირებული და, რაც ყველაზე მთავარია, იმედი, ერთგული ადამიანის იმედი და მხარში დგომა თამაშობს ასეთი შემთხვევების დროს გადამწყვეტ როლს.

- ვფიქრობ, წლების განმავლობაში უნივერსიტეტისადმი თქვენი დამოკიდებულების გარკვეული შეფასება იყო ის მხარდაჭერა, რომელიც გამოხატა სტუდენტობამ, ახალციხემ, მესხეთმა და საქართველომ თქვენი ცხოვრების ურთულეს პერიოდში. ვგულისხმობ თქვენს დაპატიმრებას, იქნებ, ამის შესახებ გვითხრათ მოკლედ.

- მართლაც, ვრცელი საკითხია. ეს მოხდა 2005 წელს. უკვე ფეხზე დადგა მაშინდელი მესხეთის (ახალციხის) ფილიალი. 2002 წელს ყველაფერი გავაკეთე, რომ გახსნილიყო თსუ ჯავახეთის ფილიალი. ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ბატონი როინ

მეტრეველისა და ედუარდ შევარდნაძის მხარდაჭერამ. საუნივერსიტეო განათლება სერიოზულ ძალად წარმოჩინდა სამცხე-ჯავახეთში. ალბათ დრო გავა და ბევრი რამ სამომავლოდ გაირკვევა, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ამ დროს მხოლოდ ჩემი გასამართლების საკითხი არ იყო მთავარი. ეს იყო უნივერსიტეტის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება და არც მხოლოდ ახალციხის დონეზე არ წყდებოდა, როგორც მაშინ გაჟღერდა.

- თქვენ ძირითადად ონომასტიკაში მუშაობთ. თქვენი შრომები იმსახურებენ დიდ ინტერესსა და მოწონებას. ამის შესახებ არაერთხელ თქმულა და დაწერილა. მაგალითად, მწერალი, პროფესორი მურმან თავდიშვილი თქვენი საქმიანობის შესახებ საუბრისას ამბობს: „მერაბ ბერიძე ნამდვილად არის შემაკავშირებელი ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის, ვინაიდან ორივე სფეროს სწაყლობს თუ მისი ფუნდამენტური ონომასტიკურ-ტოპონიმიკური და ეტიმოლოგიური ძიებანი ცალკერძ გვტაცებს თვალს, არანაკლებ საინტერესოა პუბლიცისტურ-ლიტერატურული წერილები, რეპლიკები, გამოსვლები. თავისი საქმიანობის ხასიათით, იგი ერთურთს უკავშირებს და ერთმანეთთან ადუღაბებს ქართველთა ძირძველ სამკვიდროს – მესხეთს და დანარჩენ საქართველოს“.რამ განაპირობა თქვენი არჩევანი, იყო ეს „ბავშვობის ოცნება“ თუ...

- არა, ბავშვობის ოცნება ნამდვილად არ ყოფილა. ბავშვობაში ონომასტიკა რა იყო, არც ვიცოდი. ბავშვობა ისეთი რამ არის, რომ ასე კონკრეტული, ვიწრო სპეციალობების „არჩევა“ შეუძლებელია. ჩვენი ბავშვობის ოცნებებს ერთი სერიოზული პოზიტივი ახლდა, რაც დღეს ნაკლებად იგრძნობა. ჩვენ გარშემო მაშინაც იყო ფულიანი ხალხი, ვინც თავისი მდგომარეობით გამოირჩეოდა საზოგადოებაში. ყველამ იცოდა, რომ მას კარგი სახლი ჰქონდა, ჰყავდა ვოლგა, სამსახურიც ფულიანი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ ეს არ გვიზიდავდა. ჩვენ, თითქმის ყველა ბავშვს, ვისაც ოცნების თავი და სურვილი ჰქონდა, წინ ახლობლის ან ნათესავის მაგალითი უძღვებოდა, საქვეყნო საქმეზე ვფიქრობდით, ისეთ რამეს ვისახავდით მიზნად, ჩვენს ქვეყანას რომ წაადგებოდა.

ბიძაჩემის, არსენ ბერიძის, მაგალითის გამო (პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, ინჟინერი გახლდათ) დიდედაჩემი იტყოდა ხოლმე (მე მას ბაბოს ვეძახდი), ჩემი მერაბი ინჟი-

ნერი უნდა გამოვიდესო. მართლაც, ოჯახის სურვილის მიხედვით, სკოლის დამთავრების შემდეგ ვაბარებდი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ვიმეორებ, ოჯახის სურვილის გამო. მე-3 გამოცდაში ჩავიჭერი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან თან შინაურებს არ ვაწყენინე და თან ჩემს მიზნებს გაეხსნა გზა. დავბრუნდი ასპინძაში და ჩავუჯექი ლიტერატურას. გაკვეთილები აღარ მქონდა მოსამზადებელი. ამიტომაც შემეძლო, მეკითხა დღე და ღამე. ეს დიდი ბედნიერება გახლდათ. აი, ამ დროს ჩამოვიდა ასპინძაში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა ჯგუფი ცნობილი ბიოლოგის დიდი ინგილოსა და დიდი ქართველის, არჩილ ჯანაშვილის ხელმძღვანელობით. ასე დადიოდა ბატონი არჩილი მთიან და შორეულ რაიონებში და აგროვებდა ახალგაზრდებს. ჩაგვიყვანა მან ინგილოები, მესხები, მთიელები, უდინები და სხვანი და შექმნა მოსამზადებელი კურსები. ამ კურსებზე ვემზადებოდი და ჩავაბარე ფილოლოგიის ფაკულტეტზე. დიდი კონკურსი იყო. ერთ ადგილზე 20 აბიტურიენტი მიდიოდა.

პირველი კურსის შემდეგ ვიყოფოდით ენის და ლიტერატურის მიმართულებებად. მე ჩავთვალე, რომ ლიტერატურა კარგად ვიცოდი, მოვიკოჭლებდი ენაში და ამიტომ წავედი ენის მიმართულებაზე. ბატონმა ივანე ქავთარაძემ, შესანიშნავმა პროფესორმა და ადამიანმა, შეამჩნია ჩემი მონდომება და მომცა დამატებითი დავალებები. პირველი წიგნი, რომელიც დამატებით დავამუშავე იყო გიორგი ახვლედიანის „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“. ამან დიდი სტიმული მომცა. ამ მაგალითს ხშირად ვიმეორებ და ჩემს სტუდენტებს ვაძლევ დამატებით სამუშაოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ამას ჩვეულებრივ დავალებად ღებულობენ და მალე-ვე იფერფლება ინიციატივა.

მე-4 კურსზე ვიყავი, როდესაც კიდევ ერთი შესანიშნავი ადამიანი შემოვიდა ჩვენს ჯგუფში, ეს იყო პროფესორი ფარნაოზ ერთელიშვილი, ასევე დიდებული ადამიანი, სტუდენტის ფსიქოლოგიისა და ყოფის კარგი მცოდნე. აგვარჩია მე და რეზო ძნელაძე ტოპონიმიაში სამუშაოდ. ბატონი ფარნაოზის დავალებით იმ ზაფხულს წამოვედი ჩემს რაიონში და აღვწერე ყველა სოფლის ტოპონიმია, შემოდგომით კი დავიწყე მუშაობა სადიპლომო შრომაზე.

- სხვა შემოთავაზება არ გქონიათ?

- იყო ასეთიც. მე-3 კურსიდან ბატონი ოთარ ბაქნიძის წინადადებით შემეძლო წავსულიყავი უკრაინაში გაცვლითი პროგრამით (როგორც დღეს უწოდებენ) უკრაინული ენის შესასწავლად და სამუშაოდ, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან შეყვარებული ვიუყავი, წუთითაც ვერ დავუშვებდი, რომ ნათელა თბილისში დამეტოვებინა და მე კიევში წავსულიყავი. მახსოვს, როგორ მსხვერპლზე მიდიოდა თვითონ ნათელა და წადი, ისწავლე, დაგელოდებიო, მეუბნებოდა, მაგრამ მაინც არ წავედი.

ონომასტიკასთან დაკავშირებით კიდევ ერთი დეტალი მინდა გავიხსენო. დიპლომზე მუშაობისას, წავიზარმაცე. თითქმის ბოლომდე მქონდა მიყვანილი შრომა, მაგრამ გული ვეღარ დავუდე ერთი პერიოდი. დავეკარგე ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ ფარნაოზს. ის დინჯი კაცი იყო, აუღელვებელი, მაგრამ ამავე დროს დაკვირვებული და, როგორც გითხარით, სტუდენტების კარგი მცოდნე. იგი კარგად ამჩნევდა, რომ მე და ნათელა სულ ერთად ვიყავით, ხვდებოდა, რაშიც იყო საქმე, ამიტომ მე რომ ვერ მომძებნა (მაშინ მობილური არ იყო), ნათელა დაიბარა და უთხრა: წადი, იმ ბიჭს უთხარი, დროზე მოვიდეს და სადიპლომო შრომა დაამთავროს, თორემ პრობლემები შეექმნებაო. ნათელამ მომძებნა და ცეცხლში გამატარა, რა დროს მეგობრები და ხეტიალია (მეგობრებთან ერთად ვიყავი გადაკარგული დასავლეთში), საქმეს მიხედე, თორემ დამთავრდა ჩვენში ყველაფერიო. მეც მაშინვე მივედი ბატონ ფარნაოზთან და დავასრულე სადიპლომო, რომელიც წარმატებით დავიცავი.

ბატონი ფარნაოზი ტოპონიმიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო და მალე, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მიმიწვია ბატონმა შოთა ძიძიგურმა, ბატონი ფარნაოზის რეკომენდაციით ამ ლაბორატორიაში სამუშაოდ.

ასე დავიწყე მუშაობა ონომასტიკაში. ონომასტიკა საკუთარ სახელს სწავლობს, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ერთს ვიტყვი მხოლოდ, რომ სახელმწიფომ ონომასტიკური პრობლემების (ადგილის სახელები, მდინარეები, ტბები, ადამიანთა სახელები და გვარები, რეკლამის, ფირმათა სახელწოდებანი და მრავალი სხვა) სახელმწიფო დონეზე უნდა აიყვანოს.

- ხომ არ დაგვიკონკრეტებდით რას ნიშნავს ფირმათა სახელები?

- დღეს ყოველ წუთში იქმნება კომერციული თუ არაკომერციული ორგანიზაციები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებანი, ერთი პირის ორგანიზაციები, არასამთავრობოები და სხვა. ყველა მათგანს, იმისთვის, რომ მოხდეს დაფიქსირება, გაოფიციალურება, სჭირდება სახელწოდება. ადამიანური ფანტაზია შეუზღუდავია, ისევე, როგორც მშობელი ხშირად არქმევს თავის შვილს უხერხულ სახელებს (კომუნა, ლესტამბერი, ლენმარქსი და სხვა), ასევე ხშირად უცოდინარობისა და უგემოვნობის პირობებში იქმნება ამ ფირმების დაწესებულებების სახელები.

აი, მაგალითად თბილისში ერთი სერიოზული ფირმაა, რომელსაც დაარქვეს **ტიფლისი,** ისევე, როგორც რესტორანს დაარქვეს **ტიფლისი** აბანოთ უბანში. ამ სახელის ავტორებს ჰგონიათ, რომ მათ თავიანთ ობიექტს უწოდეს თბილისის ძველი სახელი. სინამდვილეში ტიფლისი მე-19 საუკუნეში ჩნდება და რადგან სპარსი, თურქი, სომეხი და აღმოსავლური ენების ბევრი წარმომადგენელი, სიტყვის თავში ვერ იგუებს თანხმოვანთა თავმოყრას, ტბ-ს ვერ წარმოთქვამს ერთად, აჩენს მათ შორის ხმოვანს. ასე იქცა ტიფლისი თბილისის სახელად მე-19 საუკუნიდან. სამწუხაროდ, ამ სახელის დაწესებულება ახალციხეშიც გაჩნდა. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა აიღოს თავის თავზე ამ ტიპის პრობლემების გაკონტროლება. ამ ყველაფერს ონომასტიკა სწავლობს.

- ყოველთვის გიზიდავდათ საგამომცემლო საქმიანობა. რა იყო ეს, აუცილებლობა თუ მხოლოდ სამეცნიერო ინტერესი?

- მართლაც, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დავიწყეთ რამდენიმე სტუდენტმა ხელნაწერი ჟურნალის მომზადება. დღეს სასაცილოდ არ ეყოფა ადამიანს, როდესაც ხელნაწერ გამოცემაზე იტყვის ვინმე რამეს, რადგან ტექნიკური შესაძლებლობები განუზომელად დიდ საშუალებას იძლევა. მაშინ ვიწვალეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა, რადგან არ გვქონდა გამოცდილება და თანაც არ გვქონდა კარგად ჩამოყალიბებული მიზანი. ჩვენი თაობა იზრდებოდა ტრადიციაზე, რომელიც ამ ტიპის სამუშაოს სერიოზულ საქმედ წარმოაჩენდა, ეს იქნებოდნენ მე-19 საუკუნის მოღვაწენი თუ რევოლუციონერები, რომელთა ცხოვრებასაც პიონერობიდან გვასწავლიდნენ და სანიმუშოდ გვიხატავდნენ.

საგამომცემლო საქმე რთულია, რადგან პირველ რიგში მოითხოვს თანამოაზრეების არსებობას, საერთო მიზანს, მომზადებულობას, გამოკვეთილ ლიდერობას და ა. შ. ჯერ კიდევ ფილიალობის დროს ბევრი სამეცნიერო კრებული გამოვიდა ჩვენს უნივერსიტეტში და რადგან უნივერსიტეტი პატარა იყო, ეს საქმე რამდენიმე კაცის კისერზე გადადიოდა. ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით გამოირჩეოდა **ვალერი სილოგავა,** რომლისთვისაც წიგნზე მუშაობა ცხოვრების ტოლფასი გახლდათ. მე მაინც გამოვყოფდი ორ გამოცემას, „გულანს"და „არავს". გულანი გამოდის ჩემი რედაქტორობით 2008 წლიდან და გამოვიდა 20 ნომერი. ვაპირებთ მის პრეზენტაციას თბილისში. იგი ძირითადად ჰუმანიტარული მიმართულებისაა და თბილისის ტრადიციას აგრძელებს. გამოცემის აუცილებლობა დრომ მოიტანა. მოხსენებები, რომლებიც იკითხება „გულანის" სხდომებზე, იბეჭდება შემდეგ კრებულში. ასეთი ფორმატი სჭირდება ჩვენს უნივერსიტეტს ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდისა და დასპეციალებისათვის. მზადდება მისი საერთაშორისო ვერსია, გაგრძელება „გულანისა".

საქართველოს რეგიონებში გამოდის ლიტერატურული კრებულები, მაგალითად, ქუთაისში „განთიადი", აჭარაში „ჭოროხი". ჩავთვალე საჭიროდ, რომ ახალციხეში გამოსულიყო საზოგადოებრივი, სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალ „არავი" უკვე ერთი წელია გამოდის და 12-ვე ნომერი თავის დროზე მივაწოდე მკითხველს. ვიწყებთ 2017 წელს.

მაგრამ ეს ყველაფერი მიუწვდომელი იქნებოდა სამცხე-ჯავახეთისათვის, რომ არა ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის დაფინანსებითა და ინტელექტუალური ძალებით გახდა შესაძლებელი ეს გამოცემები. კარგი და დიდი საქმე კიდევ უფრო უკეთესსა და საქვეყნო საქმეს გვაძლევს შედეგად. „გულანი" უკვე გადავაბარე ჩემს მოწაფეს, ხოლო მე, სანამ შემიძლია, გავუძღვები „არავს".

- რას იტყვით ჩვენი პატარა „დედაქალაქის" -ახალციხის შესახებ? საით მიდის იგი და როგორ მომავალზე შეიძლება საუბარი?

- მთავარია, ახალციხე წავიდეს იქით, საითკენაც წავა საერთოდ საქართველო. ჩვენი ქვეყნის თითოეული რეგიონი (ეს ტერმინიც შეფარდებითია. ვისთვის მთელი კონტინენტი შეიძლება

იყოს რეგიონი და ჩვენთვის – ხუთიოდე რაიონი) აგრძელებს საქართველოს ფეოდალური ეპოქის ტრადიციას თავისი ეთნო-ისტორიული სახით. ამიტომაც არის, რომ ყველა კუთხე გამორჩეულია და განსხვავებული. ეს ჩვენი სიმდიდრეა. ამასთან ერთად გვაქვს ის საერთო ღირებულებანი, რომლის გარეშეც ქართველი არ იქნება ქართველი. აუცილებელია, შევინარჩუნოთ საერთო ისტორიული ღირებულებანი, რაც ქმნის ჩვენი ქვეყნის სახეს (ენა, რწმენა, უფროს-უმცროსობის პატივისცემა, ნათესაობა, მომავლის იმედი) და ამასთან ერთად ის განსხვავება, რომელიც უეჭველად არის სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთს, კახეთს, იმერეთს, აჭარას და ა.შ. შორის. ამ პრინციპით თუ მივუდგებით და ვეცდებით, აღვზარდოთ მომავალი თაობა ტრადიციული ღირებულებებით, ვფიქრობ, არ გაჭირდება ახალციხის სახის შენარჩუნება. ამ ბოლო დროს ახალციხის სიმბოლოდ იქცა ციხე-სიმაგრე (ახალციხის ციხე), ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მთავარი მიზანი ტურისტების მომსახურება შეიქნა. ეს დიდი და კარგი საქმეა, ოღონდ მხოლოდ ეს არ შველის დღევანდელობას. ახალციხე ძირითადად ქართულ-სომხური ქალაქია. ჩვენ, მსოფლიოს ეს ორი უძველესი ერი, საუკუნეებია ერთად მოვდივართ, ღმერთმა გვარგუნა ერთმანეთის გვერდით ცხოვრება, ამიტომ უპირველესად ერთმანეთს უნდა მოვუფრთხილდეთ, არ შეიძლება ჩასაფრება. ერთნაირად უნდა ვიაზროვნოთ სახელმწიფოებრივად, უნდა ვიყოთ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები. თუ სახელმწიფოს ღირსების შეგრძნება არ იქნება, გაგვიჭირდება ერთმანეთის ატანა. ეს კი ბევრად არის დამოკიდებული თვით სახელმწიფოზე და მის ჭკვიან ადამიანებზე.

ძალიან გააქტიურდა თურქული ელემენტი ახალციხეში. არც ეს არის ახალი ახალციხის ისტორიაში, შესაბამისად, გადაიჯაჭვა არა მხოლოდ ახალციხის მოსახლეობის ინტერესები, არამედ მეზობელ სახელმწიფოთა ინტერესები. ეს კი ბევრად არის დამოკიდებული პატიოსან ბიზნესზე. დღეს ყველა ლაპარაკობს და ეს უკვე კულუარული ჭორაობა არ არის, რომ ახალციხეში ყვავის არალეგალური ბიზნესი – სხეულით ვაჭრობა. მომრავლებულია თურქული რესტორნები და კაფე-ბარები სახლები ამ ბიზნესის კეთების ადგილად. არის უკვე გაქირავებული ბინებიც კი ამ მიზნით. იმ ბინის პატრონებმა უნდა იცოდნენ, რომ ასე ნაშოვნი

ფული არ შეერგებათ და დღეს იქნება თუ ხვალ, უშუალოდ მის ოჯახს შეეხება ეს პრობლემა.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი ბიზნესგარემო, რომ მსგავსი რამ არ ხდებოდეს ქვეყანაში, თუ არა და, მოახდინოს ამ ტიპის ბიზნესის ლეგალიზება დაგაკონტროლება.

ქართველი კაცი აშვებულმა კაპიტალიზმმა გააზარმაცა. მამა-პაპათაგან დღევანდლამდე მოტანილი ქონება, მიწა იქნება თუ შენობა, თუ აქამდე გამრჯე ადამიანის ხელში იყო, ახლა მეპატრონეს ურჩევნია, გაყიდოს ან გააქირავოს. იცხოვროს მცირე შემოსავლით, ბოლომდე საიმედო და გარანტირებული რომ არის, სამაგიეროდ, გადაიდოს ფეხი ფეხზე და ლუარსაბის პოზა მიიღოს. ესეც სახეა დღევანდელი ახალციხისა. სამაგიეროდ, კარგად არიან სხვები გათვიცნობიერებული ბიზნესში, სხვები, ვინც უკვე ფაქტობრივი პატრონი ხდება ამ სიმდიდრისა. ყურები უნდა გამოიქექოს ახალციხელმა, თუ არ უნდა, რომ საბოლოოდ შიმშილით ამოხდეს სული მის შთამომავლობას.

ახალციხის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული მის განათლებაზე.

გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, თუმცა ბოლო დროს გამოჩნდნენ ცრუ მოთამაშენიც განათლების სისტემაში. ისინი ძირითადად სხვა ქვეყნიდან ცდილობენ ამ ბიზნესში დამკვიდრებას, ოღონდ არაოფიციალური გზით. ესეც სავალალოა.

ვფიქრობ, თუ მართლაც კარგ არჩევანს გააკეთებს ქალაქი არჩევნების დროს, ჭკვიანი გუნდის, განათლებული ხალხის ხელში ბევრი სიკეთის გაკეთება შეიძლება.

დღეს ვირჩევთ ქალაქის მერსა და საკრებულოს. არ ვიცი, რამდენად მზად იყო ჩვენი ქვეყანა საამისოდ, რადგან ეს არის ნდობა, მოსახლეობის დიდი იმედი და არა ვინმეს მიზნის მიღწევა. ქალაქის მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები უნდა ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს (წინამორბედს), ვინ უფრო სასიკეთო საქმეს გაუკეთებს თავის ქალაქს, დატოვებს კვალს განათლებულს და ქალაქისთვის სასიკეთოს. ჯერ არ ჩანს კვალდატოვებული ახალციხე.

- მინდა გკითხოთ ჯავახეთის შესახებ. თქვენ არა ერთხელ აღგინიშნავთ, რომ დაუშვებელია ჯავახეთის როგორც ეკონომ

იკური, ისე კულტურული იზოლაცია, რომ მიესალმებით ყველა ნაბიჯს, რომელიც მისი ინტეგრაციისთვის იდგმება. „დღეს ამ პატარა კუთხეში, სამცხე-ჯავახეთში, ბევრი ქვეყნის ინტერესები იკვეთება. ჩვენი ვალია, ანგარიში გავუწიოთ ყველას ინტერესებს, ყველა ქვეყანას თავისი მივაგოთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამცხე-ჯავახეთი არის ის დვრიტა, რაზეც აღმოცენდა ძლიერი ქართული სახელმწიფო, კულტურა, რელიგია, ტრადეციები“, - ამბობთ თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში. როგორია ჯავახეთის სპეციფიკა და როგორ გესახებათ მისი როლი ჩვენი სახელმწიფოს განვითარების საქმეში?

ჯავახეთი საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილია, თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეთნიკური პირობებით. აქ ძირითადად სომხური მოსახლეობაა. დღევანდელი სომხური მოსახლეობა გაჩნდა ჯავახეთში 1828 წლის შემდეგ. ისინი ჩამოასახლეს ყარსისა და არზრუმის ვილაიეთებიდან. მანამდე აქ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ. ახალმოსახლენი მაჰმადიანთა მამულებსა და სახლებში დაასახლა რუსეთის ხელისუფლებამ.

ერთ საინტერესო ფაქტს მინდა მივაქციოთ ყურადღება. საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანული მოსახლეობა შესანიშნავად ინარჩუნებს ეროვნულ სახეს. ვფიქრობ, ეს მისაბაძია. არა მარტო საქართველოში, თვით თურქეთშიც კი ახერხებენ სომხები ეკლესიისა და სომხური გამოცემების შენარჩუნებას. ასევეა სხვა ქვეყნებში. მაშინ, როდესაც დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველები სერიოზული წნეხის ქვეშ არიან, ვგულისხმობ საინგილოს, სადაც საკმაოდ რთული მდგომარეობაა ამ მხრივ შექმნილი. ასევე რთულადაა თურქეთში და სხვა ქვეყნებში საქმე. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გვქონდა ქართველთა კომპაქტური დასახლებანი. არსებობდა მოზდოკური დიალექტიც კი, მაგრამ დღეს მსგავსს ველარაფერს ნახავთ. მე ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლების და ქართველი ხალხის ტოლერანტობა მისაბაძია და კარგად ხედავს ამას სხვა ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლობა.

ეს დამოკიდებულება ისტორიულ საფუძვლებს ემყარება. გავიხსენოთ დავით აღმაშენებელი, თამარის სამეფო კარი, ერეკლე მეორე და ნებისმიერი ეპოქა ჩვენი ისტორიისა. ასე რომ, ახალი

ველოსიპედის შექმნა ქართველებს არ გვჭირდება ამ საქმეში. კომუნისტურ ეპოქაში რუსული ენა ასრულებდა სახელმწიფო ენის ფუნქციას საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში. ჯავახეთის სომხურ მოსახლეობასა და სახელმწიფოს შორის არ არის არავითარი პრობლემა, გარდა თავისუფალი კომუნიკაციისა. გავიდა ის დრო, როდესაც სამცხე-ჯავახეთიდან თბილისში ჩასული კაცი, სომეხი იქნებოდა თუ ქართველი, გაიგივებული იყო მხოლოდ ბაზარში მდგომ პიროვნებასთან და თითქმის მხოლოდ მას ჰქონდა პრობლემა ენისა. ასე არ არის, დღეს ჯავახეთიდან სომხური მოსახლეობის წარმომადგენელი ჩართულია ბიზნესსაქმიანობაში, ქვეყნის, სახელმწიფოს მართვის და ძალოვანი სტრუქტურებში, პარლამენტში და ა. შ. მათი აქტიური მონაწილეობით ბევრი საკითხის გადაწყვეტა ხდება ჩვენს ქვეყანაში. ეს ეხება აზერბაიჯანელ და სხვა ეთნოსის წარმომადგენლებსაც. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ადამიანის ინტეგრაცია ქვეყანასთან ნიშნავს მის ინფორმაციულობას, კომუნიკაბელურობას და, რაც მთავარია, სახელმწიფო ენის ცოდნას. ასეთ შემთხვევაში საქართველოს თითოეული მოქალაქე პირველ რიგში უნდა იყოს საქართველოს პატრიოტი და შემდეგ თავისი ისტორიული სამშობლოს პატრიოტი. მას უნდა ახარებდეს საქართველოს წარმატება და სწყინდეს წარუმატებლობა.

აი, ამ პრობლემების ფონაზე შეიქმნა თსუ ჯავახეთის ფილიალი 2002 წელს და ფუნქციონირებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალქალაქში. თუ საუკუნის დასაწყისში ახსნა-განმარტება სჭირდებოდა ახალგაზრდობას, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა უპირველესად მას სჭირდებოდა, დღეს ყველა დარწმუნდა, რომ სახელმწიფო ენის გარეშე შეუძლებელია, იყო საქართველოს მოქალაქე. ეს პროცესები უნდა გაღრმავდეს.

ჯავახეთი დღეისათვის დაწინაურებული ნაწილია საქართველოსი ეკონომიკურად. იმედი მაქვს, რომ სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღებს განათლებას, რაც მათი ცხოვრების, მომავლის გარანტიაც იქნება.

თქვენი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმეთ არა მარტო ჩვენი კუთხის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისთვის ტკივილიან პრობლემას მაჰმადიანი მესხების საკითხს. გაქვთ მკვეთრად გამოხატული პოზიცია, რაც არაერთხელ დაგიფიქსირებიათ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. როგორ ფიქრობთ, სწორად ვითარდება თუ არა მოვლენები, როგორია ამ საკითხის გადაწყვეტის პერსპექტივა?

- ეს მართლაც მტკივნეული საკითხია. მე მთელი ჩემი აღზრდით, ოჯახით, განათლებით დაკავშირებული ვარ ამ პრობლემასთან. ალბათ ვრცელი გამოვა პასუხი და უნდა მაპატიოთ.

საკითხი ეხება სარწმუნოებრივ დაპირისპირებას, რომელიც ყოველთვის არსებობდა სამხრეთ საქართველოში. ეს არ არის ახალი ამბავი. ნებისმიერ (სოციალურ, სამამულო, პარტიულ და ა.შ) დაპირისპირებაზე მკაცრი და მძიმე გახლავთ სარწმუნოებრივი დაპირისპირება. მახსენდება წარმართობისა და ქრისტიანობის დაპირისპირება. ყოველთვის ამ საქმეში გარკვეულ როლს თამაშობდა პოლიტიკურად სხვა ქვეყანა და ერთმანეთს კი ჩვენი ხალხი ხოცავდა. გახსოვთ წარმართობისდროინდელი კერპების დამხობა, ქრისტიანობის გამარჯვება. ეს იყო პროგრესის გამარჯვება. წარმართობა არ თმობდა პოზიციებს დიდი ხნის მანძილზე. ამის კარგი მაგალითია „კოლაელ ყრმათა წამება“. ეწირებოდნენ ბავშვები, ქალები და ა.შ.

შემდეგ სხვაგვარად განვითარდა მოვლენები. საქართველოსთვის გვიანი შუასაუკუნეები რღვევის, ეროვნულობის შენარჩუნების წლები იყო, რომლის დროსაც ქრისტიანობა გაიგივებული იყო ქართველობასთან. ამას თავისი ახსნა აქვს. როდესაც საქართველოს რომელიმე კუთხეს სისხლითა და მახვილით ან რენეგატი ქართველების დახმარებით დაიპყრობდა მეზობელი ქვეყანა, დასამკვიდრებლად და საკუთარი პოზიციის შესანარჩუნებლად ქმნიდა საკუთარ იდეოლოგიას, რომელიც ეფუძნებოდა სარწმუნოებას. ამ გზას დაადგა ოსმალეთი. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, როდესაც გადასახადისაგან ათავისუფლებდნენ მშრომელ ადამიანს და გარკვეული პერიოდი თვით რენეგატ ფეოდალს (მაღალი გვარის მიწათმფლობელს), პროცესები შეუქცევადი გახდა.

მე-19 საუკუნეში გამაჰმადიანებული ქართველი თავს ისევ თვლიდა ქართველად, მისთვის სარწმუნოება არ იყო გადამწყვეტი. ამ პროცესებს აკვირდებოდა თვით ოსმალოც, ამიტომ ჩვენგან განსხვავებით, სახელმწიფოებრივად აზროვნებდა მტერი და ახალ-ახალ მეთოდებს სთავაზობდა გამაჰმადიანებულ ქართველებს.

საბედნიეროდ, ილია ჭავჭავაძე და ქართველი განმანათლებლები შორს მჭვრეტელები აღმოჩნდნენ ამ დროს და მაჰმადიანებს მაჰმადიანი ძმები უწოდეს, განსხვავებით ოსმალთა მიერ წამოწეული „თათარი" ტერმინისა.

ქართველთა სარწმუნოებრივი გახლეჩა ამით არ დამთავრებულა და მესხეთში ერთმანეთს დაუპირისპირდა სამი დიდი რელიგია: მართლმადიდებლობა, კათოლიკობა და მაჰმადიანობა. გავიმეორებ, რომ ჭკვიანი ადამიანების და პირველ რიგში თვით მოსახლეობის სწორი აზროვნების შედეგად, ეს დაპირისპირება ძირითადად მსჯელობის, ერთმანეთის რელიგიათა განხილვა შეპირისპირების დონეზე მიდიოდა, ვიდრე საქმეში არ ჩაერივნენ სხვა ქვეყანათა წარმომადგენლები, პოლიტიკოსები.

ამ თემაზე მიმუშავია, მაქვს წიგნები გამოქვეყნებული, ამიტომ კატეგორიულად შემიძლია ვთქვა, რომ 1918 წლის რელიგიური დაპირისპირება მესხეთში ინსპირირებული იყო მეზობელი დიდი სახელმწიფოებისმიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი შეიქმნება უდის დიდი კათოლიკური ტაძრის 1909 წლის წარწერა, რომლის მიხედვითაც ამ ტაძარს ქრისტიანებთან ერთად აშენებდნენ მაჰმადიანებიც, „ტომით ქართველნი".

აი, ამ **ტომით ქართველებმა** – მაჰმადიანებმა და კათოლიკებმა, რომ ყველაზე მაღლა, თვით სარწმუნოებაზე მაღლა, ჩვენი ეროვნება, ჩვენი ქართველობა დგას, კარგად გვიჩვენეს წინა საუკუნის დასაწყისში წარწერით. 10 წელიც არ გავიდა, რომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ქრისტიანები (მართლმადიდებლები, გრიგორიანები, კათოლიკეები) და მაჰმადიანები ერთმანეთს.

1918-1919 წლების ტრაგედია იყო ის დიდი პროვოკაცია, რომლის შედეგები დღევანდლამდე გვიქმნის პრობლემებს.

ჩემს ოჯახს პირდაპირ, უშუალოდ შეეხო ეს უბედურება. მე გავიზარდე იმ გადმოცემათა გარემოში, რომელიც მაშინდელ სურათს ხატავდა. ფაქტია, რომ ბიძაჩემი, მამაჩემის ძმა, შალვა დაიბადა 1918 წელს ბაკურიანის ტყეში, ნოემბერში. დედამ, ჩემმა

დიდედამ, მეტი რომ არაფერი ჰქონდა, საკუთარ პერანგში გაახვია ახალშობილი და გააგრძელა გზა, უკან მტერი მოსდევდა. ვინ იყო მტერი? ძირითადად თურქეთიდან შემოსული მარბიელი ან მეზობელი სოფლის მაჰმადიანი. გაჩნდა დიდი ჭრილობა. მეორე მაგალითი ჩემი ოჯახის ცხოვრებიდან: პაპას და გათხოვილი ჰყავდა ტოლოშში. მარბიელმა ამოხოცა პაპის დის ოჯახი, ერთადერთი ბავშვი გადარჩა. რომელიც ამობრუნებული აკვნის ქვეშ მოექცა. ეს ამბავი ყოველთვის გლოვის გარემოს და ხასიათს ქმნიდა ჩვენს ოჯახში. პაპას არ უყვარდა განსაკუთრებით ამ ბოლო ეპიზოდის გახსენება. იტყოდა ხოლმე, ადრე უნდა მივსულიყავი და გამეყვანა ჩემი და სამშვიდობოსო. ბოლოს კი სიკვდილის წინ, დაგვიბარა მე და მამა პაპამ და გვითხრა: არასოდეს არ იფიქროთ ჩემი დის ოჯახის ამოწყვეტაზე, იცოდეთ, რომ სისხლი ავიღე, არ დამიტოვებია თქვენთვის სისხლის ასაღები ვალი. გაოცებული ვიყავი ჩემი წყნარი, მუდამ შემწყალე პაპა რომ ამას მეუბნებოდა.

ამ ტრადიციაზე გაზრდილი ახალგაზრდისათვის ძალიან ძნელი იყო სწორად შეეფასებინა მაჰმადიანთა მიმართ დამოკიდებულება და შეფასება სხვაგვარი მიეცა, მაგრამ, რაც მეტს ვსწავლობდი მესხეთს, მის ისტორიას, დიალექტს, ჩემთვის ნათელი ხდებოდა, რომ მესხეთი მსხვერპლი იყო დიდი გეოპოლიტიკური თამაშებისა. შოთა ლომსაძის არა მარტო ნაშრომები, მისი პირადი მეგობრობა და ურთიერთობა სხვაგვარად გვაჩვენებდა მესხეთის ტრაგედიას. მაჰმადიანთა გასახლება 1944 წელს არ იყო მხოლოდ მაჰმადიანთა უბედურება, ქრისტიანთა უბედურებაც იყო, რადგან ჩვენ ვიცოდით ფაქტები და არ ვიცოდით ამ ფაქტების გამომწვევი მიზეზები, რის გამოც გვაქციეს ერთმანეთის მტრად.

უცნაურია, მაგრამ ნამდვილად ფაქტია, რომ ერთმანეთს დაპირისპირებული თურქეთი და რუსეთი ყოველთვის შეთანხმებულად მოქმედებდნენ საქართველოს – (ჩვენს შემთხვევაში) მესხეთის წინააღმდეგ. ტერმინი „თათარი“ რომელიც ისტორიულად არასოდეს ეროვნების აღმნიშვნელი არ ყოფილა კავკასიაში, ქართველთა აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. ეს ტერმინი (არ ვგულისხმობ ვოლგისპირელ თათართა რესპუბლიკის მცხოვრებლებს) აღნიშნავდა მაჰმადიანობამიღებულ არაოსმალოს, დღეს

არათურქს. ამიტომაც არის, რომ რუსეთის მიერ აღწერილ დოკუმენტებში მუსლიმი ქართველები აღინიშნებოდნენ თათრებად, თუმცა ამგვარ სარწმუნოებაშეცვლილი ქართველი 1886 წელს თავს დებდა ქართველობაზე და იძულებული იყო რუსეთის ხელისუფლება, რომ მათთვის ეროვნების გრაფაში ჯერ კიდევ „ქართველი" ჩაეწერა. ამ სოფელთა მოსახლეობაც შემდეგ იქცა თურქად. აი, ასეთი ტრაგიკული ბედისა იყო მესხეთი, რომლის მკვიდრი მოსახლეობა ორი საუკუნის განმავლობაში აქციეს ჯერ თათრებად, შემდეგ თურქებად.

დღეს კიდევ უფრო გართულებულია მდგომარეობა. თურქეთი ყველაფერს აკეთებს მთელი თავისი შესაძლებლობით, რომ მათი თურქობა ბოლომდე მიიყვანოს და „დაამტკიცოს". ამუშავებულია, უმდიდრესი პროექტები. უნისონში მუშაობს მთელი საერთო თურქულენოვანი ქვეყნები და მათთან ერთად სამთავრობო თუ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები, რომ თურქობა დააკანონონ მესხებისათვის და ეს გამოსდით კიდევაც მათ, რადგან ამ საქმეში დიდი ფულია ჩადებული.

საქართველომ იკისრა მაჰმადიან ქართველთა სამშობლოში დაბრუნების ვალდებულება. ესეც სრულდება შესაძლებლობის ფარგლებში, მაგრამ ვინ უნდა დაბრუნდეს, ამაშია საქმე. გათურქებული ქართველი თუ გამაჰმადიანებული ქართველი. ბევრი ოჯახის მახსოვრობაში შემორჩენილა ქართული გვარებიც, მაგრამ საწინააღმდეგო პროპაგანდისტული მანქანა მუშაობს ჩვენს საპირისპიროდ.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში გაუღო ჩვენმა უნივერსიტეტმა მესხებს კარი. მივიღეთ პირველი მსურველები. ძალიან ძნელი იყო იმ პერიოდში ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან მოსახლეობის განწყობაც მძიმე იყო. იყო პროვოკაციები, ბევრი ბნელი ადამიანი გვიპირისპირდებოდა ამის გამო, მაგრამ მაინც მოხერხდა. რომ რამდენიმე კურსდამთავრებული გამოვუშვით. ისინი დღეს მოღვაწეობენ საქართველოში. ზოგმა გვარის დაბრუნებაც მოახერხა.

დღეს უკვე 26 სტუდენტი გვყავს და 30 მსმენელი, რომელიც ქართულ ენას სწავლობს, რომ შემდეგ ისწავლონ ჩვენთან, სამწუხაროდ, მათ გარშემო ისეთი ადამიანები ტრიალებენ, რომლებიც

ცდილობენ მათ რელიგიურ და პოლიტიკურ ხლართებში გახვევას. უნივერსიტეტს არა აქვს საშუალება და არც უფლება ასეთ ინტრიგებში რომ ჩაერიოს.

ეს სახელმწიფოს საქმეა. მახსენდება საინგილოში ჩვენი ეკლესიის მსახურის გამოშვების მაგალითი. ამ დროს ქართველ მუსლიმანებს მართავენ კაცმა არ იცის, რა სურვილისა და მიმართულების ადამიანები. ეს ხლართები თუ დარეგულირდა, ჩვენი სტუდენტები შესანიშნავი ადამიანები არიან, ისინი საქართველოს მოქალაქეები და პატრიოტები დადგებიან.

- თქვენ არაერთხელ წერდით ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაცარიელებულ სოფლებზე სამცხე-ჯავახეთში. ეს საერთოდ დამახასიათებელია საქართველოსთვის, რას ფიქრობთ, არის თუ არა საშველი?

- ილიასი არ იყოს: „ხსნა ყველგან არის მაგრამ გზა ხსნისა“... როგორ არ არის ხსნა, დღეს აშვებული კაპიტალიზმის პირობებში დაცარიელებულ სოფლებს არავინ დაგიტოვებს. მოვა, მეზობელი შეგივსებს, გადამთიელი მოვა, ხომ ხედავთ, როგორი გადანაწილება მიდის დედამიწისა, ინდოელი, ჩინელი, სირიელი, აფრიკელი, მოვა და გეტყვის (უკვე გვეუბნებიან!) აქამდე შენ იცხოვრე, გეყოფა, ახლა მე ვიცხოვრებ და გავიხარებ ამ ღვთითკურთხეულ მიწაზე, რადგან შენ არ შეგიძლია ცხოვრება, მიწის დამუშავება. მარტო ცხოვრებას არ დასჯერდება, გადაგიხნავს წინაპართა საფლავებს. ზოგი წინაპრებში გულისხმობს მხოლოდ ათასწლეულების წინანდელ წინაპრებს, არა, ბატონო, დედ-მამის საფლავს ამოგიგდებს, გადაგიხნავს, რომ ათვლა თავისი მოსვლიდან დაიწყოს ისტორიისა. თუ ეს „ხსნა“ გვინდა (აშკარად ჩანს, რომ ამ „ხსნისკენ“ მივექანებით), ნუ ვიდარდებთ, ყველაფერი რიგზეა. ხოლო თუ ხსნაში ვგულისხმობთ ქართველი კაცის მიერ მხრებით და ხმლით დღევანდლამდე მოტანილი მიწის ისევ ქართველის მიერვე შენარჩუნებას, ტვინის და ფინანსების განძრევაა საჭირო. უნდა მიეცეს სამცხე-ჯავახეთის „მილევად“ სოფლებს (როგორც დღეს ზოგიერთი ადმინისტრატორი უწოდებს) მეტი თავისუფლება. პატრონის ხელი უნდა იგრძნოს ამ სოფლებმა. აბა, დააკვირდით, სადამდეა მიყვანილი ნორმალური გზა სამცხე-ჯავახეთში. პრაქტიკულად არცერთ პატარა სოფელს გზა არა აქვს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული სოფლები განწირულია, რადგან

ხელისუფლება ინტერესდება ელექტორატის ხელისშეწყობით მხოლოდ. თავისი ქვეყანა თანამედროვე მმართველობას, სამწუხაროდ, ახსენდება არჩევნებიდან არჩევნებამდე. რომელ გადარჩენაზე და პატრონობაზეა საუბარი, როდესაც... უმარტივესი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ბუნებამ და ქართულმა ენამ განასხვავა ძალიან ჩვეულებრივად ზემო სოფელი ქვემო სოფლისგან იმით, რომ ზემო უეჭველად ქვემოზე **მაღლა** (ზემოთ) მდებარეობს. ზემო სხვილისი, არ არის გასული მაღალმთიანი სოფლების სიაში, რაც გარკვეულ უპირატესობას გულისხმობს და ქვემო სხვილისი დაკანონებულია, როგორც მაღალმთიანი სოფელი. ეს არ არის სიბრიყვე, ეს არის დიდი უპასუხისმგებლობა, რაც დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

თუ გზას მივიყვანთ მაღალმთიან, პატარა სოფლებამდე, შევქმნით ელემენტარულ ინფრასტრუქტურას, სოფელსაც შევინარჩუნებთ და ქვეყანასაც. რაც ასპინძის მუნიციპალიტეტის ორ პატარა სოფელს, თოკსა და ვარგავს გადაუტანია მთელი ისტორიის მანძილზე, მართლაც ძნელად იტყვის ენა, მაგრამ დღეს ორივე სოფელი უბედურ დღეშია. გასცდები ახალქალაქის დიდ, არაქართულ სოფლებს და მაშინვე მიხვდები, რომ ქართული სოფლებისკენ მიდის გზა. „გზას ვამბობ, თორემ რა გზაა“ – იტყოდა ამაზე ვაჟა-ფშაველა. ლაფსაფლობი, ოღრო-ჩოღრო ადით ჩუნჩხაში, სადაც თავის დროზე აჭარიდან გადმოასახლეს მოსახლეობა და მიხვდები, რას ნიშნავს ქართული და არაქართული სოფელი. ჯავახეთში მთელი სამცხე-ჯავახეთის ფარი და მახვილი იყო ხიზაბავრა, დღეს თითქმის მოხუცების ანაბარა დარჩენილი პატარა სოფელია. მე-19 საუკუნეში ჩვენმა განმანათლებლებმა პირველი სტამბა სწორედ ხიზაბავრაში შექმნეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ განათლებაც სხვაგვარად ფასდებოდა ამ სოფელში. სანამ მძიმე დღეში არ ჩავარდა სოფელი, გზა მანამ არ მიიყვანეს იქ. რამ შეაძულა ქართველს სამშობლო, მიკვირს ძალიან. მე არ ვგულისხმობ ხალხს, ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებიც მოკალათდებიან თანამდებობებზე და შემდეგ აღარც ხალხი ახსოვთ, აღარც ქვეყანა, ახსოვთ მხოლოდ საკუთარი ჯიბე.

იყიდება წინაპართა სისხლით და ოფლით დღევანდლამდე მოტანილი და დაცული მიწები.

- რას იტყვით ბავშვობის შესახებ? ალბათ ჩვეულებრივი ან გამორჩეული ბავშვობა გექნებოდათ?

რა გითხრათ, ბავშვობა მართლაც ყველას ჩვეულებრივი აქვს, როგორც ბავშვს, როგორც ასაკის გარკვეული ეტაპის გახსენება მოგვცემს ამის საშვალებას. ვიყავი ისეთი ბავშვი, როგორიც იყო ჩემს გარშემო ყველა. ჩვენ შეიძლება გაგვაერთიანოთ ომის შემდეგ დაბადებულთა ერთ დიდ თაობაში. ჩემი მამა-ბიძები იბრძოდნენ სამამულო ომში, ზოგი ვერ დაბრუნდა, მამა დაბრუნდა. მამაჩემის მსგავსად ვინც დაბრუნდა, თავის ქვეყნისა და ოჯახის წინაშე ახლა გამრავლებით უნდა მოეხადა ვალი. დავიბადე 1949 წელს, ვინც დედა ამშობიარა, იმ ექიმის სახელი დაურქმევიათ ჩემთვის, მამას ისე გახარებია ბიჭის შეძენა, რომ იმ დღესვე აუღია დაბადების მოწმობა და უხერხულობის თავიდან ასაცილებლად სამი დღით ადრე ჩაუწერია ჩემი დაბადების დღე. ბიძაჩემს, არსენ ბერიძეს, სახლშივე უსროლია თოფი. მერე, რომ წამოვიზარდე, ეს თოფი მამას გაუჩუქებია. ომში მეტყვიამფრქვევე იყო და ცუდ გახსენებებთან იყო დაკავშირებული იარაღი.

ომი დაგვდევდა ყოველ ნაბიჯზე. სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, ოჯახში. მე შემიძლია ვთქვა, რომ გაჭირვება და შიმშილი რასაც ჰქვია, არ მიგვრძნია ბავშვობაში. მშრომელი ადამიანების ოჯახი იყო ჩემი ოჯახი. მამა და დედა ბევრს აკეთებდნენ, შრომობდნენ, რომ ბავშვებს ნორმალურად გვეცხოვრა.

მისაბაძ საქმედ ითვლებოდა ვაჟკაცობა, სამშობლოს, ქვეყნის სიყვარული.

დღეს ბევრს ღიმილი მოადგება, ამის გამგონეს, მაგრამ რას იზამ, ჩვენ „გიორგი სააკაძეზე", „ბაში-აჩუკზე" გაზრდილი თაობა ვართ. ხმალს თვითონვე ვთლიდით. კარგი ხმალი ჩვენთვის კარგი იარაღი იყო. ვსწავლობდით ხმალაობის ილეთებს. ეს გამოცდილებით მოდიოდა. ხშირად ისეთი ადგილზეც მოგვირტყამს ერთმანეთისთვის, რომ გვარიანად გვტკენია კიდეც. ამას ემატებოდა ომის თემა, ჯარისკაცობა. ასე რომ, ჩვენი ფიზიკური დატვირთვა ძალიან სერიოზული იყო. ფიზიკურად თუ ძლიერი არ იყავი, დაიჩაგრებოდი, ვერ იხმალავებდი, სანგარს ვერ გათხრიდი, „შტაბს" ვერ ააშენებდი, ამიტომ პირველ რიგში ბავშვი თავისი ფიზიკური შესაძლებლობებით ფასდებოდა. სკოლაში რომ შევედი, უკვე

შეფასების სხვა კრიტერიუმები გაჩნდა. საქმეში ჩაერთო გონებრივი შესაძლებლობები. კარგი სწავლა მისაბაძ საქმედ ითვლებოდა და ჩვენც მაქსიმალურად ვეცდებოდით, ცოდნასა და განათლებაში გავჯიბრებოდით ერთმანეთს. ვინც კარგად სწავლობდა, ყველაზე კარგი და ყველაზე ლამაზიც ის იყო.

და მაინც ჩვენი ბავშვობის ყველაზე ნათელი წერტილი იყო მტკვარი.

მე ვცხოვრობდი ასპინძაში, მთელი ბავშვობა ასპინძაში გავატარე და ჩემთვის ასპინძაში მტკვრის ყოველი მონაკვეთი ნაცნობი და ახლობელია. ვიცოდით, სად როგორი ჩქერი იყო თუ მორევი, რომელ ტალღას როგორ უნდა აჰყოლოდი, წყალი რომ არ გეყლაპა და გაგეპო, გაღმა გასულიყავი, რაც მტკვრის გადაცურვას ნიშნავდა, წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად ფასდებოდა მტკვრის გადაცურვა.

დაბის კუთხეები ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო ადრე გაზაფხულზე გადაცურავდა მტკვარს. ჯერ ერთი, ცივი წყალი რთულია საბანაოდ და თანაც ხშირად სიცივის გარდა საკმაოდ საშიშია მოდიდებული მტკვარი. ერთხელ სამი თანატოლი, უკვე პატარები აღარ ვიყავით, „კამერით“ შევცურდით ალექსანდრეს ჩქერში გაღმა გასასვლელად. ალექსანდრეს ჩქერს ალექსანდრე ფოცხვერაშვილის სახლს ქვევიდან ჩქარა მიმავალ მტკვრის მონაკვეთს ვეძახდით. ამ ადგილზე შემდეგ მიმართულება უცვალეს მდინარეს. იმდენად იყო მოდიდებული მტკვარი რომ ასპინძის ბოლოში შეცურებულები ახაშნის ხიდთან გავედით გაღმა.

მთელი ზაფხული მდინარის პირას სილაზე ვეყარეთ. მზე და წყალი ჩვენი ზაფხულის ყველაზე დიდი მეგობრები იყვნენ. ათას რამეზე ვსაუბრობდით. ერთმანეთის ნატვრა და სამომავლო ოცნებები ძალიან ახლობელი შეიქმნებოდა ხოლმე. მტკვრის ნაპირებიდან დაიწყო სამყაროსა და ცხოვრების შეცნობა.

- ხომ არ დააკონკრეტებდით თქვენს ეთნო-დიალექტურ კუთვნილებას? მოგვიყევით წინაპართა შესახებ.

- რა გითხრათ, ჩვეულებრივი „ტომით ქართველი“ ვარ, მესხი, თუმცა მესხეთსაც ჰქონდა თავისი მცირე „ქვეყნები“. პაპის და დიდედის ხაზით მამის მხრივ ერუშელები ვიყავით, ხოლო დედის მხარე სამცხელებია. ოჯახის უფროსი ჩვენთან ინახავდა ხოლმე

საოჯახო ამბავს წარმომავლობის შესახებ და გაანდობდა მომავალ თაობას, რომ სცოდნოდათ, ვინ იყვნენ და საიდან. უკვე სტუდენტი ვიყავი, როდესაც მამამ დაჟინებით მომთხოვა სათიბში წასვლა. მამა ერკოტის ჭალებში თიბავდა ზამთრისთვის თივას. წავყევი, ვეხმარებოდი. შესვენების დროს დავსხედით მისი მეგობრის ქიროს მანქანაზე და ამიყვანა კიდევ უფრო ზევით ერუშეთის მთებში. თავს დავადექით ძველ ნასოფლარს, რომელზეც ნასახლარები ჯერ კიდევ კარგად ემჩნეოდა. მიმიყვანა ერთ მორიდებულ ნასახლართან და მითხრა: „ბავშვი ვიყავი, როცა პაპაჩემმა აქ მომიყვანა, სათიბში ვიყავით მაშინაც, მითხრა, პაპამისის ნათქვამი, აქედან ვართ წასულებიო. აქედან მოვდივართ როგორც ერკოტელი, ისე დადეშელი ბერიძეები“ (დღეს ერკოტა და დადეში ნასოფლარებია). ეს ნასოფლარი იყო **ბერიები.** ისტორიულად ეს სახელი საკმაოდ სიღრმეში მიდის, ცნობილი სახელია.

დადეშში დაიბადა პაპა, მამაჩემი, ხოლო შემდეგ ჩამოვიდნენ, მე-20 საუკუნის 40-იან წლებში, ასპინძაში. დიდედა (ბაბოჩემი, როგორც ვეძახით) აგარელი ქალი იყო. აგარა ბევრია საქართველოში. ეს აგარა ვარძიის თავზეა, ნიალის ველზე. მამუანთ გვეძახდნენ დიდედის მხარეს, ზაზაძეები იყვნენ. მამუას საფლავი დღევანდლამდე შემორჩა. იგი ცნობილი იყო იმით, რომ თავისი სიკვდილით და ანდერძით კარგი დიპლომატური სვლა გააკეთა. დაკრძალულია მაჰმადიანთა სასაფლაოზე ანდერძად დაიბარა და იმიტომ დაკრძალეს იქ. სოფელში მაჰმადიანებიც ცხოვრობდნენ და ქრისტიანებიც. ამით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მამუამ, ჩემი დიდედის ნონო ზაზაძის წინაპარმა, რომ ჩვენ ერთნი ვართ და გასაყოფი არა გვაქვს სასაფლაოო. როგორც გადმოცემით მოვიდა ჩვენამდე, მამუას შემდეგ ზეწოლა სარწმუნოების შეცვლაზე აღარ ყოფილა აგარაში.

აგარაც ერუშეთის სოფელი იყო, ასე რომ, მამის მხრივ ერუშელები ვიყავით.

- **რა განსხვავება იყო მესხეთის ამ „ქვეყნებს“ შორის?**

დიალექტურ დონეზე არ განსხვავდებოდა, მხოლოდ ცალკეული თქმით თუ განსხვავდებოდნენ. მემატიანე, როდესაც გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაზე საუბრობდა, არ განასხვავებდა შიდა კუთხურობას, „შეიკრიბნენ მესხნი“, „იბრძოდნენ

მესხნი", იტყოდა, მაგრამ, როცა შიდა აშლილობას ეხებოდა საქმე, მაშინ განასხვავებდა ჯავახთ, სამცხელთ, ერუშელთ და ა.შ.

ხშირად საუბრობენ ჩვენი გენოფონდის პრობლემებზე. ქართველები არ ვმრავლდებით, შობადობა იკლებს და ა.შ. რას ფიქრობთ, წავუყრუოთ და „გავატაროთ", როგორც დღეს იტყვიან, თუ საფიქრალი და თავშისაცემი პრობლემაა?

- არა, „გატარება" და წაყრუება როგორ შეიძლება. დღევანდელი საქართველოსათვის ეს სერიოზული საფიქრალია. მართალია, გაჭირვება ერთ-ერთი მიზეზია ჩვენი მდგომარეობისა, მაგრამ მთავარიმიზეზი ნამდვილად არ არის. ბევრი ჩვენზე ბევრად გაჭირვებული ქვეყანა, პირიქით, კიდევ უფრო მეტად მრავლდება. ზოგიერთი ქართველის აზრით, რაც უფრო ნაკლები შვილი გყავს, მით უფრო „გამოსული" ევროპელი ხარ. ეს თავის მოტყუებაა. ერმა უნდა შეიგნოს და გაითავისოს საკითხის სიმწვავე. ახალგაზრდებმა უნდა თქვან თავისი სიტყვა. თუ დაუკვირდებით, ბევრი შეძლებული ადამიანი უფრო ნაკლებ შვილებიანია, ვიდრე ჩვეულებრივი ოჯახი. ადამიანის კულტურა და დონე ნაკლები შვილიანობით და ნაკლები დედმამიშვილებით ნამდვილად არ იზომება, პირიქით, ეს პროვინციალიზმის ნიშანია! დღეს ბევრი უცხოელი ეტანება საქართველოს. ეს თანამედროვეობის თანამდევი პროცესია. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა გაატაროს თავისი კონსტიტუციური უფლება, მოსულმა უნდა ისწავლოს ქართული ენა. აბა დაუკვირდით, რომელმა თურქმა იცის სახელმწიფო ენა (მე ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც დაუბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს და სწავლობენ ნანატრ მშობლიურ ენას), სამაგიეროდ რომელმა ქართველმა არ იცის, თურქეთში რომ მუშაობს, თურქული ენა? ყველამ იცის. ეს თითქოს არ არის კავშირში ჩვენს პრობლემასთან, სინამდვილეში დიდ კავშირშია. ქართველი, რომელიც ჩადის სხვა ქვეყანაში, ხდება არამხოლოდ იმ ქვეყნის მოქალაქე (მოქალაქეობა ქართველი კაცის მიზანია), არამედ ხდება მისი სწრაფი ინტეგრაცია, ხშირად იცვლის ქართულ გვარს და ა.შ. მომავალში ეს ამბავი პრობლემად ექცევა საქართველოს, როგორც ექცა პრობლემად გერმანიას. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და კიდევ უფრო გართულდება საქმე. სახელმწიფომ უნდა მოსთხოვოს ჩამოსულს სახელმწიფო ენის ცოდნა. ჩვენ სხვა

ქვეყნიდან მოსულებს კი არა, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, ქართველებს, რომელთაც ბედის უკუღმართობამ თავისსავე ქვეყანაში დააკარგვინა გვარი, მაინცდამაინც ახლა გავურთულეთ გვარის დაბრუნების საკითხი. ასევე გართულებულია მაჰმადიანი მესხებისათვის ქართული გვარის დაბრუნება. ეს ერთ-ერთი აუცილებელი გზაა ქართული ეთნოსის გამრავლებისა. ხელი უნდა შეეწყოს ახალგაზრდა ოჯახებს. დიდი როლი ითამაშა პატრიარქის ინიციატივამ მესამე და მეტი შვილის ნათლობის შესახებ. ჩემი ორი შვილიშვილია პატრიარქის ნათლული და ისინი ძალიან ბედნიერები არიან.

მე მაქვს ერთი წინადადება, თუ ამას დიდ მკრეხელობაში და უცნაურობაში არ ჩამომართმევს საზოგადოება. საქართველოში რამდენიმე ასეული ათასი გასათხოვარი თუ გაუთხოვარი ქალია. კაცი რომ არ ქმნის ოჯახს (კომუნისტებს ჰქონდათ ეს წესი), შვილი რომ არ ჰყავს, მართლაც უნდა გადაახდევინო უშვილობისა, არ უნდა გაუშვა თანამდებობაზე. არ შეიძლება სახელმწიფო სამსახურში იდგეს ისეთი ადამიანი, რომელიც ოჯახს ვერ ქმნის, მაგრამ მე მაინც მთავარ საქმედ სხვა რამე მიმაჩნია. ზემოთ ნახსენები ქალბატონები უნდა დაფასდნენ განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ შვილს გააჩენენ. **მარტოხელა დედობა, ვფიქრობ, შესარისხი კი არ უნდა იყოს ჩვენში, პირიქით, დასაფასებელი და პატივისცემის ღირსი. დედობა წმინდა საქმეა, საღვთო საქმეა. რა ქნას ქალმა, თუ მან ოჯახი ვერ შექმნა? უნდა დედობა, უნდა გახდეს, დედა!** თანაც ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტი შანსია სწორედ სიყვარულით გახდეს დედა. რა მნიშვნელობა აქვს, ეს სიყვარული ოფიციალური იქნება თუ არაოფიციალური. უნდა შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება ასეთი ადამიანების მიმართ. წახალისდეს ქალის ასეთი ნაბიჯი. მარტო მორალური წახალისება არ შველის საქმეს. სახელმწიფომ მუდმივი შემოსავალი უნდა გაუჩინოს მარტოხელა დედებს, ვიდრე ბავშვი თვრამეტი წლის არ გახდება. თვით ბავშვებს კი სხვა ტიპის შელავათები და უპირატესობა უნდა მიეცეს. ეს არის სერიოზული შანსი ჩვენი გამრავლებისა.

კიდევ ერთი რამ: ჩვენი ეროვნული ღირსებები სახუმარო და გასაშარაყებელ საქმედ არ უნდა გახადოს მასმედიამ. როდესაც გაუთხოვარი ან უშვილძირო ქალი თუ კაცი გამოვა ტელევიზიით

და გამრავლებაზე დაიწყებს საუბარს, ეს არის ანტირეკლამა, ასეთ ადამიანებს არავინ დაუჯერებს. როდესაც ხუთქმარგამოცლილი გამოდის და ქალიშვილობის ინსტიტუტზე საუბრობს, დაცინვაა საზოგადოებისთვის. აბა, იმ ახალგაზრდას ჰკითხე, ვისაც ცოლი მოჰყავს, უნდა სხვისი ნაჯმუჯნი ქალი? ამ საქმეში (ზოგადად ოჯახის, გამრავლების, ტრადიციის საკითხებზე) დიდი როლი უნდა ითამაშოს შემეცნებითმა გადაცემებმა.

ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, თუ ქალი ახალგაზრდა დაქვრივდებოდა, ქმრის ოჯახი ათხოვებდა მას, ხშირად მასავით ქვრივ კაცზე: ზედსიძედ მოსული კაცის შვილები ცოლის გვარს აგრძელებდნენ. რატომ ვამბობ, იცით ამას? ყოველგვარი წესი და ტრადიცია მოვშალეთ. ოჯახი მოვარღვიეთ, ყველაფერი დავუქვემდებარეთ გარედან მოსულ წესებს. თუ დავაკვირდებით, არც ერთი კანონი ოჯახის სფეროს რომ ეხება, მორალის სფეროს არ ითვალისწინებს. როდესაც გაყრილი ოჯახების შვილებს ვანაწილებთ მათი სურვილების მიხედვით, ან მშობლების ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით, არ არის სწორი. ჩვენმა თანამედროვეობამ, ქალის ემანსიპაციამ, მამაკაცს მოხსნა ვალდებულებანი. ოჯახის შვილები ოჯახს ეკუთვნოდა, ოჯახი კისრულობდა მათ გაზრდას, მამა იყო მთავარი ოჯახში. ამ ყველაფერმა მიგვიყვანა ოჯახის გაუფასურებამდე. როდესაც გაუჭირდებოდა ოჯახს, მამაკაცი მიდიოდა სამუშაოს საძებრად, ოჯახის რჩენა მისი ვალი იყო. დღეს ყველაფერი დააწვა ქალებს. გაუჭირდა ოჯახს და ქალი წავიდა უცხოეთში, რომ არჩინოს ქმარიც და შვილებიც, რაც მოგვიტანა ასეთმა პროცესებმა, ყველამ კარგად ვიცით, გაზარმაცებული მამაკაცი და დარღვეული ოჯახი. ყველაფერი ეს და კიდევ სხვა ბევრი რამ, რაც ტრადიციის უარყოფამ და თანამედროვეობის არასწორად მიღებამ მოგვიტანა, არის ჩვენი დემოგრაფიული პრობლემების მიზეზი.

- როგორ ფიქრობთ, რა არის თანამედროვე ან ვინ არის თანამედროვე, თანამედროვეობა. რამდენად მიჰყვება თქვენი ცხოვრება თანამედროვეობას?

კარგი იქნებოდა განმარტებით ლექსიკონშიც გვენახა, ისე კი სიტყვა კომპოზიტურია, შედგება ორი ნაწილისაგან. **თანა** და **მედროვე**, რომელიც ასევე წარმოქმნილი სახელია **მე-ე** აფიქსებით **დრო** სიტყვისაგან. არის ნაწარმოები. მედროვეს დღეს ცუდი

შინაარსით ვხმარობთ. ითქმის ისეთ ადამიანზე, რომელიც დროით სარგებლობს დაუმსახურებლად, არის მოხერხებული. **თანა**კომპონენტი ბევრ კომპოზიტში იხმარება: **თანა**მშრომელი, **თანა**მზრახველი, **თანა**მგზავრი და ა.შ ყველგან გამოხატავს თანაობას. მშრომელთან, მზრახველთან, მგზავრთან ერთად მყოფს. თანამედროვეც თავისი მნიშვნელობით ნიშნავს დროსთან ერთად მყოფს, ადამიანს, რომელიც არ ჩამორჩება დროს. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ზოგისთვის ეს არის დროის შესაბამისად ჩაცმა, ზოგჯერ ამას სტილსაც, ეტყვიან, ოღონდ არ აზუსტებენ, რა არის უკეთესი და რა უარესი. ალბათ, მხოლოდ ჩაცმულობა არაფერს ნიშნავს. ხშირად ჩაცმადახურვა შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. თანამედროვე ადამიანი კი არის ის ადამიანი, რომელიც აზროვნებს თანამედროვედ, ოღონდ არ უნდა გამოვრიცხოთ ეროვნული აზროვნება. ვთქვათ, ვიღაცისთვის თანამედროვე აზროვნება ნიშნავს კოსმოპოლიტობას, ან საკუთარი ეროვნული თუ კულტურული, ტრადიციული თვისებების უკანა პლანზე გადაწევას, რათა სხვამ შეამჩნიოს, დააფასოს და გზა გაუხსნას ფულისაკენ.

რუსთველი ყველაზე თანამედროვე მოაზროვნეა თავისი ეპოქისა. მან ვაჭართა ისეთი სახეები დაგვიხატა, რომ ქართველმა კაცმა შეიძულა კომერციული საქმიანობა. დღეს კი როდესაც რაინდულ (თანამედროვე გაგებით) თვისებებს გამოაცლი ქართველ კაცს (და ეს მოხერხდა სამწუხაროდ), ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება იგი, აღმოჩნდა კიდეც. თანამედროვეობა ნიშნავს ტრადიციულზე დაყრდნობით სიახლეების ნიჭიერად გამოყენებას, გონებით ჭვრეტას და შედეგებზე ჯერ ფიქრს, ხოლო შემდეგ ამ შედეგზე გასვლას, რასაც შესანიშნავად აკეთებენ ჩვენი მეზობელი ხალხები, ებრაელები და სომხები.

თანამედროვე ადამიანი უეჭველად ნიშნავს არა ჩაკეტილ პროვინციალურ არამყარ ტრადიციულ წესებზე შეუცვლელად ჩარჩენილ კაცს, არამედ განათლებულს და მომავალზე ორიენტირებულს.

წარმოიდგინეთ, ჩემი არც ისე ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, რამდენი „თანამედროვე" პერიოდი გამოვიარე. დავიბადე სტალინის ეპოქაში. მახსოვს ძალიან პატარამ ლექსი რომ დავწერე სტალინზე, შემდეგ ანტისტალინიზმი, პიროვნების კულტი,

შევარდნაძის, ზვიადის და ა.შ. პერიოდები. ალბათ თანამედროვეობა ნიშნავს როდესაც არ ჩარჩები რომელიმე პერიოდში ისე, რომ სხვა გზა და პერსპექტივა ვერ დაინახო შენი ქვეყნისათვის. განვმარტავ, რომ თანამედროვეობა მედროვეობისაგან ძალიან განსხვავდება, პარტიიდან პარტიაში გადასვლას არ გულისხმობს საკუთარი მხოლოდ მერკანტელური ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

- თქვენ გიყვართ სიახლეები, ინიციატივები, როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი ადამიანის ცხოვრებაში?

-მთავარი, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, შრომაა. „შრომაში გამოჩენილი სიმამაცე“ (კ. გამსახურდია). სიზარმაცე ქრისტიანულადაც დიდ ცოდვად ითვლება. ისე არ გამიგოთ, თითქოს უნაკლო ვარ და არ მიზარმაცია. თუ რამე მენანება განვლილ ცხოვრებაში, სწორედ დაკარგული დროა, რომელსაც ვერასოდეს ვერ დავუბრუნდები. დაკარგული დრო ნიშნავს გაუკეთებელ საქმეებს, განუხორციელებელ იდეებს. ნერვების მოშლას, რადგან ყოველთვის ფიქრობ სწორედ გაუკეთებელი საქმის შესახებ, აუსრულებელი სიტყვისა და იდეის შესახებ.

ჩვენი თაობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სუფრის კარგად ცოდნას. სუფრა ქართველი კაცისათვის მართლაც საოცარი კულტურაა. ქართულ სუფრას ბევრი ქართველი და უცხოელი სწავლობს. დღეს ქართულ სიტყვას – „თამადა“ და თამადობის ფორმას (სუფრის მართვის ამ უნიკალურ ფორმას) ყველა ითვისებს ჩვენს გარშემო. ზოგიერთმა დღესაც არ იცის, რას ნიშნავს თამადა და თამადობა, მაგრამ ჩვენი კულტურის ნაწილიაო, გაიძახიან. ჩვენში კი მიდის აქტიური პროპაგანდა სუფრის მართვის ამ უნიკალური კულტურის წინააღმდეგ. ისე არ გამიგოთ, თითქოს მე ქართული სუფრის ყველა კომპონენტის მომხრე ვიყო. არავითარ შემთხვევაში. ღვინის დაძალება, მე ვფიქრობ, არავითარ ადამიანურ ჩარჩოებში არ ეტევა. ჩვენი თაობა ის თაობაა, რომელიც ღვინოს აძალებდა კიდეც, ეჯიბრებოდა ერთმანეთს ღვინის სმაში, რასაც ათასი სისულელე მოსდევს. ყველაზე მეტად ეს მენანება. ახალგაზრდებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ველურად არ მოიხმარონ სასმელი. სუფრის კულტურა ითხოვს ღვინის მირთმევას და არა თრობას. სიტყვის თქმას, ურთიერთპატივისცემას და არა დებოშსა და არეულ-დარეულს. ქართული სუფრა დიდი

იქნება თუ პატარა, უეჭველად გულისხმობდა სიმღერებს. ძირითადად ხალხურ სიმღერებს, თუმცა მე-19-მე-20 საუკუნეებში სუფრის აუცილებელი ნაწილი იყო გიტარაც. ვინც გიტარაზე უკრავდა და მღეროდა, ის განსაკუთრებულ პატივში იყო.

მე მინახავს კახეთში, როდესაც სუფრაზე, განსაკუთრებით მცირე სუფრებზე ერთმანეთს პატიჟებდნენ ვინ რამდენს სვამდა, იმის მიხედვით კი არა, ვინ რომელ ხმას მღეროდა, იმის მიხედვით. დღევანდელი ვითომ გაევროპებული ჩვენი საზოგადოება, რომელიც ევროპულობას მხოლოდ ფულით ზომავს, „აევროპულებს“ სუფრასაც და ბევრ ტრადიციულ რიტუალსაც, ვთქვათ ქორწილს, დღესასწაულებს და სხვა. არა მარტო თამადა აღარ ჰყავთ სუფრაზე, ღვინოსაც ერიდებიან, როგორც ქართულ აუცილებლობას სუფრაზე, ამ ტიპის ღონისძიებები პირდაპირ თრობის, ღრეობის და მასთან დაკავშირებული ბევრი რამის მომტანია. ოღონდ ყველაფერი გახვეული, ვითომ თანამედროვე ან მკაცრ ევროპულ კოსტუმში ან თავისუფალ სამოსში. შინაარსი ღრეობა და ორი ჭიქის შემდეგ ლოთობაა, რომელიც ქართულ სუფრაზე 10 და 12 ჭიქის შემდეგ იწყებოდა, ოღონდ გაუკუღმართებული ფორმის შემთხვევაში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე.

თუ კითხვის დასაწყისს დავუბრუნდებით მთავარი ადამიანისთვის არის, ჩემი მორიდებული აზრით, მხოლოდ აღზრდის, განათლების და ტრადიციის ფონზე საკუთარი თავის შეცნობა–ვინ ხარ და რა გინდა. თუ დააკვირდებით, საკუთარი თავის გაუთვიცნობიერებელმა ექსპლუატაციამ ქართველი კაცი მიიყვანა ემიგრანტობამდე (რასაც თავისი სხვა ბევრი მიზეზიც აქვს), გვარის შეცვლამდე, „რა ქართველობა, რის ქართველობა“... აი, აქამდე და საბოლოოდ, ნიჰილიზმამდე და კოსმოპოლიტობამდე, საფუძველგამოცლილ პიროვნებამდე. რასაც არ შეიძლება საბოლოოდ არ მოჰყვეს მძიმე დეპრესია.

*ინტერვიუერი: **მაკა ბერიძე***
20.01.2017 წელი

- როდიდან, ისტორიის რომელი მონაკვეთიდან უნდა დავიწყოთ მესხების პრობლემის შესწავლა. არის თუ არა სწორი საკითხის 1944 წლიდან დაწყება და შესწავლა?

- რა თქმა უნდა, არ არის სამართლიანი პრობლემის მე-20 საუკუნის ჩარჩოებში ჩასმა მხოლოდ. ისიც არ არის სრულყოფილი, როდესაც გადასახლებით ვიწყებთ, საჭიროა წინაპირობების კარგი შესწავლა. ამას თავად დეპორტირებულთა შთამომავლებისთვის ვამბობ. მათ(!) კარგად, ობიექტურად უნდა შეისწავლონ თავიანთი ისტორია, რომ თუნდაც არ გამეორდეს მსგავსი უბედურება. მთელ მსოფლიოში არიან გაფანტული მესხთა შთამომავლები. დღეს კიდევ უფრო ადვილად ხდება პროვოკაციაზე წამოგება.

მთავარი კითხვა: შეიძლებოდა თუ არა, აცილებულიყო ეს ტრაგედია. მართალია, მთავარი დამნაშავე არის მაშინდელი საზოგადოებრივი წყობა, დიდი საბჭოთა კავშირი, სამწუხაროდ ამას სჭირდება დღეს მტკიცება და ასევე საქართველოს სჭირდება მტკიცება იმისა, რომ თვითონ საქართველო და მითუმეტეს ქართველი ხალხი არაფერ შუაში არ არის.

ნებისმიერი კონფერენცია, შეხვედრა, რომელიც ეძღვნება ამ პრობლემის განხილვას, მესხების მტრად დაჟინებით წარმოჩენილია საქართველო. ამით არა მხოლოდ ყალბდება ისტორია, არამედ ფუჭდება მესხთა მომავლის პერსპექტივა.

პირველ რიგში არ არის საჭირო იმ დონეზე გაყალბდეს ისტორია, რომ მესხთა ისტორიული იდენტობა გახდეს სადაო. სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მესხები გამიჯნული იყვნენ სხვა ეთნოსისაგან, კერძოდ, არ აირეოდა ერთმანეთში მესხი (გამაჰმადიანებული ქართველი), ქურთი და თარაქამა. მათ შორის არ ხდებოდა ქორწინება. არსებობდა სპეციალური თურქული ტერმინები – **იერლი** და **ბინალი**- ასე უწოდებდნენ მესხებს (მაჰმადიან ქართველებს) მხოლოდ, რადგან ქურთი და თარაქამა მოსული ეთნოსი იყო სამცხე-ჯავახეთში, თანაც იმდენად ახალი მოსულები იყვნენ, რომ მათ არა თუ არ ჰქონდათ სალოცავი, მეჩეთი, არამედ წესიერად სასაფლაოც არ ჰქონდათ, რადგან სასაფლაოს მაღალი კულტურა თავისი ქვებითა და ხელობის

აღმნიშვნელი ქანდაკებებით მხოლოდ მესხებს (მაჰმადიან ქართველებს) ჰქონდათ. ქურთებს და თარაქმებს არ ჰქონდათ იმ ტიპის საცხოვრებლები, როგორიც მესხებს (მაჰმადიან ქართველებს). არ განირჩეოდა ერთმანეთისგან მხოლოდ მაღალი წრის ქრისტიანისა და მაღალი წრის მაჰმადიანის საცხოვრებელი.

- ბატონო მერაბ, ხომ არ ავცდით კითხვას, ჩვენ უკვე ეთნოგრაფიულ ყოფაზე ვსაუბრობთ. მართალია კითხვასთან ეს საკითხიც ახლოს დგას, მაგრამ მაინც ისტორიის პრობლემებზე გთხოვდით საუბარს.

როდესაც მე-20 საუკუნის მესხთა ისტორიაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ1918-1919 წლის ამბებს, როდესაც მოხდა რელიგიური დაპირისპირება მესხეთში. ეს დაპირისპირება არ ატარებდა იდეოლოგიურ ხასიათს, არც მეცნიერული ხასიათი ჰქონდა, რომ დამსხდარიყვნენ ქრისტიანი და მაჰმადიანი მეცნიერები და თეოლოგიური ხასიათის კონფერენციები გაემართათ. ეს იყო ომი და სამწუხაროდ მებრძოლები ორივე მხარეს ქართველები აღმოჩნდნენ, ქრისტიანებიც და მაჰმადიანებიც.

მე არა მაქვს პრეტენზია, რომ ჩვენი მკითხველი ჩავახედო ისტორიულ პერიპეტიებში, გავაკეთო ისტორიული ანალიზი, ეს პროფესიონალი ისტორიკოსების საქმეა, ვინც ამ პერიოდს სწავლობს, მაგრამ სპეციალური კვლევა არ სჭირდება იმას, რომ მაჰმადიანი მესხები აღმოჩნდნენ თურქეთის (ოსმალეთის) მხარეს, ხოლო დაპირისპირებული მხარე იყვნენ მართმადიდებელი და კათოლიკე ქართველები, რომელთაც ემატებოდა გრიგორიანი სომხებიც. რეგულარული თურქული (ოსმალური) პოლიტიკის გატარებამ მისცა პროვოკაციის საფუძველი 1944 წლის ტრაგედიას. ამასთან ერთად და, უპირველესად, არ შეიძლება რელიგია და სარწმუნოება გაიგივებული იყოს ერთმანეთთან. ამის ნიშნები ქრისტიანული სარწმუნოების წარმომადგენლებშიც არსებობდა.

მესხთა (მაჰმადიანი, ქრისტიანი ქართველების) ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთთია მე-19 საუკუნე, როდესაც ერთად უყრიან საფუძველს ანტიქართულ საქმიანობას ოსმალეთი და რუსეთი. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ისლამის მფარველად გამოდის, ხოლო მეორე ქრისტიანობისა, მესხების (საქართველოს) წინააღმდეგ მათი პოლიტიკა შეთანხმებულია

(არაიურიდიული შინაარსით). ორივე ცდილობს, მაქსიმალიურად დაანაწერაროს ისედაც დაშლის პირას მისული და დაცალკევებული საქართველოს კუთხეები.

მე-19 საუკუნეში უკვე მიმდინარეობს მიზანმიმართული საქმიანობა მეზობლებისგან და სახელმწიფოსგან, რომლის შემადგენლობაშიც ოფიციალურად აღმოჩნდა საქართველო 1801 წლის შემდეგ, რომ დაიშალოს უკვე ის საუკუნეებით ჩამოყალიბებული ეთნო-ისტორიული კუთხეები (საქართველო, როგორც სახელმწიფო, ისედაც არ არსებობდა), რომელთაც თავთავისი ისტორიული სახელები ჰქონდა (მესხეთი, კახეთი, ქართლი, სამეგრელო და სხვა.) ამ გეგმაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოიჩნდა მესხეთი, რომელიც ყოველთვის განაპირობებდა სრულიად საქართველოს სიძლიერეს. 1828 წელს მოხდა სომეხთა შემოსახლება თურქეთის პროვინციებიდან. ვიდრე სომხები შემოვიდოდნენ მესხეთში (სამცხე-ჯავახეთში), არც მაჰმადიანმა ქართველმა (მესხმა) და არც ქრისტიანმა თურქული ენა არ იცოდა. ორივემ მხოლოდ ქართული ენა იცოდა. შემდეგ ხდება მოვლენების სწრაფი განვითარება. თუ მანამდე საუკუნეები სჭირდებოდა ეროვნული და ენობრივი ფესვების დაცილებას, ახლა, მეცხრამეტე საუკუნეში, დაჩქარდა, რადგან ოსმალურ-აღმოსავლურ ტრადიციას გვარის, ეროვნების, სარწმუნოების შეცვლისა, რომელიც ეკონომიკურ საგადასახადო სისტემაზე იყო დაფუძნებული, დაემატა რუსულ ევროპულ ხრიკებსა და სახელმწიფო იმპერიულ ინტერესებზე დამყარებული მეთოდიკა მესხეთის დაშლისა.

- თუ შეიძლება განგვიმარტოთ, რას ნიშნავს სახელმწიფო იმპერიული ინტერესი რუსეთისა. როგორ? რუსეთი ქრისტიანობის ქომაგად და პატრონად მოევლინა კავკასიას და საქართველოც რუსეთს შეუერთდა იმ იმედით, რომ ქრისტიანობა გადაერჩინა.

რუსეთს, როცა სჭირდებოდა, ქრისტიანობის მხსნელი და ქომაგი იყო, მაგრამ თუ კი სახელმწიფო იმპერიული ინტერესები ითხოვდა, ყველაფერს გვერდზე გადადებდა აკეთებდა, იმპერიისათვის სასიცოცხლო აუცილებელ საქმეს და არ „ჩაიციკლებოდა" სარწმუნეობის დამცველობით. სხვაგვარად ვერ ავხსნით საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმებას, ეკლესია-მონასტრების შეთეთრებას და უძველესი მხატვრობის დაფარვას, კიდევ ბევრ

რამეს ვერ ავხსნით. ამას სახელმწიფო დიპლომატია ჰქვია და ქვეყნისთვისთვის მისი ინტერესებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მთავარი იყო, დაესუსტებინა რუსეთს ისედაც დაშლილი საქართველო. თავდაპირველად, როდესაც რუსეთი მესხეთში და საქართველოში, საერთოდ, მკვიდრდებოდა, მართლაც თითქოს ქომაგობდა ქრისტიანობას. ამიტომაც იყო, რომ 1828 წლის შემდეგ დაიწყო მაჰმადიანი ქართველების გასახლება, მათ ერეკებოდნენ საქართველოდან არა როგორც თურქებს, არამედ, როგორც მკვიდრ მოსახლეობას. რუსეთს რომ ქრისტიანობის გაძლიერება სდომებოდა, მაჰმადიანებს კი არ გაასახლებდა, მათ შორის ახალდაწყებული გახლდათ გამაჰმადიანების პროცესი, არამედ ხელს შეუწყობდა მამა-პაპათა რელიგიაზე მათ დაბრუნებას. ამას არ აკეთებდა, რადგან ეს იქნებოდა საქართველოს გაძლიერება, ამიტომ გასახლებულთა ადგილზე ჩამოასახლეს სომხები, ბერძნები, დუხობურები, მალაკნები და სხვანი, რომლებიც იმპერიის დასაყრდენად უნდა ქცეულიყვნენ და ასეც მოხდა.

მართალია გარკვეული ნაწილი მაჰმადიანი მოსახლეობისა გადაიხვეწა, მაგრამ დარჩენილი ნაწილი, რომელსაც იმედი ჰქონდა მიწების შენარჩუნებისა, ადგილზე დარჩა. მაშინ არავინ დაობდა, რომ ისინი ქართველები იყვნენ. ქართველ მაჰმადიანთა მიერ ენისა და ეროვნების დაკარგვა კარგად ჩანს მე-19 საუკუნეში რუსეთის მიერ ჩატარებული აღწერების მიხედვით. სამწუხაროდ ინტერვიუს ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ წარმოჩინდეს თითოეული სოფლის მოსახლეობის მიერ განვლილი გზა ქართველობიდან (ქართველი მაჰმადიანობიდან) თურქობამდე. რაც ვერ დასრულდა მე-19 საუკუნეში, გაგრძელდა და საბოლოო სახე მიიღო მე-20 საუკუნეში.

ამ პროცესის დაგვირგვინება იყო 1944 წელი და მისი შემდგომი პერიოდი. მესხეთიდან იერლის (ქართველი მაჰმადიანის) გასახლებით და მათთვის ეროვნული იდენტობის საკითხის ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დასმითა და შემდეგ ქართული ფესვების წაშლით პროცესი დასრულდა. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობენ ქართველი მუსლიმების მოწინააღმდეგე ფრთის ორგანიზატორები და სულის ჩამდგმელები.

კიდევ ერთხელ განვმარტოთ, თუ შეიძლება, რას ნიშნავს „იერლი“ და რა დევს ამ ტერმინში?

- როგორც გითხარით, იერლის უწოდებდნენ ადგილობრივს, ამ შინაარსით იხმარებოდა ეს სიტყვა მესხეთში. ეს ცნობილია, მაგრამ ამჯერად სჯობს თვალი გავადევნოთ მის ახალ შინაარს, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობენ მესხების (მაჰმადიანი ქართველების) მოწინააღმდეგენი. იერლი თურქეთში თურქია, ყირიმში-ყირიმელი თათარი, ქურთისტანში ქურთი, მესხეთში მხოლოდ და მხოლოდ ქართველი მაჰმადიანი გახლდათ იერლი.

ამ ბოლო დროს ამ სიტყვაში „გულისხმობენ“ ყველას ერთად, თითქოს იერლია ქურთი, თარაქამა, მუთრუფი და სხვანი, ვინც მესხეთში ოდესმე ცხოვრობდა. ის კი არა და შემხვდა კავკასიიდან გასახლებულთა მნიშვნელობითაც ნახმარი ეს სიტყვა. ასეთი განზოგადოება ისეთივე მცდელობაა, როგორც თურქი მესხის, ახალციხელი თურქის და სხვა ტერმინების შემოტანა მე-20 საუკუნის ბოლოსათვის.

მე-19 საუკუნეში მესხეთის მცხოვრებთა შორის დასახელებულია „თათრები“, ვინ არიან ისინი?

სახელმწიფო პოლიტიკაზე და სახელმწიფო დიპლომატზე საუბარი გულისხმობს სახელმწიფო ინტერესების გატარებას, ე.ი. პოლიტიკური და ნებისმიერი საშუალებით ეროვნულ-ეთნიკური კუთვნილებისათვის ბრძოლას, რაც ძალიან კარგად ეხერხებათ ჩვენს მეზობელ დიდ თუ პატარა სახელმწიფოებს და პირიქით, ყოველთვის გვეძნელებოდა და ვერ ვახერხებდით ჩვენ, ქართველები – კერძოდ: ქართველთა გამუსლიმება, ერთი შეხედვით, ნიშნავს სარწმუნოების შეცვლას მხოლოდ და ეს არ არის დიდი უბედურება, პირიქით, შეიძლება ითქვას ის არის ადამიანის სინდისის, რელიგიური თავისუფლების აღიარება, მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა. ოსმალური იდეოლოგია ამაში დიდ ეროვნულ პერსპექტივას დებდა და არა მხოლოდ რელიგიურ ინტერესებს. სარწმუნოების შეცვლა ითხოვდა გვარის, ენის შეცვლას, მაგრამ ეს ხდებოდა საკმაოდ გაწელილ დროში და ხშირად საუკუნეები სჭირდებოდა. რის გამოც აუცილებელი ხდებოდა განსხვავების დაფიქსირება ოსმალოსა და რელიგიაშეცვლილ ახალ ეთნოსს შორის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმ ეკონომიკური და სხვა სახის შეღავათების გატარება, რომელიც

ჩადებული იყო ამ საქმეში. შედარებით ადვილი აღმოჩნდა სარწმუნოების შეცვლა ქართველებისთვის, ვიდრე ეროვნების შეცვლა, ადვილი აღმოჩნდა გუშინდელი მტრის სარწმუნოებაზე გადასვლა, მაგრამ გუშინდელი მტრისგან, რომელსაც ხმლით ეომებოდა ქართველი, მისი ეროვნების მიღება ძნელი გამოდგა. ამიტომ „მაჰმადიანი ქართველი" შედარებით უმტკივნეულო ტერმინი იყო, ასახავდა მხოლოდ რელიგიურ შინაარსს. დაკმაყოფილებული რჩებოდა ქართველის რელიგიური ამბიცია. ასეთი პროცესები შეიძლება განვითარებულიყო ოსმალეთის სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. ოსმალოსა და სარწმუნოებაშეცვლილ ადგილობრივ მოსახლეობის განსასხვავებლად ჩნდება ტერმინი **„თათარი"**. პროცესი ასეთი გახლდათ: **ქართველი>მაჰმადიანი ქართველი> თათარი> თურქი.**

ამას ხელს უწყობდა თვით ქართველი კაცი, უფრო სწორად, ეროვნული იდეოლოგიის არქონა. ქართველისთვის ქართველობა ნიშნავდა მართმადიდებლობას, რაც ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში თუ მართლა ასრულებდა ეროვნული იდეოლოგიის როლს, საწინააღმდეგო როლს თამაშობდა მე-19-მე-20 საუკუნეებში. ეროვნებაშეცვლილ ქართველს შეარქვეს თათარი, რაც ხელს აძლევდა ოსმალურ სახელმწიფოსა და იდეოლოგიას. ასე ვიქეციით მესხები და აჭარლები „თათრებად". ასე იქცა ოსმალეთის პოლიტიკისა და იდეოლოგიის გამტატებლად სამომავლოდ არა ოსმალო, არამედ ქართველი. რაც მთავარია, ამ ყველაფრის დაფიქსირება ხდებოდა ოფიციალურად აღწერებში. ოსმალეთი სარწმუნოების საშუალებით იერთებდა სხვა ეთნოსს, მაშინ როდესაც ჩვენ რუსეთი თავს გვახვევდა ქართული ფეოდალური კუთხური ტერმინოლოგიის ეროვნულობის დონეზე აყვანას და ქართული ცნობიერების დაშლას. ასე აქციეს ეროვნებებად გურული, იმერელი, მეგრელი, აჭარელი, ხევსური და სხვა.

ასეთი მიდგომა, ქართულ და მეზობელთა სინამდვილეში, აღწევს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე. 1944 წლის შემდეგ მესხეთში ჩამოასახლეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეობა: იმერლები, რაჭველები, მთიულები და სხვანი. თითოეულ მათგანს თავიანთი წარმომავლობის მიხედვით უწოდებდნენ იმერლებს, რაჭველებს, მთიულებს და ა. შ. ხოლო დამხვედრ მესხებს, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმური მოსახლეობა იქ

აღარ ცხოვრობდა, ეძახდნენ თათრებს, არა ვინმე სხვანი, არამედ თვითონ ქართველები, იმდენად იყო გამჯდარი და კარგად დამუშავებული ოსმალურ-თურქული იდეოლოგია.

- ე.ი. მესხთა ისტორია კარგად ჩანს მეცხრამეტე საუკუნის რუსული აღწერების მიხედვით. ჩვენ ვსაუბრობთ მათი სარწმუნოების შეცვლის შესახებ რუსეთის პირობებში მანმადე? რუსეთამდე როგორ ვითარდებოდა პროცესები?

- ამ მხრივ ყველაზე უკეთესად მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი. აი, გადმოვიღოთ მისი „აღწერა სამეფოს საქართველოსა" და ვნახოთ, რას წერს იგი მე-18 საუკუნის მესხების შესახებ. ჯერ აღწერს იმ ადგილებს და ტერიტორიას, რომელსაც „ქუეყანათა კრებით ეწოდების მესხნი". „ხოლო სიგრძე ქვეყანისა ამის არს ქართლის საზღვრიდამ ქართლის ყელამდე და ბაიბურდისა და ჭანეთის საზღვრამდე". შორს ნაგვიყვანს მესხეთის მდებარეობის, გეოგრაფიისა და ისტორიის აღწერა. ეს დღევანდელი საუბრის თემა ვერ იქნება, მაგრამ მოვიყვან ამონაწერს სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ:

„ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი (იგულისხმება ქართლელთა მსგავნი-მ.ბ), არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმართებელნი, შვენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყვარულნი, არამედ აწ მაჰმადიანების გამო, არღარა.....ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი **არის?** მაჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი, არამედ კლარჯეთის გლეხნიცა უმეტესნი მაჰმადიანნი, გარნა ვინანიცა არიან ქრისტიანენი, იგინიცა უმწყსელნი არიან, ვინაითგან არღარა რაისა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა, და ბერძენთა არა სცალს მათთვის. ამისთვის უეფოსკოპოზინი და უხუცონი არიან, თვინიერ რომელნიმე ქართლს იკურთხიან **ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უხმობენ აწ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე".**

თუ არ გადავტვირთავთ ინტერვიუს, მცირე კომენტარებს გავაკეთებ ამ ამონაწერის შესახებ. გავბედე და ვახუშტისგან მთელი აბზაცი ამოვიღე, რადგან ეს გახლავთ მე-18 საუკუნის დოკუმენტი და თქვენი ინტერვიუც დოკუმენტის, დღევანდელი მდგომარეობის რეალური სურათის როლს ასრულებს.

ვახუშტის მიხედვით კარგად ჩანს, რომ გამუსლიმება ახალდაწყებული არ არის და რომ თვით პროცესიც არ მიდის ადვილად. მე-18 საუკუნეში სადაო არ არის მათი ქართველობა ეს აზრადაც არ მოსდის ისტორიკოსს, იმდენად ჩვეულებრივი და ჭეშმარიტი ამბავია, სამაგიეროდ აშკარაა, რომ მაღალი წრე უკვე „გზაზე დგას", მას დაულაგებია ურთიერთობა ოსმალეთის ხელისუფლებასთან, შეუცვლია სარწმუნოება, ენაც შეცვლილია ოფიციალურად, რადგან სხვაგვარად ვერ შეინარჩუნებდა მდგომარეობას, ოლონდ ოჯახში და ერთმანეთთან ყოფნისას ისევ ქართულად საუბრობს. გლეხები მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ. შეიძლება მაღალ წრეს არც აძლევდა ხელს გლეხთა გამუსლიმება, რადგან მათზე გავრცელდებოდა საგადასახადო შეღავათები და ეს ფეოდალთა ეკონომიკურ ყოფას დაარტყამდა. უფრო დასავლეთით, კლარჯეთში პროცესები შორს არის წასული და იქ გლეხების უმრავლესობა უკვე სარწმუნოებაშეცვლილნი არიან.

- ჩვენი დიდი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის შრომის ამ მონაკვეთში კარგად ჩანს დინამიკა ქართველთა სარწმუნოების შეცვლისა. რა თქმა უნდა, უალტერნატივოა მესხების ეროვნების საკითხი, მაგრამ ეს მაინც ჩვენი, ქართული დოკუმენტია. რას გვიჩვენებს თურქული წყაროები. ასეთ შემთხვევაში ხომ მათს მონაცემებს საკითხის ისტორიისათვის უფრო მეტი წონა და ფასი ექნება?

- გეთანხმებით, არსებობს ამ პერიოდის წყაროები, რომელიც სპეციალისტი თურქოლოგების ოსმალეთის ისტორიის შემსწავლელი მეცნიერების პრეროგატივაა, მით უმეტეს, რომ ბოლო პერიოდში შესაძლებელი გახდა ამ ტიპის ზოგიერთი დოკუმენტის წვდომა. მოდით ცოტა უფრო წინა საუკუნეებში გადავინაცვლოთ და დავიმოწმოთ კიდევ ერთი დოკუმენტი, უკვე ოსმალური – „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი", რომელიც შექმნილია ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ და მას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, აწესრიგებდა საგადასახადო სისტემას, ამიტომ მასში წარმოდგე-ნილია 1595 წლის მესხეთი თავისი ისტორიული „ქვეყნებით" და მესხეთის იმ ნაწილით, რომელიც ჩვენთვის არის საინტერესო.

პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ დავთარს ჰქვია გურჯისტანის დავთარი. აქედან გამომდინარე

სადაო არც არის, ვინ ცხოვრობს გურჯისტანში, რა თქმა უნდა, იქ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია.

ამ დოკუმენტის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში ქართველები ცხოვრობენ. ავიღოთ, თუნდაც ერთი სოფელი, რომ სურათი ნათელი იყოს. ცოტა ხნით თავი დავანებოთ ძველ ისტორიას და დღევანდელობაში გადმოვინაცვლოთ. დღეს ახალციხეში ცხოვრობს ზანავიდან 1944 წელს გასახლებული ოჯახის წევრი სარვარ საფაროვი, რომლის ძველი გვარი არის ლაზიშვილი. ბატონმა სარვარმა შეადგინა ზანავის ადგილის სახელთა რუკა. სახელთა უმრავლესობა, ბუნებრივია, ქართულია. რამდენიმე წლის წინ ჩამოსულნი იყვნენ მოხუცები, რომლებიც დაბადებულნი გახლდნენ ზანავში, მათ კარგად ახსოვდათ სოფლის მაშინდელი ისტორია და ტოპონიმია. მათ დაადასტურეს და გვაჩვენეს ყველა ის სახელი, რომელზეც მანამდე სარვარ საფაროვი საუბრობდა. ვინ არიან ზანაველი მუსლიმები, რომლებიც გაასახლეს საქართველოდან? ისინი უძველესი ქართველები არიან თავიანთი წარმოშობით, თანაც ამ სოფლის ისტორია ქართული ეკლესიის ფეოდალური ყოფის ისტორიასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული.

მე-16 საუკუნეში ოსმალების მიერ აღწერის დოკუმენტში დადასტურებულია მაშინდელი მცხოვრებნი, ოჯახის უფროსები: **გრიგოლ ჯალიას ძე, მისი ძმა ბეჟანი, მახარობელ გრიგოლის ძე, მახარობელ ხიზანის ძე, მისი ძმა გულბათი, გოგორა, გოგიჩა მიქელის ძე, თაბუკა ივანეს ძე, ენუქა მატატას ძე, მელიქ იოანეს ძე, ივანე, გოგინა, ვარძელა გიორგის ძე, დემეტრე კაკალას ძე, ასვატურ ხაჩატურის ძე, იოსებ იასას ძე, ბასილა და ტუტუნა მიქელას ძე.**

ოსმალთა მიერ აღწერილია სამი ზანავი: **ზემო ზანავი, შუა ანუ წინა ზანავი და ქვემო ზანავი,** დღესაც გაყოფილია ზანავი ორ ნაწილად, ოღონდ დიდ და **პატარა ზანავად.** მოღწეულია ციხის კედლები, რომელიც ზანაველთა აშენებულია თავის დროზე.

- თქვენ მიერ ჩამოთვლილი ზანაველები მართლაც ქართულ გვარსახელთა მატარებელნი არიან. დოკუმენტი ოსმალურია, ეს იმას ნიშნავს, რომ მე-16 საუკუნის ბოლოს ოსმალეთი კრეფს გადასახადს, ე.ი. ადმინისტრაციულად სოფელს აკონტროლებს სხვა ქვეყანა. რა სარწმუნოებისანი არიან სოფლის მცხოვრებნი?

რა თქმა უნდა, ქრისტიანებია. მოდი მოვძებნოთ რა გადასახადს იხდიდნენ ისინი და დარწმუნდებით რომ ადვილად არ იცვლიდა მესხი კაცი სარწმუნოებას, რისთვისაც იხდიდა გადასახადებს: ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, მუხუდოზე, ცერცვზე, სელის თესლზე, კაკალზე, იონჯასა და თივაზე, ცხვარზე, ღორზე, ფუტკარზე, ბოსტანზე, ხილზე და ქორწილის გადახდაზე.

გადასახადთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საეკლესიო გადასახადი და ღორზე გადასახადი. ზანაველები ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის პატრონობდნენ ეკლესიას და საამისოდ სპეციალურ გადასახადს იხდიდნენ, ამიტომაც იყო, რომ სოფელი ზემო ზანავი მითითებულია ზანავის ეკლესიითურთ, დამეთანხმებით გადასახადის გარეშეც არ იყოლიებდა მუსლიმი ღორს.

მე-16 საუკუნიდან შეგვიძლია კიდევ უფრო მეტად გადავინაცვლოთ ისტორიის სიღრმეში. მე-9 საუკუნეში დაიწერა ჰაგიოგრაფიული თხზულება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელშიც კარგად არის აღწერილი მაშინდელი სამცხის სოფელთა გარკვეული ნაწილი და მათ შორის **ზანავი,** რომელიც დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის რეზიდენციაა. გიორგი ჩორჩანელი, რომელიც ასევე შეიძლება ყოფილიყო ზანაველი, ცნობილი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში. ამ თხზულებაში აღწერილია სწორედ იმ ტაძრის მშენებლობა, რომლის დაცვისა და პატრონობისათვის მე-16 საუკუნეში ზანაველები ოსმალეთს უხდიან გადასახადს.

მთავარი მაინც და ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ მესხები ყველაზე ადრინდელი ქრისტიანები არიან. ვიცი დამიჯერებთ, ქალბატონო მაკა და დოკუმენტის დამოწმებას არ მომთხოვთ იმის შესახებ, რომ ანდრია პირველწოდებულმა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში სწორედ მესხები გააქრისტიანა, რაზეც მოგვითხრობს ჩვენი მემატიანე. მეტი რა შეიძლება გაკეთდეს, ქართული, ოსმალური, რუსული (თუ მეტს მოვინდომებთ - სომხური, ბერძნული და სხვა ქვეყნების) წყაროები გვიდასტურებენ მესხთა ქართველობას. მათს ცხოვრებას ორი ათასი წლის განმავლობაში. ისტორიის უფრო წინა პერიოდში კი ბერძენი ავტორების საშუალებით ვგებულობთ მესხთა ისტორიას.

- ყველაფერი ნათელია ჩვენთვის, ალბათ ასევე გასაგები იქნება ჩვენი მკითხველისათვის, მაგრამ ძალიან მაწუხებს ერთი კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას, გასაგებია, რომ მესხები ქართველები არიან, რომ მათ ჩაუყარეს საფუძველი ქართული კულტურის, ისტორიის ბევრ მიმართულებას. ბოლოსდაბოლოს შოთა რუსთაველი მესხია, მაგრამ ეს არის მხოლოდ ისტორია? დამთავრდა ამით ყველაფერი?

- ერთი შეხედვით მართლაც ასეა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იყავი შენ და ვინ იყვნენ შენი წინაპრები, მთავარია რას აღიარებ დღეს და ვისად მიგაჩნია თავი. ეს არის დღევანდელი გლობალიზაციის უმთავრესი პრინციპი, მაგრამ ასეთი განმარტება „სამართლიანია" დიდი ქვეყნებისათვის. მათ, როგორც უნდათ, ისეთ „ჭეშმარიტებას" ქადაგებენ. თუ თავიანთ ისტორიას შეეხება ვინმე, მაშინ ისტორიაც სჭირდებათ და იქმნება ისეთი „ისტორია", როგორიც თვითონ სურთ. მესხებს ბევრი ჩასჩიჩინებს და უმტკიცებს, რომ არ არიან ქართველები, მაგრამ სიმართლე, ჭეშმარიტება სხვა რამ არის. შეიძლება თაობა გაიზარდოს ასე, მაგარ შემდეგმა თაობამ, რომელიც გაერკვევა სიმართლეში, თქვას თავისი სიტყვა.

ჩვენ სიმართლე უნდა ვუთხრათ ჩვენს მუსლიმ ძმებს, შვილებს, მომავალს განსაკუთრებით. მოსესთვის რომ არ ეთქვა თავის დედას სიმართლე, რომ ის არ იყო ეგვიპტელი და იყო ებრაელი, არ შეიყვარებდა თავის ერს, ვერ გადაურჩებოდა ისრაელი, რადგან ეგვიპტელებს ყველა ებრაელი მამრის მოსპობა უნდოდათ.

ჩვენ მოსეს დედის როლი უნდა შევასრულოთ. მუსლიმი ქართველები ისედაც ადგანან მოსეს გზას, რაც უფალმა თუ რეალობამ არგუნა მათ. მათ ბევრი განსაცდელი გამოიარეს, ბევრ ქვეყანაში არიან განფენილნი, მაგრამ მთავარი განსაცდელი აქვთ დასაძლევი, ეს არის საკუთარი თავის შეცნობა და საკუთარი ფესვების აღდგენა, ამ ფესვებზე იმავე ყლორტების აღორძინება, რომელიც გააგრძელებს ფესვების სიცოცხლეს. ქართულ ძირებთან მიბრუნება არის მესხებისთვის მოსეს გზა. მოსე სამაგალითოა ქრისტიანებისთვისაც და მუსლიმებისთვისაც. ორივე სარწმუნოება აღიარებს მის წინასწარმეტყველად.

01 მოდით მივუბრუნდეთ დღევანდელობას, უნივერსიტეტს მეორე წელია ვასწავლი აზერბაიჯანიდან ჩამოსულ მესხთა

შთამომავლებს ქართულს, მართლაც შესანიშნავი ახალგაზრდები არიან. მაინტერესებს, რამ განაპირობა მათი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოსვლა და სწავლა?

მესხების ჩვენს უნივერსიტეტში სწავლის საკითხი, დღიდან თსუ ახალციხის ფილიალის გახსნისა, აქტიურად განიხილებოდა. ჩვენი ქართული ენის კაბინეტი, რომელმაც თაობები გამოზარდა არაქართულსკოლადამთავრებულებისა, თავდაპირველად სწორედ მესხებისათვის შეიქმნა, რომ აქ ესწავლათ ქართული და შემდეგ გაეგრძელებინათ სტუდენტის სტატუსით ყოფნა ახალციხეში. პირველი თაობის ახალგაზრდები დღეს უკვე ადაპტირებული, ჩამოყალიბებული მოქალაქეები არიან ჩვენს სამშობლოშიც და სხვა ქვეყნებშიც, იმის მიხედვით, სად ცხოვრობენ და რას აკეთებენ. სამწუხაროდ შემდეგ პროცესი შეწყდა. რთული გასარკვევია, რა იყო ამის მიზეზი. ჩემი აზრით, და ამას ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ვაკეთებ კიდეც, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია სწორედ ესეც არის, რომ აღზარდოს დეპორტირებულთა შთამომავლები, ასწავლოს მათ ქართული ენა, მოხდეს მათი ინტეგრაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჩვენი უნივერსიტეტის კონტაქტების საფუძველზე, მესხთა შესახებ ჩატარებულ კონფერენციებში ჩვენი მონაწილეობის შედეგად მოხერხდა, რომ ჩამოსულიყვნენ აზერბაიჯანიდან ახალგაზრდები. უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე სწავლის შემდეგ ჩაირიცხა 26 აბიტურიენტი უნივერსიტეტში. წელს 30 მსმენელი გვყავს. ე.ი სულ მესხთა 60-მდე შთამომავალი სწავლობს ახალციხეში. ისინი თავიანთი გარეგნობით, თუნდაც მენტალობით არ განირჩევიან დანარჩენი სტუდენტებისაგან. ალბათ შეგიმჩნევიათ, ნებისმიერი უცხოელი, როგორც კი გამოჩნდება ჩვენს ქალაქში, დედაქალაქზე აღარ ვსაუბრობ, მაშინვე ემჩნევა, რომ მოსულია, სხვა ჯიშია, განსხვავდება ფერით, მოძ-რაობით, სიარულითაც კი, აშკარაა, რომ იგი სხვა კულტურის წარმომადგენელია. მესხები არ განირჩევიან ადგილობრივებისაგან. ასეც იყო მოსალოდნელი, მათ გენში ჩვენი ჯიშია, ჩვენი სისხლია. სამწუხაროდ მათ აღარ იციან ქართული ენა. რაც მათ გადაიტანეს, იმის გათვალისწინებით, კითხვის დასმაც კი არ არის საჭირო, რატომ? რატომ არ შეინარჩუნეს ქართული ენა? ჩვენი ვალია, მივეხმაროთ მათ საკუთარი ფესვების ძიებაში, ვაჩვენოთ

ისტორიული სამშობლო ისე, რომ არ მივაყენოთ რაიმე ტკივილი. მართალია, ქართული აღარ იციან, მაგრამ ქართული ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ბგერების (ტ, წ, კ, ყ...) წარმოთქმა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს მათთვის. მათ სალაპარაკო ენაში, რომელიც თურქულის დიალექტად შეიძლება განვიხილოთ, ჭარბად არის ქართული ლექსიკა.

მე მადლობა მინდა ვუთხრა თურქეთის მხარეს, რომელიც აფინანსებს მათ სწავლას, ეს არის ჩვეულებრივი გადასახადი, იმდენივე, რამდენიც საქართველოს მოქალაქეებისათვის.

ჯერჯერობით ვერ მოხერხდა სპეციალური პროგრამოს შედგენა, რომლის მიხედვითაც დაიგეგმება კულტურული და სხვა სახის ღონისძიებანი მესხებისათვის, სირთულეები არის აგრეთვე პირველკურსელების სწავლასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, რომ ისინი დანარჩენი სტუდენტების დონეზე ვერ მოამზადებენ გამოცდებს, მაგრამ ეს არის პირველი კურსი, მაღალ კურსებზე ყველაფერი გამოსწორდება. ზოგიერთი პროფესორი ვერ ჩასწვდა პრობლემის არსს, ზოგს უჭირს ლექციის სტილის შეცვლა და მათთვის ცალკე ყურადღების მიქცევა გარკვეულ სირთულედ იქცა. მე მათიც მესმის. მთავარია, ჩვენც მივეჩვიოთ საქვეყნო საქმის კეთებას, ცოტა მეტი მოვთხოვოთ საკუთარ თავს, შეიძლება ითქვას, ძალა დავატანოთ საკუთარ თავს, დავუთმოთ თუნდაც ერთი დამატებით საათი ამ ახალგაზრდებს, გავუადვილოთ, ვასწავლოთ საგნის ტერმინოლოგია, დამერწმუნეთ ეს ყველაფერი სულ მალე ისეთ სულიერ კმაყოფილებას მოგვგვრის, რომ აღარ ვიფიქრებთ გაწეულ შრომაზე.

მოსამზადებელი ჯგუფის მსმენელები 19 იანვარს, წყალკურთხევას, წავიყვანეთ მინაძეში. მშვენიერი დღე იყო, როგორც ყოველთვის ნათლისღების დღე. მინაძის ძველი ხიდიდან თვალს ადევნებდნენ ისინი მთელ რიტუალს, როგორ მოვიდნენ სასულიერო პირები, როგორ შევიდა ეპისკოპოსი წყალში და მასთან ერთად სამღვდელოების წარმომადგენლები. ზემოდან კარგად ჩანდა დღესასწაულის სახელწოდებათა მთელი შინაარსი და დიდებულება–რატომ ჰქვია **წყალკურთხევა** და **ნათლისღება,** რატომ გამოიხატება ორი სიტყვით ერთი დღე, ერთი რიტუალი. როდესაც ეპისკოპოსმა ჯვარი ჩაასვენა მტკვარში და აკურთხა

მტკვარი, გაირკვა პირველი სიტყვის მნიშვნელობა, ხოლო როდესაც ტიტლიკანა ახალშობილები მონათლეს და მათ ნათელი იღეს მდინარეში, ნათლისღების მთელი შინაარსიც ადვილი გასაგები იყო. აი, ასეთი განმარტებით და პრაქტიკული გაკვეთილით კარგად ისწავლიან ჩვენი მსმენელები, დეპორტირებულ მესხთა შთამომავლები, ქართულს. როდესაც მინაძელი ახალგაზრდები, მე ვიტყოდი - ვაჟკაცები, ხიდიდან გადახტნენ ნაკურთხ მტკვარში და გაცურეს, მესხებსაც აუკანკალდათ მუხლები და მკლავები, ჩვენც გადავხტებითო, მაგრამ ამის უფლება არ მივეცით. ამ დღეს სპორტული, ფიზიკური შესაძლებლობანი არ არის მთავარი. მთავარი სულიერი მზაობაა.

02 მე მათ ვასწავლი ქართულ ენას, ვიცი, რომ ყველანი ერთად ცხოვრობენ, დაქირავებული აქვთ ბინა. არ იგეგმება საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება? თუ გვინდა, რომ ეს პროცესი გაგრძელდეს და კიდევ უფრო სერიოზული ხასიათი მიეცეს, საჭიროა საერთო საცხოვრებელი, სადაც ისინი ადგილობრივებთან ერთად იცხოვრებენ და უშუალო კონტაქტების საშუალებით გაუადვილდებათ ქართული ენის შესწავლა.

მართალი ხართ. საერთო საცხოვრებელი მარტო მათ კი არ სჭირდებათ, დანარჩენი სტუდენტებისთვისაც არის საჭირო. ეს საკითხი არაერთგზის დაისვა, მაგრამ სამწუხაროდ ყურს არავინ იბერტყავს. ქალაქის მერია ვერ იღებს თავის თავზე პრობლემის გადაჭრას. აბა, დააკვირდით, ჩვენზე რამდენით გვიან გაიხსნა არტაანის უნივერსიტეტი, რომელიც დღითი დღე იზრდება. სტუდენტებისთვის კი არა პედაგოგებისთვისაც მოწესრიგებულია საცხოვრებლი პირობები. ჩვენ რომ საერთო საცხოვრებელი გვქონდეს, ბევრად მეტი სტუდენტი გვეყოლება, ვიდრე გვყავს. წელს მესხები მხოლოდ აზერბაიჯანიდან კი არ ჩამოვიდნენ არიან შუააზიიდანაც.

პრობლემა რომ თურქეთის ხელისუფლების წინაშე დაისვას, დარწმუნებული ვარ, მათი სახელმწიფოს წინაშე დღეს მდგარი დიდი პრობლემის მიუხედავად, ააშენებენ საერთო საცხოვრებელს, მაგრამ არ იქნება სამართლიანი, რადგან ვინც ააშენებს საერთო საცხოვრებელს, შიგაც ის იცხოვრებს, ბატონ-პატრონიც ის იქნება, ეს კი დაუშვებელია. ჩვენს უნივერსიტეტს ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეუქმნას შესაბამისი პირობები.

ახლა კი ვფიქრობ, ცუდი არ იქნება, თუ თქვენს ინტერვიუში დაფიქსირდება იმ სტუდენტებისა და მსმენელების გვარ-სახელები, ვინც სწავლობენ ჩვენთან. აი, შესაბამისი ბრძანებები:

1 სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (№2/126; 2/127; 2/128; 2/141; 2/166) ჩარიცხულ იქნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე შემდეგი აბიტურიენტები:

მიქაილ შახიევი, ნიგარხანიმ ისმაილოვა, სულეიმან ბათთალოვი, რამილ სეიფულოვი, ქამრან აბდულლაევი, ნიათ ფაშალიევი, როვშან ვასიბოვი, ამრაჰ გაჰრამანოვი, ქადირ ბილალოვი, ელმადდინ მამედოვი, ადილ ისმაილოვი, რაშიდ ზაბიტოვი, დაშდან ქიბაროვი, მაჰირ ბაირაგდაროვი, რაგიბ ჩახაევი, აინურა აკიპოვა, დილარა სულეიმანოვა, ფარიდა ილიასოვა, ფატიმა ილიასოვა, რაჰმან ლუმანოვი, ბაირამ მურთაზაევი, რაბია თაჰიროვა, რაფაელ მამმადოვი, ჰიქმეთ დაბახჩი, ქამრან ხალილოვი, ნურანა მეიბიევა, ფაიგ გარსლი, უმიდ ჩილაშვილი.

2 ასევე ჩაირიცხნენ სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შემდეგი მსმენელები (ბრძანებები № 18, 19, 20):

რაშიდ ქუჩალიევი, ჯალალ ჯალალოვი, ისმაილ მაჰმუდოვი, ხალილ კოჩალიძე, ქამალ შოქიროვი, სონა ფაშალიევა, ნაზარგულ რამიზოვა, ჰაჯარ ვეისალოვა, ელშან ჩახალოვი, ელსევარ შამშიევი, რუსტამ ქარიმოვი, აჰმად ისმაილოვი, ბაირამ ისმაილოვი, იშიკოვა სევდა, ჯამალ ზაბიტოვი, ნოვრუზ აფლათოვი, ნურიდდინ შაჰმურადოვი, აიშა დადაევა, სარდარ ალადდინოვი, რაშათ რაშიდოვი, ამრაჰ შაჰბაზოვი, შაჰსანამ ნურადდინოვა, ნარიმან ჰასრათოვი, მეჰრალი ჩახალოვი, მისლიმ დურსუნოვი, ბექირ ბექიროვი, რახმან ბინალიევი, ელმან მაჯიდოვი, მუსტაფა სულიევი, რუსტამ ამზაევი, ჟამილა დურსუნოვა.

03 ამ ჩამონათვალში თითქმის ყველას აზერბაიჯანული გვარი აქვს. მხოლოდ ორიოდეა ქართული გვარი. რატომ ვერ შეინარჩუნეს თავიანთი გვარები თუ ქართველები არიან?

ძალიან მკაცრად ვსვამთ საკითხს. გადავხედოთ საქართველოს ისტორიის თუნდაც ყველაზე ბოლო პერიოდს, როდესაც

მიმდინარეობს ქართველთა მიგრაცია სამშობლოდან. განა ყველამ შეინარჩუნა თავიანთი გვარი? ეს აგერ, სულ რაღაც ორი ათეული წლის განმავლობაში. ქართველ მაჰმადიანებს კი დღიდან მათი სარწმუნოების შეცვლისა, აქვთ უდიდესი ზეწოლა გვარის შეცვლის თაობაზე. მართლაც გმირებად მიმაჩნია თუნდაც იმ რამდენიმე მესხის მიერ ქართული გვარის შენარჩუნება. წარმოუდგენელი წნეხის ქვეშ გაატარეს ისინი. მახსოვს მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ოთხი ძმის ისტორია, როდესაც მათ პასპორტებში ოთხივეს სხვადასხვა გვარი და ეროვნება ეწერათ.

უცნაურია, როდესაც ქართული გვარების შეცვლის საკითხი დადგებოდა, არც კი განიხილავდა მას, როგორც ამ ამბავგამოვლილი მესხები ამბობენ, იქვე აძლევდნენ, ვთქვათ აზერბაიჯანულ გვარს, ხოლო როდესაც საქართველოში დაბრუნდნენ ისინი, ვერაფრით ვერ მოხერხდა მათი უმრავლესობისათვის გვარის დაბრუნება. საერთოდ გართულებულია ამ მხრივ საქართველოში საქმე. თუ ადამიანს სურვილი აქვს თუნდაც აირჩიოს ქართული გვარი, რატომ ვურთულებთ საქმეს. ეს არჩევანი ხომ ქართული გვარის პატივისცემისა და აღიარების მაჩვენებელია, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება გვარის დაბრუნებას, ასე რომ, მათი გვარების საქმე ამ შემთხვევაში გადამწყვეტი არ არის.

04 ახალგაზრდების ჩამოყვანა სასიკეთო საქმეა. ასე დღეს მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან ჩამოდიან ჩვენს ქვეყანაში სასწავლებლად. მაგრამ საქმე ეხება მათ მასიურ ჩამოსახლებას, თორემ აბიტურიენტების მიღებისათვის ყოველთვის უნდა ვიყოთ მზად. ჩემი კითხვა მინდა ასე ჩამოვაყალიბო: არის თუ არა საქართველო მზად? ისმის ხშირად ეს კითხვა. როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობს „მზაობა“, როდის იქნება საქართველო მზად მათთვის?

ამ კითხვას ორ ნაწილად ვუპასუხებ. პირველი: შევეხოთ სტუდენტების მიღებას. დღეს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლებისთვის პრიორიტეტულია განათლების ინტერნაციონალიზაცია. რაც შეიძლება, მეტი ახალგაზრდები უნდა მოვიზიდოთ უცხოეთიდან, ჯერჯერობით ეს ხერხდება ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ჩამოსულები ეტანებიან ტექნიკურ და სამედიცინო მიმართულებებს, სწავლობენ ინგლისურენოვანი პროგრამებით. საქართველო ყოველნაირად შეუწყობს ხელს ქართულენოვან პროგრამებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სირიელი, რომელიც ჩამოვა

საქართველოში, ისწავლის ინგლისურ ენაზე, ხოლო აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან ან შუააზიიდან ჩამოსული მესხთა შთამომავლები ისწავლიან ქართულენოვან პროგრამებზე, ქართულად. ეს გასაგებია, მაგრამ 17-18 წლის ახალგაზრდა, რომელიც ჩვენი სტუდენტი გახდება, დაამთავრებს 21-22 წლის ასაკში, შეეძლება მაგისტრატურაშიც სწავლის გაგრძელებაც, მაგრამ იგი დამოუკიდებლად, მარტო, ვერ გახდება ვერც საქართველოს მოქალაქე და ვერც მარტო დაბრუნდება თავის ისტორიულ სამშობლოში. მას ჰყავს ოჯახი, სხვათაშორის ძალიან ტრადიციული და უფროს-უმცროსობაზე, ნათესავის პატივისცემაზე და შრომაზე ორიენტირებული ოჯახი. ჩვენ ჩვენი კურსდამთავრებულების მისაღებად მზად გახლავართ. ისინი, როგორც სხვა ჩვენი კურსდამთავრებულები მოძებნიან სამსახურს (ოფიციალური რეპატრიაციის იურიდიული მხარის მოგვარების შემდეგ), ზოგი მათგანი ალბათ წავა სხვა ქვეყანაშიც, მათ ხომ სხვებთან შედარებით ექნებათ ის უპირატესობა, რომ იციან სულ ცოტა სამი ენა სპეციალობასთან ერთად და ისწავლიან ქართულსაც.

ახლა შევხედოთ ქვეყნის **მზაობას** დეპორტირებულთა მირების შემთხვევაში. მზაობა, ვფიქრობთ, ორმხრივი უნდა იყოს. თქვენი წინა კითხვების პასუხებით ვაჩვენეთ, რომ ისინი არიან ქართველთა შთამომავლები. არიან მზად ისინი ამის დაფიქსირებისა და აღიარებისათვის? ეს ისეთ რამ არის, როდესაც საქმე ეროვნებას ეხება, რომ ძალდატანებით ამის გადაწყვეტა თითქოს არ შეიძლება, თუმცა იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ჩაასახლეს, ყველაფერი გაკეთდა, რომ მარტივად „მოეგვარებინათ" მათი არაქართველობა.

ჩვენი მხრიდან საჭიროა მხარდაჭერა იმ გასახლებული მესხებისათვის, ვინც აშკარად თუ შეფარვით ჯერ კიდევ აღიარებს თავის ეროვნულ კუთვნილებას. რატომ გვერიდება ოფიციალურ დონეზე ამის გაკეთება, გაუგებარია. დღევანდელი მსოფლიოს განვითარება ამერიკის ახალი პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ აშკარაა, რომ გაემიჯნება გლობალიზაციას ბევრ საკითხში და ტრადიციონალიზმის პრინციპებს წამოსწევს წინ, ამიტომ არაფერია მოსარიდებელი, მივანიჭოთ ქართული ორიენტაციის რეპატრიანტებს უპირატესობა. **მზაობაც** ეს იქნება. თურქი ვინც არის, თურქეთი ღებულობს იმ ხალხს და ეხმარება, ქართველებს,

რომელთაც თუ აღარ ახსოვთ ქართული გვარები, არქივებში მოვძებნოთ, მოძებნიან თავადაც, ვასწავლოთ დაკარგული მშობლიური ენა, საამისოდ ჩვენს უნივერსიტეტს შეუძლია მოამზადოს პედაგოგები და მზაობაც ეს იქნება. სულიერი, მორალური, ტრადიციული პრობლემები თუ მოგვარდება, ეკონომიკურს ეშველება.

05 მზაობის ეს მხარე გასაგებია, სახელმწიფო ღებულობს კიდეც შესაბამის კანონებს, მაგრამ ბევრი ადმინისტრატორი თუ კანონის დამდების მზაობაზე რას იტყვით? ხშირად საქმე სწორედ იქ ფუჭდება ხოლმე, სადაც უნდა გაკეთდეს.

მართალი ხართ, მართლაც სპეციალური გადამზადება სწორედ იმ კატეგორიას სჭირდება, ვინც ამ საქმეებთან არის დაკავშირებული. მათ კარგად შეისწავლონ გაითვალისწინონ პრობლემა და ისე მიადგნენ საქმეს. ვფიქრობ, მეცნიერებს ეთქმით განსაკუთრებული სიტყვა, რომ მათ სწორი ისტორია წერონ, მართალი სტატისტიკა დადონ. უნდა შემუშავდეს დახვეწილი დეტალური პროგრამა. არ ვიცი, შეიძლება, ასეთი პროგრამა არის კიდეც, მაგრამ შედეგი არ ჩანს, ამიტომ ჩემი აზრი შედეგებს ემყარება. თუ არ მოვემზადეთ, მზად ვერასოდეს ვიქნებით. ვიძახოთ არა ვართ მზადო და ერთხელაც შეიძლება, აღარ გვკითხონ ვართ თუ არა მზად და მართლა ძალიან მოუმზადებული დავხვდეთ ამ საკითხს. მოუმზადებლობა სწორედ ის იქნება, მოსულს რომ ვერ ვასწავლით სახელმწიფო ენას და მისთვის თავსმოხვეული ენის დაკანონებას რომ მოგვთხოვს იგი.

06 რას იტყვით ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ, როგორი განწყობაა მათში და როგორ შეხვდებიან ისინი მესხების მასობრივ ჩამოსახლებას?

საკითხი მნიშვნელოვანია. ადგილობრივი მოსახლეობაც ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. მესხები (იგულისხმება ჯავახებიც და აჭარლებიც), ისინი, ვინც მათი გასახლების დროს აქ ცხოვრობდნენ და ჩამოსახლებულები, ისინი ვინც მათ ნასახლარზე ჩამოასახლეს. მესხთა შთამომავლებში არის ხსოვნა 1918-1919 წლების დაპირის-პირებისა და ჩამოსახლებულებს გაუჩნდებათ შიში იმისა, რომ დაკარგავენ საცხოვრებელს. რეალურად ორივე დამოკიდებულება საზოგადოებრივი აზრის შექმნის, საკითხის ღიაობის შემთხვევაში გაქარწყლდება მარტივად და პირიქით – თუ სახელმწიფო გააქტიურებს წარმოდგენილ საკითხებს, პრობლემა შეიქმნება.

ოთხმოციან წლებში, მახსოვს, მიჭირს კონკრეტული თარიღის გახსენება, მე თვითონ მოვაწერე ხელი სხვებთან ერთად სიას. ამ სიის მიხედვით ასპინძის რაიონის სოფ. თოკში უნდა ჩამოსახლებულიყო 100 ოჯახი, ყველა მათგანს ქართული გვარი ჰქონდა. მათ შორის იყვნენ, სხვას რომ თავი დავანებოთ, ბერიძეებიც. როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, გაჩნდა სია, რომელშიც აღარცერთი ქართული გვარი არ ჩანდა. რა მოხდა? ასეთი დამოკიდებულებით პრობლემა არ მოგვარდება. მაშინდელი სიის ახალ ვერსიას მოჰყვა საზოგადოების ანტიგანწყობა და, რა თქმა უნდა, ჩაიშალა ჩამოსახლება.

– სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს სომხური მოსახლეობა. ანგარიშგასაწევია მათი აზრი ამის თაობაზე. სომეხი ექსპერტები ამბობენ, რომ ამ ხალხს სომხურ სოფლებში არ უცხოვრიათ და არც უნდა დაბრუნდნენო.

სომხური მოსახლეობა წინა პასუხში წარმოდგენილ საზოგადოების იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთა შთამომავლებს გადმოცემით ახსოვთ 1918-1919 წლების ამბები, ამიტომაც ბუნებრივია მათშიც იგივე განწყობა და დამოკიდებულება იქნება. მაშინ სომხები და ქართველები იბრძოდნენ ერთ მხარეს. ამას ემატება გენოციდის ცნობილი ამბები, რომლის პოლიტიკური გაგრძელება დღესაც აქტუალურია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი სხვაგვარად დგება. გენოციდის მომწყობი თურქული მხრის შემადგენლობაში არც მესხები (მაჰმადიანი ქართველები) და არც მათი შთამომავლები არ იგულისხმება. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც საზოგადოებრივი აზრია გასათვალისწინებელი. თუ 1918-1919 წლების დაპირისპირებას გამოვრიცხავთ, სამცხე-ჯავახეთში სომხებსა, ხემშინებს, ქართველებს მაჰმადიან ქართველებს შორის ჩვეულებრივი სამეზობლო დამოკიდებულება ჰქონდათ.

ისიც მართალია, რომ მაჰმადიან ქართველებს სომხურ სოფლებში არ უცხოვრიათ. ვერ იცხოვრებდნენ, რადგან სომხები 1828 წელს მაჰმადიან ქართველთა ნასახლარზე ჩამოასახლეს. ქართულ სოფლებში გამუსლიმების პროცესი ხანგრძლივი იყო და ყველა არ ღებულობდა მაჰმადიანურ სარწმუნოებას.

07 თუ შეიძლება განმარტოთ ხემშინებში ვინ იგულისხმება?

ჩვენ უნდა ვისწავლოთ ზოგი რამ სომხებისაგან. ალბათ დაკვირებიხართ, როდესაც იტყვიან ხემშინებიო, იქვე ამატებენ,

რომ ისინი მაჰმადიანი სომხები არიან. თვითონ ტერმინის შესახებ ამჯერად ვერაფერს გეტყვით, ოღონდ ერთი ფაქტია, რომ არასოდეს დამდგარა ეჭქვეშ ხემშინების სომხური წარმომავლობა, საერთოდაც, ცნობილია, სომხეთში სახელმწიფოებრივი წყობილების დაკარგვის შემთხვევაში ერთიანობის ფლაგმანათ გამოდიოდა ეკლესია, მაგრამ თუ შეიცვლიდა სარწმუნოებას ეროვნება მაინც ჩანდა. ასეა ხემშინები, ასეა კათოლიკე სომხების და სხვა შემთხვევაში.

ჩვენში ყოველთვის გაჩნდებოდა დიდი კითხვის ნიშანი, შეიცვალა სარწმუნოება არის ქართველი? ხომ ნახეთ, მტკიცება გვჭირდება მესხების ქართველობისა. მე და შენც, ჩვენს წინაპრებს რომ მოეღით მაჰმადიანობა, დღეს მათ რიგში ვიქნებოდით. როდესაც ვამბობ, სომხებისგან ვისწავლოთ მეთქი, ამას ვგულისხმობ. როგორც ჩანს სახელმწიფო იდეოლოგიის ქონა, რაც ეროვნულ იდეოლოგიას გულისხმობს, ამას ნიშნავს. მაშინ არის ძლიერი იდეოლოგია, როდესაც საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებას ნებისმიერ სფეროში ეროვნული ინტერესებია გათვალისწინებული. სხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანი თავისი ეროვნული ძაფებით არის მიბმული ისტორიულ სამშობლოს. შეიძლება ენაც დაკარგო, შეიცვალო სარწმუნოება, მაგრამ ეს ეროვნული ძაფები არ გაძლევს საშუალებას მოსწყდე ძირებს.

08 რა გარემოს შექმნის მათი ჩამოსვლა უნივერსიტეტში, იქნება თუ არა სიახლე უნივერსიტეტის ჩამოყალიბებული ტრადეციისათვის?

ამ მხრივ სიკეთის მომტანი ნამდვილად იქნება. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რომ აზერბაიჯანიდან ჩამოსული მესხების შთამომავლების ადაბტირება, სწავლა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში პრობლემა ნამდვიალად არ იქნება. პირიქით, ისინი გაზრდიან კონტიგენტს, არის შემოსავლის ერთერთი წყარო. ამასთან ერთად არაქართულ სკოლადამთავრებულ სომეხ სტუდენტებთან ისაუბრებენ ქართულად, რაც ორივე მხარისათვის და სამომავლო მათი ურთიერთობისათვის დადებითი მოვლენაა. ბევრი მათგანი პროფესიას არჩევს ისეთ, მიმართულებით, რომ შეისწავლიან თავიანთ ისტორიას, დიალექტს და გაერკვევიან ისტორიულ სინამდვილეში. ნაკლებად იქნება მოსალოდნელი რომელიმე ფუნდამენტალური რელიგიით დაინტერესება და ა. შ. რაც მთავარია,

სტუდენტები აღმოჩნდებიან აზერბაიჯანსა და შუააზიაში მცხოვრები ახლობლებისა და ნათესავებისათვის შუამავლის როლში. წაიღებენ აქედან იმ დადებით ემოციებსა და ამბებს, რომლიც სასიკეთოდ გამოადგება მომავალ ურთიერთობებს. აღდგება ჩატეხილი ხიდი, რომელიც მე-20 საუკუნეში იქცა ბევრი პრობლემის შემქმნელად.

09 რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს საქართველოს ამ ხალხის ჩამოსვლამ?

მინდა გავიხსენო მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლო, როდესაც აზერბაიჯანიდან გვესტუმრა გადასახლებულთა ერთი ჯგუფი. მათ შორის იყო ახალგაზრდა ქალბატონი, რომელმაც მთხოვა თავისი წინაპრების ნასახლარის მოხილვა. ადრე გაზაფხული იყო მაშინ, მთებში თოვლი ჯერ კიდევ იდო. ჩემი მეგობრის „კოლხოზნიკით" გავუყევით გზას ერუშეთისაკენ. გავიარეთ ასპინძა, ოსკერია (დღევანდელი ივერია), ნასოფლარი ერკოტა, ბერიები, გრძელი ჭალა და მივადექით ბუზმარეთს, რომელიც აგრეთვე ნასოფლარია, მაგრამ იქ საქონლის სადგომებია დღეს. ბუზმარეთის სამხრეთით არის ნასოფლარი **თაზაქვევი.** სახელიც ახალი შერქმეულია (**ახალსოფელს** ნიშნავს) და აშკარად ემჩნევა, რომ დიდი ხნის მოსულები არ იყვნენ თავის დროზე ამ სოფლის მცხოვრებნი.

ქალბატონს სურდა ყვავილების წაღება წინაპრების საცხოვრისიდან. ასე ჰქონდა დაბარებული ბებიისგან. ადრე გაზაფხულის ყვავილები მართლაც ძალიან ლამაზი იყო.

გარშემო დაახლოებით 30 კილომეტრის მანძილზე დასახლება არ არის, არავინ ცხოვრობს. სტუმარმა, როდესაც ეს ყველაფერი ნახა, დნობისკენ წასული თოვლის შემხედვარემ, როდესაც შეადარა ბარის მდგომარეობა, სადაც ყვაოდა ყველაფერი, შეშინებულმა იკითხა: აქ უნდა დავბრუნდეთ, აქ უნდათ ჩვენებს ჩამოსვლა? მე ვერავითარ შემთხვევაში აქ ვერ ვიცხოვრებ და სხვებს ღმერთმა მოუმართოს ხელი. იგი რუსული ენის სპეციალისტი იყო და, რამდენადაც ვიცი, დღეს დოქტორია.

ეს საკითხი შესასწავლია სად უნდა ჩამოვიდნენ დეპორტირებულები. ბევრი სოფელი, საიდანაც არიან წასულები, დაკავებულია, იქ ცხოვრობს ხალხი და მათი აყრა-გადასახლება არ შეიძლება. მიწებიც გადანაწილებულია, კერძო საკუთრების პირობებში გაყიდულია ყველაფერი. სახელმწიფომ შეიძლება გამოისყიდოს

ისეთი ადგილები, სადაც შემცირებულია ქართული მოსახლეობა, მაგალითად: თოკი ვარგავი და სხვა ჯავახური სოფლები, ასევეა ბევრი სოფელი სამცხეში. უნდა შეიქმნას სპეციალური პროგრამა ინფრასტრუქტურის მოსაგვარებლად ამ სოფლებისათვის. პირველ რიგში უნდა აშენდეს სკოლები, სადაც იქნება ქართულენოვანი სწავლება, რომ აღარ დაგვჭირდეს შემდეგ სპეციალური კურსები უნივერსიტეტისათვის ამით გაიხსნება გზა ბილინგვური და სახელმწიფო ენაზე სწავლებისათვის სამცხე-ჯავახეთში არაქართულენოვან მოსახლეობაშიც. წამოიწევა სოფლის მეურნეობა. მართალია, მე მეეჭვება მესხები ისეთივე შრომისმოყვარენი იყვნენ, როგორც ადრე, გადასახლებისას ან კომუნისტურ პერიოდში იყვნენ, რადგან მაშინ ქართველებიც იმავე ცხოვრებით ცხოვრობდნენ და დღეს შეცვლილია დამოკიდებულება მიწაზე მუშაობისადმი, მაგრამ იმდენს მაინც მოახერხებენ, რომ მიწას უპატრონონ. ზოგიც თვითონ შეიძენს სამოსახლოს საქართველოს სხვადასხვა რაიონში თუ მუნიციპალიტეტში.

10 მათ ექნებათ ამის სურვილი?

თუ კარგად მომზადდება პროგრამა, თუ ღია იქნება საკითხი, თითოეულ რეპატრიანტამდე დავა პრობლემის არსი, ყველაფერი კარგად წავა, მაგრამ თუ წინასწარ იმუშავებს ზოგიერთი ჩვენი მეზობელი იმისათვის, რომ ეს ადამიანები მოვიდნენ, როგორც უცხო სხეულები, მოსვლისთანავე თუ დაიწყებენ მეჩეთების მშენებლობას (თუ საჭირო იქნება, ჩვენმა სახელმწიფომ უნდა ააშენოს და არა ვინმემ სხვამ გარედან), მოითხოვენ უაზრო ავტონომიას და სხვა, ჩათვალონ უნდა, მათაც და ჩვენც, რომ საქმეს შედეგი არ ექნება.

კონსტიტუციის შესაბამისად, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაშია, ჩამოსვლისთანავე უნდა გაიხსნას სახელმწიფო ენის შემსწავლელი პუნქტები, რის კადრებით უზრუნველყოფილ ჩვენს უნივერსიტეტს შეუძლია და ინტეგრაციის პროცესიც გაადვილდება. მინდა გავიმეორო, რომ მთავარზე მთავარია რეალური კეთილგანწყობა, ერთობლივი სამომავლო სახელმწიფო მიზნები და არა მხოლოდ დეკლარირება და მათი სხვა ქვეყნის მიზნების განმახორციელებელ საზოგადოებრივ მასად ქცევა.

ინტერვიუერი: **მაკა ბერიძე**
2017 წელი

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ინტერვიუ ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს: „ვინმე გამოჩენილი პიროვნების საუბარი ჟურნალისტთან, პრესაში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი“.[1]

ინტერვიუს განმარტებაში თითქმის არაფერი შეცვლილა მე-20 საუკუნის 70 -იან წლებშიც: „პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწის, ცნობილი პიროვნების საუბარი ჟურნალისტთან, კორესპოდენტთან–პრესაში გამოსაქვეყნებლად ან რადიოთი (ტელევიზიით) გადასაცემად“[2].

შემდეგისათვის თანდათან გაფართოვდა ინტერვიუს შინაარსი, დანიშნულება და გარდა ჟურნალისტიკისა, მან მოიცვა მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სფერო, ოღონდ დარჩა მთავარი მეთოდი, გამოკითხვის მეთოდი და ამასთანავე ორი მხარე – ინტერვიური და რესპოდენტი.

თუ ჟურნალისტისათვის ინტერვიუს ჩაწერა შეიძლება გაზეთის, ჟურნალის ან რადიო-ტელევიზიის ინტერესებიდან არის გამომდინარე და შესაბამისად ატარებს პუბლიცისტურ ხასიათს, მეცნიერების სხვადასხვა დარგი ინტერვიუს იყენებს მეცნიერული მიზნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს თავისი ადგილი უკავია პობლიცისტიკაში, აქვს ისეთი ნიშნები, რომელიც მისი ნებისმიერი სახისათვის არის ნიშანდობრივი. „ინტერვიუს ამოცანაა ფაქტის, მოვლენის, პროცესების გაცნობა პირველწყაროს მეოხებით. ეს ხდება სპეციფიკურად, სახელდობრ დიალოგის ფორმით, კორესპოდენტის (ინტერვიუერის- მ.ბ.) ინტერესებიდან გამომდინარე და მისივე წარმართველობით.

ინტერვიუში აუცილებელია შემკითხველისა და მოპასუხის არსებობა. ჟურნალისტის (ინტერვიუერი - მ.ბ.) ირჩევს კალაპოტს და საუბარსაც თვითონ უძღვება“[3] ინტერვიუს საშუალებით არა

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, 1955წ. გვ. 557

[2] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მიხეილ ჭამაშვილმა, 1973წ. გვ.173

[3] ნ. ტაბიძე, ჟურნალისტიკის საკითხები, წიგნი1, 2011 წ. გვ.111

მხოლოდ ჟურნალისტური და მეცნიერული დიალოგები, არამედ იქმნება მხატვრული ნაწარმოებებიც კი[4].

დღეს ინტერვიუს (ტერმინს) იყენებენ გასაუბრების მნიშვნელობითაც ვფიქრობთ მრავალი განმარტება შეიძლება ჰქონდეს ინტერვიუს იმის მიხედვით, რა დანიშნულებით გვჭირდებაიგი და რა მიზანს ემსახურება იგი. მთავარია, რომ ინტერვიუ მოსახერხებელია ნებისმიერი საკითხის და მიმართულების უკეთ გაცნობის, უშუალოდ პიროვნებისაგან საჭირო პრობლემის დასმისა და მესზე პასუხის მისაღებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერვიუს ჩასაწერად უმთავრესია რესპოდენტი, რომლის მიმართაც არსებობს საზოგადოების ინტერესი ამა თუ იმ პრობლემებთან დაკავშირებით და ამ პრობლემებში ჩახედული, საქმის მცოდნე ინტერვიუერი.

როდესაც გადაწყდა ჟურნალ „არავის“ გამოცემა და მას ლიტერატურულთან ერთად სამეცნიერო–პოპულარული და საზოგადოებრივი ხასიათი დავუსახეთ მიზნად, პობლიკაციის ერთერთ აქტუალურ ფორმად ჩავთვალეთ ინტერვიუ, ამიტომ არც ერთი ნომერი არ გამოცემულა ჟურნალისა, რომ მასში ინტერვიუ არ ყოფილიყო. ზოგჯერ სამი ინტერვიუც კი გაგვიშვია.

ქალბატონ თინათინ მღვდლიაშვილთან საღამოს მოწყობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინტერესოდ წარიმართა. ჩვენმა პროფესორებმა და სტუდენტებმა განიხილეს მისი შემოქმედება. თ. მღვდლიაშვილის პოეზიისადმი ინტერესმა განაპირობა მასთან ინტერვიუს ჩაწერა. მ. კაჭკაჭიშვილი-ბერიძის დამოკიდებულებამ ზოგადად პოეზიისადმი და კერძოდ მხატვრული ენის მიმართ განაპირობა მისი ინტერვიუერობა. პუბლიკაცია საკმაოდ ვრცელი აღმოჩნდა (36 გვ.), რადგან პოეზიის გარდა ინტერვიუ ეხებოდა ავტორის ცხოვრებას, საინტერესო ბიოგრაფიულ დეტალებს, კონტაქტებს და სხვა. მასში მხოლოდ პოეტი კი არა, მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21 -ე საუკუნის დასაწყისიც აისახა. ეს უკვე ახალი სახე იყო ინტერვიუსი ჩვენი ჟურნალისათვის. გადაწყდა, რომ გაგრძელებულიყო ამ ტიპის ჩაწერები და საზოგადოებისათვის გაგვეცნო არა მხოლოდ პიროვნებანი, არა-

[4] ნ. ტაბიძე, გვ.111

მედ საკითხთა იმ წრეზეც მიგვეღო პასუხი, რომელშიც კომპედენტური იყო რესპოდენტი. ეს კი თავად ინტერვიუერისაგან მოითხოვდა დიდი სამუშაოს ჩატარებას, მომზადებას წინასწარ. ასე შედგა ინტერვიუები ირაკლი ვაშაყმაძესთან, გურამ პეტრიაშვილთან, რევაზ მიშველაძესთან და სხვა. თანდათან დაიხვეწა და გამოიკვეთა ჟურნალისა და ინტერვიუერის ინტერესები. აშკარა იყო, რომ ეპოქას რომელშიც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს, მხოლოდ პოეზია, ლიტერატურა, ზოგადად ხელოვნება, ვერ ასახავს. ჩვენს გარშემო ძალიან ბევრი ცნობილი თუ უჩინარი მოღვაწეა, რომელთა აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი პოზიციებისა თუ ქვეყნის რეალისტური დახატვისათვის. ასე გაჩნდა ინტერვიუ მეცნიერებთან (პროფ. დამანა მელიქიშვილი), საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენლებთან. თანამედროვე ტექნიკურმა საშუალებებმა დააჩქარა სამუშაო. შესაძლებელი შეიქმნა, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. დისტანციური ჩანაწერების შექმნა. სატელეფონო ჩანაწერის გაშიფრვის, შემდეგ მისი ელექტრონული ვერსიის რესპოდენტთან გადაგზავნისა და მისი დასტურის გამო აღარ იყო საჭირო უშუალო კონტაქტი. ასე დაგროვდა მასალა, რომლის პუბლიკაციას ჟურნალ „არავში“ საკმაო დრო დასჭირდებოდა. საბოლოოდ ასე შეიქმნა ეს წიგნი, რომელშიც მოქცეულია ინტერვიუერის რვა ინტერვიუ.

რადგან ინტერვიუ გულისხმობს უშუალოდ პირველი პირისაგან ინფორმაციის მიღებას, მასში გულწრფელობის, უშუალო თვითმხილველობისა და დოკუმენტურობის პროცენტი მაღალია, არ არის კვლევა (შეიძლება ამა თუ იმ საკითხზე შეგვხვდეს კვლევის ელემენტები, მაგრამ ეს აზრის გამოთქმა და შეფასება უფროა. ვიდრე სამეცნიერო შრომა), მაგრამ ხშირად ჩანს რესპოდენტის დამოკიდებულება საკითხისადმი, წარმოდგენილია დრო, რომელშიც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს. აქედან გამომდინარე შეირჩა სახელწოდებაც „თანამედროვენი“. ეს სათაური ტევადია, ადამიანები, რომლებიც ქმნიან დღევანდელობას, ბევრია და რესპოდენტთა რაოდენობაც გაიზრდება, აქედან გამომდინარე, წიგნს დაეწერა I.

თითოეულ ინტერვიუს მიწერილი აქვს ბოლოში ჩაწერის თარიღი, რის მიხედვითაც მოხდა ავტორთა თანმიმდევრობის დალაგება.

რედაქტორი, 20.01.2017 წელი

რეცენზია ნერიმან ალბაირაქის სადისერტაციო ნაშრომზე

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრიაპირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტერულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის „ქართული ენათმეცნიერების“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის **ნერიმან ალბაირაქის** დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე – „იუსუფელის მხარის ჰიდრონიმია და ტოპონიმია“.

საკვლევი ობიექტი, რომლის ტოპონიმიაც ისტორიული საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს **ტაოს** ეკუთვნის, დღეს თურქეთის ტერიტორიაა, ხოლო დისერტანტი ამ კუთხის მკვიდრია, რის გამოც განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს დისერტაცია. იგი შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, სამი თავის, ძირითადი დასკვნებისა და დამოწმებული ლიტერატურის სიისაგან. დანართში წარმოდგენილია დოკუმენტური მასალა.

იუსუფელი ახალი სახელია, იგი ჩნდება, როგორც ნაშრომიდან ვგებულობთ, მეოცე საუკუნის დასაწყისში **ქისქიმის** ნაცვლად და შედის ართვინის პროვინციაში. დღეს ამ ადგილებში შენდება წყავსაცავი, ამიტომ მთელი ტერიტორია ექცევა წყლის ქვეშ, შესაბამისად ქრება, იკარგება მთელი ტოპონიმია, მით უფრო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩატარებული კვლევა, არამედ ის მასალაც, რომელიც შეუგროვებია დისერტანტს. რაიონი მთიანია, დაფარულია ტყით, მისი მთავარი მდინარეა ჭოროხი, რომელსაც ერთვის მრავალი ხევ-ღელე, ამიტომაც გეოგრაფიული გარემო იძლევა საშუალებას, რომ შექმნილიყო მრავალი საკუთარი სახელი. ტოპონიმია ცოცხლად წარმოგვიდგენს იმ ენობრივ გარემოს, სადაც შექმნილია თითოეული სახელი. დღეს იუსუფელის რაიონის მოსახლეობა მეტყველებს თურქულად, სახელმწიფო ენამ „გაათურქა“ სხვადასხვა ენაზე მეტყველი მოსახლეობა. ახალგაზრდობამ აღარ იცის ისტორიული ეროვნული ენა, ერთადერთი ტოპონიმიაშიღა შეიძლება ამოვიკითხოთ სახელმდებთა ეროვნული და ენობრივი კუთვნილება. დღეისათვის ქართული ენის ტაოური დიალექტი მხოლოდ რამდენიმე მაღალმთიან სოფელში გვხვდება. თავად ტაოური დიალექტიც განიხილება,

როგორც „თურქულ-ქართველური ნარევი“ (გვ. 20). ამიტომ ბუნებრივია, რომ საძიებელია არა მხოლოდ შემორჩენილი ქართული ტოპონიმები, არამედ ქართული ელემენტებიც ტოპონიმიაში.

თურქეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად შეცვალა სხვადასხვა დროს ძველი ქართული (ქართველური) სახელები და მათ დაარქვა თურქული სახელები, რის გამოც იშვიათია ახალ სახელებში ძველი ქართული ფუძეები. ადმინისტრაციულ ცვლილებებს ტოპონიმიაში ახლავს ძველის უარყოფა და მხოლოდ ახალი პოლიტიკური ან ადმინისტრაციული ნიშნით დარქმებული სახელების სიმრავლე, მაგრამ ეს ეხება ძირითადად ოიკონიმიას, მაკროტოპონიმიის, ისეთ სახეებს, რომელთაც ადმინისტრაციული სამისამართო ფუნქცია აკისრიათ, ხოლო მიკროტოპონიმია, როგორც წესი, უცვლელი რჩება, მათი შეცვლა არ შეუძლია ოფიციოზს, რადგან ამ სახელებს მხოლოდ ადგილობრივი სამისამართო ფუნქცია აქვთ ამა თუ იმ საფლის ან სოფლების ფარგლებში. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ენა, რომელსაც თურქეთში არც ერთი კონკურენტი ეროვნული ენა არ ჰყავს, დიდ გავლენას ახდენს მიკროტოპონიმიაზეც. ხდება მათი ევოლუციური ცვლივებაც, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ მხრივ ნაშრომი, ავტორის მიერ შეგროვებული მასალა და სწორედ აქ არის საძიებელი ქართული ელემენტები. არაიშვიათად ქართულს გარდა გვხვდება ლაზური სახელებიც. მაგალითად: არ არის ადვილი **ერქინისში** ამოსავლად **რკინა** დავინახოთ, მისი ლაზური ვარიანტი **ერკინა** (გვ.28).

აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება, არ დაეთანხმო დისერტანტის მოსაზრებას: „ტაოს სოფლების მიკროტოპონიმია მეტად საინტერესოა სამეტყველო კოდთა შერევა/აღრევის თვალსაზრისით: სოფლების უბნებს და ადგილებს თითქმის ყოველთვის ორენოვანი — ქართველურ-თურქული დასახელებები აქვთ. ცხადია, ახალგაზრდა თაობამ უმეტესად თურქული დასახელებები იცის, ქართველური კი მხოლოდ მოხუცებსღა ახსოვთ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ ოფიციალური თურქული სახელწოდებების პარალელურად იხმარება არაოფიციალური სახელწოდებები“ (გვ.29).

ამ ფონზე საინტერესოა კვლევის ის ნაწილი, რომელშიც გამოყოფილია ტოპონიმთა ქართული წარმოება. ეს პროცესი

საერთოა ტაოურ დიალექტთან და ამდენად საერთოა ზოგადად ქართულ ენასთან მიმართებით. ტოპონიმთა წარმოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პრეფიქს-სუფუქსური და სუფიქსური წარმოება. აფიქსაცია ყველაზე „ქართული" ნაწილია ტოპონიმიაში. შეიძლება ძირი, ფუძე ნასესხები ან სხვაენოვანი იყოს, მაგრამ „ქართველ მომხმარებელს" სწორედ ქართული აფიქსაცია გახაზავს. თუმცა ზოგჯერ, თუ ფუძე არ არის გამოყოფილი, ძნელია ესა თუ ის ბგერათკომპლექსი სუფიქსად გამოვყოთ. ვფიქრობთ საეჭვოა **ავაზან-ში — ან** ქართული სუფიქსის გამოყოფა ისევე, როგორც **ფარნაღელში — ელ** სუფიქსისა. სიტყვა, კომპოზიტი უნდა იყოს და —ელ-ი ღელის ნაწილი გვგონია. მნიშვნელოვანია დისერტანტის განცხადება, რომ „ზოგადად, ტაოს მიკროტოპონიმია მეტწილად ქართულია, გაფორმებულია გეოგრაფიული სახელებისათვის ნიშანდობრივი აფიქსირებით, თუმცა კიდევ ერთი თავისებურება, რაც ტაოს ონომასტიკაში შევნიშნეთ, არის ის, რომ ერთ ტოპონიმში შესაძლოა, ერთად იყოს წარმოდგენილი ქართული და თურქული ელემენტები; მაგალითად, საძოვრის სახელი **„ასკილოვანლარ"**. (გვ. 31). ამ ტიპის წარმოება მიგვანიშნებს, ავტორის ვარაუდით, ქართულენადაკარგულ მოსახლეობაზე. მათ უკვე აღარ ესმით ტოპონიმის მნიშვნელობა (სემანტიკა). ამ შემთხვევაში **ასკილოვან-ი** არის არა ტოპონიმის ფუძე, არამედ — **ლარ** სუფიქსდართული ტოპონიმის ფუძე. —**ოვან** სუფიქს თავისთავად დაკარგული აქვს შინაარსი განსაკუთრებით არაქართულენოვან გარემოში და ქონებას აღნიშნავს, როგორც —იან სუფიქსი, თუმცა ქონებასთან ერთად ტოპონიმიაში შეიძლება ერთგვარი სიმრავლეც გამოიხატოს: **კლდოვანი, ვაშლოვანი** და სხვა. ასკილოვანი შეიძლება რამდენიმეა და იმიტომაც დაერთო თურქული სიმრავლის აღმნიშვნელი სუფიქსი —**ლარ**.

საინტერესო დაკვირვებები აქვს დისერტანტს კომპოზიტურ წარმოებასთან დაკავშირებით. გამოყოფს სამ ჯგუფს: „ორივე კომპონენტი ქართულია", „ორივე კომპონენტი თურქულია" და „შერეული — თურქულ-ქართული". დისერტანტმა ორივე ენა იცის, ამიტომ ბუნებრივია, რომ ზოგიერთი მიკრტოპონიმის დახასიათებისას წინა პლანზე წამოწეულია არა ენობრივი ფაქტორი, არამედ — გრამატიკული. იგი წერს: „კომპოზიტის ორივე

ნაწილი არსებით ან ზედსართავ სახელს წარმოადგენს და მხოლობით რიცხვში დგას“ (გვ. 31). შემდეგ კი ჩამოთვლილია ორენოვანი მაგალითები. საილუსტრაციო ჩამონათვალში გვერდიგვერდ მოხვდა: **დიდმუხა, წყაროთვალი, გულიყანა და ბაიაზთარლა, ყირმისთარლა, ბაქთუნდერესი** და სხვა. ამ ტიპის ანალიზის გაღრმაავების შემთხვევაში საინტერესო დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ზოგადი ტოპონიმიის კუთხით.

მინდა, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ პირველ და მეორე თავს: „ტოპონიმები და მიკროტოპონიმებს სოფლების მიხედვით“ და „ჰიდრონიმია ხეობების მიხედვით“. სოფელთა მიხედვით აღწერა და კვლევა ტოპონიმიისა მიღებული და მნიშვნელოვანი მეთოდია. ზოგჯერ ერთ სოფელს და მის შემოგარენს შეიძლება ახასიათებდეს მხოლოდ მისთვის აუცილებელი, დამახასიათებელი ნიშნები, ამასთანავე თითოეული სოფლისათვის საერთოა დიალექტის მახასიათებლები და აქედან გამომდინარე ფუძე ენასთან საერთო ენობრივი ფორმები. ჩვენი დისერტანტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი იკვლევს ქართულ და თურქულ ენობრივ (ონომასტიკურ) ფორმებს, რაც მას პრივილიგირებულ მდგომარეობაში აყენებს სხვა ზოგიერთი ონომასტიკოსისაგან განსხვავებით.

ქართულ სახელებში აშკარად სჭარბობს —ეთ-იანი წარმოება, რაც ტოპონიმთა სიძველეზეც მიუთითებს. ბევრ მათგანს პარალელები ეძებნება დღევანდელი საქართველოს ტოპონიმიაში და ავტორისეული ახსნებიც საინტერესოა. მაგალითად: **მერეთეთი, ფუჩელეთი, ქორეთი, მაქშეთი, გოჭრეთი, დიდკეთი,** და მრავალი სხვა.

ჩამოთვლილთაგან ავტორი მოერიდა მერეთეთის **მერესთან** დაკავშირებას, ალბათ შეიძლებოდა ამ კუთხით კვლევა და დაბოლოება ახსნილიყო ორმაგი სუფიქსაციით.

ზოგ ტოპონიმში თავს იჩენს ქრისტიანული პერიოდის სახელები, რაც უკვე საინტერესოა და შეიძლება სპეციალურად ვიკვლიოთ ამ კუთხით ტაოს ტოპონიმია. ვგულისხმობთ **მამუჯვარის** მსგავსი შინაარსის ტოპონიმებს.

ტოპონიმთა სოფლების მიხედვით კვლევა შედეგიანია, ოღონდ კარგი იქნებოდა მასალა (შესაბამისად, კვლევაც) დალაგებულიყო ანბანთ რიგზე, როგორც ეს არის სოფ. **მალხის,**

ჴავაჲს და **ქვაბაჲს** შემთხვევაში. ტოპონიმთა (ჰიდრონიმთა) აღწერის დროს ამართლებს მდინარის მიმართულებით ან საწინააღმდეგო მიმართულებით აღწერა-კვლევა, როგორც ამას ვახუშტი ბატონიშვილი აკეთებდა, მაგრამ სოფლებში ანბანთ რიგი უმჯობესია.

დისერტანტის მიერ დაფიქსირებული და ახსნილია ბევრი ქართული ტოპონიმი: **სამყინარო, სატიხე (სათიხე), ბაგათი, ჭირლელე, სასვენი, ფიქალთავი, მახათეთი, ვანისხევი** და მრავალი სხვა. უმრავლეს შემთხვევაში ეტიმოლოგია თუ ეტიოლოგია დამაჯერებებლია. ონომასტიკური კვლევა მაცდურია, უნდა აღინიშნოს, რომ ნერიმან ალაბაირაქს არ ახასიათებს შემთხვეთი და მხოლოდ გარეგნული ენობრივი მსგავსების ნიადაგზე გამოტანა შესაბამისი დასკვნებისა. საილუსტრაციოდ ბევრი მასალის მოხმობა შეიძლება. მივუთითებთ მხოლოდ ერთზე. **ჭილათი** სოფ. ვანისხევის უბნის სახელია (გვ. 52). აშკარაა, რომ ამოსავალია **ჭილი,** ამ რეგიონში გავრცელებული მცენარის სახელი. სწორედ **ჭილისგან** ნაწარმოები სხვა ტოპონიმებიც გვხვდება, მაგალითად ფოცხოვის რაიონში გვქონდა **ჭილოვანი (ჭილვანა)** სიფლის სახელად, რომელიც ბოლო დროს შეიცვალა სხვა სახელით.

დისერტანტმა იცის, რომ **ჭილია** ამოსავალი ტოპონიმის სახელდებისას, ოლონდ მისივე თქმით „მიკროტოპონიმის ფუძე უნდა იყოს ამ სიტყვისგან მომდინარე **ჭილა** ანთროპონიმი, რომელიც ეპონიმის სახითაა წარმოდგენილი გვარში **ჭილაძე**"(გვ.53). მართლაც ჭილისფერ ადამიანს დაარქმევდნენ **ჭილას,** როგორც **ქერას, ხორბალას** და სხვა. რაც შეეხება —**თ** ბოლოსართს, იქნება საგვარეულო სახელთა დაბოლოებაზე მიგვითითებს, როგორც, მაგალითად, **პეტათი, გოგათი** და სხვა. მით უმეტეს, რომ ტოპონიმი სოფლის უბნის სახელია.

რაც შეეხება „პარხლის ხეობის ჰიდრონიმიას", რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ჩქარი მდინარის **პარხლისწყლის** ჰიდრონიმიაა, ტრადიციული ქართული წარმოების თვალსაზრისით არის პირველ რიგში საინტერესო. მას მრავალი შენაკადი აქვს. საინტერესოა, რომ ჰიდრონიმთა (ხევთა) აღსანიშნავად საერთო ქართული სახელი **ჴევია** დაფიქსირებული, ამ შემთხვევაში ტაოს ტოპონიმია აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიას მისდევს, სადაც

ღელე, როგორც ჰიდროტერმინი საერთოდ არ გვხვდება, განსხვავებით დასავლეთ საქართველოსაგან. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ტაოს ტოპონიმია აგრძელებს ეპოქას, როდესაც დასავლეთ საქართველოშიც იხმარებოდა ჴევი ღელის ნაცვლად ან პარალელურად, როგორც ეს სამცხე-ჯავახეთში ხდება.

თვალში საცემია ქართული **ჴევის** თურქული **დერესი** ფორმით შეცვლა. მართალია ყოველთვის ვერ დავადასტურებთ ამ ცვლილებას, მაგრამ სიმპტომურია დისერტანტის მიერ დაფიქსირებული შემდეგი ფაქტი: **„უტაიჴევი [დერესი]** პარხლისწყლის ხეობაში მდებარე სოფელ **უტავის** მთავარი მდინარეა. სათავე აქვს იალაღებზე, ჰიდრონიმი დასტურდება ორი ფორმით: 1. **უტაიჴევ(ი),** რომელიც წმნიდა ქართულია და „უტავის ხევს“ ნიშნავს და 2. **უტაიჴევ დერესი,** რომელიც წარმოსდგება პირველი ვარიანტსაგან და იმითღა სხვაობას, რომ ერთვის ჰიდრონიმთა მაწარმოებელი ელემენტი **დერე,** რაც თურქულად „ღელეს“ ნიშნავს (გვ. 135).

მნიშვნელოვანია ორმაგ საზღვრულიანი (ქართული და თურქული) სახელი — **გუდასჴევი დერესი.** მასში კარგად ჩანს მთელი ისტორია სახელისა, დარქმევიდან დღევანდლამდე. დისერდანტის თქმით, „გუდასჴევ დერესი პარხლისწყალის ხეობის ერთ-ერთი მდინარეა. ეს ჰიდრონიმი შედგება ორი ნაწილისაგან, რომლის პირველი კომპონენტი — გუდასჴევ ქართველური წარმოშობისაა. მისი სემანტიკა გამჭვირვალეა. „გუდა“ თავისი სემანტიკით უკავშირდება ღრმას, ეს არის ტყავის ჭურჭელი, რომელიც მზადდება ცხვრის ან ხბოს ტყავისაგან, ხოლო „დერესი“ თურქული წარმოშობისაა. თვითონ ადგილი, რომელსაც ეწოდება „გუდასჴევდერესი ჩაღრმავებული ადგილია, ხევით, რომელშიც მიედინება პატარა მდინარე, ღელე — ტოპონიმის თურქული ნაწილი „დერესი“ ღელეს ნიშნავს“. (გვ. 136). ტოპონიმის პირველი ნაწილი გუდასჴევი, რომელიც თვითონ კომპოზიტია და მასში გამოიყოფა საზღვრული ჴევი, რეალურად ასახავს ობიექტს, რომ იგი არის ჴევი (ღელე), მაგრამ ტოპონიმის დღევანდელი მომხმარებლისათვის გაუგებარია სიტყვის სემანტიკა, მიუხედავად ამისა რჩება მისი მაორიენტირებული ფუნქცია, გაბუნდოვანდა მატოპონიმებელი ფუნქციის მქონე მთავარი დენოტიტი — ხევი, რაც დამატებით უკვე თურქული სიტყვით „შეივსო“. სხვა საკითხია, რამდენად შეიძლება დაუკავშირდეს „გუდა“ „ტყავის ჭურჭელს“,

შესაბამისად ღრმას, ალბათ მეტი მტკიცებულებაა საჭირო. ხომ არ სჯობდა საკუთარ სახელთან დაგვეკავშირებინა. შედარ. გვარი **გუდაძე**. ასევე, ვფიქრობთ, იქნებ არ განგვესხვავებინა ჴევი და ღელე თავისი მნიშვნელობით. ისინი სინონიმებია.

განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის მე-3 თავი - „იუსუფელის რაიონის ტოპონიმები და ჰიდრონიმები ოსმალურ არქივებში," რომელშიც წარმოდგენილია რაიონთან დაკავშირებული საარქივო, ისტორიული მასალა. იგი ლინგვისტების გარდა გამოადგებათ ისტორიკოსებს.

შეიძლება, ნაშრომს ჰქონოდა სხვა სტრუქტურა, არ გაყოფილიყო ტოპონიმია და ჰიდრონიმია, მაგრამ ვფიქრობთ ამ ხერხმა გაამართლა, წარმოაჩინა საკვლევი ობიექტი, რომ იგი არის მთაგორიანი რაიონი, რომ ჰიდრონიმიას გარკვეული თავისებურებები გააჩნია.

დასკვნებში მოცემულია კვლევის შედეგები.

საბოლოოდ შიძლება ითქვას, რომ შესრულებულია სერიოზული სამუშაო, მონოგრაფიულად არის შესწავლილი **იუსუფელის,** ისტორიული **ტაოს** ტოპონიმია. მეცნიერულ დონეზე გაანალიზებულია საკუთარ სახელთა სტრუქტურა და სემანტიკა, მოცემულია ენათა შერევის მრავალი მაგალითი, წარმოჩენილია სახელმწიფოს (თურქეთის) განსაკუთრებული, სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება ტოპონიმიისადმი. მთელი ნაშრომი დაწერილია გამართული, კარგი ქართულით, რაც გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ნერიმან ალბაირაქი შეემატება როგორც ქართულ ისე თურქულ სამეცნიერო წრეებს. მას არასოდეს ღალატობს მეცნიერული ზომიერების ალღო, რაც უაღრესად საჭიროა ონომასტიკოსი მკვლევარისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვმშუამდგომლობთ სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რომ ნერიმან ალბაირაქს მიენიჭოს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

რეცენზია ნინო მარკოზიას სადისერტაციო ნაშრომზე

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე „ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში (ამავე პერიოდის პრესის მასალების მიხედვით)“

სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მანანა ტაბიძე.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 7 თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის, წყაროების ნუსხისა და დანართისაგან.

აქვე შეიძლება ითქვას, რომ შესრულებულია სერიოზული და შრომატევადი სამუშაო. მთელი დისერტაცია განთავსებულია 476 გვერდზე.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლები საბჭოთა კავშირის რღვევის წლებია (პერესტროიკის მიუხედავად), ამიტომ ძალიან მტკივნეული პრობლემები იჩენს თავს და რაც მთავარია, ჩვენი ქვეყანა, როგორც ყოველთვის ამ პრობლემების შუაგულში აღმოჩნდა. საბჭოთა სისტემის „დემოკრატიზაციის“ პერიოდმა, რომელსაც ემთხვევა საკვლევი პერიოდი, შექმნა ზოგ შემთხვევაში ეს პრობლემები.

რეალური თავისუფლება და უმეტესწილად ილუზია თავისუფლებისა, რამაც მძიმე შედეგებამდე მიიყვანა საბჭოთა ქვეყნები და უპირველესად საქართველო, მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვის. ამდენად, ეს პერიოდი მნიშვნელოვანია თავისი მრავალმხრივი შედეგებით და განსაკუთრებით ენობრივი სიტუაციით.

ენობრივი სიტუაცია, რომელიც დღეს არის დამახასიათებელი საქართველოსთვის, არახალია, ძველია. მოყოლებული ფარნავაზიდან – „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექვსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული“ (ლეონტი მროველი).

თითქოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნის შემდეგ არც არაფერი შეცვლილია, როდესაც დისერტანტი წერს: „ჩვენ მიერ შერჩეულ პერიოდში (XXს-ის 80-იანი წლები) ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, საერთო სალიტერატურო ქართულთან ერთად,

გავრცელებული იყო მისი მრავალსახოვანი დიალექტები: დასტურდება რაოდენობითა და კომპეტენციის ხარისხით განსხვავებული სხვა, ქართულის მონათესავე თუ არამონათესავე ენები: აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, ბერძნული, ებრაული, იეზიდური/ქურთული, უკრაინული, ბაცბური, ჩეჩნური/ქისტური, უდიური, ასირიული" (გვ.9).

I თავი. სახელმწიფო ენის სტატუსის საკითხი საქართველოში და საბჭოთა კავშირის ენობრივი კანონმდებლობა.

რადგან დისერტაცია მოიცავს მხოლოდ 10 წელიწადს, ერთი შეხედვით, შეიძლება იფიქროს ადამიანმა, რომ დროის ეს მცირე მონაკვეთი საკმარისი ვერ იქნება ვრცელი ანალიზისათვის. ეს არის პერიოდი, როდესაც მზადდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლა, ამიტომ მოვლენები ვითარდებოდა სწრაფად, ენობრივი სიტუაცია იცვლებოდა პოლიტიკურ სიტუაციასთან ერთად, „ამ დროს თავს იჩენს საზოგადოების მანამდე არნახული აქტიურობა, როდესაც სპეციალისტების გვერდით (და ზოგჯერ მათზე მეტადაც) საზოგადოებრივ და ეთნიკურ-ენობრივ საკითხებზე მსჯელობს მთელი საზოგადოება, ხალხი. ენობრივ დისკუსიებში, პროფესიონალი ლინგვისტების გარდა, მონაწილეობენ ე.წ. არაპროფესიონალები, რადგან საზოგადოება აცნობიერებს, რომ ენის პოლიტიკა ერის საქმეა და არა მხოლოდ გრამატიკოსებისა" (გვ.13).

რადგან მაკროსოციოლინგვისტიკა შეისწავლის „ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: ენობრივი სიტუაციის კვლევა ჯგუფში, რეგიონებში, ქვეყნებში ენების თანაფარდობის შესწავლა ორენოვან კოლექტივებში, ენობრივი კონტაქტები და სხვა" (გვ.15), ნაშრომში გაანალიზებულია სწორად მაკროსოციოლინგვისტური საკითხები.

ენობრივი პოლიტიკა თავისი ლინგვისტური და სოციოლინგვისტური ნიშნების (გვ.16) მიუხედავად, სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, ამიტომ მისი კვლევა ლინგვისტისათვის (თუნდაც სოციოლინგვისტისათვის) სახელმწიფოს ისტორიის, საზოგადოების ისტორიის გარეშე შეუძლებელია. დისერტანტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ყველაფერს იგი წარმატებით ართმევს თავს.

ენობრივი პოლიტიკა სამჭოთა პერიოდში მთლიანად განსაზღვრული იყო რუსული ენობრივი პოლიტიკით, რასაც ნებით

თუ ძალდატანებით მიჰყვებოდა ყველა საბჭოთა ქვეყანა. თუ იცოდი რუსული, იცოდი, სულ ცოტა 15 ენა დედამიწის მაშინდელ ერთ მეექვსედზე. რუსულის სტატუსი იზრდებოდა ყოველდღიურად და საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო ენის სტატუსი მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა ამა თუ იმ საბჭოთა ქვეყანას, როდესაც მტკივნეულად შეეხებოდა უფროსი ძმა. ასეთი პოლიტიკა რუსეთს განსაკუთრებით სჭირდებოდა იმ ქვეყნებში, სადაც სხვაენოვანი მოსახლეობა კომპაქტურად იყო დასახლებული, არსებობდა ავტონომიური წარმონაქმნები, საყრდენი რუსული პოლიტიკისა. ეს ყველაფერი თავის თავზე სწორედ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში გამოცადა საქართველომ და ეს კარგად აქვს ნაჩვენები დისერტანტს.

ნაშრომის მიხედვით იგრძნობა ის სიო, რომელიც ქარიშხლად იქცა სწორედ შემდეგ პერიოდში და უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო ტერიტორიების დაკარგვით და ომებით. სახელმწიფო ენის კანონით (კონსტიტუციით) განსაზღვრა რუსეთის რევოლუციამდელ ცხოვრებაშიც აქტუალური იყო და ასევე დადასტურებული კონსტიტუციურად.

საბჭოთა პერიოდში რუსული ენის სტატუსი კონსტიტუციურად ბევრად უფრო „დემოკრატიულად“ იყო წარმოდგენილი, რადგან რუსული სახელმწიფო ენად არ ცხადდებოდა საბჭოთა ქვეყნებში, რომ „არ შეზღუდულიყო“ სხვა ენები. ესეც ენობრივი პოლიტიკის ნაწილია, რადგან რუსული ისედაც ასრულებდა სახელმწიფო ენის ფუნქციას.

ნაშრომში წარმოდგენილია მთელი „კონსტიტუციური დინამიკა“ საბჭოთა პერიოდში, 1924 წლის,1936 წლის კონსტიტუციები და შესწორებანი. პარალელურად განხილულია ჩვენი პირველი კონსტიტუცია და შემდგომ განსაზღვრული ენობრივი მდგომარეობა.

სახეზეა შედეგი: „ერებისა და ენების შერწყმის თეორია, რომელიც საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ პოლიტიკას წარმოადგენდა, თანდათან ზღუდავს ეროვნული ენების უფლებებს“ (გვ. 22).

ნაშრომში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი 1978 წლის ცნობილ მოვლენებს, როდესაც სამ რესპუბლიკაში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ენებს დაემუქრა გაუქმება. წარმოდგენილია მაშინდელი ცნობილი

პიროვნებების, მწერლების, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების მოსაზრებანი მაშინდელ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, 75-ე მუხლთან დაკავშირებული კამათი.

აქვე წარმოჩენილია საბჭოთა ქვეყნის დამოკიდებულება და შედეგი ამ მოვლენისადმი.

რადგან პრესა სახეა საზოგადოებისა, ქვეყნისა, ის არის რეალური ისტორია მაშინ, როდესაც მემატიანენი აღარ წერენ თავიანთ ისტორიებს, ანალიზი, რომელიც ეყრდნობა ასეთ მონაცემებს რეალისტური და საზოგადოებრივია.

თუ რაოდენ მასშტაბურად არის წარმოდგენილი სახელმწიფო ენის სტატუსის პრობლემა ამ თავში, ამაზე კარგად მიგვითითებს თუნდაც სათაურთა ჩამონათვალი ქვეთავებისა: 1,1.სახელმწიფო ენის სტატუსის საკითხი საქართველოში და საბჭოთა კავშირის ენობრივი კანონმდებლობა; 1,2. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა და მისი თანამდევი მოვლენები; 1,3. ენის კანონი და კანონის არსი; 1,4. კანონპროექტი „საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების შესახებ" და რუსულიენის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები.

მე-2 თავი ეძღვნება ქართველურ ენა-კილოთა კვალიფიკაციის საკითხებს 80-იანი წლების პრესის მიხედვით.

მე-20 საუკუნის ამ პერიოდში გააქტიურებული ეს საკითხი, შეიძლება ითქვას, ასევე საბჭოთა იმპერიის ნგრევის წინა პერიოდის შედეგია. ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები „დასტაბილურებული" იყო საბჭოთა იდეოლოგიით. ეს იდეოლოგია ჩამოყალიბდა რუსეთთან საქართველოს დაკავშირებისთანავე. ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში დავა, უპირველეს ყოვლისა, მეგრულ-სვანურ ენობრივ ერთეულთა სტატუსის განსაზღვრას ეხება: მათ ან ენებად მიიჩნევენ და ამგვარად ქართულ ენას უთანაბრებენ, ან დიალექტის სტატუსს ანიჭებენ ქართული ენის სხვა კილოებს შორის. კამათობენ იმის თაობაზეც, პრობლემა მხოლოდ წმინდა მეცნიერული კუთხით უნდა განიხილებოდეს, თუ პოლიტიკურ და ეროვნულ-სახელწიფოებრივი ინტერესებიც არის გასათვალისწინებელი. თუ საკითხის ისტორიას გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ პრობლემა ყოველთვის

პოლიტიკური ნიშნით აღიძვრება“ (გვ. 52). საუბარია იმ სეპარატისტულ განწყობილებებზეც, რომელიც საკითხის გააქტიურებამ გამოიწვია.

მაშინდელ პრესაში აღნიშნულ საკითხებს მოჰყვა სერიოზული კამათი. ხშირ შემთხვევაში აშკარად ჩანს, რომ პროცესი გარედან იმართებოდა. გააქტიურდნენ ანტი ქართველები (ზეიმალი და სხვები), რომელთაც პასუხობდნენ მაშინდელი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი. საკითხმა მიიღო პოლიტიკური ხასიათი, რასაც მოჰყვა რუსეთის მხრიდან მეგრელების, სვანების და აჭარლების სხვა ეროვნებებად გამოცხადება. ამ თავის მთავარი პათოსი ის არის, რომ საკითხი ამოწურული არ არის, ის დღესაც აქტიურია და საჭიროა ჩვენი ისტორიის, რეალური ისტორიის შექმნა.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებთან დაკავშირებით განხილულია ორენოვნების საკითხი, რომელსაც ცალკე, მე-3 თავი ეძღვნება.

საინტერესოა, რომ მაშინდელი პრობლემა, როდესაც ორენოვნება განიხილებოდა ენობრივ წყვილში, რომელშიც ერთი აუცილებლად რუსული უნდა ყოფილიყო, დღეისათვის სხვა მიმართულებას ღებულობს. თანამედროვეობა ორენოვნებაში აუცილებლად (სადაც საჭიროა ამ ტერმინის გამოყენება) ერთს აუცილებლად ქართულს გულისხმობს, დანარჩენში კი იგულისხმება ის ენები, ნაშრომის დასაწყისში რომ აქვს ჩამოთვლილი ავტორს. ამგვარად დისერტანტის ანალიზის აქტუალურობა და პრაქტიკული ღირებულება ამითაც კარგად ჩანს. ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეული გამოდგა, რადგან იქ, სადაც, მაგალითად, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სამი სახელმწიფო ენა იყო, ე.ი. გვქონდა სამენოვნება, სულ დავკარგეთ ეს ტერიტორიები.

დისერტაციაში წარმოდგენილია მაშინდელი მსჯელობა, პოლემიკა ამ პრობლემასთან დაკავშირებით. დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ ზოგი მაშინდელი აზრის (თუნდაც სხვა ქვეყნის წარმომადგენლისა) გათვალისწინება სასიკეთოდ წაადგებოდა შემდეგი პერიოდის მოვლენათა განვითარებას.

მითითებულია, რომ „ქართველი სპეციალისტები ინტენსიურად ეძებდნენ არგუმენტებს იმისათვის, რომ როგორმე შეეკავებინათ უცხო, რუსული ენის გაძლიერება განსაკუთრებით განათლების სფეროში და ასევე დაეცვათ აზრი, რომ რუსული

ქართველისათვის მეორე მშობლიური ენა ვერასოდეს გახდებოდა“ (გვ. 74).

ეს მიშვებული პოლემიკა, ათამამებდა საზოგადოებრივ აზრს და დისკუსია ორენოვნებისა გადაიზარდა ეროვნულობის დაცვაში, რასაც სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობდა (გვ.75). საინტერესოა ამ მხრივ ფონეტიკური ინტერფერენციის საკითხი (გვ. 81), რაც ორენოვნებისათვის იყო დამახასიათებელი და რაც გარკვეულ შეშფოთებას იწვევდა მაშინდელ საზოგადოებაში პრესის მიხედვით.

ენობრივი პოლიტიკის ერთი ნაწილი აღმოჩნდა 80-იან წლებში ტოპონიმთა ცვლის თავისებურებანი.

ტოპონიმია, როგორც ლინგვისტიკის, კერძოდ ლექსიკის ნაწილი, ბუნებრივია, აღმოჩნდებოდა ხოლმე პოლიტიკური ცვლილებების ეპიცენტრში. როგორც კი დაირღვევა სახელდების ბუნებრივი პრინციპები და ადგილს სახელი ეწოდება არა გამორჩევითობის, არამედ რევოლუციის ან პიროვნების სახელის მიხედვით, ყოველთვის დგება კითხვის ნიშნის ქვეშ ასეთი ტოპონიმის ყოფნა-არყოფნის ლეგიტიმურობა. ასეთი რამ გადაიტანა საბჭოთა პერიოდში ბევრმა საბჭოთა ქვეყანამ, პირველ რიგში რუსეთმა.

დისერტანტი გვიხატავს თვით რუსეთის სიტუაციას. რუსული პრესა აქტიურად ითხოვს კალინინის ნაცვლად ტვერის აღდგენას, კუიბიშევის ნაცვლად - სამარას, ჟდანოვის ნაცვლად მარიუპოლის და სხვა (გვ. 97).

საქართველოს სინამდვილეში ასევე დაისვა ახალი, რევოლუციასთან დაკავშირებული ტოპონიმების საკითხი. „საქართველოში 8 სოფელს ოქტომბერი ერქვა, 6 - განთიადი, 6 განახლება იყო, 5 - კიროვი, 5 წითელი სოფელი, 3 - პირველი მაისი“ და სხვა (გვ. 99).

ამასთანავე: ლენინგორი, ლენინისი, ლენინო, ლენინოვკა, ულიანოვკა, კალინინი, კალინინო, კიროვი, კიროვისი და სხვა (გვ. 99). ბევრ ობიექტს ერქვა ორჯონიკიძის სახელი.

ისევე როგორც რუსეთში, ქართულ პრესაშიც, დაისვა ტოპონიმთა სახელის დაბრუნების საკითხი. ამ საქმეში ჩაერთო ზოგიერთი პარტია.

მნიშვნელოვანია დისერტანტის დაკვირვება, რომ „ადმინისტრაციულ ტოპონიმთა მიზანმიმართული ცვლა საქართველოში

XIX საუკუნიდან დაიწყო, როდესაც სამაზრო დაყოფას ქართულ სახელწოდებათა მეტ-ნაკლები ცვლილებებიც ახლდა (მაგალითად, სახელწოდება „საქართველო“ შეცვალა ახალმა დასახელებებმა: ტიფლისის გუბერნია და ქუთაისის გუბერნია)“ (გვ.100). „ტოპონიმთა ცვლა რუსეთის ენობრივი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო, ერთ-ერთი მიზანი კი - საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ეთნოსების ავტოქტონობის დამტკიცებისათვის ხელის შეწყობა“ (გვ.101).

ნაშრომში ვრცლად არის მიმოხილული ტოპონიმიკური სიტუაცია, სწორად არის გაანალიზებული ის დამახინჯებანი და შეგნებული შეცდომები, რომელიც ამ სფეროში იჩენდა თავს.

დისერტანტის თქმით, საკითხი არც დღეს კარგავს აქუალურობას. დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ ყოველგვარი აქტიურობა პრესის, საზოგადოების მხრიდან უშედეგოა, თუ არ იქნება პოლიტიკური ნება. ვიდრე არ მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა, შეუძლებელი იყო ამ ცვლილებების ჩატარება. სამწუხაროდ, კიდევ უფრო გაუარესდა სიტუაცია დაკარგულ ტერიტორიებზე.

ნაშრომში ჩამოყალიბებული და გაანალიზებულია 80-იანი წლების ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი ორიენტაციის საკითხი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნინო მარკოზიას ნაშრომი - „ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში (ამავე პერიოდის პრესის მასალების მიხედვით)“ შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, ამომწურავადაა გაანალიზებული იმდროინდელი პერიოდული პრესის მასალები. მიმოხილული და კრიტიკულად არის გააზრებული სამეცნიერო ლიტერატურა. საკითხი აქტუალურია, კვლევა სოლიდური, რისთვისაც ნინო მარკოზია იმსახურებს საძიებელ ხარისხს.

რეცენზია სოფიო კეკუას სადისერტაციო ნაშრომზე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის „ქართველური ენათმეცნიერების" სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სოფიო კეკუას მიერ შესრულებული ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომზე – **„ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით"**. სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე.

მიუხედავად იმისა, რომ ონომასტიკური მასალის კვლევა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე აღიქმებოდა მხოლოდ მეცნიერების დამხმარე საშუალებად და ამავე მდგომარეობაშია დღესაც, თავისი აქტუალურობით არ ჩამოუვარდება მეცნიერების არცერთ დარგს. უძველესი ონომასტიკური კვლევები გამოირჩეოდა თავისი გულუბრყვილო ეტიმოლოგიებით, ფორმის გადააზრებისა და ახალი გაშინაარსების საფუძველზე იძენდა იგი ზღაპრულ-ფანტასტიკურ იერს. დროთა ვითარებაში ბევრი რამ დაიხვეწა, თვითონ ონომასტიკურმა კვლევამ მიიღო ფართო ხასიათი, დაამუშავა უნიკალური მეთოდოლოგია, რომელიც თავის არსში მოიცავს ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ, ისტორიულ, ლინგვისტურ მეთოდებს. ამიტომ თანამედროვე ონომასტიკოსი გარკვეული და კომპეტენტური უნდა იყოს ჩამოთვლილ მეცნიერებათა საფუძვლებში, რასაც ხშირ შემთხვევაში ემატება წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

ქართული ონომასტიკური მასალა სწორედ ამ ნიშნით და ამ კუთხით არის საინტერესო. ფაქტია, რომ საქართველოს ისტორიული და თანამედროვე ტერიტორიები ზოგ შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს. დაკარგულია, უფრო სწორად, ოკუპირებულია დიდი ნაწილი ქვეყნისა და ეს ოკუპაცია ჩვენ თვალწინ მოხდა. თანამედროვე მეცნიერთა და საზოგადოების ხსოვნაში მოხდა ის ცვლილებები, რომელთა დაფიქსირება აუცილებელია დღეისათვის. სამწუხაროდ, დღევანდელი დაკარგული ტერიტორიების ონომასტიკა არ იქნა საფუძვლიანად თავის დროზე,

საბჭოთა პერიოდში აღწერილი და შესწავლილი. ასევე არ ყოფილა სპეციალური კვლევის ობიექტი იგი ჩვენი წინაპრებისათვის. როდესაც ვიკვლევთ ონომასტიკურ მასალას ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და სიფრთხილეა საჭირო, რადგან ეს მასალა არ არის მოცემული, აღწერილი და შემონახული სპეციალურად ონომასტიკოსის მიერ. სხვა მიზნისთვის, საეკლესიო საქმისათვის შესრულებული სამუშაოდან მკვლევარმა უნდა ამოარჩიოს და შემდეგ შეისწავლოს მისთვის საჭირო და საინტერესო. ამ დროს პრინციპულად დგება მასალის იდენტობის, ლოკალიზაციის, ენობრივი კუთვნილების საკითხი.

ჩვენს ხელთ არსებული სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს პირველ ცდას, რომ მონოგრაფიულად შეისწავლოს, ჩაატაროს სემანტიკური და სტრუქტურული ანალიზი, წარმოაჩინოს პირსახელები, გვარსახელები და ტოპონიმები XVI-XVIII საუკუნეების ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე, სწორედ რომ თანამედროვე მდგომარეობის მიერ არის ნაკარნახევი. ნებისმიერი ანთროპონიმის კვლევის უპირველესი მიზანი არის მისი სემანტიკური და სტრუქტურული ანალიზი. ამიტომაც, როდესაც ავტორი იკვლევს ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ანთროპონიმებს XVI-XVIII საუკუნეებში, ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის კვლევაც არის ამ ეპოქისა. როდესაც ირკვევა, ანთროპონიმთა, გვარსახელთა, ტოპონიმთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელები, ეს თანამედროვეობის მიერ დასმული ბევრი კითხვის პასუხიც არის, ამ ტერიტორიაზე ისტორიულ საბუთებში ასახული მასალა გამოკვლეულია, ერთი მხრივ, ქართველურ და, მეორე მხრივ, აფხაზურ ენობრივ სამყაროსთან მიმართებით, რადგან ანალიზი იმთავითვე გულისხმობდა მათი ენობრივი წარმომავლობის გარკვევას. მოსალოდნელი იყო და მივიღეთ შედეგად კიდეც, რომ საეკლესიო-იურიდიულ საბუთებში არ დადასტურდა აფხაზური წარმოშობის პირსახელები და გვარსახელები, „რაც იმის მიმანიშნებელია, რომ საანალიზო პერიოდში ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები არ იყვნენ ქრისტიანობის აღმსარებელნი და, შესაბამისად, ქრისტიანული ეკლესიის მრევლის წევრნი, თუ მისი ყმები“ (გვ 9-10).

ნიშანდობლივია ასევე, რომ „ქართველური (მეგრული) წარმოების გვარსახელების ერთი ჯგუფი საფუძვლად უდევს აფხაზთა შორის დღეს გავრცელებულ და აფხაზური წარმოშობისად მიჩნეულ გვარებს“ (გვ.10).

სოფიო კეკუას მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი „ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით“ მოიცავს 224 გვერდს. დაყოფილია 3 თავად. დართული აქვს დამოწმებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის პირველი თავი შედგება ორი ქვეთავისაგან, რომელშიც ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი ანთროპიმთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელების ანალიზი. თითოეულ ქვეთავში გამოყოფილია შესაბამისი ჯგუფები, კერძოდ, ანათროპონიმთა სემანტიკური ანალიზი მოიცავს 12 ქვეჯგუფს, იმისდა მიხედვით, თუ რა სემანტიკის შემცველია ესა თუ ის პირსახელი. ხოლო ანთროპონიმთა სტრუქტურული ანალიზი მოცემულია იმის გათვალისწინებით, თუ როგორი ტიპის წარმოებისაა იგი და რა სახის მაწარმოებლები დაერთვის.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია გვარსახელთა სემანტიკური და სტრუქტურული მოდელები. ცალკე ქვეთავად წარმოდგენილია გვარსახელთა სემანტიკური ანალიზი, რომელიც იყოფა შესაბამისად 9 ქვეჯგუფად, ხოლო გვარსახელთა სტრუქტურული ანალიზისადმი მიძღვნილ ქვეთავში საკითხები განხილულია მაწარმოებელ სუფიქსთა და შემადგენელ კომპონენტთა მიხედვით. ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია ოდიშ-აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმთა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული მოდელები.

ვფიქრობთ, ძალიან საინტერესოდ და მასალის, სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნისა და სერიოზული ანალიზის საფუძველზე ხდება სემანტიკური და სტრუქტურული მოდელების გამოყოფა, დაჯგუფება. მართალია, ნაშრომი გაყოფილია სამ დიდ თავად, მაგრამ ვფიქრობთ, ამას ერთგვარი ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. დისერტანტს მოჰყავს საყოველთაოდ ცნობილი, მაგრამ ამჯერად პაატა ცხადაიას განმარტება ანთროპონიმისა, რომ „ანთროპონიმი არის ონიმის სახეობა, ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის საკუთარი სახელი, როგორიცაა პიროვნული სახელი, გვარსახელი, მეტსახელი, ზედწოდება, ფსევდონიმი, კრიპტონიმი,

ფიქტონიმი და სხვა“ (გვ. 19). ამავე დროს ცალკე თავი ეძღვნება ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ გვარსახელებს. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ანთროპონიმთა ჯგუფები და გვარსახელთა ჯგუფები პრაქტიკულად იმეორებს ერთმანეთს. მაგალითად, ციური სხეულების სახელთაგან მომდინარე გვარსახელები, რომლებიც მეორე თავშია განხილული (გვ. 101-103), ჩვეულებრივი ანთროპონიმებია.

წარმოქმნილ სახელებში მაწარმოებლად გამოყენებულია ქართული სუფიქსები, რომელთაც ამ შემთხვევაში ანიჭებენ მაანთროპონიმებელი სუფიქსების ფუნქციას: -ა, -ალ, -ელ, -ილ, -ულ, -ოლ, -ია, -უტ, -ურ, -იკ, -ინ, -უნ, -უჩ, -უჭ და სხვა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიან შუასაუკუნეებში ქართული მოსახლეობაა, რომ ეს ფაქტი არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ კანონიკური ქრისტიანული სახელების შემოსვლით და არსებობით. ამ ტიპის წარმოება, როგორც წესი, „კანონიკური“ წარმოების ნიმუში ვერ იქნება და იგი ძირითადად მეტსახელებს, მეორეულ სახელებს აწარმოებს.

ფაქტია, რომ როდესაც „გიორგი“ კანონიკური სახელი, „გიორგად“ ან „გიორგელად“ იქცევა, შესაბამისი ენობრივი გარემოს შედეგია. მით უმეტეს, თუ შესაბამისი ფუძეც (რომელიც ხშირ შემთხვევაში აპელატივის დონეზე განიხილება), ასევე „არაკანონიკურია“. ვთქვათ, საკუთარი სახელი **სკვამ-ილ-ა,** რომელშიც გამოიყოფა **—ილ** მაწარმოებელი და ფუძე არის — **სკვამ**, რაც ლამაზს ნიშნავს (გვ. 62). ასეა თითქმის ყველა შემთხვევაში. საფიქრებელია, რომ თვით გაურკვეველი წარმომავლობის ფუძეებთანაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაანთროპონიმებელ აფიქსაციას და არა იმას, თუ რომელიმე ფუძე შეიძლება არ იყოს ქართული (მეგრული) წარმომავლობისა და იყოს შემოსული სხვა ენიდან. ასეთია, მაგალითად, **ბეროზ-ა** (გვ. 64), რომლის ფუძე შემოსულია, რასაც ადასტურებს გვარი **ბეროზაშვილი**. იგი ნაწარმოებია **—ა** სუფიქსით, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე საკვლევ რეგიონში.

დისერტანტის მიერ სისტემაში მოყვანილი და გაანალიზებული მასალა განსაკუთრებით ღირებულია ამ მიმართულებით. საკმარისია შედარდეს იმავე პერიოდის საკუთარი სახელების

წარმოება საქართველოს სხვა ნაწილში, ვთქვათ, სამხრეთ საქართველოში, რომელიც იქნება არასაეკლესიო საბუთების მიხედვით, არამედ ისეთი პრაქტიკული დანიშნულების „საერო დოკუმენტი“, როგორიცაა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომ აღმოჩნდება იდენტური წარმოება იმავე სუფიქსებით, რაც დამატებითი ფაქტია, დასტურია საერთო ქართული ენობრივი გარემოსი გვიან შუასაუკუნეებში.

ეს ხდება არა მხოლოდ პირსახელთა წარმოებისას, არამედ გვარსახელებისასაც. დისერტანტი წერს: „ჩვენს ხელთ არსებული ქართული ისტორიული დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ საკვლევ პერიოდში ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნახევარზე, კერძოდ, ენგურ-კოდორის შუამდინარეთში არ არსებობდა აფხაზურ-აფსუური წარმომავლობის არცერთი გვარსახელი, სამაგიეროდ, უხვად დასტურდება ქართული გვარსახელები, რომელშიც ვლინდება ყველა ის ქართველური მოდელი და სიტყვათმაწარმოებელი აფიქსი, რომლებიც მეცნიერთა მიერ მიჩნეულია მეგრულ გვარ-სახელთა ტიპურ მახასიათებლებად. ესენია: -ია, -უა, -ვა, -ში, -სკირი, -სქეა, -ბერ-ი (გვ113). ეს დასკვნა ადასტურებს პროფესორ თ. გვანცელაძის აზრს, რომ „აფხაზურ-აბაზური“ ეთნიკურ-ენობრივი ერთობის არსებობის პერიოდში (მე-16 საუკუნემდე) არც აფხაზებს (აფსუებს) და არც აბაზებს არ ჰქონდათ -იფა -იბა -ბა დაბოლოებიანი გვარსახელები და მათ შორის გავრცელებული იყო მხოლოდ უსუფიქსო და კრებითობის -რჭა -რაა — აა სუფიქსიანი გვარები, რაც შეეხება -იფა- იბა- ბა სუფიქსიან აფხაზურ გვარსახელებს, ისინი უნდა შექმნილიყო მე-16 საუკუნის შემდგომ, აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი დასახლების მერე, ქართული -ძე და -შვილი დაბოლოებიანი გვარსახელების ანალოგიით“ (გვ. 113).

შესაბამის დონეზეა შესრულებული ნაშრომის მესამე თავი, რომელიც ტოპონიმიას (ისტორიულ ტოპონიმიას) ეხება. აქაც, როგორც წინა ორ თავში, მასალა განხილულია სემანტიკური და სტრუქტურული მოდელების მიხედვით, რადგან, როგორც დისერტანტი წერს: „ვინაიდან, ვთვლით, რომ სემანტიკური მხარე აუცილებელია ტოპონიმის ისტორიის, სახელდების მოტივის, ეტიმოლოგიის გასარკვევად, ხოლო სტრუქტურა გვიჩვენებს, თუ რა

„საშენი მასალისაგან“ იქმნება ესა თუ ის ტოპონიმი და რა ცვლილებებს განიცდიდა იგი დროთა განმავლობაში. ამდენად, მეთოდოლოგიურად გამართულ სემანტიკურ სტრუქტურულ ანალიზს მივყავართ სიტყვის არქაულ ფორმამდე, არქეტიპამდე, რაც ხშირად ასახავს არა მარტო მოცემული გეოგრაფიოული სახელის ძირძველობას ამა თუნ იმ ტერიტორიაზე, არამედ ზუსტ ცნობებს გვაძლევს ამ ენაზე მოლაპარაკე ეთნოსის შესახებ“ (გვ. 159).

ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის საჭირო დონეზე მიუთითებს ბევრი ანალიზის არა მარტო კონსტატაცია, სხვათა მიერ მიკვლეული შედეგების დაფიქსირება, არამედ საკუთარი მოსაზრებებიც. თვით ცნობილი ქორონიმების შესახებ მოცემული საკუთარი დაკვირვებანი, როგორიცაა „ვთქვათ, **სამეგრელო.** დისერტანტის აზრით, ქორინიმ **სამეგრელოს** წარმოებას სამი ეტაპი უძღოდა წინ და საბოლოოდ იგი მიღებულია **ეგრი- საგან** შემდეგნაირად: **ეგრი → ეგრ-ის- ი → მ- ეგრ- ი → მ-ეგრ-ელ-ი → სა-მ-ეგრ-ელ-ო (165).**

ისტორიული ტოპონიმის კვლევის საუკეთესო მაგალითია **კოდორი,** რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ დასახლებული პუნქტის სახელი გადავიდა ხეობაზე, მდინარეზე. „დასახელების ამგვარი გადატანა, ანუ მეტონიმია იშვიათი არ არის. შდრ. ისტორიული დაბა **ღალიძგა,** „მდინარის ნაპირი“ და მისგან მეტონიმიით წარმოქმნილი ღალიძგა აფხაზეთში“ (გვ. 166). ეს მართლაც ასე ჩანს. ამასთანავე იქვე მოცემულია კოდირის გ. გვანცელაძისა და ი. ჩანტლაძის ეტიმოლოგია, რომელიც ქართულ **კად-** ფუძეს უკავშირდება (შეადარე ნა-კად-ულ-ი, რაც მხოლოდ ჰიდრონიმულ შინაარსს გულისხმობს. ხომ არ გამორიცხავს ეს ორი მოსაზრება ერთმანეთს. მეტონიმია (სოფლის სახელის გადატანა მდინარეზე) და მდინარის სახელის ახსნა ჰიდრონიმული შინაარსით?

საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა **ჭალის** დადასტურება ისტორიულ საბუთებში გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ დღევანდელი მისი აფხაზური სახელი **ჭლოუ,** რომლის გავლილი ფონეტიკური გზა, რაც გამოწვეულია ქართული დასახლების აფხაზური დასახლებით შეცვლით, რეალურია და მართლაც სწორად არის ახსნილი, ოღონდ ყველაფერი უფრო მარტივად იქნე-

ბოდა, თუ მოხერხდებოდა გეოგრაფიული პუნქტის ლოკალიზაცია. ასეა გაანალიზებული **ზუგდიდი, ჭყონდიდი, მარტვილი** და სხვა მრავალი.

დისერტანტის არგუმენტაცია სარწმუნო და მისაღებია ტოპონიმ **დარჩელთან** დაკავშირებით, როდესაც იგი უარყოფს მოსაზრებას, რომ დარჩელი უკავშირდება **დაჩა** სიტყვას, რ-ს განვითარების შედეგად მიღებულს. იგი წერს: „ამ ვარაუდის ნაკლი ის არის, რომ აფხაზეთში ოიკონიმი **დაჩა** რუსების მოსვლამდე არსად ჩანს — ეტყობა, იგი რუსული **დაჩა** „აგარაკი“ სიტყვისაგან მოდის. ჩვენი აზრით, **დარჩელი** იგივეა, რაც **დორჩელი** „დაფენილი, დაგებული, გაშლილი“ (გვ. 175). ისტორიული ტოპონიმიის კვლევის პრიორიტეტიც ეს არის

ერთ შემთხვევაში, როდესაც დისერტანტი გამოთქვამს თემის ხელმძღვანელისაგან განსხვავებულ აზრს, ტაქტიანად მიუთითებს: „ჩვენი აზრით, სემანტიკაზე დაყრდნობით ტოპიონიმ **ილორ**-ისთვის ამოსავალი უნდა იყოს აპელატივი **ილორი** „მორი, ნამორი“, ხოლო ტოპონიმის გააფხაზურების გზის შესახებ სავსებით მართებულად მიგვაჩნია თ. გვანცელაძის მოსაზრება “(გვ. 177). საქმე ეხება თ. გვანცელაძის მიერ ტოპონიმის ეტიმოლოგიის პირსახელ ილიასთან დაკავშირებას: ილია-ურ-ი, „ილიას კუთვნილი მიწა“ (გვ. 176).

იმ დროს, როდესაც გვაწვდის ს. კეკუა სხვათა მოსაზრებებს, ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზეა, ეტიმოლოგიის ავტორები ცნობილი მკვლევარები არიან, (გ. ელიავა. ა. ქობალია) და **შხეფის** ეტიმოლოგიას გვაძლევენ, მაგრამ ბოლომდე მართლაც არ არის სახელდების მოტივაცია გარკვეული, ავტორი სამართლიანად მიუთითებს: „ვფიქტობთ ოიკონიმის ეტიმოლოგიის დადგენას მეტი კვლევა სჭირდება“ (გვ. 178). ესეც დისერტანტის ტაქტიანი კეთილსინდისიერების ნიმუშად მიგვაჩნია.

ანთროპონიმიისა და ტოპონიმიის კვლევისას ნომინაციის ბევრი საერთო ნიშანია, რაც განპირობებულია ონიმიზაციით, მიუხედავად ამისა, არის განმასხვავებელი ნიშან-თვისებანიც. ონომასტიკური მასალის გამიჯვნა ამ დროს აუცილებელია, მაგრამ იმდენად ახლოსაა ეს ორივე ქვედარგი თავისი სტრუქტურითა და სემანტიკით, სახელდების მოტივაციით, რომ ხშირად ერთმანე-

თის წარმოქმნას განსაზღვრავენ. ჩვეულებრივი ფაქტია ანთროპოტოპონიმთა არსებობა, რასაც ადასტურებს საკვლევი პერიოდისა და ობიექტის შესახებ ქვეთავი: „გვარსახელებისაგან მომდინარე ქორინიმები“ (გვ. 190-192), თუმცა იქვე მიუთითებს ავტორი, რომ „რატომღაც ამ ტიპის ტოპონიმებიდან სააანლიზო მასალაში მხოლოდ სამი ტოპონიმი გამოვლინდა: **სადადიანო, საჭილაო, სამიქელაო** (გვ. 190). მართალია, სა-ო კონფიქსებით სხვა სახელებიც არის აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ზემოაღნიშნული ქორონიმები შედარებით მსხვილი ობიექტის სახელებია და სახელმწიფო ადმინისტრაციულ ტრემინთა რიგს მიეკუთვნება, ამიტომ, ბუნებრივია, მცირე რაოდენობით იქნება ისინი. ასევე სათანადო მეცნიერულ დონეზეა განხილული დისერტანტის მიერ გვართა დასახლებების სახელები, წინავითარების ამსახველი ტოპონიმები, კომპოზიტური წარმოების ტოპონიმები და მსაზღვრელ-საზღვრული ტოპომინები.

წარმოდგენილია ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნები, რომელთა შორის გამოვყოფთ შემდეგს: „შუასაუკუნეთა საეკლესიო საბუთებში ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ომონასტიკური ერთეულები (პირსახელები, გვარები და ტოპონიმები) უნდა ჩაითვალოს იმ სუბსტრატულ ფენად, რომელიც დახვდა აქ მოსულ აფხაზთა წინაპრებს და დაილექა მათ დედაენაში და მცირედი ცვლილებებით მოაღწია დღემდე“ (გვ. 212).

საბოლოოდ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სოფიო კეკუას მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი – „ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით“ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს, მაღალ დონეზე დაწერილი დისერტაციაა და უდაოდ იმსახურებს საძიებელ ხარისხს.

რეცენზია სალომე გუმბერიძის სადისერტაციო ნაშრომზე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის დოქტრანტის **სალომე გუმბერიძის** მიერ აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე **„სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“.**

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი **რუსუდან საღინაძე;**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რეუვენ ენოხი.**

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნებისაგან. დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურა.

შესავალში წარმოდგენილია ისტორიული წყაროები საქართველოში ებრაელთა განსახლების შესახებ, თემის აქტუალურობა, სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება და სხვა.

საანალიზო მასალა უმთავრესად მოიცავს XX საუკუნის 20-30 წლებიდან დღემდე ჩაწერილ ტექსტებს.

მას შემდეგ რაც ინტენსიურად დაიწყო ქართველი ებრაელების წასვლა საქართველოდან, სერიოზულად შეიქმნა ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუშების პრობლემა, რადგან ებრაელთა ძირითადი ნაწილი წავიდა საქართველოდან, ხოლო დარჩენილთა მეტყველება, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტები, თანამედროვე მედიის გავლენით კიდევ უფრო დაუახლოვდა სალიტერატურო ენას, ამიტომ ჭირს დღეისათვის მათი მეტყველების ამსახველი მასალის შეკრება.

სალომე გუმბერიძის მიერ სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებათა კვლევა აქტუალურია, რადგან „საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრებამ ქართული აქცია ქართველ ებრაელთა სალაპარაკო ენად. სხვადასხვა ეპოქაში ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სახლობდნენ და, ბუნებრივია, მათი მეტყველება ქართული დიალექტების გავლენას განიცდიდა, ამის

შედეგად მათ სასაუბრო ენაში გამოვლინდა სპეციფიკური ფორმები, ენობრივი თავისებურებები, მაგრამ, სამეტყველო კოდთა შერევა-შერწყმის მიუხედავად ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მაინც ჩანს ქართული ენისაგან რამდენადმე განსხვავებული ვითარება“ (გვ. 6).

პირველ თავში განხილულია არსებითი სახელის ფორმაცვალება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. არსებითი სახელის, ფორმაწარმოების თვალსაზრისით ქართველ ებრაელთა მეტყველება უმეტესად ქართულის მსგავს ვითარებას გვიჩვენებს, ეს ეხება როგორც ბრუნვათა რაოდენობას, ასევე ფუნქციურ სემანტიკურ აქცენტებს. „ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან არსებით სახელს ფორმაწარმოების მხრივ არ ახასიათებს რაიმე განსაკუთრებული თავისებურება. არსებითი სახელი სახელობითში ძირითად წარმოდგენიალია - ი ნიშნით, იშვიათად ნულოვანი ალომორფით“ (გვ. 28). ამ შემთხვევაში ებრაელთა მეტყველება მისდევს ზოგიერ ქართულ დიალექტს, ქართლურს, რაჭულს და სხვა. აქვე აღსანიშნავია, რომ როგორც ქართულ დიალექტებში, ისე ებრაელთა მეტყველებაში სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე წარმოდგენა იშვიათია.

დოქტორანტი ცდილობს, გამიჯნოს ქართული დიალექტების თავისებურებათა ჩვეულებრივი წარმოჩენა ებრაელთა მეტყველებაში. ე.ი. იმ დიალექტური ფორმების ხმარება, რომელ დიალექტსაც იყენებდნენ ამ კუთხეში მცხოვრები ებრაელები და ამასთანავე გამიჯნოს ზოგიერთი, ებრაელებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რომლებიც შეიძლება თავიანთი ენიდანვე მოდიოდეს. ტექსტებში დასტურდება, სახელობითში ხმოვანფუძიან სახელთა ბოლო ხმოვნის დაგრძელების შემთხვევები, რაც გამოხატულია ორმაგი ხმოვნით (აა, ეე, ოო) (გვ. 29).

მოხმობილია საამისოდ საინტერესო მაგალითები: ხმაა, ძმაა, გზაა, რძეე, დროო და სხვ.

აქვე გამოტანილია დასკვნა, რომელიც ეყრდნობა პროფესორ რ. ენუქაშვილის მოსაზრებას: სახელობითში ხმოვანფუძიანი სახელის ბოლოს ორმაგი ხმოვნის გაჩენა არის არა ბრუნების თავისებურება, არამედ ინტონაციური თავისებურება. როგორც რ. ენუქაშვილი აღნიშნავს, „დასავლეთ საქართველოს ებრაელთა მეტყველების ინტონაციური თავისებურებანი ამ მეტყველების

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი „საცნობო“ ნიშანია და იგი რიგ შემთხვევაში არსებითად განსხვავდება ადგილობრივ მცხოვრებთა ინტონაციისაგან“ (გვ. 30). მართლაც ებრაელთა მეტყველების ინტონაციური თავისებურებანი, რომელიც გამოყოფილი აქვს ენუქაშვილზე დაყრდნობით დოქტორანტს, დამახასიათებელია არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ებრაელთა მეტყველებისათვის, ამავე ნიშნით გამოყოფდნენ მათ მეტყველებას სამცხეში და გამოარჩევდნენ ადგილობრივი დიალექტისაგან ებრაელებს.

ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშნად - ი- ს ან ჲ- ს დართვა დამახასიათებელია როგორც ებრაელთა ისე ქართული დიალექტებისათვის.

დოქტორანტის დასკვნით „ქართველ ებრაელთა მეტყველებაში სახელობითში ი ხმოვნის გამოვლენა ხდება ქართული ენის ქვესისტემების მსგავსად, თუმცა ამ მოვლენას არ აქვს სისტემური ხასიათი“ (გვ. 32).

დოქტორანტი იზიარებს რ. ენუქაშვილის მოსაზრებას კვირეს შესახებ. „ამ მოვლენას მეცნიერი არა დასავლეთ საქართველოს დიალექტების გავლენად, არამედ საკუთრივ ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებად მიიჩნევს“ (გვ. 34) შევნიშნავდით, რომ კარგი იქნებოდა ამ შემთხვევაში გათვალისწინებული ყოფილიყო ქართული ენის აღმოსავლურ და სამხრეთულ დიალექტთა მონაცემებიც, დასტურდება თუ არა კვირე ფორმა იქაც.

საინტერესოდ გვეჩვენება ს. გუმბერიძის მოსაზრება, რომ „ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან მიცემით ბრუნვაში გვხვდება ფონეტიკურად შეპირობებული ვარიანტიც, ასეთია, მაგალითად, აფრიკატიზაციის გზით მიღებული -ც (გვ. 43). მოყვანილია შესაბამისი მაგალითები მიცემით ბრუნვაში, ღმერც, სამშაბაც, მანეც და სხვ. ეს საინტერესო ფონეტიკური პროცესი, რომელიც ქართულ დიალექტებსაც ახასიათებს, მნიშვნელოვან მიგნებად მიგვაჩნია, ოღონდ აღნიშნული მაგალითების გვერდით, გაუგებარია რატომ არის დასახელებული **წუთც** და **შაბათც** ფორმები ზემოთჩამოთვლილი მაგალითების გვერდით. ამ ორ მაგალითში ბოლომდე არ არის აფრიკატიზაციის პროცესი მისული.

თავისთავად საინტერესოა რ. ენუქაშვილის მოსაზრება მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვასთან დაკავშირებით, რომ ქართული ენის დიალექტებსა და ქართველ ებრაელებთან ეს პროცესი სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული. აქვეა ახსნილი, რომ ქართველ ებრაელებთან ამის განმსაზღვრელია მახვილი ან ინტონაცია. დოქტორანტი წერს: „შეიძლება დავასკვნათ, რომ გაუფორმებელი მიცემითი ბრუნვა ქართველ ებრაელთა მეტყველების ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა და საერთოა როგორც საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა, ისე ისრაელში „ამოსულთა" მერტყველებისთვისაც" (გვ. 45). აქვე მითითებულია, რომ ეს პროცესი შედარებით იშვიათია ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში (გვ. 46). მართალია ეს ქალაქური მეტყველების გავლენითაა განპირობებული, მაგრამ კარგი იქნებოდა ახსნილიყო რა განაპირობებს „ამოსულ" ებრაელთა მეტყველების დაპირისპირებას საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ქართულ დიალექტზე მეტყველ ებრაელთა მიმართ.

ამ მონაკვეთში ისეა წარმოდგენილი, თითქოს ისრაელში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველება არის ცალკე ენობრივი წარმონაქმნი და არა საქართველოს სხვადასხვა დიალექტზე მეტყველ ებრაელთა კონგლომერატი. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვგულისხმობთ იმ ცვლილებებს, რომელიც ებრაული მეტყველების შედეგად განიცადა ისრაელში „ასულთა" ქართულმა მეტყველებამ. შეიძლება ერთგვარი პასუხი იყოს ჩვენს კითხვაზე დოქტორანტის მიერ გამოთქმული შემდეგი მოსაზრება, რომ „იმ დროს, როცა ეს ტექსტები იწერებოდა, ქუთაისელი ებრაელები კომპაქტურად იყვნენ დასახლებული და მათი მეტყველება გამოირჩეოდა გარკვეული თავისებურებებით. ეს თავისებურებები მათ მიჰყვებოდათ ისრაელშიც, რადგან ისინი იქაც განაგრძობდნენ ქართული ენით საუბარს. დღეს კი მცირე რაოდენობით მოსახლე ებრაელების ქართული საკმაოდ დასცილდა ათეული წლის წინ მოსაუბრე ებრაელების მეტყველებას და განიცადა ადგილობრივი დიალექტებისა და ქალაქური მეტყველების, აგრეთვე სალიტერატურო ენის გავლენა" (გვ. 75). ვფიქრობთ, ციტატა საინტერესოა, მაგრამ ბოლომდე არ არის დასმული კითხვის პასუხი.

პირველი თავი საინტერესოა არა მხოლოდ ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებებისა და ქართული დიალექტების მონაცემების საერთო ანალიზით, არამედ კვლევის თავისებური მეთოდოლოგიითაც. ავტორი მასალას განიხილავს არა ფუძეთა დაბოლოებების მიხედვით, ვთქვათ ხმოვანფუძიანები ცალკე, თანხმოვანფუძიანები ცალკე, არამედ ბრუნვათა მიხედვით, რაც კარგად წარმოაჩენს ბრუნების მორფო-ფონოლოგიური თავისებურებებს. მიღებულია დასკვნა, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში საზოგადო არსებითი სახელის ფორმა-წარმოება უმთავრესად ქართულის მსგავსია (გვ. 60).

დოქტორანტი საკუთარ სახელთაგან განიხილავს ანთროპონიმებსა და გეოგრაფიულ სახელებს. მასალების მიხედვით დასტურდება სხვადასხვა წარმოშობის (ებრაული, ქართული...) ადამიანის სახელები. განსაკუთრებით მრავლად არის, როგორც დოქტორანტი ამბობს, ბიბლიური წარმოშობის სახელი, რომელთაგან ზოგს შეიძლება ბიბლიური წარმოშობა დამოუკიდებლად ქართულის გზითაც ჰქონდეს. მაგ.: მოსე, იოსები და სხვ. „შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა შორის, საკუთრივ ებრაულ სახელთა სიმრავლე მათი ეროვნული და კულტურული იდენტობის გამომხატველია“ (გვ. 62). არის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით წარმოდგენილი სახელები: მოსე/მოშე და სხვ. აშკარაა, რომ ებრაული გვარები ყალიბდება ქართულ გარემოში და ქართული ენობრივი ინვენტარით. „ადამიანის სახელთა ფორმაწარმოების მხრივ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში ისეთივე ვითარებაა როგორც საზოგადო სახელებში: საკუთარი სახელები გვხვდება ყველა ბრუნვაში, თუ არ ჩავთვლით ვითარებითს. შეიმჩნევა ზოგიერთი თავისებურებაც“ (გვ. 63). საკუთარ სახელთა შესწავლა-ანალიზი საინტერესოა ქართული ენის ისტორიის შესწავლისთვისაც. ამ მხრივ გვხვდება ძველი ქართულის ნაშთები და ივრითის გავლენა, როგორც ამას გვიჩვენებს ავტორი, რ. ენუქაშვილის კვლევებზე დაყრდნობით. ვგულისხმობთ, საკუთარ სახელთა გაფორმებულ და გაუფორმებელ ფუძეებს სახელობით ბრუნვაში და მიცემითში სახელის გაუფორმებლობას და სხვ. არის სხვა თავისებურებანიც, რომელთაგან საინტერესოდ გვეჩვენება ონის ფოლკლორულ

მასალაში დადასტურებული შემთხვევა, „მოთხრობითის -მა ნიშნიანი ფორმის ნაცვლად გამოყენებულია სახელობითის -ი ნიშნიანი ფორმა“ (გვ. 67). ვფიქრობთ, -მა და -ი ნიშნების მონაცვლეობით ახსნა ნაკლებ დამაჯერებელია ამ შემთხვევაში. თუ აქ რაიმე შეცდომასთან არ გვაქვს საქმე, ქართული ენის ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა უნდა იყოს ვიდრე ბრუნვის ნიშანთა შენაცვლება. თეზისი, რომ „მიცემით ბრუნვაში ხმოვან ფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები ყოველთვის -ს ნიშნითაა წარმოდგენილი (გვ. 72), ვფიქრობთ, ჩვეულებრივი ამბავია, რადგან -ს-ს გარეშე იცვლება მთელი სინტაქსური კონსტრუქცია და შინაარსი. ამიტომ -ს-ს ქონას ალტერნატივა არ უნდა ჰქონდეს. მოყვანილი მაგალითი „ფარყოს დეესიზმრა“ -ს-ს გარეშე იქნება ფარყო დეესიზმრა, რაც სულ სხვა რამეს ნიშნავს“ (გვ. 72).

დოქტორანტი აჯამებს ებრაელთა პირის სახელთა ანალიზს და ასკვნის: „ადამიანის (პირის) სახელების ფორმაწარმოება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მეტწილად ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მსგავს ვითარებას უჩვენებს. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე თავისებურება: ა) ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითში -ი სუფიქსის დართვა (სიმაი, თამარაი, ნათელაი, ლალოი, სონიკოი...). ბ) „თავსილში“ თანხმოვანფუძიან სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება როგორც ახალი, ისე ძველი წარმოება (იოსებმა, იოსებმან...); გ) თანხმოვანფუძიანი სახელები მიცემით ბრუნვაში დასტურდება -ს, -Ø ალომორფებით (სულამით, შიმშონ, აბშალომ, რახელ...). -Ø ალომორფი გვხვდება „თავსილშიც“ (იაყაკობ, იოსებ, ნოახ...); დ) ყოფითსა და ფოლკლორულ ტექსტებში წოდებითში შეინიშნება ანთროპონიმთა გაფორმების ტენდენცია (დავით-ო, დანიელ-ო, გომენო...)“ (გვ. 76-77).

სალომე გუმბერიძე „ებრაელთა გვარების შესახებ“ აცხადებს, რომ ქართველ ებრაელთა გვარები ფორმაწარმოების მხრივ არ გამოირჩევა რაიმე თავისებურებით. ისიც ნიშანდობლივია, რომ ძირითადად შვილზეა დაბოლოებული ებრაელთა გვარები და მხოლოდ ორი გვარია ძე-ზე დაბოლოვებული - ფიჩხაძე და ბერიძე. ამის ახსნა შეიძლება იმ ფაქტით, რომ შედარებით გვიან არის მათი გვარები ჩამოყალიბებული და მათი ფორმირების დროს მოსახლეობა იყენებს გვარის უკვე არსებულ სტრუქტურას.

ამის დასადასტურებლად კარგი მაგალითი მოჰყავს ავტორს: „ტატიკაშვილები ამბობენ, სოფელ ღებიდან ვართო. ადრე ებრაელებს გვარები არ გვქონდა. ეს გვარები ახალია, როცა გვარების ჩამოყალიბება იწყებოდა (შერქმევა), მაშინ უკვე ონში ვიყავით“ (ჩაწერილი ებრაელთა უბანში, ებრაელთა ბიბლიოთეკაში თავყრილობისას“ ებრაელების ჯგუფისაგან)“ (გვ. 80).

დოქტორანტის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ებრაული გვარ-სახელების კვლევა ქართული ენის, ქართული ონომასტიკის ინტერესების სფეროშიც აქტიურად უნდა იქნას განხილული.

ვფიქრობ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული ქართული თუ მის ფარგლებს გარეთ არსებული გეოგრაფიული სახელები. ერთი შეხედვით, თითქოს აქ საკვლევი არაფერი არ უნდა იყოს, რადგან გეოგრაფიული სახელი არ ითარგმნება და გადადის ისე, როგორც დედანში ან სახელმდებ ენაშია მოცემული. მაგრამ ამასთან ერთად პრინციპული მნიშვნელობა აქვს მომხმარებლის (ამ შემთხვევაში ქართველი ებრაელების) ენობრივ-ფონეტიკურ არსენალს. გასაგებია, რომ ქართული გეოგრაფიული სახელები გარკვეულ ცვლილებას იმ დიალექტის ფარგლებში განიცდიან, რომელი დიალექტის წარმომადგენელიცაა მომხმარებელი. მაგ.: თბილის/თფილისი. არის ისეთი ფორმებიც, რომლებიც დიალექტის ფარგლებს სცილდება, მაგ.: რიონის/რივნის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სახელის უცნაური ფორმაა ამ შემთხვევაში წარმოდგენილი ქართულ-ფონეტიკურ გარემოში ჯდება. მაგ.: ნიორის/ნივრის. დისერტანტი წერს: „ფორმაწარმოების მხრივ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში გეოგრაფიულ სახელებს არ ახასიათებს რაიმე თავისებურება. ისინი ისევე იბრუნვიან, როგორც შესაბამისი ფუძის საზოგადო სახელები. მათი ფუძეები ისევე იკუმშება და იკვეცება, როგორც საზოგადო სახელებისა. მათაც არ ეწარმოებათ მრავლობითი. გეოგრაფიული სახელიც შეიძლება იყოს მარტივფუძიანი და რთულფუძიანი. „თავსილში“ გვხვდება ერთ და მეტმარცვლიანი გეოგრაფიული სახელები“ (გვ. 85).

სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილია მზექალა შანიძის ციტატა, რომ ბრუნვის ნიშნები ებრაულში საერთოდ არ გვაქვს

(გვ. 81). ქართველ ებრაელთა მეტყველებაში კი დადასტურებული აქვს დისერტანტს არა მხოლოდ ბრუნვის ნიშნიანი ფორმები, არამედ თანდებულიანი ბრუნვებიც საკმაო რაოდენობით (გვ. 83-86). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში წარმოდგენილი მასალა მთლიანად განიხილება ქართული ენის დიალექტთა ფარგლებში. ამ ფონზე განსხვავებულად ჟღერს დისერტანტის აზრი: „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გეოგრაფიული სახელი ფელიშტიმი/ფელიშთიმი ონელ ებრაელთა მეტყველებაში ებრაული დედნის გავლენის შედეგია, ან კიდევ ზეპირი თარგმანებიდან შესული ფორმაა" (გვ. 81). ამ ორ ფორმას „ფელიშტიმი/ფელიშთიმი" ემატება ფელისტიმი, რომელიც „დადასტურდა რაჭველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალებში" (გვ. 81). ვფიქრობთ, სტ/შტ/შთ ამ ტოპონიმის ეს სამი ფონეტიკური ვარიანტი იმავე ფონეტიკური და ლექსიკური გარემოს ამსახველია და ძირითადი დასკვნიდან გამოსარჩევი არ უნდა იყოს.

მრავლობითი რიცხვის წარმოებასთან დაკავშირებით დისერტატი მიუთითებს, რომ „ებიანი და ნართანიანი მრავლობითის ფორმათა გავრცელების ზოგადი სურათი ტექსტების მიხედვით ასეთია: ყოფითი ხასიათის ტექსტებში უმთავრესად გვხვდება ებიანი მრავლობითი და ეს არც არის გასაკვირი, მაგრამ ჩვენთვის უჩვეულო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ებიანი მრავლობითის სისტემები არის ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნის „ბერეშითის" ზეპირ თარგმანში „თავსილშიც". რაც შეეხება ნართანიან მრავლობითს, ის უმეტესად დასტურდება ფოლკლორულ მასალასა და მყარ შესიტყვებებში. ქართულში საზოგადო არსებით სახელებში შეიძლება შეგვხვდეს მრავლობითის ორივე სახეობა" (გვ. 86-87).

ბუნებრივია, ებიანი და ნართანიანი მრავლობითის გამოყენება-გამოუყენებლობის საკითხი მთლიანად მისდევს ამ პრობლემის ქართულ ენასა და დიალექტოლოგიაში არსებულ ფაქტს. ნართანიანის, როგორც უფრო ძველ და ებიანის, როგორც ახალ მრავლობითს. ამიტომ ბუნებრივია დისერტანტის დაკვირვება, რომ ებიანი მრავლობითი ყველა ტიპის წიგნში, მათ შორის წმინდა წიგნთა ზეპირ თარგმანებში ჭარბობს და ნართანიანი წარმოება საერთოდ იშვიათია ყოფითსა და ფოლკლორული ხასიათის ტექტებში (გვ. 91).

დისერტანტი ვრცლად მიმოიხილავს -ა ხმოვანზე დაბოლოებულ „ქებაების“ ტიპის უკვეცელ ფუძეებს -ებიან მრავლობითში. ეთანხმება მეცნიერ-ხელმძღვანელთა მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. დისერტანტი გამოთქვამს განსხვავებულ მოსაზრებასაც: „როგორც წესი, ზმნიზედა ქართულში საერთოდ ვერ აწარმოებს მრავლობით რიცხვს. სემანტიკურად მაღლაები უნდა გულისხმობდეს ანგელოზთა ზეციურ იერარქიულ საფეხურს, მათს სამყოფელს. როგორც ჩანს, ეს ყალიბი შექმნილია „ქებაები“ ტიპის ფორმათა ანალოგიით.

ზემოთ მოხმობილი მრავლობითის უკვეცელი ფორმები ჩვენი საანალიზო წყაროების მიხედვით მხოლოდ ქართველ ებრაელთა მიერ შაბათის დღისადმი წარმოთქმული ლოცვის ტექსტებში დადასტურდა. ჩანს, ეს ფორმები მხოლოდ წმინდა წიგნების ზეპირი თარგმანებისა თუ სასულიერო ხასიათის (ლოცვის) ენისთვისაა დამახასიათებელი და ამ ტექსტების ენის სტილურ თავისებურებასაც განაპირობებს. ვფიქრობთ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სხვა სახის ფოლკლორული თუ ყოფითი ხასიათის ტექსტებში ეს მოვლენა არ დადასტურდა“ (გვ. 94).

ვრცელი ქვეთავი ეძღვნება არსებითი სახელის დამატებით სტრუქტურულ ელემენტებს (გვ. 97-139). მასში განხილულია თანდებულები, ნაწილაკები, მავრცობი ხმოვნები. თითოეული მათგანი წარმოდგენილია შესამაბის ბრუნვებთან ერთად.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია „ზედსართავი სახელის ფორმა-ცვალება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“. ზედსართავი სახელის ფორმა-ცვალება, რომელიც მთლიანად მისდევს ქართული ენის შესაბამის პროცესებს, წარმოდგენილია ქვეთავებში: „ზედსართავი სახელის პარადიგმატული ანალიზი“; ზედსართავი სახელის ბრუნვები, რომელშიც განხილულია ზედსართავი სახელის ყველა შესაძლო ფორმა ბრუნვების მიხედვით და შესაბამისი ფუძეების მიხედვით. ავტორი მიიჩნევს, რომ „ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ზედსართავი სახელის ფორმაწარმოებაში რაიმე განსაკუთრებული თავისებურება არ ვლინდება. იგი იშვიათად არის ცალკე, მეტწილად კი არსებითთან ერთად გვხვდება და პარადიგმატული თვალსაზრისით უმთავრესად იმავე კანონზომიერებს გვიჩვენებს, როგორსაც ქართული სალი-

ტერატურო ენა და დიალექტები“ (გვ. 156). ქვეთავში „ზედსართავი სახელის დამატებითი სტრუქტურული ელემენტები“ წარმოდგენილია თანდებულები და ნაწილაკები შესაბამის ბრუნვებში, სავრცობით და სავრცობების გარეშე. ზედსართავი სახელის სინტაგმატური ანალიზის დროს ტრადიციულად წარმოდგენილია პრეპოზიციული და პოსტპოზიციური მდგომარეობა. ასევე ბრუნვათა მიხედვით არის განხილული მესამე თავში „რიცხვითი სახელის ფორმა-ცვალება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“. აქვე ნათქვამია, რომ „ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში უმეტესად დასტურდება რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები. იშვიათია წილობითი სახელები“ (გვ. 169). ამ თავში მოცემულია რიცხვითი სახელის პარადიგმატული ანალიზი. მიჩნეულია, რომ რიცხვითი სახელი ცალკე არ გვხვდება, ან იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს, იგი, ბუნებრივია, გვევლინება არსებით სახელთან მსაზღვრელის როლში. რაოდენობითი რიცხვითი სახელები განხილულია ყველა ბრუნვაში. „ამრიგად, საანალიზო მასალიდან ჩანს, რომ რიცხვითი სახელი დამოუკიდებლად ისევე იბრუნვის, როგორც ცალკე მდგომი არსებითი და ზედსართავი სახელი. რიცხვითი სახელის ფორმაწარმოება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ისეთივეა, როგორიც სამწიგნობრო ქართულსა და დიალექტებში“ (გვ. 173). ვფიქრობთ, საინტერესოა ავტორის დაკვირვება, რომ რიცხვითი სახელის ებრაულისებრი წარმოებაა ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებში (გვ. 173). ამის საილუსტრაციოდ მოხმობილია გ. ბოთერას ჩანახატი „რაბათის ებრაელთა ყაიდებისა“. სამწუხაროდ მითითებული არ არის წყარო, თუ სად არის დაბეჭდილი ეს ჩანახატი. საილუსტრაციოდ მოხმობილია სპარსული წარმომავლობის თანა ელემენტი (ორთანას, თითოთანას) (გვ. 174). თანა ცალის მნიშვნელობით იხმარება მესხურ დიალექტში.

მეოთხე თავში განხილულია ნაცვალსახელთა ფორმაწარმოება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. ნაცვალსახელის პარადიგმტური და სინტაგმატური ანალიზი დამატებით სტრუქტურულ ელემენტებთან ერთად.

ნაშრომს ახლავს დასკვნითი დებულებები 9 პუნქტის სახით, მათში წარმოდგენილია ის ძირითადი შედეგები, რომელიც მიღე-

ბული აქვს ავტორს კვლევისას. ასევე დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია, წყაროები და ინტერნეტ მასალა. ხოლო ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი მასალის სახით, რომელიც დოქტორანტ სალომე გუმბერიძეს ჩაუწერია 2016-2017 წლებში, წარმოდგენილია ოთხგვერდიანი ტექსტით.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სალომე გუმბერიძის ნაშრომი „სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში", შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, რითაც დასტურდება ავტორის კომპეტენცია აღნიშნულ საკითხებში. ქართველ ებრაელთა მეტყველების კვლევა კიდევ უფრო აქტუალურია მას შემდეგ, რაც ებრაელები წავიდნენ საქართველოდან, ხოლო დარჩენილების ინტეგრაცია ქართულ ენასთან უფრო მაღალია, ვიდრე მათ წასვლამდე იყო, ამიტომ საშურია ამ ტიპის სამუშაოს ჩატარება. ნაშრომი გამოადგებათ არა მხოლოდ ქართველ ებრაელთა მეტყველებით დაინტერესებულ მეცნიერებს, არამედ ზოგადად ქართული ენის მკვლევართ. ს. გუმბერიძე კარგად ფლობს მასალას, ითვალისწინებს არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებს, რის გამოც ნამდვილად იმსახურებს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

წინასიტყვაობა*

ხალხთა ურთიერთობებს მრავალი წყარო გააჩნია. ყველაზე მნიშვნელოვანია ზეპირი და წერილობითი წყაროები. ზეპირი, რომელშიც დაილექება კონკრეტული ფაქტების მხოლოდ ზოგადი ასპექტები, დაიფარება კონკრეტიკა და საბოლოოდ შემორჩება ხალხთა მეხსიერებას კეთილისა და ბოროტის ჭიდილი, რომლის დასასრული უეჭველად კეთილის გამარჯვებაა. ასეთია ნება და სურვილი ხალხისა. ხალხი ყოველთვის შემწყალე და სიყვარულის დამფასებელია.

სხვაგვარადაა ყველაფერი, როდესაც საქმე რეალურ წერილობით წყაროთა საფუძველზე შექმნილ ისტორიას ეხება. მეცნიერი ისტორიკოსი პირველ რიგში თავისი ქვეყნის შვილია, სამშობლოს პატრიოტია. ამიტომ, მეცნიერთა შორის ყველაზე მეტად ისტორიკოსებს უჭირთ ობიერქტურობა, ფაქტების კრიტიკული ანალიზი. ამ ტიპის დამოკიდებულება განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც მეზობლები წერენ ისტორიას.

აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ და თურქ მეცნიერთა ორ უკანასკნელ სიმპოზიუმს. ორივე ქართულ-თურქულ ურთიერთობებს ეხებოდა. ორივე მხარე ხშირად ერთი და იმავე ეპოქას, ფაქტს და მოვლენას მიმოიხილავდა. იყო განსხვავებული ინტერპრეტაციები. მაგრამ იყო კეთილგანწყობა და ურთიერთპატივისცემა. მეცნიერები ერთმანეთს საკუთარი ისტორიოგრაფიისა და წყაროების მონაცემებთა წარმოჩენით ორივე მხარისთვის სასრგებლო საქმეს აკეთებდნენ.

ქართულ-თურქული სამეცნიერო კონტაქტები ისტორიკოსთა შორის კიდევ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ორენოვანი კრებულები გამოდის, ითარგმნება თითოეულის შრომა, რითაც კიდევ უფრო იზრდება დაინტერესებულ მკითხველთა წრე.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი საკონსულოს წარმომადგენელთა ყურადღება ტრაპიზონში. სიმპოზიუმს ესწრებოდა საქართველოს

---

* წინასიტყვაობა ერთვის საერთაშორისო სიმპოზიუმის – ქართულ-თურქული ურთიერთობები: წყაროები ქართულ-თურქული ურთიერთობების შესახებ, შრომების კრებულს/Uluslararası Türk - Gürcü Ilişkileri Sempozyumu:Türk-Gürcü Ilişkilerinin Kaynakları, ტრაპიზონი, 2018, გვ. 12-14

გენერალური კონსული ქალაქ ტრაპიზონში ბატონი ავთანდილ მიქაცაძე. ჩვენთვის მნიშვნელოვანი გახლდათ ეს ყურადღება.

შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწია ტრაპიზონის შავი ზღვის ტექნიკურმა უნივერსიტეტმა. ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა მათი მზრუნველი და მეგობრული დამოკიდებულება.

ÖNSÖZ

Halklar arası ilişkileri incelemek için çok sayıda kaynak kullanılabilir. Bunlardan en önemlisi yazılı ve sözlü kaynaklardır. Bu kaynaklarda somut gerçeklerin genel yönleri yer alınır, ayrıntılı bilgiler örtülür ve insanların hafızasında yalnız iyi ve kötünün kavgası kalır. Sonunda ise iyilik kazanır. Halkın isteği de bundan ibarettir. Halk her zaman merhametlidir ve sevgiye değer verir.

Yazılı kaynaklara dayalı tarihe gelince durum değişiyor. Tarihçiler ilk sırada kendi ülkesinin evlatları ve vatanperverlerdir. Bu yüzden, diğer bilim adamlarına göre tarihçiler objektif olmakta, olaylara tenkit gözüyle bakmakta zorlanırlar. Buna benzeri durum komşular tarih yazdıklarında da belli olmaktadır.

Buradan hareketle, Gürcü ve Türk bilim adamları tarafından düzenlenen son iki sempozyum fazlasıyla önemlidir. Her ikisi de Gürcü ve Türk ilişkileri üzerine yapıldı. Her iki taraf, çoğu hallerde aynı dönem ve tarihi olayları değerlendirdiler. Farklı yorumlar da yaptılar. Ancak, bilim adamları arasında ilk sırada karşılıklı saygı ve iyi niyet vardı. Bilim adamları kaynak ve tarihi bilgilerini paylaşarak her iki taraf için faydalı iş yaptılar.

Gürcü ve Türk tarihçileri arasında yapılan bilimsel temasların daha önemli noktası sempozyum bildirilerinin her iki dilde basılmasıdır. Her bilim adamının çalışmasının karşı dile çevrilmesi okur ve ilgi sayısını artırmaktadır.

Ayrıca, Sayın Başkonsolosumuz Avtandil Mikatsadze başta olmak üzere Gürcistan Trabzon Başkonsolosluğu temsilcilerininin sempozyum boyunca bizleri yalnız bırakmadıklarını da burada belirtmek isterim.

KTÜ tarafından yapılan mükemmel ev sahipliği ve dostane yaklaşımlar atılan her adımda hissediliyordu.

ისტორიკოსთა საერთაშორისო სემინარი ახალციხეში*

თურქეთის საისტორიო საზოგადოებისა და ჩვენი უნივერსიტეტის წარმატებული თანამშრომლობა, ქართველი და თურქი მეცნიერების პირველი წარმომადგენლობითი შეხვედრა საქართველოში, ერთმანეთის ნააზრევის გაცნობა, აზრთა გაზიარება, შთაბეჭდილებების გაცვლა, ჯანსაღი დისკუსია და კამათი, რაც მთავარია, ნდობის მოპოვება — ასეთი იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 21-24 აპრილს გამართული საერთაშორისო სამცნიერო სემინარის: „ქართულ-თურქული ურთიერთობები — ისტორია და თანამედროვეობა", მიზანი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბების პირველივე წლებიდან დიდი ყურადღება ეთმობოდა მეცნიერების განვითარებას, რეგულარულად ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები როგორც საუნივერსიტეტო და რესპუბლიკური მნიშვნელობის, ისე საერთაშორისო მასშტაბისა. სწორედ 90-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი თურქულ უნივერსიტეტებთან სამეცნიერო კონტაქტებს, რომელიც გარკვეულ პერიოდში შესუსტდა, მაგრამ, უკანასკნელ ხანს კვლავ სერიოზული ყურადღება დაეთმო. გააქტიურებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ 2014 წლიდან, სტატუსის ამაღლების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიპოვა მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება. მეცნიერება და კვლევა მისთვის აუცილებელ და ორგანულ კომპონენტად იქცა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო სემინარის ჩატარებას. ჩვენი ქვეყნების, საქართველოსა და თურქეთის ისტორიაში პირველად გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო სემინარი. დღეს უნივერსიტეტები მხოლოდ ეროვნული, ადმინისტრაციული ნიშნით უკვე აღარ იმიჯნება. გავიხსენებთ 1999-

---

* წინასიტყვაობა ერთვის საერთაშორისო სემინარზე – თურქულ-ქართული ურთიერთობები, (ისტორია და თანამედროვეობა), ნაკითხულ მოხსენებათა კრებულს, **Uluslararası Bilimsel Çalıstay Türk-Gürcü İlişkileri: Tarih ve Çağdaşlık**, გამომცემლობა **„Gündüz Ofset"**, ტრაპიზონი, 2017, გვ.10-13.

2000-იან წლებს, როდესაც პირველ ნაბიჯებს ვდგამდით ამ კონტაქტებისათვის. როდესაც ყარსის კავკასიის უნივერსიტეტთან გავაფორმეთ პირველი ხელშეკრულება და ორივე მხარემ პატიოსნად შევასრულეთ ხუთწლიანი ვალდებულებები. ჩავატარეთ ორი სიმპოზიუმი, პირველი ყარსში და მეორე – ახალციხეში. შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ პირველი სიმპოზიუმის, ყარსი-ახალციხის კონფერენციის მასალები დაიბეჭდა ბილინგვური სახით. შრომების ეს კრებული გამორჩეული და განსაკუთრებულია იმით, რომ თურქი მეცნიერების შრომები წარმოდგენილია ქართულად და ქართველი მეცნიერებისა – თურქულად. ეს იყო მაშინდელი ჩვენი ურთიერთობების ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი, რომ ერთმანეთი მესამე ენის გარეშე, ერთმანეთის ენაზე გაგვეცნო.

სემინარის მუშაობაში გამოიკვეთა ერთმანეთის სამეცნიერო საქმიანობის უკეთ გაცნობის აუცილებლობა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იმ თემების გამოვლენა, რომელთა შესწავლა უნდა გაგრძელდეს. შეხვედრამ გვაჩვენა, რომ სემინარის მასშტაბების გაზრდა და თემატურად გაფართოებაა საჭირო. უნივერსიტეტი მზად არის, სამომავლოდ ორგანიზება გაუწიოს შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ისტორიკოსებთან ერთად ენათმეცნიერები, ლიტერატორები, ეკონომისტები და სხვა დარგის მკვლევრები. მნიშვნელოვანია სტუდენტთა — მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კვლევებში ჩართვის პერსპექტივაც.

საერთაშორისო სამეცნიერო სემინარის ფარგლებში მეცნიერების მიერ მიღებული დეკლარაცია კიდევ ერთხელ აფიქსირებს შეხვედრის მნიშვნელობას.

ვფიქრობთ, ქართველი და თურქი მეცნიერების პირველმა შეხვედრამ, რომელსაც შედარებით მოკრძალებული სახელი – სემინარი ეწოდა, კიდევ ერთ ფაქტს გაუსვა ხაზი — სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოჩნდა საკმარისი სამეცნიერო რესურსი, რომ ღირსეული მასპინძლობა გაეწია თურქეთის რამდენიმე უნივერსიტეტის პროფესურისათვის. უნივერსიტეტში არსებობს მასშტაბების გაფართოებისა და ურთიერთობების გაღრმავების მზაობა. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ არის. ეს ლოგიკური და ბუნებრივი გაგრძელებაა იმ მისიისა, რომლის შესასრულებლადაც 26 წლის წინ მესხეთში გაიხსნა ივ.

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, მოგვიანებით კი ჯავახეთის ფილიალი.

თანამედროვე გლობალურ სამყაროში, არნახული ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, ამავდროულად პოლიტიკურად სწრაფად ცვალებად მსოფლიოში, კიდევ უფრო ფასდება ურთიერთობები, მათ შორის სამეცნიერო კონტაქტები.

AKHALTSİKHE'DE TARİHÇİLERİN ULUSLARARASI ÇALIŞTAYI

21-24 Nisan 2016'da Samtskhe-Javakheti Devlet Üniversitesin'de Türk Tarih Kurumu ile üniversitemiz arasında gerçekleşen ve başarıyla tamamlanan "Türk-Gürcü İlişkileri: Tarih ve Çağdaşlık" adlı uluslararası bilimsel çalıştayımız işbirliği, Gürcistan'da seçkin Gürcü ve Türk Bilim adamlarının bir araya getirilmesi ile fikir teatisini, birbirini tanımalarını, gerekli konular üzerine tartışmalarını ve en önemlisi - her iki taraf arasında güvenin sağlanmasını amaçlamıştı.

Samtskhe-Javakheti Devlet Üniversitesi tarafından kurulduğu ilk yıllarından itibaren bilimin geliştirmesine önem verilir, düzenli olarak gerek fakülteler ve milli, gerekse uluslararası düzeyde sempozyum ve konferanslar gerçekleştirilmektedir. 1990'da üniversitemiz ve Türkiye üniversiteleri arasında işbirlik protokolleri imzalandı. Daha sonraki yıllarda bu ilişkiler yavaşladı. Ancak, son dönemde yeniden canlandı ve fazlasıyla ciddiye alındı. Buna en büyük etken 2014'ten itibaren üniversitemize doktora programların açılması oldu. Bundan sonra üniversitemiz için bilim ve bilimsel araştırmalara fazlasıyla dikkat çekildi ve bütünün bir parçası oldu.

Çalıştayımızın daha bir özelliği vardı. Çünkü, Gürcistan ve Türkiye tarihinde ilk defa tarih uzmanlarının ikili uluslararası çalıştay gerçekleştirilmiş oldu. Günümüzde üniversiteler tek bir ülkeye ve tek bir millete ait değildir. Bütün dünyada üniversitelerin uluslararaştırması süreci başlatılmıştır. 1999-2000 yıllarınına dönersek eğer, bu yıllarda Kars Kafkas Üniversitesi ve üniversitemiz arasında ikili ilişkiler düzeyinde ilk adımlar atıldı. Üniversitelerimiz arasında ilk ortaklaşa işbirlik protokolü imzalandı ve her iki taraf protokolün bütün maddelerini beş yıllık

geçerlilik süre içerisinde tamamen yerine getirebildi. Üniversitelerimiz tarafından, birisi Kars'ta, diğeri ise Akhaltsikhe'de olmak üzere iki uluslararası sempozyum düzenlendi. Gururla belirtmek gerekiyor ki, yaptığımız ilk sempozyumun bildirileri iki dilde Gürcü bilim adamlarının bildirileri Gürcüce ve Türkçe, Türk bilim adamlarının bildirileri ise Türkçe ve Gürcüce olmak üzere basıldı. Ortak çalışmalarımızın esas prensibi, üçüncü dil kullanmadan birbirimizi tanımaktı.

Gerçekleştirdiğimiz bu çalıştayda her iki taraf bilim adamlarının birbirlerini daha iyi tanımalarına gerek duyulduğu belli oldu ve ortaya konulan meseleler üzerine ortaklaşa çalışmaların devam ettirileceği anlaşıldı. Bu çalıştay daha sonraki çalıştaylarımızın daha geniş ve tematik olarak çeşitli konuları üzerine yapılacağının gerekli olduğunu gösterdi. Büyük bir memnuniyetle şunu da belirtmek isterim ki, önümüzdeki yıllarda da üniversitemiz dilbilimcilerin, edebiyatçıların, iktisatçıların ve bilimin diğer alanlarını araştıran uzmanların katılımıyla benzeri bilimsel toplantılarına ev sahiplik yapmak için hazırdır. Ayrıca, benzeri toplantılar ile bilimsel araştırmalarda lisans, yüksek lisans ve doktora öğrencilerinin dahil edilmesi de uygun görülmektedir.

Çalıştaya katılan bilim adamları tarafından çalıştay sonunda alınan ortaklaşa beyanname bu çalıştayın ne kadar önemli olduğunun bir göstergesidir.

Düşünüyoruz ki, Samtskhe-Cavakheti Devlet Üniversitesi'nde Gürcü ve Türk bilim adamları tarafından gerçekleştirilen acızane çalıştayımız Türkiye'nin birkaç üniversitesinden bize misafir olan bilim adamlarına onlara layık ev sahipliğini göstermiştir. Üniversitemiz benzeri ilişkilerinin daha da artırması ve pekiştirmesi için hazırdır. Tabi ki, bütün bu gayretler rasgele değildir. Bütün bunlar 26 yıl önce Meskheti'de açılan İvane Cavakhişvili Devlet Üniversitesi'nin "Akhaltsikhe", daha sonra ise "Cavakheti" Şubelerinin misiyonunun mantıksal ve doğal devamıdır.

Günümüz küreselleşen ve hızla gelişen, aynı zamanda siyasi açıdan çabuk değişen dünyada bütün ilişkiler yanısıra bilimsel ilişkiler de özel değer taşımaktadır.

Our brief history*

Our small university, in which 1,500 students are enrolled, is 26 years old. Initially, in 1990, Samtskhe-Javaketi State University was established as a branch of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. This establishment introduced and strengthened Tbilisi University traditions in Akhaltsikhe. From the beginning, we decided to pursue a scientific direction. The co-existence of learning and scientific development helped us to gain prominence in the region, which was a challenge during the economic, political, and social hardships of 1990s. From the outset, the local Georgian and non-Georgian population trusted us. Many collegiate, national, and international conferences were held at our University. Thus the University became the foundation of scientific intelligence of South Georgia.

The Abastumani Astrophysical Observatory was the only serious research institution in Samtskhe-Javakheti. It was known in scientific circles for its important scientific work. The University made close scientific contacts with the Observatory from the very first days of its existence.

Observatory staff started their pedagogical careers at our University. Academician Evgeni Kharadze, who led the Observatory from the date of its establishment, managed these relations and scientific contacts. At the same time, he was the rector of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 1959-1966. So, academic and scientific activities were very familiar to him.

In 1992, Evgeni Kharadze and George Tchoghoshvili supported the establishment of the Faculty of Mathematics and Astronomy at the Akhaltsikhe branch of Tbilisi State University. At the time, Revaz Chigladze was the head of the department.

Evkgeni Kharadze often visited the branch. Several times, he was a chairman of the State Examination Commission, where our graduates passed their final exams.

Professors Revaz Chigladze, Raguli Inasaridz , Lorand Sigua, Khvedri Inasaridze, Rolan Kiladze , Victor Japiashvil and others helped to promote close scientific and educational contacts between Astrophysical Observatory and the University. They worked in

* დაიბეჭდა ჟურნალში „ასტრონომია ასტროფიზიკა", №1, 2016, გვ.3

Akhaltsikhe and Abastumani. The geographical proximity of these two locations strengthened future research activities. Our university graduates Bidzina Kapanadze, Marekh Ivanidze and Diana Ivanidze defended their doctoral dissertations .

In 2014, Samtskhe-Javakheti State University was formed on base of the branch and the State Teaching University. Our doctoral program in astronomy was accredited, which was an important incentive, especially for the staff members who have done a lot of scientific work and have had many years of experience in astronomy, but could not manage to get their doctoral degrees due to the absence of the Doctoral Degree Defense Council. Among them are Givi Kimeridze, Eduard Janiashvili, Roman Ivanidze, Manana Vardosanidze, Maia Sikharulidze, and others.

In addition to our University professors, the Samtskhe-Javakheti Doctoral Council in Astronomy includes Javakhishvili and Ilia State University professors and researchers at the Abastumani Astrophysical Observatory.

Samtskhe-Javakheti State University is the only university in Georgia that offers educational programs in astronomy at the Bachelor's, Master's, and Doctoral levels.

Scientists of the traditional Georgian Astronomical School have not had the opportunity to hold international scientific conferences in Georgia for many years. Samtskhe-Javakheti State University hosted an international conference on October 7-9, 2015. Conference organizers and participants decided to print the conference proceedings. Other scientists responded to this publication and expressed their desire to include their works in the publication. Our organization eagerly shared the relevant work, and today we have a collection of scientific works.

We want to thank all the authors, the organizational and editorial members of the group, the faculty of engineering, agricultural and natural sciences - Dean: Professor Giorgi Meskhi, Vice Rector Professor Maka Kachkachishvili-Beridze, Senior specialist Manana Ioseliani and especially, Editor Professor Revaz Chighladze, for their hard work.

სარჩევი

საყუნეთის ეტიმოლოგიისათვის 3
სოფელ უდის მოსახლეობა XVI საუკუნეში და ისტორიული წარწერა 7
ივანე გვარამაძის ცნობები XIX საუკუნის შუა წლების სტამბოლის და გალათას შესახებ 33
ექსპედიცია კურცხანის ხეობაში 47
ასპინძა და ასპინძელობა . 65
იძულებითი გამოხმაურება 78
უნივერსიტეტის ოცდახუთწლოვანი იუბილე 85
„გულანის“ მომავლისათვის 100
ერთი დღე ანდრიანწმინდაში 114
ზოგი რამ ლიტერატურული ცხოვრების ისტორიიდან უნივერსიტეტში 123
საზღვარსიქითა პოეზია 131
სტუმრად უნივერსიტეტში 136
უძველესი მესხური ვაზი 151
„ხსნა ყველგან არის...“ 154
მოსეს გზით 182
წინა სიტყვა 204
რეცენზია ნერიმან ალბაირაქის სადისერტაციო ნაშრომზე 207
რეცენზია ნინო მარკოზიას სადისერტაციო ნაშრომზე 214
რეცენზია სოფიო კეკუას სადისერტაციო ნაშრომზე 221
რეცენზია სალომე გუმბერიძის სადისერტაციო ნაშრომზე 229
წინასიტყვაობა 240
ისტორიკოსთა საერთაშორისო სემინარი ახალციხეში 242
Our brief history. 246

უნივერსიტეტის გამომცემლობა

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე
ლარისა გურგენიძე

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113,
ტელ.: 0(365)22-19-90, 591-41-12-78
ელ. ფოსტა: contact@sjuni.edu.ge